


ISSN 0132-1307

9

1982

საბჭოთა სელოვნება

180
1982/2





ქართული
წიგნიერების
დაწესებულება
1921 წლიდან

საქართველოს სტალინის საბავშვო საბავშვო საბავშვო

9 / 1982

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ქმედებების შესახებ

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ბურბანიძე

სარედაქციო კოლეგია:
აკაკი ბაქრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ნოდარ ბურბანიძე,
ჯუმატა თითუნია
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვასილ კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიძე,
ჯუმატა ნიჭიანი,
გივი ორბელიანი,
ნათელა ურუხაძე,
რევაზ ჩხეიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნიკო ვახვახაძე,
თამაზ პილაძე,
ნოდარ ჯანაშიანი.

თავმჯდომარე
მედიკოსი
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
მორეპორაჟი
ტელევიზია

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5
ტელ. 95-10-24, 95-13-24.

მხატვრული რედაქტორი პავლე შვეციკო
ნომრის მხატვარი ალექსი ბაღაბუჯი

საქართველოს კვანძობის
კომიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 1982.



ქართული
ხელნაწილების
სამეცნიერო ცენტრი

მერმისის ზღის ზასაკაშვალაშად	
ჩაიკოვსკის კონკურსის ლაურეატები	9
ნინო ნატროშვილი —	
გულაშაშვილი „აღბლის დედა“ ოპერა-ბუფონი	10
ნიკოლოზ ქაში —	
ბერიული	13
ელგუჯა ამაშუკელი —	
პართიველ მხატვართა მიღწევები და ახალი ამოცანები	20
ჯორის ბიორგბი მისისთავის-სახელოვის სახელმწიფო დრამატული თეატრი	29
ეთერ გუგუშვილი —	
ტრაგიკიები და ოსტატობა	37
ირინე კუკუნიძე —	
თანამედროვე ქართული კინოს სტილის თავისებურებათა საკითხინათვის	15
გიორგი ხუციშვილი —	
დიდების მემორიალი ჭუთანისნი	57
ელენე გროშევა —	
გნოზოლოგი მიწის მომდევალნი	60
იული შეიტუსი	
გამოჩინილი ოსტატი	61
ბორის არაპოვი —	
თვითმყოფალი კომპოზიტორი	62
მარინე კერესელიძე —	
ბივი ნარმანიას ლირიკული სახეარო	64
ქუანშერ ვათეშვილი —	
ნიკიფორი ირბახი — ავტორი პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნისა	67
დისკუსია, მუსიკა და მსხენელი	
საუბარი კომპოზიტორ ალფრედ შეიტაკისთან	67
რუსუდან მეფისაშვილი —	
ახალი გამოკვლევები ძველ ქართულ ხელოვნობებზე	75
თენგიზ კვიციანი —	
სკლუბიკისა და მოდერნიზაცი დანოკიდეზების შესახებ	78
ეთერ შავგულიძე —	
პირამისის ხელოვნება მხატვრული მოღვაწეობის სისტემაში	110
გურამ გოგია —	
ხალხური ხელოვნების ასაღმარინებლად	115
გურამ ფანჯიკიძე —	
თინეტი ჩანტლაშის ნიღბები	121
მიხეილ თუმანიშვილი —	
რეჟისორი თეატრიდან წავიდა	125
მიკოლა ზარულნი —	
გავსტრო, ტუში! (პიესა)	137
ბრონიკა	157

გარეკანის პირველ გვერდზე: გივი ნარმანია — „იოვანზე“.
 გარეკანის მესამე გვერდზე: ზურაბ სოტყილავა კვარადოსის როლში
 გლაზგოს სამეფო თეატრის სექტაკლიდან „ტოსკა“.
 გარეკანის მეოთხე გვერდზე: ხაქ. სსრ სახალხო არტისტი, რუსთაველის პრე-
 მისი ლაურეატი დირიჟორი ჩანსულ კახიძე.

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის
 გამოცემის სტამბა.
 თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელ. 93-94-59.

მ ე რ მ ი ს ი ს ბ ზ ი ს

ბ ა ს ა კ ვ ა ლ ა ვ ა დ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელიც მიმდინარე წლის მაისში გაიმართა, მოისმინა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის უაღრესად საინტერესო მოხსენება და მიიღო შესაბამისი დადგენილება. მოხსენებაცა და დადგენილებაც ეხებოდა უმნიშვნელოვანეს საკითხს ჩვენი ქვეყნის სინაღლებში — სსურსათო პროგრამის შექმნასა და მისი რეალიზაციის პრობლემებს. ამასთან დაკავშირებით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შეიმუშავა და ფარულ საზოგადოებას გააცნო „სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა“, რომელიც ცალკე გამოქვეყნდა.

აღნიშნული სასურსათო პროგრამის შექმნას საფუძვლად უდევს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი და მისი მიზანია, რაც შეიძლება მალე დაიძლიოს შეფერხებანი მოსახლეობის სურსათით მომარაგებაში. მეტიც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებაში გარკვევითაა ჩანერილი: „უახლოესი ამოცანაა უკვე წლეულს მივალწიოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის არსებით გადიდებას, უზრუნველყოთ მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის შესყიდვის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ამ პროდუქციის დროული გადამუშავება და სრული შენახვა, საიმედოდ საძირკველი ჩაუყაროთ მომდევნო წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო სწრაფ აღმავლობას“.

დადგენილების ეს ნაწილი შეტად სერიოზული გამოცდის წინაშე აყენებს მშრომელებს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მუშაკებს, და რამდენადაც მეცნიერული და რეალურია იგი, იმდენად ძნელი და საპატიოა მისი შესრულება, ვინაიდან უზარმაზარი ქვეყნის მოსახლეობის სურსათსანოვავით საიმედოდ უზრუნველყოფა არა მარტო უპირველესი ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტას გულისხმობს, არამედ აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემის გადაჭრასაც. ამავე დროს იგი ნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი საპროგრამო მოთხოვნის — საბჭოთა ადამიანების საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების — ხორცშესხმას.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში, რომელიც აღიარებულია გულისხმო წვლილად „მეცნიერულ კომუნიზმში, აგრარული საკითხის მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში, სასურსათო პრობლემის გადაჭრის პრაქტიკაში“, დახატულია თანამედროვე მდგომარეობის მკაფიო სურათი. მასში კარგად ჩანს, რომ, ერთი მხრივ, აშკარაა ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა, რომელიც მუდამ უსწრებს მოსახლეობის მატებას, მაგრამ, მეორე მხრივ, „სასურსათო პრობლემა ჯერ კიდევ არ მოხსნილა დღის წესრიგიდან და, ალბათ, კარგა ხანს ვერ მოიხსნება“.

დაიხ, სირთულეები არის და სერიოზულიც, მაგრამ ეს არ ნიშნავს მდგომარეობის გამოუსწორებლობას. კომუნისტებს, საბჭოთა ქვეყნის გმირულ მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას, მის სახელოვან ინტელიგენციას ბევრი დაბრკოლება გადაუღალავთ განვლილი სამოცდახუთი წლის მანძილზე. მაისის პლენუმზე გაკეთებული მოხსენების დასკვნით ნაწილში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი სიამაყის გრძობით აცხადებს: „ჩვენ, კომუნისტები, მერმისის გზას ვკვლავთ, წინ მივინევთ უვალი გზებით. მივინევთ ჭეშმარიტად რევოლუციური გაქანებით და გზადაგზა ვლაშქრავთ ახალ-ახალ მიჯნებს, ვიპყრობთ მწვერვალებს.“

ერთი ამ მიჯნათაგანია ამოცანები, რომლებსაც დღევანდელი პლენუმი დასახავს. ამოცანები, როგორც ყველას გვესმის, რთული და პასუხსაგებია. მაგრამ ჩვენ არ გვეპარება და არც შეიძლება გვეპარებოდეს ეჭვი, რომ კომუნიზმის მშენებლობის ამ მიჯნასაც წარმატებით დავლაშქრავთ!“

ლეონიდ ილიას ძემ კონკრეტულად ჩამოაყალიბა ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაში ამ ურთულესი მოვლენის გამომწვევი და განმაპირობებელი ხუთი ძირითადი ნიშანი. აი, ისინიც: 1. კვების პროდუქტებზე არსებული მოთხოვნილება ჯერ კიდევ უსწრებს სურსათის წარმოებას (მიუხედავად იმისა, რომ იგი გამუდმებით იზრდება); 2. გაიზარდა მოსახლეობის ფულადი შემოსავალი, რასაც ძირითადი სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილურობის პირობებში შედეგად მოსდევს მათი მოხმარების გადიდება; 3. შემცირდა უშუალოდ ეკონომიკის აგრარულ სექტორში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი, ქალაქის მოსახლეობა კი, პირიქით, გაიზარდა; 4. თვით სოფლის მოსახლეობა სულ უფრო მეტად ყიდულობს კვების პროდუქტებს სახელმწიფო სავაჭრო ქსელში; და ბოლოს, 5. არასაკმარის სისწრაფით იზრდება სოფლის მეურნეობის, მთელი აგრო-სამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობა.

სკკ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე მიღებული სასურსათო პროგრამის მთავარი თავისებურება გამოიხატება მის სისტემურობა-სა და კომპლექსურობაში, სოფლის მეურნეობის, აგრეთვე მისი მომსახურე მრეწველობის დარგების, ტრანსპორტის, ვაჭრობის მტკიცე ურთიერთკავშირში. მათი გაერთიანება კი უნდა დაექვემდებაროს ერთობლივ საბოლოო მიზანს. ეს მიზანია მაღალხარისხოვანი სურსათ-სანოვავის უზვად წარმოება და მისი დაუბრკოლებლად მიტანა მომხმარებელთან.

რა გზა არსებობს ამ პრობლემის გადასაწყვეტად? პრაქტიკულად ერთადერთი — სოფლის მეურნეობის, ერთი მხრივ, და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების, მეორე მხრივ, „მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, ზრდის უპირატესად ინტენსიურ ფაქტორებზე მტკიცედ გადასვლა“.

საბჭოთა კავშირის
საბჭოთა კავშირის
საბჭოთა კავშირის



ამჟამად საკავშირო მასშტაბითაც და რესპუბლიკაშიც სასურსათო პროგრამის გადამწყვეტისას, როგორც არასდროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რაც შეიძლება მეტ ფართობზე დაითესოს მარცვლეული (უპირველეს ყოვლისა) და სხვა კულტურები, ამასთან, განუზრვლად გაიზარდოს მათი მოსავლიანობა; საჭიროა მოვაშენოთ მეტი პირუტყვი და სისტემატურად გავადიდოთ წველაძობა, გავზარდოთ სახორცედ ჩასაბარებელი საქონლის წონა; სოფლის მეურნეობაში ახლა არსებითი მნიშვნელობისაა ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა გატარება და ხარისხიანობის მიღწევა. სოფლად და ქალაქად ყველაფერი უნდა იდონონ პროდუქტების უხვად საწარმოებლად, მათ საიმედოდ შესანახად, მაღალხარისხოვნად გადასამუშავებლად და მომხმარებელთან უდანაკარგოდ მისატანად. ცხადია, ყოველივე ეს მეცნიერულ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული და იგულისხმებს თანამედროვე მძლავრი ტექნიკის, გამოცდილი კადრების, სოფლად მომუშავე ექვსი მილიონი კომუნისტის სრულყოფილად გამოყენებასა და ფართო მასების შეგნებულად დარაზმვას.

ასეთ ვითარებაში სასურსათო პროგრამის მომზადება და პრაქტიკულად განხორციელება პრინციპულად ახალი ნაბიჯია ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაში. ამასთან, სასურსათო პროგრამა განყენებული რამ კი არ არის, არამედ მას მტკიცედ უკავშირდება თანამედროვე სოფლის სოციალური გარდაქმნა, ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ განსხვავებათა გაქრობა, რაც, აგრეთვე, პარტიის ერთ-ერთი მთავარი საპროგრამო მოთხოვნის გადაჭრაა და, ამდენად, მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება.


სოფლის სოციალურ გარდაქმნაში პარტია გულისხმობს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი (უპირატესად — საკარმიდამო ტიპის) სახლების მშენებლობას პირადი დამხმარე მეურნეობისათვის აუცილებელი ნაგებობებით, სკოლების, სკოლამდელთა დაწესებულებებისა და კლუბების, ბიბლიოთეკების მშენებლობათა გაფართოებას, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების აღმავლობას.

ამხ. ლ. ბრეჟნევიმ პლენუმზე სამართლიანად აღნიშნა: „რაც უფრო ენერგიულად და საფუძვლიანად მოვიკიდებთ ხელს სოფლის საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საგზაო მშენებლობის საკითხებს, მით უფრო ნაყოფიერი იქნება გლეხის შრომა“. რა თქმა უნდა, საკითხის ასე მკვეთრად დაყენება მოითხოვს პრაქტიკულ გადაჭრას, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დიდძალი სახსრების გაღება. და სიტყვა მალე იქცევა საქმედ. ამხ. ბრეჟნევიმა მაისის პლენუმზე განაცხადა, რომ ამ მიზნით ოთხმოციან წლებში გამოიყოფა 160 მილიარდი მანეთი და ხაზი გაუსვა — ეს არა მარტო დიდი ციფრია, არამედ სამომავლოდ გამიზნული დიდი პოლიტიკაცო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ მიღებულ სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამაში დაწვრილებითაა მოთხრობილი მისი განხორციელების ღონისძიებებზე, ყველა იმ საკითხზე, რომელიც შეიძლება წამოიჭრას პრაქტიკულ მუშაობაში. ამასთან, მის მერვე თავში კონკრეტულადაა მითითებული თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ძირითადი ამოცანები სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად.

აღნიშნულ ამოცანათა გაცნობას კომუნისტებისა და მშრომელთა ფართო მასებისათვის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის გზების და-

სახვასა და უშუალო პრაქტიკული საქმიანობის დაწყებას მიეძღვნა მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის (VII) პლენუმი.



ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თავის ვრცელ და ამომწურავ მოხსენებაში საქართველოს მშრომელებს დაუსახა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება გადაჭრის რესპუბლიკის სასურსათო პრობლემის ძირეულ საკითხებს.

რა საკითხებია ესენი?

„სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამის“ მიხედვით ჩვენს რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს ჩაის, ყურძნის, ლიმონის, მანდარინისა და საადრეო კარტოფილის წარმოება.

XI ხუთწლედში საშუალოდ წლიურად უნდა ვანარმოოთ სულ ცოტა 740 ათასი ტონა მარცვლეული, ხოლო XII ხუთწლედში — 750-780 ათასი ტონა; შესაბამისად: ბოსტნეული და ჰაღჩეული — 700-800-900 ათასი ტონა; ყურძენი — 1.100-1.400 ათასი ტონა; ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი სულ ცოტა 488-635 ათასი ტონა.

1,6-1,7-ჯერ უნდა გაიზარდოს ყველა სახეობის საკვების წარმოება.

XI ხუთწლედში ხორცის წლიურმა წარმოებამ (ნაკლავი წონა) უნდა მიაღწიოს 160 ათას ტონამდე, XII ხუთწლედში კი — 215-220 ათას ტონამდე; რძისა, შესაბამისად — 710-830-850 ათას ტონამდე. უნდა მივაღწიოთ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის შემდგომ ზრდას.

ათწლეულის განმავლობაში უნდა დავაშროთ და ავითვისოთ კოლხეთის დაბლობის მიწების 70 ათასი ჰექტარი, მოვრწყათ 120 ათასი ჰექტარი მიწა, გავასარწყავოთ 150 ათასი ჰექტარი საძოვრები.

იმავე პერიოდში 2,2-ჯერ უნდა გადიდდეს ხილბოსტნეულის კონსერვების წარმოება, განვითარდეს მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების, ხილისა და ყურძნის წვენების წარმოება. სწრაფი ტემპით გაიზარდოს ჩაის საწარმოო სიმძლავრენი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ჩაის ხარისხი.

აქ უკლებლადაა ჩამოთვლილი პროგრამისეული ყველა ამოცანა და საჭიროდ მიგვაჩნია ეს კონკრეტული მონაცემები იცოდნენ ჩვენი ჟურნალის მკითხველებმაც. მით უმეტეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ გამოთქვა აზრი, რომ ახალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების მთელი სისტემა მთლიანად გადავიდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალების შესწავლაზე და ამისათვის გამოვიყენოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა.

საქართველოს კომუნისტთა VII პლენუმმა მთავარ ამოცანად დასახა, მეურნეობის გაძლიერების ინტენსიური მეთოდების გამოყენებით, უკვე წელსვე გაუმჯობესდეს სურსათითა და სოფლის მეურნეობის ნედლეულით მშრომელთა მომარაგება და ხალხის ცხოვრების დონე ამაღლდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდით.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ შექმნილ ვითარებაში ხაზი გაუსვა იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ორგანული შეხამების აუცილებლობას და მიუთითა: „**იდეოლოგიურად უზრუნველყოთ სასურსათო პროგრამა** — ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, ნათლად გავაგებინოთ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს დასახული პროგრამის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, საერთაშორისო მნიშვნელობა, მისი წარმატებით რეალიზაციის აუცილებლობა“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო დოკუმენტში მითითებულია, რომ „სსრ კავშირის სასურსათო



პროგრამის ამოცანების განხორციელება — ეს არის საყოველთაო-სახალხო სატე, ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა სანარმოთა ყველა მშრომელის მოვალეობა“.

ამ მოვალეობას გვერდს ვერ აუვლიან ვერც ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, შემოქმედებითი კავშირები და კულტურის კერები.

სკკპ XXVI ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევიმ სიამაყის ვრამბით წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: პარტია მიესალმება... ხელოვნების აქტიურ წარევას იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებითაც ჩვენი საზოგადოება სულდგმულობსო. სასურსათო პრობლემასთან დაკავშირებით ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს კვლავ დაუდგათ საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში აქტიური ჩარევის ფაში. და ეს საპატიოა.

მაინც როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ხელოვანთა წვლილის ზოგიერთი მხარე სასურსათო პროგრამის განხორციელებისას?

დავიწყოთ თუნდაც არქიტექტორებითა და არქიტექტურით.

„სსრ კავშირის 1970 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამაში“ ჩანერილია, რომ „კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სანარმოებში უპირატესი ტემპით აშენდეს კეთილ-მონყობილი საცხოვრებელი სახლები: სამეურნეო ნაგებობებითურთ, სკოლამდელ ბავშვთა დანესებულებები, კლუბები, პიბლიოთეკები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები“...

სოფლის მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა ასევე ფართოდაა დაყენებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგანგებო დადგენილებაში „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შეშდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „რესპუბლიკის მალალმთიანი რაიონების მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. მაგრამ სოფლის მცხოვრებთა, როგორც მატერიალური დოვლათის შემქმნელთა, სასიკეთოდ გასატარებელ ღონისძიებათა მასშტაბები განუზომლად იზრდება სასურსათო პროგრამის მიხედვით და უპირატესად სასოფლო მშენებლობის ხაზით.

რამდენადაც ცნობილია, ქართველი არქიტექტორები ქმნიან სასოფლო ნაგებობათა პროექტების მრავალ სახეობას, რომლებშიც გათვალისწინებულია გლეხკაცის საჭიროება, სოფლის სპეციფიკა, მეურნეობის რიგინად გაძლოლის მოთხოვნილებანი, ადგილობრივი სამშენებლო მასალის გამოყენება, შეღავათიანი ღირებულება, თანამედროვე კომფორტის სიყვითინი. ეს განსაკუთრებით ეხება კოლმეურნეთა საცხოვრებელ სახლებსა და დამხმარე ნაგებობებს თვით საკარმიდამო ნაკვეთში.

ასეთი პროექტები ალბათ საქმაო რაოდენობითაა და ადვილად შეიძლებოდა არსებულ სახეობათა გამრავალფეროვნება მათი შემქმნელისა და მომხმარებლის გემოვნებათა გათვალისწინებით, მაგრამ მასობრივად ჯერაც არ შევსწრებიათ განზრახულის განხორციელებას მეურნის გასახარებლად.

სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში სოფლად შეიმჩნევა ორსართულიანი აგურის ან ქვითკირის ქალაქური ტიპის შენობებით გატაცება და ისიც საეჭო მხატვრული ღირებულების გაფორმებით „შემკულისა“.

სოფელს აშკარად ეტყობა არქიტექტორთა და მშენებელთა პროფესიული დახმარების ნაკლებობა. შეიძლება ითქვას, რომ დაბალ დონეზეა სას-

წავლო დანესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, კინოთეატრების, კულტურის სახლების მშენებლობა რესპუბლიკის მრავალ სოფელსა და რაიონულ ცენტრში. ამასთან, არცთუ იშვიათად, მოუთმენლად ჭიანჭურვით მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა. ხშირად კი ასეთი შენობის საზეიმო გახსნას მოკლე დროში მოსდევს კაპიტალური შეკეთების საჭიროება. ამიტომ და სხვა მიზეზების გამო, ცოდა გამხელილი ჯობია, სასოფლო შენებლობა აშკარად მოითხოვს მეტ მხატვრულ გამომსახველობასა და მრავალფეროვნებას.

საბჭოთა ადამიანებს ძალიან უყვართ ხელოვნება, — თქვა ლეონიდ ილიას ძემ სკკპ XXVI ყრილობაზე, — ვინ იცის, ზოგჯერ რა ძნელია ამა თუ იმ კარგი სპექტაკლის ნახვა, საინტერესო წიგნის ყიდა, გამოფენაზე მოხვედრა“. დაიხ, ყოველივე ეს ძნელია თვით დედაქალაქის მოსახლეობისთვის, მაგრამ რა ქნას სოფლის მშრომელმა, რომლისთვისაც ზოგჯერ საერთოდ ხელმიუწვდომელია სპექტაკლისა თუ კონცერტის ნახვა გამოჩენილი პროფესიონალი მსახიობების შესრულებით; ასევე თუ მოკლებულია იგი მხატვრული ფილმის ნორმალურ დემონსტრირებას კეთილმოწყობილ დარბაზში; საინტერესო წიგნის ხელში ჩაგდებას საგანგებო ღონისძიებათა გამოყენებლად; სხვადასხვა გამოფენა-ექსპოზიციის დათვლიერებას თუნდაც რაიონულ ცენტრში. სოფლელი კაცი იძულებულია ეს და სხვა სულიერი მოთხოვნილებები ადგილზე უპირატესად რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით დაიკმაყოფილოს. მაგრამ ეს ხომ ძალზე ცოტაა! უშუალო შეხვედრა ხელოვნებასთან, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთან, მათ ავტორებთან ყოველთვის არათუ საზეიმოა, არამედ განუმეორებლად შთამბეჭდავიც, მით უმეტეს, რომ ასეთი ღონისძიების ყოველ დამსწრეს მის მონანილედ მიაჩნია თავი. ე. ი. იქმნება უშუალო შეხების წერტილები, მუშავდება საკუთარი რეალური დამოკიდებულება მხატვრულ სინამდვილესთან. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი ტიპის ადამიანის — საბჭოთა მოქალაქის ზნეობრივი აღზრდისათვის.

ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ისეთი კულტურული ღონისძიებების ჩატარება, როგორცაა ქალაქად — ქარხანაში, ფაბრიკაში და ა. შ. სოფლად კი პირდაპირ მინდვრად, პლანტაციებში, დიდ ფერმებში, კლუბებში, ვიქვით, ცნობილი სიმფონიური ან საესტრადო ორკესტრის მინიკონცერტების გამართვა გამოჩენილი მუსიკოსებისა თუ ვოკალისტების შესრულებით და ისიც შესვენების დროს.

ასეთ შეხვედრათა მოქმედების არის ფართოდ გაშლა შეუძლიათ საქართველოს ფილარმონიას, აკადემიურ თეატრებს, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებს, მომრავლებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ კოლექტივებს, ყველა შემოქმედებით კავშირსა თუ ორგანიზაციას. აღარაფერს ვამბობთ ადგილობრივ მხატვრულ ძალებზე, რომელთა შორის გამოირჩევიან ხალხური მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები, მთქმელები და სხვ.

თქმა არ უნდა, არსებობს მრავალი დაბრკოლება. მაგალითად, აკადემიურ კოლექტივს, პროფესიონალურ ანსამბლს უჭირს ზოგიერთ ობიექტზე გამოსვლა ტექნიკურ უწყისიგობათა გამო, რაც უამრავ დადებით ნიუანსს აკლებს მათს მაღალ ხელოვნებას, მაგრამ მშრომელ ხალხთან უშუალოდ ადგილზე შეხვედრა ყოველ ხელოვანს ალუძრავს სიამაყის გრძნობას, რადგან იგი გრძნობს ხალხის პატივისცემასა და სიყვარულს მისდამი.

მართალია, რაიონულ ცენტრებსა და სოფლების უმრავლესობაში აქამდე კეთილმოწყობილია კლუბები, კულტურის სახლები, კინოთეატრები (ზოგს სულაც არ გააჩნია ისინი) და მათთან მისასვლელი გზები (და ეს



მოითხოვს სასწრაფო გადაწყვეტას), მაგრამ ყველა გზით უნდა უზრუნველყოთ სოფლის მშრომელთა მომსახურება, თუ გვინდა, რომ უფრო ყოფიერი იყოს გლეხის შრომა, როგორც მიუთითა წაიხის პლენუმზე ამ ბრეჟნემა; თუ გვინდა, რომ მან მთელი თავისი შესაძლებლობები მოახმაროს ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ყველა კლასისა და წევრის საარსებო საშუალებების შექმნას, რომ ის იყოს უშუალო მწარმოებელი სურსათ-სანოვაგისა და არა მხოლოდ მომხმარებელი ქალაქელი კაცებით.

აღბათ ურიგო არ იქნებოდა სოფლად ან რაიონულ ცენტრებში ჩატარდეს საკოლმეურნეო თემაზე დადგმული სპექტაკლებისა და ფილმების ფესტივალი, ამავე თემაზე შექმნილი სამხატვრო გამოფენების გამართვა, მწერალთა და მსახიობთა შემოქმედების განხილვა, მათი შემოქმედებითი ანგარიშების მოსმენა... ამ კუთხით შესაძლებელია არა მარტო რესპუბლიკური, არამედ საკავშირო ღონისძიებათა ჩატარება.

განა ჩვენი გამოჩენილი და, თუ გნებავთ, ახალგაზრდა მხატვრებისათვის საამაყო არ უნდა იყოს, განსაკუთრებით ახლა, ქვეყნისთვის სერიოზული გამოცდის ჟამს, თავიანთ სამყოფლად და შემოქმედებით ლაბორატორიად აქციონ სოფელი, იყვნენ კოლმეურნე გლეხებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა გვერდით, შექმნან მათი გმირული შრომისა და ცხოვრების ამსახველი რეალური სურათები? მით უმეტეს, რომ „ადამიანთა ურთიერთობა წარმოებასა და ყოფაში, პიროვნების რთული შინაგანი სამყარო, მისი ადგილი ჩვენს შფოთიან პლანეტაზე — ყოველივე ეს მხატვრულ ძიებათა დაუშრეტელი წყაროა“. (ლ. ი. ბრეჟნევი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საგანგებო დადგენილება მიიღო რესპუბლიკის მოსახლეობის კინომომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომელშიც განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება კინომომსახურებაზე სოფლად. ამ დადგენილებამ მრავალი უარყოფითი ტენდენცია გამოავლინა, დასახა აპკლოზანებათა დაძლევის გზები და ბევრგან გაუმჯობესდა კიდევ მდგომარეობა, მაგრამ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მრავალი სოფელი, დაბა, დასახლებული პუნქტი, რაიონული ცენტრიც კი (განსაკუთრებით რესპუბლიკის მთიანეთში) ჯერაც მოკლებულია ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც კი ამ მხრივ. ეს მოვლენა ძირითადად განპირობებულია სათანადო (თუნდაც მარტივი ტიპის) შენობის აუგებლობით, მოძრავი კინოდანადგარების სიმცირითა და კვალიფიციური ენთუზიასტი კადრების უყოლობით.

ბოლო დროს ტრადიციად იქცა შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებების გამსვლელი სხდომები რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში (ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე საკავშირო ღონისძიებაც კი ჩატარდა), რაც ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს უქმნის ამ მეტად სასარგებლო ღონისძიებებს. რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში ტარდება აგრეთვე კინოფესტივალები, გამოფენები, დათვალეირებანი, შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ ადამიანებთან, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების დეპუტი და ა. შ. ეს ღონისძიებები წელს განსაკუთრებით უხვი და ხარისხიანი უნდა იყოს, რადგან ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის მე-61 წლისთავს და გასხვავსებულია ხალხთა მეგობრობის ინტერნაციონალური იდეით.

ჩაიკოვსკის კონკურსის ლაურეატები

პრემიის თვის მანძილზე მთელი მსოფლიოს მუსიკალური საზოგადოების ყურადღება მიმართული იყო მოსკოვისაკენ, სადაც უაღრესად დაძაბულ, საინტერესო და სადღესასწაულო ატმოსფეროში მიმდინარებოდა ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა VII საერთაშორისო კონკურსი. ლაურეატის ნოდების მოსაპოვებლად ერთმანეთს ებაეკრებოდა სხვადასხვა ქვეყნის 250 ახალგაზრდა მუსიკოსი — პიანისტები, მევიოლინეები, ვიოლონჩელისტები, ვოკალისტები.

ეს კონკურსი თავისი მაღალი ესთეტიკური კრიტერიუმების გამო აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და ავტორიტეტულ მუსიკალურ ფორუმად, რომელიც მიზნად ისახავს არა მარტო ქეშმარიტი ტალანტების აღმოჩენას და მათთვის გზის გაკავფას დიდ შემოქმედებით ასპარეზზე, არამედ თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო დონისა და ტენდენციების გამოვლინებას, ზრუნვას ინსტრუმენტული და ვოკალური ხელოვნების შემდგომ წინსვლასა და განვითარებაზე. მუსიკის ამ მშვენიერ, კეთილშობილ ზეიმში მონაწილეობა დიდი პატივია ყოველი მუსიკოსისათვის — კონკურსანტებისა და ჟიურის წევრებისათვისაც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს კონკურსი, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, ლაურეატის მაღალი ტიტულის მამიებელთა წინაშე სახავს უაღრესად რთულ შემოქმედებით ამოცანებს. ამ სირთულეს, პირველ რიგში, განაპირობებს სტი-

ლისტური მრავალფეროვნებით აღბეჭდილი საკონკურსო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საშემსრულებლო ხელოვნების ყველა პარამეტრს და უნივერსალურ მოთხოვნილებებს უყენებს ახალგაზრდა შემსრულებლებს. ამიტომ მუსიკოსებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს არა მარტო კონკურსში მონაწილეობის პროცესს, არამედ საკონკურსო მომზადების საკმაოდ ხანგრძლივ, შრომატევად პერიოდსაც, რისი მშვეურობითაც ახალგაზრდა შემსრულებლებიც და დ სკოლას გადაიან, წვრთნიან თავიანთ საშემსრულებლო ჩვევებს.

დაიხ, ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი დიდი სტიმულია ახალგაზრდა თაობის ინტენსიური შემოქმედებითი ზრდისა.

ასევე რთული და ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე დგას ამ კონკურსის ჟიურიც, რომელიც შედგება სახელგანთქმული მუსიკოსებისაგან და რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მუსიკით უაღრესად გატაცებული, საფუძვლიანად მომზადებული, შემოქმედებითი მღელვარებით შეპყრობილი მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსის ბედი.

ჩაიკოვსკის ამგამინდელი კონკურსის ჟიურისში მონაწილეობდა სამი გამოჩენილი ქართველი მუსიკოსი — სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, პროფესორი **ოთარ თაქთაქიშვილი** (პიანისტების ჟიურის თავ-

პაატა ბურბულაძე

ნინო კერესელიძე

ალექსანდრე ხომერიკი



მედიკოსი), სსრკ სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, პროფესორი **მედეა ამირანაშვილი** (ვოკალისტების ფიურის ნეერი), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **ირაკლი ბერიძე** (მედიკოსების ფიურის პასუხისმგებელი მდივანი).

ჩაიკოვსკის კონკურსის ფიური უპირატესობას ანიჭებს იმ შემსრულებლებს, რომლებიც ამჟღავნებენ ტალანტს, ოსტატობას, პროფესიონალიზმს, აგრეთვე შემოქმედებითი ენერჯის მობილიზაციის უნარს, ფსიქოლოგიურ გამძლეობას. მხოლოდ ასეთების ხედვრია გასვლა მესამე ტურში.

მაინც რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს ჩაიკოვსკის კონკურსის ფიური ამ ვადამწვევტ მომენტში, ვის ანიჭებს უპირატესობას საუკეთესოთა შორის?

იმით, ვინც დაჯილდოებულია მდიდარი და ყველაასაგან გამორჩეული, ორიგინალური მხატვრული ინდივიდუალობით, ვინც მკვეთრად ავლენს შემოქმედებით შთაგონებას, იმ ქვეშარიტ არტისტინომს, ფრთები რომ ეშლება საკონცერტო ესტრადაზე, აუდიტორიის თანდასწრებით...

ჩაიკოვსკის სახელობის VII კონკურსი ჩატარდა მაღალ მხატვრულსა და პროფესიულ დონეზე, რაზეც თვალსაჩინოდ მეტყველებენ მისი შედეგები, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები. 250 მუსიკოსიდან მესამე ტურზე გავიდა 13 პიანისტი, 12 მეიოლინე, 12 ვიოლინჩელისტი, 16 ვოკალისტი. აქედან ჩანს, თუ რაოდენ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა როგორც საპრიოვ ადგილების, ისე ლაურეატის ტიტულის მოსაპოვებლად. მით უფრო საამაყოა და სასიხარულო, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა მუსიკოსებმა — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტმა, „ვერდის ხმების“ ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა **პაატა ბურჭულაძემ**, რომელმაც ამ ურთულეს შემოქმედებით პაექრობაში მოიპოვა პირველი ადგილი და ოქროს მედალით დაჯილდოვდა. პ. ბურჭულაძე პირველი ქართველი მუსიკოსია, რომელსაც პირველი პრემია მიეხიჯა ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე.

ამავე კონკურსის ლაურეატები გახდნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წამყვანი სოლისტი **ალექსანდრე ხომერჯი** (V პრემია) და ახალგაზრდა პიანისტი, გენსინების სახელობის მოსკოვის მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტი **ნინო კერესელიძე** (VI პრემია).

ამრიგად, ჩაიკოვსკის სახელობის წინამორბედ კონკურსებში გამარჯვებულ შესანიშნავ ქართველ შემსრულებლებს — ლიანა ისაკაძეს, ელისო ვირსალაძეს, მარინე მდივანს, თამარ გაბარაშვილს, ზურაბ სოტკილავას, ეთერ ანჯაფარიძეს შეემატნენ ახალი სახელები, რაც ქართული საშემსრულებლო ხელოვნების დიდ მიღწევას წარმოადგენს.

ფურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია მხურვალედ ულოცავს ამ დიდ წარმატებას ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებს და მათგან ახალ გამარჯვებებს ელის.



გოდერძა ჩოხელი

წელს მოკლემეტრაჟიანი ფილმების 28-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ობერპაუზენში ფესტივალის ყველაზე საპატიო ჯილდო „გრან-პრი“ მოიპოვა რეჟისორ გოდერძი ჩოხელის ფილმმა „ადგილის დედა“. უნდა ითქვას, რომ ხსენებული ფესტივალი მეტად ავტორიტეტული თავყრილობაა და ასეთი მაღალი ჯილდო საბჭოთა ფილმმა პირველად მიიღო.

სულ ახლახან გამოვიდა გოდერძი ჩოხელის მოთხრობების კრებული „ბინდისფერი ხეობა“. დიდი პრიზის მფლობელი და წიგნის ავტორი კი მხოლოდ 27 წლისაა.

გოდერძი მთიულეთში, გუდამაყრის ხეობაში დაიბადა და გაიზარდა. იქ, სადაც შავი არაკვი მოდის მღვრიე, როგორც კაცის გულ-გონებაში ჩაკარგული ავი ფიქრი...

...სადაც წყლის დასალევად ჩამოდინან მთები: ჩაჭრილი,

გუგუნიანი „აგნიის დედა“ ობიერების შექმნა

ნინო ნატროშვილი

ოზანო, სადედაბრო, სალალო...

...სადაც თოვლი თვეობით კეტავს გზებს...

...სადაც ბევრ სოფელს უკვე ნასოფლარი ჰქვია...

ამ, ბევრისათვის უცნობ ხეობაში ცხოვრობენ ჯღუნაი და ბერი, რომელთაც თავიანთი ცეკვისათვის სახელი ვერ დაურქმევიათ.

...ბობლაი, ირმად რომ უნდა იქცეს...

...ბუბუნაური ვანია, გაყალბებული ტყვია რომ უდევს თოფში და ხალხს აგიჟებს...

...სიმყუდროვეს შემორჩენილი ბერდება, მიდამოს რომ ეხმიანება...

გოდერძი ჩოხელი კინოს სოფელში ნანახი რამდენიმე ფილმით იცნობდა, მაგრამ იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა ამ „ჯადოსნურ სამყაროში“ მოხვედრისა, რომ თბილისში ჩამოვიდა, თეატრალურ ინსტიტუტში კინომცოდნეობის ფაკულტეტზე

ზე ჩააბარა გამოცდები და სტუდენტი გახდა. მაგრამ მერე მიხვდა, რომ აქ კინოს გადაღებას არ ასწავლიდნენ და მეორე წელიწადს ახალგაზსნილ კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე გადავიდა. კინორეჟისორის ოსტატობას ლანა ლოლობერიძე ასწავლიდა. პედაგოგი ომარ გვასალია იყო.

მალე პატარა სცენარის დაწერა დაავალეს. ჯერ ერთი დაწერა, მეორე, მესამე. წერდა თავის მეზობლებზე, გუდამაყარზე. წერდა ისე, როგორც ხედავდა, როგორც იცოდა. მისმა ახლობლებმა ნაიკითხეს და უთხრეს: ესენი უკვე დასრულებული მოთხრობებიაო. პირველად „მნათობში“ გამოქვეყნდა. შემდეგ „ცისკარში“, „ლიტერატურულ საქართველოში“. საზოგადოება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა ინტერესით ელოდა გოდერძი ჩოხელის ახალი მოთხრობების გამოჩენას.

გოდერძი ჩოხელი კი უკვე კინოკამერით დადიოდა გუდამაყარში და საკურსო თუ სადიპლომო ფილმებს იღებდა. პირველი სურათი იყო „ადგილის დედა“, რომლის ლიტერატურულ საწყისად რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მარტოობის სიმღერა“ გამოიყენა. ის ფრაზებიც, სურათში რომ ისმის, რევაზ ინანიშვილისეულია. მაგრამ ამ პატარა მოთხრობის ფილმის თემად არჩევა, ალბათ, იმან განაპირობა, რომ გოდერძი „პირადად“ იცნობდა ზღაპრულ არსებად ქცეულ ქალს, თავისი ბებრული ფუსფუსით მთელი სოფლის გაცოცხლება რომ განუზრახავს, თუმც ხმის გამცემიც აღარავინა ჰყავს, მთელი სამყარო დადუმებულია მისთვის.

მოვალეობის გრძობაა — ის ძალა, რამაც ამ მარტოხელა ბერდედას აქამდე გააძლებინა. ეს გრძობა აალებინებს ხელს განზრახვაზე თავის ჩამოსახრობად გამზადებულს. მოვალეობა ჩაუნერგავს ამ რეალურ პიროვნებას მითიურ მიზანს — გააცოცხლოს მკვდარი გარემო, თავისი არსებობით ერთი სოფელი მაინც გადაარჩინოს განადგურებას.

გოდერძი ჩოხელის მოთხოვნები თუ ფილმები გუდამაყრისაკენ განვდილი ხელია, მისი დაცარიელების ტირილია, მისი მიუსაფრობისადმი შეუპოვრობა და მიუღებლობა. აქ ოდესღაც ცხოვრება სდუღდა, ლამაზი, ხალისიანი სიმღერისა და ცეკვა-თამაშის ხმა ისმოდა, ვაჟკაცობითა და სიამამაცით სავსე ხალხი დადიოდა. დღეს ეს ყველაფერი გამქრალა, წასულა — ამ ამბავს გვიამბობს „ადგილის დედა“, „მეკვლე“, „მინის მზომელები“.

გოდერძი ჩოხელი დოკუმენტურ ფილმსაც იღებს, მხატვრულსაც და სატელევიზიოსაც. ყველა სტუდიაში სიხარულით ხვდებიან. მის შემოქმედებაში ყველაფერი ინდივიდუალური, თვითმყოფადი და განუმეორებელია. მთა და მთიელთა კოლორიტული ცხოვრება, ამ კუთხის

დღაცარულებით — გამოწვეული ტკივილი ადრე მოვიდა ქართულ ლიტერატურასა და კინოში. მაგრამ გოდერძი ჩოხელმა მაინც შესძლო ახალი სიტყვა ეთქვა, სხვანაირად ეთქვა.

ხშირად ამბობენ, რომ კინორეჟისორისათვის ასაკი და კინოხელოვნების ენის საფუძვლიანი დაუფლება აუცილებელი და მხოლოდ ნიჭით ვერ მიაღწევს მიზანს. გოდერძი ჩოხელი ვერც ასაკის სოლიდურობით მოიწონებდა თავს და ვერც კინოს დიდი ცოდნით, როცა „ადგილის დედა“ გადაიღო. თავისი ხალხის ძლიერმა ტკივილმა, მათდამი დახმარების სურვილმა შეაძლებინა ეთქვა ისე, რომ სხვაც აელეღებინა.

გოდერძი ჩოხელის ფილმები, რა თქმა უნდა, პირველ რიგში აზრითა და სევდით გვიბლავს, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ რეჟისორი თავის სათქმელს მუდამ განსხვავებული ფორმით განვდის. ძნელია თქვა, თხრობის ახალ-ახალ ფორმებს ეძებო. მის ფილმებში ჟანრისა თუ სტილის ძიების კვალიც არა ჩანს. იგი ყოველ ამბავს ისე გიყვება, როგორც ამ კონკრეტული შემთხვევისათვის არის გამოსადეგი და სხვაგვარად ვერც კი წარმოიდგენ. სათქმე-

ოპერაკუზენის ფესტივალის დეპლომი



ლი და თხრობის ხერხი ერთდ-
როულად იბადება.

მოთხრობებს კი მხოლოდ მა-
შინ წერს, როცა ფილმზე მუ-
შაობს, სურათს იღებს. კინოს
სახოვანება აძლევს ლიტერატუ-
რული ნაწარმოების შექმნის
საშუალებას.

ხასიათიც გამორჩეული და
თავისებური აქვს გოდერძი ჩო-
ხელს. მორიდებულია — არა-
სოდეს არ იტყვის რას აკეთებს,
რაზე ფიქრობს. თუ ჩაეკითხები:
— როგორი ფილმი გამოდისო?
— ეგ თვითონ ფილმზეა დამო-
კიდებული, თუ უნდა კარგი გა-
მოვა, თუ უნდა ცუდიო — გი-
პასუხებს. თუ შეაქებ — გაუხა-
რდება, მაგრამ ღმერთმა ქნას,
ასე იყოსო — გეტყვის. პოპუ-
ლარობა არ მოსწონს, მაქსიმა-
ლურად ერიდება. ხანდახან და-
იკარგება, მერე, რომელიმე შა-
ოსან ქალთან ერთად შემოგხვ-
დება სტუდიის დერეფანში —
ჩემი ძალუაა, გახმოვანებაზე
ჩამოვიყვანეო, გაგაცნობს.

„ერთი ფეხშიშველი ჩოხელი
თურმე ცივ ქვაზე შედგა. ეხე-
ნენ, ჩამოდი, თორემ გაცივდე-
ბი და მოკვდებიო. იუარა, არა,
რახან შევდექ, აღარ ჩამოვა-
ლო“.

გოდერძიმაც იცის „ცივ ქვა-
ზე“ შედგომა, მაგრამ იმ ჩოხე-
ლივით უაზროდ — არა, საქმის
სასიკეთოდ.

ფილიპიანთ ვანუამ სახლი
აუშენა ჩოხელებს. შუაგულ
კედელზე სულ თეთრი ქვები გა-
აყოლა სივრცით.

— აეს თეთრი ხაზი შენი გუ-
ლისათვის გავაყოლე ამ კე-
დელს. ცხოვრება ამ ბაცი ქვე-
ბის ფერია და ეცადე შენც ამ
თეთრი ხაზივით სუფთა და თე-
თრი კვალი დააჩნიო ცხოვრების
კედელს.

პირველი თეთრი ქვა გოდერ-
ძი ჩოხელმა ცხოვრების კედელს
უკვე დაატანა...

გმირული

ნიკოლოზ ჯაში

ჩვეულებრივად გმირულის საწყისი სა-
ზოგადოებრივი მოვალეობის ერთგულებაშია.
გმირული, როგორც წესი, ინდივიდუალიზმის
საწინააღმდეგო მოვლენაა. მაგრამ საზოგა-
დოებრივი მოვალეობისადმი ერთგულება ადა-
მიანს თავისთავად არ ხდის გმირად. „გმირო-
ბის ხარისხი პირდაპირპროპორციულია,
როგორც საშიშროების, ისე მოქმედების სა-
ზოგადოებრივად სარგებლიანობის ხარისხისა.
გმირობა სიმამაცის იდეალური გამოვლენის
ფორმაა“ — ეწერს პროფ. გ. ბანძელაძე!

გმირობა ეთიკის თვალსაზრისით წარმოად-
გენს ადამიანური ქცევის განსაკუთრებულ
ფორმას, რომელსაც ზნეობრივი თვალსაზრი-
სით ეწოდება სიმამაცე, გმირი (ცალკეული
პიროვნება, ადამიანთა ჯგუფი, კლასი, ერა)
თავისთავზე იღებს ამოცანებს, რომლებიც
განსაკუთრებულია მასშტაბებითა და სიმწე-
ლეებით, კისრულობს პასუხისმგებლობას და
უფრო ღირს მოვალეობას, ვიდრე წაუყენე-
ბენ ადამიანებს ქცევის საყოველთაოდ მიღე-

ბული ნორმებით, სძლევს საგანგებო დაბრკოლებებს.

გმირობის პრობლემა არაერთხელ მდგარა ეთიკური აზროვნების ისტორიაში. წარსულის ზოგიერთი თეორეტიკოსი, მაგალითად, იტალიელი ფილოსოფოსი ჯამბატისტა ვიკო (1668-1744) და ჰეგელი (1770-1831) გმირობას უკავშირებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ძველი საბერძნეთის ისტორიაში ე. წ. „გმირულ პერიოდს“, რომელმაც ასახვა პოეზია იმ დროის მითოლოგიაში.

გმირობის იდეების აღორძინების ცდას ვხედავთ ბურჟუაზიული რომანტიკოსების (ფ. შლეგელი, თ. კარლიელი და ა. შ.) ნაწერებში, მაგრამ მათი გაგებით გმირობის ცნება ღებულაბს უაღრესად ინდივიდუალისტურ ხასიათს. მათი გმირი — ეს გამოჩენილი პიროვნება „ბროზე“ და უფერულ ყველდღეობაზე მალა დგას, არ ცნობს საყოველთაოდ მიღებულ ზნეობრივ ნორმებს. მეტად რეაქციულ შინაარსს აქსოვს გმირის ცნებაში ფ. ნიეშე: ეს „ხედამიანი“ დგას კეთილისა და ბოროტის იქითა მხარეს“, რომელიც უგულვებელყოფს „ბრობის“ მორალს. შემდგომში ამორალიზმის ეს მოტივები გამოყენებულ იქნა ფაშიზმის იდეოლოგიაში (მოძღვრება „უმალღეს რასაზე“, რომელსაც „ყველაფერი ძალუმა“. აზრი იმის შესახებ, რომ „ფიურერი“ თავის ქვეშევრდომთ ათავისუფლებს მორალური პასუხისმგებლობისაგან). სხვა ინტერპრეტაცია მისცეს რუსმა ნაროდნიკებმა „გმირსა და ბროსს“ თავიანთ თეორიაში. ისინი უარყოფდნენ ისტორიაში სახალხო მასების აქტიურ როლს, თვლიდნენ, რომ მასები რევოლუციაში ებმებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაძვენი გამორჩეული გმირების მავალითს. გმირობის მარქსისტული გაგება ძირფესვიანად განსხვავდება ბურჟუაზიულისაგან. ისტორიული პროცესის დიალექტიკა მოითხოვს, რათა მის გარკვეულ პერიოდებში (მაგალითად, რევოლუციების ეპოქებში) არა მარტო ცალკეული პიროვნებები, არამედ ფართო სახალხო მასებაც სწირავდნენ თავის კერძო ინტერესებს საერთო საქმისათვის და მამაციურად იქცეოდნენ. რაც არაბიპირა „ჩვეულებრივი“ პირობებისათვის.

ახალი საზოგადოების გამარჯვების ამოცანა „არაერთხელ შემთხვევაში არ შეიძლება ვადამიკრას ცალკეული ადტიყნების გმირობით, არამედ მოითხოვს მასობრივ და ყველდღე-

ურ მუშაობას უაღრესად ხანგრძლივად, უაღრესად შეუპოვარ, უაღრესად ძნელ გმირობას, მაგრამ ეს ამოცანა უფრო არსებითია, ვიდრე ახლა“.

მარქსისტულ-ლენინური ეთიკა არ ანსხვავებს პრინციპულად ერთმანეთისაგან ინდივიდუალურ და მასობრივ გმირობას. პირადმა მამაციობამ შეიძლება შეასრულოს თაოსნობის, მავალითის როლი მრავალი ადამიანათვის და გადაიზარდოს ამდენად მასობრივ გმირობაში.

20-იანი, 30-იანი წლების საბჭოთა ხელოვნებაში გმირული თემა ელენდებოდა. უპირველეს ყოვლისა, როგორც შეგნებული გმირობის თემა. დიდი საბჭოთა მხატვრები ესწრაფვოდნენ ეჩვენებინათ, რომ სოციალიზმის იდეების საქმეების გამარჯვების ზრდასთან ერთად უჩვეულოდ იზრდება რევოლუციური მასის გმირობა, იცვლება თვით მისი ხარისხი. დიდი მხატვრული ძალით ეს აზრი გამოსტყვივის ს. ეიზენშტეინის კინოფილმში „ჯავშნოსანი პოტიომკინი“. ეს იყო ფილმი მშრომელი ხალხის რევოლუციურ ბროლაზე. კინოსურათში ნაჩვენებია რუსეთის პირველი რევოლუციის ერთ-ერთი ეპიზოდი — შავი ზღვის ფლოტის გემები აჯანყება. მაგრამ მასლისა და იმ წლების გმირული მოვლენების ღრმად შესწავლა დაეხმარნენ ნიკიერ მხატვარს აჯანყებული ჯავშნოსანის კონკრეტულ პორტრეტში მოეცა 1905 წლის რევოლუციის უთვალსაზიროესი სახე. ამ ფილმში არ არის ინდივიდუალური გმირი, არარალური სახე — ხასიათი. კინოსურათის მთავარი გმირია გემის ეკიპაჟი. მეზღაურები — მუშები და გლეხები. რომლებიც საზღვაო ფორმაში არიან გამოწყობილნი. ჯავშნოსანი ფილმში წარმოდგენილია როგორც სულიერი არსება, იგი არის პოეტური სახე — აჯანყებული ხალხის სიმბოლო.

ეიზენშტეინმა ფინალში გადაუხვია ისტორიულ ფაქტებს. ფილმი მთავრდება „პოტიომკინის“ ადმირალის ესკადრასთან შეხვედრით რევოლუციური აფეთქების ტრაგედიის ნაცვლად რევისორმა შექმნა სიმბოლო მძლავრი სახალხო რევოლუციისა“.

გმირული. მშვენიერა, ისევე როგორც ესთეტიკის სხვა კატეგორიები, ერთმანეთს ემიჯნებიან, თუმც ურთიერთს უკავშირდებიან, მაგრამ ერთმანეთს არ უტოლდებიან. ყველაზე უფრო ახლოს გმირული დაკავშირებულია ამაღლებულთან და ტრაგიკულთან. უფრო მე-



ტიც, გმირული არის ამალღებულის უმაღლესი გამოხატულება. გმირული რევოლუციური ტრაგედიას აქცევს ოპტიმისტურად. გმირული ტრაგედია აღამალღებს ადამიანს, შთაავონებს მას ბრძოლისათვის რწმენას თავის ძალებში და სიამაყეს ადამიანისათვის. ამდენად რევოლუციური ტრაგედია, ეს გმირული ტრაგედიაა. მაგრამ თანამედროვე მოდერნისტული ხელოვნება ქადაგებს „ანტიგონის“ და ეს სავსებით შეესაბამება წარმავალი სამყაროს მხატვრისა და მსაყურებლის მსოფლშეგარძნებას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ არნახული შესაძლებლობანი შექმნა გმირობის, შრომაში საბჭოთა ადამიანების სიღიადისა და შემოქმედებების ძალების გამოსვლინებლად. წარსულის დიდი მხატვრები აჩვენებდნენ რა ხალხის გმირობას გამანათვისუფლებელ ბრძოლაში, არ წერდნენ და ვერ დაწერდნენ მასების შრომითს გმირობაზე. იმ დროისათვის ამის ობიექტური პირობები არ იყო მომზადებული. მ. გორკიმ პირველმა იგრძნო და სახეობრივად გახსნა შრომის პეროიკა. ვ. ი. ლენინმა გმირული დანახა „კომუნისტურ შაბათობებში“, იგი წერდა: „კომუნისტური შაბათობები“ იმიტომაა ასე მნიშვნელოვანი, რომ ისინი დაიწყეს სრულადაც არა განსაკუთრებით კარგ პირობებში ჩაყენებულმა მუშებმა, არამედ სხვადასხვა სპეციალობის მუშებმა, მათ შორის სპეციალობის უქონელმა მუშებმაც. შავმა მუშებმა, გომლებიც ჩაყენებული არიან ჩვეულებრივ, ვ. ი. უღარვალ მძიმე პირობებში“. ასეთ პირობებში გამოჩენილი მამაცობა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნორმა ხდება.

ჩაპევის ან კოტოვსკის დივიზიების გმირული შემართება როდი ფერმკრთალდებოდა ამ შენაერთების მეთაურების გმირობის სიკაშკაშისაგან. მასობრივი გმირობა კი არ აკინებს პიროვნების გმირობას, არამედ, პირაქით, ხაზგასმით აღნიშნავს მის არაჩვეულებრიობას. უფრო მეტად ამალღებს და წინ სწევს გამოჩენილ ადამიანთა პიროვნულ ღირსებებს.

საბჭოთა ადამიანის გმირობაზე ძალზე ხატოვნად წერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი წიგნში „აღიარებულა“:

„იმ ომისშემდგომ წელს კი მწარე და მძიმე იყო იმის დანახვა, თუ რა ზიანი მიადგა ამ უნიკალურ ნაგებობას. პიტლერელებმა კაშხა-

ლის ტანში ჩადეს ასი ავიაბომბი, თითოეული ნახევარტონიანი, და მხოლოდ ჩვენი მესამე რეებისა და მშვერავების გმირობამ დადგინა ჩინა კაშხალი სრულ განადგურებას. როცა საბჭოთა ჯარებმა დნებრი გადალახეს, კაშხალის ერთ-ერთ საყრდენზე გადაჭრილი მკეთული ნახეს, რომელიც საფეთქებელს უერთდებოდა. მის გვერდით კი — განგმირული მებრძოლი. მისი სახელის დადგენა ვერ მოხერხდა და მას შემდეგ კაშხალის კვეთთან უცნობი გმირის ძეგლია აღმართული.“

სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების პერიოდში საბჭოთა ხალხის გმირობას განადიდებენ ისეთი მხატვრული ფილმები. რაგორიცაა „ჩაპევი“, „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“, „დაუეწიყარი 1919“, „შორის“, „ცოცხლები და მკვდრები“, „რიგითი ჯარისკაცი მატროსოვი“, „ბალადა ჯარისკაცზე“, „კომუნისტი“, „ადამიანის ბელი“, „ახალგაზრდა გვარდია“, „ამბავი ნამდვილ ადამიანზე“, „მარტე“, „კონსტანტინე ზასლონოვი“, „სტალინგრადის ბრძოლა“, „ბერლინის დაცემა“, „მესამე დარტემა“, „ვარსკვლავი“, „ჯარისკაცები“, „ბრესტის სიმაგრე“, „ჯვარცმული კუნძული“, „მშვერავის გმირობა“, „ბლოკადა“, „განთავისუფლება“ და ა. შ. ეს ფილმები აღაღრთოვანებდნენ და ახლაც აღაღრთოვანებენ ადამიანებს გმირობისთვის, ზრდინ მათ კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

„ესპანურ დღიურში“ ცნობილი საბჭოთა პუბლიცისტი მ. კოლცოვი ასე აღწერს ჩაპევის ტრაგიკული დაღუპვის აღქმას ფაშისმის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარისკაცების მიერ.

„ღამით პატარა თეატრში... მიდის კინოფილმი. მსაყურებლებს შავი ბერეტები ასურაეთ, რომლებიც ჩამოუფხატეთ წარბებზე, თვალები გაფართოებული აქეთ. ვასილ ივანეს ძე ჩაპევი ფართო ნაბადში მოჭკრის გორაკებზე, ხოლო ბორცვები ჰგვანან აქაურებს, არაგონისას. შავი ბერეტები ხარბად აღევენებენ თვალყურს თუ როგორ აერთიანებს ვასილ ივანეს ძე ურალისპირა გლეხებს მემამულეებისა და გენერლების წინააღმდეგ, როგორ ურტყამს ის თავის რუს დამისტებს, რომლებიც ასევე გვანან აქაურებს, ესპანელებს... არაგონელი გლეხები, კატალონელი მუშები, სწავლობენ ჩაპევისაგან თუ როგორ უნდა დაიცვან თავიანთი უფლებები. სასიკვდილოდ დაჭრილი რუსი ბოლშევიკი იღრჩო-



ბა მდინარე ურალში, რომელიც წააგავს მდინარე ებროს.

მაგრამ საპასუხოდ დარბაზში გაისმის მძაფრი შეძახილი: — სარავოსაზე!⁷

1936 წლის 25 ოქტომბრის დღიურში მიხეილ კოლცოვი წერს: „თავდაპირველად ტანკები ცხოველურ შიშს იწვევდნენ. ახლა კი რაზმელებმა იწყეს წინსვლა და ხელყუმბარების გროვების შეყრა. დიდი როლი ამაში ითამაშა ფილმმა „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“. — ნახეს რა იგი, ესპანელი კომკავშირელები ოცნებობენ და თხოულობენ გავიმეოროთ წითელარმიელთა თავგანწირვა პეტროგრადთან“.⁸

ამაღლებული, გმირულია საბჭოთა ახალგაზრდობის ალტყინება, რომელიც დიდი პატრიოტული გზნებით გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას ყამირის ათვისების შესახებ და თითქმის სამი ათეული წელია მასობრივი გმირობის ახალ-ახალი ფურცლები იწერება ლენინური კომკავშირის, საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობის სახელოვან საქმეთა მატრიანეში.

„არის რალც მიჭნა, რალც წამი, როცა პატრიოტი მეომრის გულში სამშობლოს წინაშე ვალის შეგნება შიშის გრძობასაც ახშობს, ტკივილსაც და სიკვდილზე ფიქრსაც — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — მამასადამე, გმირობა ანგარიშმიუტეველი მოქმედება კი არ არის, არამედ იმ საქმის სამართლიანობისა და სიდიადის რწმენა, რომლისთვისაც კაცი შეგნებულად სწირავს სიცოცხლეს“.

თავის წიგნებში „მცირე მიწა“ და „ყამირი“ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი შესანიშნავად ახასიათებს ჩვენი ცხოვრების ჰეშმარიტი გმირის ნიშანთვისებებს: ისინი ყოველდღიურ ვითარებაში, ჩვეულებრივი, მოკრძალებულნი, თითქმის შეუმჩნეველნი არიან, უბრალოდ და უსიტყვოდ აყეთებენ თავიანთ საქმეს.

საბჭოთა ხელოვნების მუშაკების წმინდათაწმინდა ვალი, პატრიოტული მოვალეობაა ყამირის ეპოპეა ღირსეულად ასახონ თავიანთ ნაწარმოებებში ისევე, როგორც მიხეილ შოლოხოვმა თავის ნაწარმოებებში „წყნარი დონი“, „გატეხილი ყამირი“, „ადამიანის აბედი“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ ფართო პლანინი ტილოებით დაასურათახატა დიადი რეველუციური მოვლენები საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

ყველაზე უფრო მკაფიოდ, გამოკვეთილად საბჭოთა ადამიანების ამაღლებული, გმირული

და ამავე დროს ტრაგიკული ქცევა გამოიხატა სამშობლოს მძიმე განსაცდელის პერიოდებში, განსაკუთრებით კი დიდი სამამულო ომის წლებში.

საბჭოთა კავშირის ისტორიულმა გამარჯვებამ ნათლად დაანახვა მთელ მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა და უძლეველობა. ეს იყო ოქტომბრით შობილი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების გამარჯვება, სოციალისტური ეკონომიკის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ურთიერთობის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის გამარჯვება.

„ჩვენი გამარჯვება, — წერს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თავის შესანიშნავ წიგნში „მცირე მიწა“, — კაცობრიობის ისტორიის მაღალი მწვერვალია. მან გვიჩვენა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიღაღე. გვიჩვენა კომუნისტური იდეების ძლევა-მოსილება, თავდადებისა და გმირობის გასაოცარი ნიმუშება. ყოველივე ეს უქვევლად ასეა. მაგრამ დაეიყოს მშვიდობა, რადგან იგი ძალზე სჭირდება საბჭოთა ადამიანებს, და საერთოდ ქვეყნად ყველა პატიოსან ადამიანს“.⁹

საბჭოთა ხალხმა მამაკურად გაუძლო მკაცრ განსაცდელს, რაც მტერმა მოახვია თავს. მან, ლენინური პარტიის ირგვლივ მკიდროდ და რაზმულმა, მკერდით დაიცვა ოქტომბრის დიადი მონაპოვრები, სოციალისტური სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა სამშობლოს.

ომის დამთავრების შემდეგ გასულ 37 წელიწადში არნახულად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების იერსახე, ამ ხნის მანძილზე გაიზარდნენ ადამიანთა თაობები.

მოწიფულ ასაკში შეაბიჯეს მათ, ვისაც დიდი სამამულო ომის აღქმა მხოლოდ კინოთი და ტელევიზიით შეუძლია. ჩვენმა ქალაქებმა და სოფლებმა მიიშუშეს ჭრილობები, კეთილმოეწყვენენ, გალამაზდნენ. მაგრამ ახსოვთ მკაცრი წარსული, მასზე განუწყვეტლივ შეგვახსენებენ ძეგლები, ობელისკები, მემორიალები, მუზეუმების სათუთად შენახული ექსპონატები. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რ. ჩხეიძისა და ს. ქლენტის შესანიშნავი კინოფილმი „ჯარისკაცა-

ცის მამა“ და მისი გენიალური შემსრუ-
ლებელი, დაუფიქრარი სერგო ზაქარაძე,
რომელსაც მსურვალედ, გულწრფელად გა-
მოეხმებოდა მილიონობით კეთილი ნების
ადამიანი მთელ მსოფლიოში. გამოჩენილ-
მა მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა, ჯარის-
კაცის მამის პატრისაგან შექმნა დიდებული
მონუმენტი, რომელიც აღმართულია გურჯა-
ანის რაიონის 17 სოფლის მცხოვრებთა ინი-
ციატივით, ამ სოფლების 5 ათასზე მეტმა მა-
მულიშვილმა სიცოცხლე შესწირა ჩვენს დი-
დასამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკი-
დებლობას. ეს საბჭოთა ხელოვნებაში მეო-
რე მაგალითია (ცინოფილმ „ჯავნოსან პოტი-
ომკინის“ შემდეგ), როდესაც კინოეკრანზე გა-
მოჩენილმა გმირმა ქვის ქანდაკებაში გადმო-
ვიცინა. 1965 წელს რუსეთის რევოლუ-
ციის 60 წლისთავზე ქ. ოდესაში დაიდო „პო-
ტიომკინის“ მეზღვაურთა კოლექტიური ქანდა-
კება, რომელიც ცინოფილმის სიუჟეტით
არის ნაკარნახევი.

სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ყმაწ-
ვილებისა და ქალიშვილების გმირობას ასა-
ზავს გამოჩენილი საბჭოთა მწერლის ალექ-
სანდრე ფადეევის რომანი „ახალგაზრდა
გვარდია“, რომელსაც ხალხმა სამართლიან-
ად უწოდა პოემა საბჭოთა ახალგაზრდობაზე,
იგი საბჭოთა ახალგაზრდობის ომისდროინდელი
ობტიმიკური ტრაგედიაა. მწერალი თვი-
თონ იყო სამოქალაქო ომისდროინდელი ახ-
ალგაზრდა გვარდიელი, ლეგენდარული სერ-
გეი ლაზოს თანამებრძოლი და მან ეს ამბე-
ბი თავის ერთ-ერთ პირველ ტრაგიკულ ნა-
წარმოებში „განადგურება“ დავეხატა. „ახ-
ალგაზრდა გვარდიაში“ კრასნოდონელ კომ-
კავშირელთა ოლეგ კოშევის, ვანია ზემნუ-
ხოვის, ულიანა გრომოვას, ლუბოვ შიგოვას,
სერგეი ტიულენინის, ივან ტურკენინის და
მრავალ სხვათა გმირობა, მათი სულის ნათე-
ლი თვისებები გადმოცემულია უდიდესი აღ-
მაფრენით. ყოველი გმირის სახე, მიუხედა-
ვად იმისა, რომ რომანი აგებულია ისტორი-
ულ-დოკუმენტურ მასალაზე, კრებითია. ყო-
ველი საბჭოთა ამაღიანის მესიკერებაში ისი-
ნი დაშვიდრდნენ ისევე, როგორც ზოია კოს-
მოდემიანსკაია, ლიზა ჩაიკინა, ზოია რუხაძე,
ალექსანდრე მატროსოვი, რაჟდენ ბარციცი,
ნოე ადამია, ლევონ დარბინიანი, ისრაფილ
ჯინჯარაძე, ვლადიმერ ფაჩულია, შოთა გამ-
ცემლიძე, ალექსანდრე მერესიევი და ათასო-

ბით სხვები. ყოველი პასაჟი, ყოველი პერსო-
ნაჟი რომანში აყვანილია ტიპოლოგიამდე, ნა-
წარმოებში, რომელიც სასესია ლინგვისტიკა
დახვევებით, ბუნების უბადლო აღწერით,
რაოდენი გრძობა და სიყვარულია ჩაქსოვი-
ლი.


სამამულო ომის პერიოდში ქართულ ლი-
ტერატურასა და ხელოვნებას, ისევე როგორც
მთელი საბჭოთა ხალხის ლიტერატურასა და
ხელოვნებას, შეემატა კიდევ ერთი მნიშვნე-
ლოვანი თემა — პატრიოტიზმის, სამშობლო-
სათვის თავდადების თემა. დიდი სამამულო
ომის მრისხანე დღეებში მას მიეძღვნა ამაღე-
ლებელ, გამამხნეველ ლექს-სიმოერათა,
ფუნჯისა და საკრეთელის ოსტატთა პეროიკუ-
ლი ნაწარმოებების მთელი გალერეა. იგი
რაზმაიდა ჩვენს ხალხს მტერზე გამარჯვები-
სათვის შეუპოვარი ბრძოლისთვის.

დიდი სამამულო ომის დროს ყველაზე მე-
ტად განვითარდა საგმირო ბალადა. ასეთებია
კარლო კალაძის „ქართული ბალადა“ (1942),
„ბუქურაული“ (1942), რომლებიც კავკასიის
ბრძოლებს ასახავენ. პოეტური ეპოსის შესა-
ნიშნავი ნიმუშებია გრიგოლ აბაშიძის „უძე-
ლეველი კავკასიონი“ (1943), პატრიოტიზმის
თემა ჟღერს მისსავე პოემაში „გიორგი მე-
ექვსე“ (1942), ხალხთა მეგობრობის უბე-
რებელი თემაა გაშუქებული სიმონ ჩიქოვა-
ნის პოემაში „სიმღერა დავით გურამიშვილ-
ზე“ (1944).

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუ-
ფლებელ იდეებს, მის გმირულ ბრძოლას გა-
რეშე მტრებთან ასახავენ კ. გამსახურდიას
ტრაგიკულ-პეროიკული რომანები „დიდოს-
ტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“,
ა. ბელიაშვილის „ბესიკი“ და ა. შ.

ომის წლებში საქართველოს თეატრებმა გა-
ნახობციელეს მთელი რიგი დამდგმები. მათ
შორის: ვ. მდიენის — „ბატალიონი მიდის
დასავლეთისკენ“, „მოსკოვის ცის ქვეშ“,
„პარტიზანები“, გ. შატბერაშვილის — „ფიქ-
რის გორა“, ს. კლდიაშვილის — „ირმის ხე-
ვი“, ვ. დარასელის — „კიკვიძე“, ს. შანშიაშ-
ვილის — „გიორგი სააკაძე“ და „კრწანისის
გმირები“, ლ. გოთუას — „ერეკლე მეორე“
და „უძლეველნი“, „ოპერები: ი. გოკიელის
„პატარა კახი“, ა. ანდრიაშვილის „კაკო ყა-
ჩალი“, ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების
გული“ და ა. შ.

ომის წლებში მთელი საბჭოთა ხელოვნე-



ბის ნაწარმოებებში ფართოდ აისახა სამშობლოს დამცველთა გმირობა და თავდადება. მათ შორის აღსანიშნავია ელენე ახელუდიანის ტილო „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, ს. მისიაშვილის „გ. სააკაძე ბრძოლის ველზე“, თ. აბაყელიას ქანდაკება „შურს ვიძიებთ“, ვ. თოფურიძის „პარტიზანი“, იაკობ ნიკოლაძემ შექმნა გენერლების კ. ლესელიძის, პ. ჩანჩიბაძის სკულპტურული პორტრეტები, მ. თოიძის „წერილი ფრონტიდან“, ი. თოიძის „ფაშისტების მხეცობა“, „დავით კავკასიას“. უ. ჯაფარიძის „დედის ფიჭვები“, კ. სანაძის „გმირი ჭაბუკი“, ა. ქუთათელაძის ტილო „გენერალი ლესელიძე მებრძოლებთან“, შ. მიქატაძის სკულპტურული კომპოზიცია „სამშობლო გვეძახის“, ნ. კანდელაკის მარშალ ტოლბუხინისა და დავით ბაქრაძის სკულპტურული პორტრეტები, რ. შეროზიას მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას სკულპტურული პორტრეტი. ამ პერიოდში ჩვენმა კინოსტუდიამ შექმნა ფილმები „ის კვლავ დაბრუნდება“ (რეჟისორები ნ. შენგელაია, დ. ანთაძე), „ჯურღანის ფარი“ (რეჟისორები ს. დოლიძე, დ. რონდელი) და ა. შ.

სამამულო ომის გმირების — მხედართმთავრების კ. ლესელიძის, პ. ჩანჩიბაძის, ა. გელოვანის, გ. ალფაიძის, ვ. ნანეიშვილის, კ. ჯაბუას, გ. ზარელუას, ე. კობერიძის, გ. ყურაშვილის, შ. ჭანკატაძის, მამაცი მეომრების — როგორცისა და ოფიცრების: ვ. კანკავას, ნ. გოგიჩაიშვილის, მ. ბუხაიძის, ა. შევარდნაძის, მ. გელოვანის, ქართველი პანფილოველების, ფ. და ს. კაყულიების და მრავალ სხვათა საქმეები და სახეები ჩვენი მხატვრების, მოქანდაკეების, პოეტებისა და მწერლების ყალამს, საკრთელს და კალამს კვლავ ელიან.

ქართველი საბჭოთა მებრძოლების გმირობის, ვაჟკაცობის, სიჩაუქის, შემართების ამაღლებელი სტრიქონებია ჩაქსოვილი პოეტი-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის ლექს-სიმღერაში „არ დაიდარდო, დედაო...“ (კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი).

პოეტი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის ცნობილ ლექსზე შექმნილი სიმღერა „კაპიტანი ბუხაიძე“ — მამაცი ქართველი ოფიცრის გმირობას ასახავს კავკასიის მისადგომებთან. ლექსის პირველ ნაწილში დიდი პოეტური ძალით არის აღწერილი თავდადება ბუხაიძისა,

რომელიც საფლავშიც ვერ ისვენებს და ლამობს წამოდგომას, რათა ერთხელ კიდევ შეებას მტერს, ხელმეორედ შეეწიროს მშობლიურ მიწა-წყალს:

„მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწვიარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხარების წამოწევა.“

მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.“

სამამულო ომის მრისხანე დღეებში ეს პატრიოტული ლექსი სწრაფად აიტაცეს, მუსიკაზე ააწყვეს და ხალხურ სიმღერად აქციეს. განა შეიძლება ვინმემ დაივიწყოს ჩვენი გამოჩენილი მხატვრის ირაკლი თოიძის მიერ შექმნილი პლაკატი „დედასამშობლო გინმობს“... საბჭოთა სამშობლოს განზოგადებული ქალის — დედის გმირულ სახეში ჩაქსოვილ სულიერ ძალას, იდეურ მრწამსს ეხმაურებოდა ყველა პატრიოსანი ადამიანი, იგი რაზმავდა ყველა მამულიშვილს დაეცვა სამშობლო, მისი სახელი, ღირსება და დიდება.

სამამულო ომის წლებში პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ ზედიზედ სამი პოემა დაწერა. აქედან ორი მათგანი კავკასიის გმირული დაცვის ეპოპეას ასახავს. „ზარზმის ზმანება“ უმღერის ომგადახდილი ვაჟკაცის გამარჯვებით შინ დაბრუნებას. მესხეთში ქართული ცხოვრების გაჩაღებას და აღორძინებას, თანამედროვე ქართველი დედის გმირულ საქციელს, საბჭოთა ადამიანების ძმობასა და სოლიდარობას. ეს პოემა ჩვენი ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი თემის: საბჭოთა პატრიოტიზმის, ეროვნული სიამაყის თემის შთამაგონებელი ჰიმნია.

საქართველოს კინემატოგრაფისტებმა შექმნეს არაერთი დოკუმენტური ფილმი, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა მეომრების გმირობას ფრონტზე და საბჭოთა ადამიანების გულმოდგინე შრომას ზურგში. ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც მაშინ შე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი გამოგზავნილ წერილში მადლობას უხდოდა საქართველოს კინოდოკუმენტალისტთა კოლექტივს იმის გამო, რომ მან შექმნა დოკუ-

მენტური ფილმი „პიტლერული ავანტიურის დასასრული კავკასიაში“.

დიდი სამამულო ომის ეპოპეის ბევრი ახალი საინტერესო, კეშმარიტად ამალღეუბელი მასალა შეკრებილი გამოფენაზე ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ქართული ხალხის საბრძოლო მეგობრობას დიდი სამამულო ომის დღეებში.

ქერჩის გმირობა სამუდამოდ შევიდა კავკასიისა და ყირიმისათვის ბრძოლის ისტორიაში. ომის მკაცრ პერიოდში ქერჩი, ეს ქალაქი-გოლიათი, მამაკობის კეშმარიტი სიმბოლო გახდა. და სამშობლომ ღირსეულად დააფასა მისი უმაგალითო გმირობა.

ქერჩისა და მთელი ყირიმისათვის ბრძოლებში საქართველოს 120 ათასზე მეტი შვილი მონაწილეობდა. ამათგან ნახევარზე მეტი შინ არ დაბრუნებულა.

ქერჩის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში ღირსეული წვლილი შეიტანა 414-ე ქართულმა მსროლელმა ანაპის დივიზიამ, რომელიც ზღვისპირეთის ცალკე არმიის შემადგენლობაში შედიოდა.

ყირიმისთვის ბრძოლებში გმირის სიკვდილით დაეცა 414-ე ქართული დივიზიის 841 ოფიცერი, სერჟანტი და წითელარმიელი, დიკრა და მწყობრიდან გამოვიდა 2058 კაცი, ხუთი ათასზე მეტი მეტროპოლი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ დღეისა და გამარჯვების 30 წლისთაზე თბილისში ყირიმიდან, ქერჩიდან ჩამოასვენეს უცნობი ჯარისკაცის ნეშტი და დიდი პატივით დაკრძალეს „გამარჯვების პარკში“. უცნობი ჯარისკაცის საფლავში ჩაატანეს გმირი ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის, ნოვოროსიისკის, ქერჩის, გმირი ცხე-სიმაგრის ბრესტის, საქართველოს სხვადასხვა რაიონის მიწა.

ყველა ქართველის, საქართველოს ყველა მშრომლის გულისნადები შესანიშნავად გამოხატა პოეტმა მორის ფოცხიშვილმა უცნობი ჯარისკაცის ნეშტის დაკრძალვის საზეიმო-

სამგლოვიარო ცერემონიაზე წარმოთქმულ ლექსში „არ ხარ უცნობი“.



ნუგეშის წიხი იარაღს გვირგნეს,
სდუმს საქართველო — მწუხარე დედა.
რა მოუვიდათ ღმირის ბიჭებს,
რამ ჩაუგუბათ თვალებში სევდა?!
...ძღვევად წამოდქ და დაგვენახე,
გინძობს, გემბის ერი ერთგული,
ქიგოპირი შენ ხარ ენახი
და ქართულის დედის ოპით ხარ შეკრული
სიკვილის თრგუნავდი სიციცხლის რწმენით,
ვეწვირებოდი და ვეფარავდი...
არ ხარ უცნობი, —
სახელი შენი
უკვდავება აქ და მარადის!!!

ამერიდან ჩაუქრობელ ცეცხლად ანთა ადამიანთა გულში სხოვნა ამ უცნობი ჯარისკაცისა, იმ მილიონობით საბჭოთა მეომრებიდან ერთ-ერთისა, რომელმაც თავისი სისხლითა და სიცოცხლის ფასად მოიპოვა გამარჯვება და უკვდავეო სახელი თვისი.

დიადი გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ თბილისის საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომაზე 1975 წლის 8 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა:

„გვეამაყება რომ ჩვენი თანამემამულეები — ჯარისკაცები, ოფიცრები, გენერლები უშუალოდ მონაწილეობდნენ ბრძოლაში, რომელმაც გარდატეხა შეიტანა ოპია მიმდინარეობაში, დასაბამი მისცა ჩვენს ძღვევამოსილ წინსვლას სტალინგრადიდან ბერლინამდე, და ყველა მეომართან ერთად სტალინგრადის გამარჯვების დროშა მათ ბერლინში მიიტანეს... რაინსტავის კედლებზე წააწერეს თავიანთი და იმ მეტროპოლ მეგობართა სახელები, რომლებმაც ფაშისტთა ბუნავს ვერ მიადწიეს“.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება საბჭოეთის ხალხთა ურღვევი მეგობრობის გამარჯვებაა. ამ ურღვევი მეგობრობის და ძმური მადლობის ნიშნად ნიკოლოზ ვასტელის, ალექსანდრე მატროსოვის, ზოია კოსმოდემიანსკაიას, კრასნოდარის ახალგაზრდა გვარდიელთა სახელები ეწოდა ჩვენს ქალაქებში ქუჩებს, სოფლებში — კო-



ლმეურნეობებს. მეგობრობისა და ძმური მადლიერების ნიშნად ხალხი უვლის იმ მეომართა საფლავებს, რომლებიც საქართველოდან წავიდნენ და ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქისა და დასახლებული პუნქტის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში დაიღუპნენ. საყოველთაო-სახალხო გლოვის ასეთი ადგილები არის უკრაინაშიც, ბელორუსიაშიც, ბალტიისპირეთშიც, ყველგან, სადაც კი ფეთქავს მხურვალე გული ადამიანისა, რომელსაც არც ვინმე დავიწყებია და არც რაიმე.

შანიშნაბი:

- 1 გ. ბანძელაძე, ეთიკა. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი. 1980. გვ. 539
- 2 ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. გამოცემა მეოთხე. სახელგამი. 1952, ტ. 29, გვ. 494.
- 3 საბჭოთა კინოს მოკლე ისტორია. გამომცემლობა „ისკუსტვო“ 1969, მოსკოვი, გვ. 126 (რუსული გამოცემა).
- 4 საბჭოთა კინოს მოკლე ისტორია. გამომცემლობა „ისკუსტვო“, 1969, მოსკოვი. გვ. 126 (რუსული გამოცემა).
- 5 ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. სახელგამი. ტ. 29, 1952. გვ. 497-498.
- 6 ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. აღორძინება. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1978. გვ. 5
- 7 მიხეილ კოლცოვი. ესპანური დღიური. წიგნი პირველი. მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა. მოსკოვი. 1938, გვ. 39, 41 (რუსული გამოცემა)
- 8 იქვე. გვ. 232.
- 9 ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. მკითხე მიწა. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1978. გვ. 67

ქ ა რ თ ვ ე ლ
 მ ხ ა ტ ვ ა რ თ ა
 მ ი ლ ღ ე ვ ე ბ ი
 დ ა
 ა ხ ა ლ ი
 ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ელგუჯა ამამუყელი

საქართველოს მხატვართა X ყრილობა შეიკრიბა იმ დიდი შრომითი, შემოქმედებითი გამარჯვებების ატმოსფეროში, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკას ბოლო ათ წელიწადში აღუდგინა შელახული სულიერი ავტორიტეტი და წარმატებების გზაზე გაიყვანა. ზღეს უკვე საყოველთაოდაა ცნობილი ის რევოლუციური გარდაქმნები, რომელთა წყალობით უფრო აათლად წარმოჩნდა ქართველი კაცის ბუნება, მისი არსი, მისი შემოქმედებითი შრომისა და მოღვაწეობის დიდი უნარი და ასპარეზი.

წყობილია მოხსენებად საქართველოს მხატვართა X ყრილობაზე.



საქართველოს
ქვეყნული
ბიბლიოთეკა

განვიღო პერიოდში ქართველ მხატვართა მთელი საქმიანობა იქით იყო მიმართული, რათა ისინი ვალში არ დარჩენილიყვნენ მშობლიური ხალხის წინაშე და მალამხატვრული ნაწარმოებებით თავისი წვლილი შეეტანათ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა თანმიმდევრობით ახორციელებდა და ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის თაობაზე, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან დადგენილებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის თუ კულტურული ცხოვრების აღორძინებისა და განვითარებისათვის; ხელშეწყობის სხვა არაგების წარმომადგენლებთან ერთად ჩვენმა მხატვრებმა შექმნეს ღირსეული ნაწარმოებები და ამით პირდაპირ თუ არაპირდაპირ უშუალო მონაწილეობა მიიღეს მომხდარი სასიკეთო გარდაქმნებში, იმ ცვლილებებში, რომელმაც მშრომელ კაცს ისტორიულად მისთვის დამახასიათებელი ზნეობრივი და მორალური, ფსიქოლოგიური თუ ეთიკური ნორმები დაუბრუნა.

მნიშვნელოვან ნაწარმოებებთან მიზეზთა მიზეზი, რომლითაც დღეს ჩვენი რესპუბლიკა თავს იწონებს, იმ დიდი ნდობისა და თანადგომის შედეგია, რასაც ზემდგომი ორგანოები შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ იჩენენ.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. საუკუნეებმა ვერ შესცვალა მისი თვითმყოფადი ბუნება. მისი ისტორია დაუღალავი შემოქმედებითი შრომის, თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაა და მისი სულიერი და მატერიალური ცხოვრება, ლიტერატურა და ხელოვნება, უძველესი ციხე-ტაძრები, ფრესკები, ოქრომჭედლობა ის ფასდაუდებელი საგანძურია, რომელიც მის შთამომავლობას წინააღრთა სულიერ ძალას უნახავს და გზას უსწინს ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუმჯდავებულ შემოქმედებითი ბუნებისაკენ.

გზა ქართული ხელოვნების ისტორიული განვითარებისა აროდეს ყოფილა გზა ზედაპირული, გარეგნული ძიებებისა. ერის შინაგანი, თვითმყოფადი ბუნება, მისი არსი საქმარისად მყარი და შეუვალი აღმოჩნდა და ამიტომაც ვერ შესცვალა იგი ვერც ათასი ჯურის მომხდურმა მტერმა და ვერც მძაფრმა ისტორიულმა ქარტახილებმა. იცვლებოდა პოლიტიკური და სოციალური ფორმაციები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ქართველი კაცის დამოკიდებულება მშვენიერებისა და სილამაზისადმი.

ჯერ კიდევ უსოვარ დროში, ჩვენი წელთაღრიცხვამდე, ფარნავაზის მეფობის დროს, რომელმაც ააგო არმაზი და განავრცო ენა ქართული, საფუძველი ჩაუყარა მნივნილობას, ქალაქებს — უფლისციხესა და მცხეთას, როგორც მებატიანე გამომგვეცმე, მთავარი ხუროთმოძღვარი და მხატვარიც კი აჟოლია. ჩვენი ერის უძველესი სულიერი კულტურის დასტურია ოთხი ათასეული წლის წინათ მცხეთაში ნაპოვნი პატარა მწყემსის სამარხი თან

ჩატანებული უფრო სალამურით. ეს ფაქტობრივად ზუსტად სიმბოლოდ შეიძლება გამოდგეს ერის შემოქმედებითი გენიის დახასიათებისთვის. მიუხედავად ზემოთქმულისა, ისტორიულად ბედუკუდმართი გზა საქართველოს კულტურის, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების განვითარებისა წვეტილი იყო, და გაუთავებელი ბრძოლებით დაქანცულს, ცხოვრების მკვდარი და უსახო ისტორიული მონაკვეთიც სდევდა თან. არ ვიცი, როგორ წარმართებოდა ბედი საქართველოს, შორსმჭვრეტელ სახელმწიფო მოღვაწეთა ნებით დიდი რუსეთის მფარველობა რომ არ მიეღო. ამით მან, უპირველეს ყოვლისა, შეინარჩუნა რწმენა, საკუთარი ბუნებისა და ხასიათის ფსიქოლოგიური სიმართლე და გადარჩინა ნათელი მომავლის თავისი ესთეტიკური იდეალი.

მაღე მთელი საქართველო აღნიშნავს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ამ თარიღთან დაკავშირებით ერთ-ერთი ღონისძიება ძეგლებს საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ იქნება დადგმა, რომლებიც უკედავყოფენ რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას.

ასევე ფართოდ აღნიშნება უცხოელთა პატრონობისაგან თბილისის განთავისუფლების თარიღი, დაკავშირებული დიდგორის ბრძოლასთან. დღეს საქართველოს აქვს შემოქმედებითი ძალა, რომელიც პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერით, სინამდვილედ აქცევს ხალხის ნება-სურვილს და შეუქს მოუფენს დიდი ილიას ოცნებას — დაეფგება ძეგლი იმ ადამიანებს, რომელთა არდაფასება „მომავკდინებელ ცოდად შეიძლება ჩაეთვალოს ერს“.

საქართველოს მხატვართა X ყრილობა, აჯამებს რა ქართული შემოქმედთა მიერ ხუთი წლის მანძილზე განვილი გზას, ამავე დროს, აანალიზებს იმ ძირითად ტენდენციებსაც, რომლებმაც განსაზღვრეს ჩვენი რესპუბლიკის კულტურული და სამეურნეო ცხოვრების მიღწევები და სიწმილეები. ყველა ეპოქაში, ყველა საუკუნეში ჭეშმარიტი მხატვრის ამოცანა უცვლელია — ემსახუროს მშვენიერებას, სილამაზეს, ცხოვრების სინამდვილეს და ამით გაართლოს თავისი მისია ხელოვნების, საზოგადოების, მომავლის წინაშე. ასე იყო ცივილიზაციის გარეგნაზე, როცა პირველყოფილი ადამიანი თავის სამყოფელს — გამოქვაბულს ლამაზი ნახატებით კანარავდა, და ასეა დღესაც, როცა იგი ცათამბრჯენებს აგებს და მას ფერადი ვიტრაჟებით აჟობს. არ იქნება ორიგინალური აზრი, თუ ვიტყვი, რომ მშვენიერებისკენ, სილამაზისკენ, სიკეთისკენ, მეგობრობისკენ სწრაფვა ქართველი კაცის თანდაყოლილი თვისება გახლავთ, არა ერთხელ და ორჯერ შემოწმებული და დადასტურებული ისტორიულად მისი საქმიანობით: ლექსით, ნახატით, სიმღერით, მოქმედებით. ყველაფერი, რაც კი შეუქმნია ჩვენი ერს ღირსეული და მნიშვნელოვანი — მხოლოდ ამ ნიშნითაა აღბეჭდილი. „ეფეხისტყაოსანი“ არა მარტო სიბრძნის ნივთია, ის მეგობრობის შეუცვლელი მიმინცია.

დღეს ქართული საბჭოთა ხელოვნება აღმავლობას განიცდის. მისი მიღწევების რეზონანსი კარგა ხანია



გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს და ღირსეული წვლილი შეაქვს მრავალეროვან საბჭოთა ხალხის ხელოვნების განვითარებაში.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წმინდისთვის საიუბილეოდღეს ჩვენი რესპუბლიკის პირველმა სტუმარმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა: „საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, თეატრში, კინოში, არქიტექტურაში არის შესანიშნავი ქმნილებები, რომლებმაც გაამდიდრა მრავალეროვნული საბჭოთა კულტურა, მხატვრული შემოქმედების საგრძნობი აღმავრნით აღინიშნა უკანასკნელი წლები... ეს მიღწევები შედგა იმ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და მისი მეთაური ამხ. შვეარდნაძე, რომლის ენერჯია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და პრინციპულობა ყველამ კარგად ვიცით და ვაფასებთ“.

ასეთ შეფასებას ჭეშმარიტად იმსახურებს დღეს საქართველოში არსებული შემოქმედებითი ძალების ინტენსიურობა და უკვე მატერიალიზირებული ენერჯია. მიღწეული ნარმატივები უნამძღვრად შეიმძღვება ჩავთვალთ მომავალი, უფრო დიდი გამარჯვებებისა. ამის გარანტიაა უფროსი თაობის შრომითი მიღწევები, მათ ტრადიციებზე აღზრდილი ახალი თაობა, ნიჭიერი და განათლებული თაობა, რომელიც მოდის თვითდამკვიდრების და თვითგამოხატვის მძაფრი სურვილით. ჩვენი ამოცანაა ყოველნაირად დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ მათ როგორც მატერიალურად, ასევე მორალურად, რათა მათი ენერჯია ამთავითვე სწორი მიმართულებით წარიმართოს.

ქართველ მხატვართა უკანასკნელი პერიოდის ნარმატივებზე ბევრი რამ თქმულა და დანერგა; ყველაფერი ეს ფართო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი. მართალია, მხოლოდ პრემიებით აღნიშნული ნაწარმოებები არ განსაზღვრავს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მიღწევებს, მაგრამ ეს ფაქტიც მრავლისმეტყველება.

უკანასკნელ ხანს ქართულ ხელოვნებას რამდენიმე მნიშვნელოვანი ქმნილება შეემატა. ბევრმა ნაწარმოებმა — ფერწერულმა ტილომ, ქანდაკებამ, როგორც აღვნიშნეთ, საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ბევრმა უკვე გაიარა „განსანმედელი“ და დამიკვიდრა სრულყოფილიანი სიცოცხლე დროსა და სივრცეში. შეიქმნა საინტერესო მემორიალები დიდ სამამულო ომში დაღუპულთა სსოვნის უკვდავსაყოფად, აიგო სიმბოლური, ალგორითული ხასიათის საინტერესო მონუმენტები, გამოჩინდა პიროვნებათა, საზოგადო მოღვაწეთა ძეგლები და სხვა. ცხადია, ყველა ნაწარმოები არ არის თანაბარი მხატვრული ღირებულებისა და ეს ბუნებრივია; მაგრამ სამწუხაროა ის, რომ, ხშირ შემთხვევაში, არასასურველი შედეგი, ძეგლის დაბალმხატვრული დონე, თემისადმი აუტორის უპასუხისმგებლო, მერ-

კანტილური დამოკიდებულების შედეგი უფროა, ვიდრე მისი პროფესიული შესაძლებლებზე უფლებების სამინისტროს ძეგლებისა და მხატვრული ნარმატივების რესპუბლიკურ საბჭოს, ალბათ, ნომინალური დასჭირება უკომპრომიტო, უფრო ანალიტიკური მიდგომა განსახილველად წარმოდგენილი პროექტების ავტორებისადმი, მათი შემოქმედებითი ამბულუსი, რეალურ შესაძლებლობათა გასათვალისწინებლად, რათა თავიდან ავიცილოთ მოულოდნელი შემოქმედებითი მარცხი.

ცნობილია, რომ ხელოვნებაში შემთხვევით არაფერი იქმნება. სურვილი სიმღერისა საქმარისი არაა სიმღერისათვის. იცოდე, რა იგი, ალბათ, ნიჭთა შორის უდიდესი ნიჭია. იქნებ სამხატვრო საბჭოებმა ავტორებს ზოგჯერ ეს ჭეშმარიტებაც შევახსენოთ. რატომღაც ამ ბოლო დროს ხშირად ვიმეორებთ ხელოვნებასთან დაკავშირებულ მოდურ აზრს: ჭეშმარიტ ნიჭიერებას მომავალი განსაზღვრავს და რომ მხოლოდ დროის ფენომენი, მომავალი გამოვლენს ნაწარმოების ობიექტურ ღირებულებას. დიას, ეს ცხადია, ეს ანუა, მაგრამ როცა ადამიანი ღელვებზე ვერ გადამხტარა და მდინარეხაყენ იწვევს, არ უნდა იყოს ძნელი შედეგის წინასწარ განსაზღვრა ანმყოფივე ყოველგვარი უსამოვნება, შემოქმედებითი მარცხი, თუ სხვა მსგავსი მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, ხელოვანის შესაძლებლობის, მისი ამბულუსი უგულვებელყოფიდან იწყება. ტიტანური ინფორმაციის საუკუნეში, როგორც არასდროს, ისეა საჭირო ცოდნის შესაძლებლობათა დიფერენცირება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალაა დილენტიანტიზმი, ზედაპირულობა, პროფესიულ თვისებათა დევალაცია. იქნებ დადგა დრო, ყველამ ის აკეთოს, რასაც კარგად აკეთებს, თორემ რაოდენობას შეეწირება ხარისხი, ურომლისოდაც პროგრესისა და განვითარების ცნება მძრალ აბსტრაქციად დარჩება.

ბევრი რამ გაკეთდა ქართველ მხატვართა ავტორიტეტის ამაღლებისათვის. რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში გაიხსნა საგამოფენო დარბაზები, მივიღეთ მშენიერი სახლი, დაიდგა მრავალი მნიშვნელოვანი მონუმენტი, მოეწყო საინტერესო გამოფენები, ნარმატივები ჩატარდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეები საქართველოში, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა ჩვენი ხელოვნება, თანდათან გაფართოვდა ცნება სოციალისტური რეალიზმისა — ხელოვნებაში. წლობით დამკვიდრებული ესთეტიკური მოდელის სტერეოტიპი მხატვართა თავისუფალმა შემოქმედებებმა აზროვნებამ შეცვალა. შეიძლება ითქვას, დღეს ჩვენთან აღარ არსებობს ნიჭიერების ტერა-ინკონიტა. მზადა ვართ, გამოფენები განყვებულ თემებსაც კი დაეთმოს, თუ ისინი ჭეშმარიტი ნიჭიერებითაა აღბეჭდილი. ჩვენ დიდი ხანია ვირწმუნეთ, რომ ატომის საუკუნეში უფრო სამშობი უნიჭობა და ინდფერენტობია, ვიდრე პომპუსიკა, უპირატეო თუ კონტრასტული ფერწერა. გამოფენა „მოსკოვი-პარიზი“, რომელც

გასულ წელს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მოეწყო და ახალგაზრდობის გამოფენა ქალაქ მოსკოვში — ამის ნათელი დადასტურებაა. გამოფენამ „მოსკოვი-პარიზი“ რუსეთს დაუბრუნა ბევრი ნიჭიერი მხატვარი, რომელთა სახელებითაც დღეს საერთოლიანად ამყავს მთელი მსოფლიო. საბჭოთა სახვითი ხელოვნება არასოდეს ყოფილა ერთნიშნა, და მიუხედავად ერთხანს ვინროდ, ცალმხრივად გაგებული სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებით მეთოდისა, შესაძლოა წინააღმდეგობის გადალახვით, მაგრამ მაინც იქმნებოდა პლასტიკისა და დეკორაციის, კორინთისა და ნესტროვის, მუხინასა და მატვეევის, კაკაბაძისა და გუდიაშვილის, კანდელაკისა და ფაფოვის ხელოვნება, იქმნებოდა ფასდაუდებელი კულტურული მემკვიდრეობა პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩისა, თეატრალური სახე ახმეტელისა და მიეერპოლდისა. შორს წაგვიყვანს სახელების ჩამოთვლა ხელოვნების სხვა დარგებში მოღვაწე იმ ადამიანებისა, რომელთაც წარუშლელი კვალი დაამჩნიეს საბჭოთა ხელოვნების განვითარებას.

ჩვენი რეალიზმის ცნება ყოველთვის განუყოფელი იყო და განუყოფელი დარჩება ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებისაგან. თუ ხელოვნება ამკვიდრებს მაღალადამიანურ გრძობებს, სილამაზეს, კაცობიერებას, სიყვარულსა და სიკეთეს, სად, რომელ სოციალურ და პოლიტიკურ ფორმაციის დროსაც არ უნდა აღმოცენდეს იგი, ყველასათვის ახლოდელი და მისაღებია. ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს, გულგრილს სტოვებს მას, ადუნებს მასში მოძრაობის, მოქმედების იმპულსს — ასეთი ნაწარმოები ანტიხელოვნების ნაწარმოებია და ვერავითარი ზედაპირული „რეალისტური“ იზმის სამოსელი მას ვერ იხსნის ანაყოფიერ კვდომისაგან.

პარტიის 26-ე ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყურადღება გაამახვილა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურ მიმართულებაზე, ნაწარმოების მხატვრულ მნიშვნელობაზე: „პარტია არც ყოფილა და ვერც იქნება გულგრილი ჩვენი ხალხების იდეური მიმართულებისადმი... უდიდესი მნიშვნელობა აქვს მივალნით იმას, რომ შემოქმედნი თვის აქტუალობით არ ამართლებდნენ მხატვრულ უღიმღამობას და უსუსურობას“. ეს სიტყვები მშვენიერი შეგონება იმათთვის, ვინც ქმნის და ვინც აღიქვამს ნაწარმოებს. მხოლოდ მაღალმხატვრული ფორმა, მაღალპროფესიული გამომსახველობითი საშუალებები

ამართლებს თანამედროვეობის და აქტუალობის
ცნებას ხელოვნებაში.

სწორედ მხატვრული ფორმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ გაიყვანა საბჭოთა საქართველოს ხელოვნება — თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა, მწერლობა მსოფლიო ორბიტაზე. თავისუფალმა მხატვრულმა აზროვნებამ, რეალიზმის პრინციპების ფართო და ღრმა შემოქმედებითმა ათვისებამ ხელი

შეუწყო იმ დიდი პოტენციის წარმოჩენას, რომელიც რეალიზაციის, რომელიც ადრე ვერ ვხეივდით, ვინაიდან გაგებული რეალიზმის სტერეოტიპული ელოდა თავისი ნიჭის კიდევ უფრო განვითარებას. მას აროდეს დასდგომია ნიჭიერების კრიზისი. ყველა საუკუნეში, ყველა ეპოქაში ჰყავდა ადამიანები, რომელთა მოღვაწეობა ააშკარავებდა ერის შემოქმედებით უნარს და ზრდიდა რწმენას საკუთარი ღირსებისადმი. მართალია, ადრე ბევრი ნიჭიერი ხელოვანი იმსხვერპლა უმტკივნეულო ცხოვრების ცდუნებამ, მაგრამ მას ისეთი ადამიანებიც ჰყავდა, რომლებიც უბოლოეს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაშიც ხელოვნების უშუალოდ სამსახურის მშვენიერ, შეუცვლელ მაგალითებს აძლევდნენ მომავალ თაობებს. მოვიდა ახალგაზრდობა, თუ შეიძლება ითქვას, რევოლუციური პათოსით აღსავსე ახალგაზრდობა, რომელმაც ხმა აღიმართა ყოველგვარი დრომოჭმულის წინააღმდეგ და ალბათი აზროვნებით, მხატვრული ხედვით უმაღლესად აღიზნდა ერის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ინტერესების არეში. ეს ეხება რესპუბლიკის კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სფეროს.

დღეს საქართველოს სახელს, ავტორიტეტს ის ადამიანები ქმნიან, რომლებიც დაულაღვი შრომით, საქმისადმი სიყვარულით და ერთგულებით იღვნიან სამშობლოს კეთილდღეობისათვის, არა მკერდზე მჯილის ცემით, არამედ ოფლით და შრომით; მარტინის ლუმელთან, დაზგასთან, მოლბერტთან, თუ სანერ მაგიდასთან. აქ კიდევ ერთხელ უნდა გაიხსენოთ ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის მიერ თქმული შესანიშნავი სიტყვები: „სამშობლო, სამშობლოსადმი სიყვარული ფასდაუდებელი განძია, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით რომ გადაეცემა... განძი იგი უმშვენიერესია და უღამაზესი. იგი შეიძლება ხატო, შეამკო, უსასრულოდ უმღერო, მაგრამ ეს საკარისი როდია. სამშობლოს სიყვარულის განძიც ყველაზე დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ამ ბედნიერებას რომ ეზიარო, ტვირთი უნდა ზიდო, მსხვერპლიც უნდა გაიღო, ამ ტვირთს მოვალეობა ჰქვია... სამშობლოსადმი ნამდვილ თავდადებას და სიყვარულს არაფერი აქვს საერთო ქვეყნისათვის „თავშენირულთა“ თამაშთან“. და მართლაც, არც თუ ისე იშვიათად, ჩვენს გვერდით უფრო ხმამაღლა საუბრობს,

რობს, იბრძვის, ითხოვს და მტოთავს ხელმოცარული
ადამიანი, ვიდრე თავის ნიჭს სმენამინდობილი შემოქმედი, რომელიც ყოველდღიურად უპრეტენზიოდ იღვწის და შრომობს, ჩვენი ვალაია, პირველ რიგში, სწორედ ასეთებისადმი ყურადღება და პატივისცემა. არ არის აუცილებელი ყოველთვის დროს მივანდოთ იმის ახსნა, რაც ბევრისთვის ანაყოფიერ ნათელია.

უკანასკნელი ათეული წელი სამართლიანად ითვლება ქართული ხელოვნების რენესანსად და ეს აზრი ზერელედ გამოხატული დიდიწამბი არ არის. მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა კომუნისტური პარტიის მხარდაჭერით, შემოქმედებითი ინტელიგენციისა და მხარდაცემ ახ. მ. ელვაძის შეკარდნაძის შემოქმედებითი დამოკიდებულების წყალობით აღმავლობას განიცდის და განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ეს აღმავლობა საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბითაც შეინიშნება. სწორედ ამის შედეგია საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის მიღწევების მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით აღნიშვნა. ლენინური და სახელმწიფო პრემიები მწერლობაში, მუსიკაში, მხატვრობაში — ხელოვნების თითქმის ყველა დარგში, ბევრის მთქმელია. ამ ჯილდოების დიდი ნაწილი ქართველმა მხატვრებმა და მწიგნობრებმა. ლენინური პრემიით აღინიშნა საბჭოთა თეატრალური ხელოვნება გამომჩინებელი მოლდავის სოლიკო ვირსალაძის, მხატვარ-მონუმენტალისტის ზურაბ ნერეთლის შემოქმედება. სახელმწიფო პრემიებით აღინიშნა მერაბ ბერძენიშვილისა და ირაკლი ოჩიაურის, ნიკოლოზ იგნატოვის, გოგი ალექსი-მისხიშვილის, კახი ხუციშვილის, ქრისტესია ლეზაიძის შემოქმედება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული სახვითი ხელოვნების წარმატება მხოლოდ პრემიებით აღიზნული ნაწარმოებებით არ განისაზღვრება. მაგრამ თვით ფაქტი, რომ ჯილდო, პრემია ზრდის შემოქმედებითი გამარჯვების რეზონანსს, მატებს ეროვნულ კულტურას სახელსა და ღირებებს, თავისთავად ბევრს ნაშაავს. ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ იმ მხატვართა დამსახურებაც, რომელთაც რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო ჯილდოები მოიპოვეს. შარშან ბიჭვინთის ლიტერატორთა სახელში შესრულებული მონუმენტური ფერწერული კომპოზიციისათვის — „ჩემი საქართველო“ უმაღლესი ეროვნული ჯილდო, რუსთაველის სახელობის პრემია მხატვარ გივი თოიძეს მიენიჭა. იგივე პრემია დაიმსახურა ნიჭიერმა მხატვარ-დეკორატორმა მ. შველიძემ „რიჩარდ III“ გაფორმებისათვის.

სხვადასხვა დროს ამ პრემიით აღინიშნა გამოჩენილი ქართველი მხატვრების — ლადო გუდიაშვილის, სერგო ქობულაძის, ელენე ახლედიაშვილის, კორნელი სანაძის, მერაბ ბერძენიშვილის, ლადო გრიგოლიას შემოქმედება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს პრემია მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა და იგი უმაღლესი ეროვნული დიპლომის, აღიარების გამომხატველია, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რაოდენ საპასუხისმგებლოა მისი მინიჭება პრემიების კომიტეტისათვის და მისივე სატარებელი, მაგრამ საპატიო ამ პრემიის მფლობელისათვის.

დიდი ხანი არ არის, რაც თანამედროვე თემანზე შესრულებული საუკეთესო ნამუშევრებისათვის დაწესდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლიების მატანე“. დაარსების პირველსავე წელს ეს პრემია მიიღეს ქართველმა მხატვრებმა რადიმ თორდიაშვილმა, იდენ ტაბიძემ და აპოლონ ხარეზაძემ — მტეროს სადგურ „კომკავშირელის“ მხატვრული გაფორმებისათვის, ახალგაზრდა ოსმა მხატ-

ვარმა ალბორგმა ნაწარმოებისათვის „ჩემი ოსეთი“. მიმდინარე წელს ამ პრემიით აღინიშნა ახალგაზრდა ნიჭიერი გრაფიკოსის გოგი ნურმუხამბა-ნახატების სერია „ცისარტყელა“. ბოლო წლებში ქვემოთხსენებულ გრაფიკოსთა მიღწევები თვალსაჩინოა და ამიტომ სრულად ლოკალიზაცია მათი სექციის ერთი აქტიური წევრისა და საუკეთესო წარმომადგენლის შემოქმედების ესოდენ მაღალი შეფასება. უფროსი და საშუალო თაობის შესანიშნავ მხატვართა გვერდით დღეს იღვწის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც, შეიძლება ითქვას, გუშინ მოვიდა ქართულ ხელოვნებაში და უკვე საერთაშორისო აღიარებაც კი მოიპოვა.

არ შეიძლება ყოველივე ეს არ ახარებდეს დაემაინს, რომელსაც უყვარს ხელოვნება, უყვარს თავისი ერი და მისი კულტურა, სჯერა მისი უკეთესი ზეგლინდელი დღისა.

პერსონალური გამოყენება მხატვრის სულის სარკეა, და არა მგონია საინტერესო იყოს საზოგადოებისათვის, თუ თვით მხატვარი არ არის დარწმუნებული საკუთარ სულიერ წესრიგში. ამიტომ ჩვენ ზოგჯერ გვიკვირს ასეთი ინერტია, ლტოლვა პერსონალური გამოყენებისაკენ. რა არის ეს? სპორტული ვინი, რომელიც უცნოა ხელოვნებისათვის, თუ საქართველო თვითდამკვიდრების სურვილი?

ასეა თუ ისე, გამოყენები ეწყობა, და ალბათ, საჭიროა ზოგიერთ მხატვარ-ინტელისტს, რომელიც საკუთარი პერსონალური გამოყენით უტყუეს საგამოყენო დარბაზებს, შეეახსენოთ, რომ პერსონალური გამოყენება, მხატვრის ნიჭთან ერთად, ზოგჯერ მის ქვენა ზრახვებს, სიცრუეს, „სიყრუეს“ და „სიმშრეს“ ამჟღავნებს.

უკანასკნელ პერიოდში ბევრი გამოყენა მოეწყო ჩვენიან, ბევრი ვერსისავე ქართული ფერწერის, მხატვრობის ქეშმარიტ დღესასწაულად იქცა. კვლავ იხილა დიდი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის შემოქმედება თბილისის და მოსკოვის საზოგადოებაში, კიდევ ერთხელ შევხვდით შესანიშნავი ოსტატის სერგო ქობულაძის დიდი მხატვრულ მეტყვიდროებას, ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენს წარმოდგენაში, გურამ ქუთათელაძის ნამუშევრების გამოყენება, რომელიც თავისი მრულოდნელობით ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მხატვრული მოღვაწეა გახლდათ ჩვენი დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის, ქეშმარიტი პროფესიონალიზმის გამოხატველი მავალით იყო მხატვარ ზურაბ ნიგარაძის ნამუშევრთა გამოყენება. ეს იყო ფერწერის ქეშმარიტი დღესასწაული, რომელიც არა ნაკლები წარმატებით გაგრძელდა მოსკოვში და, ასევე არანაკლები წარმატებით მოგზაურობს დღეს ვერსის ქალაქების საგამოყენო დარბაზებში: ჩვენ ერთხელ კიდევ ვინილეთ შესანიშნავი ფერმწერის ვლენტიან შერაძელის ნამუშევრები, მისი ფერწერა და ერთხელ კიდევ ვიგრძენით, თუ რაოდენ დიდია მისი როლი, დამსახურება ქართული ფერწერის განვითარებაში. სევდანარევი ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭა პერსონალურმა გამოყენებამ მხატვარ ლეონიდა დაძაძისა, რომელიც სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა.

დიდი წარმატებით ჩაიარა რუსთაველის სახ. თე-



ატრის მთავარი მხატვრის, ნიჭიერი სცენოგრაფის გოგი მესხიშვილის ვერნისაჲმა, საყოველთაო აღიარება მოუტანა მხატვრებს გვიკან დაბრუნდეს და აღდე კაკაბაძეს მათმა პერსონალურმა გამოფენებმა თბილისის და მოსკოვში; საზოგადოების ფართო ინტერესი გამოიწვია მხატვრების შამია მალაზონისა და თამაზ ხუციშვილის შინაარსიანმა და მრავალფეროვანმა გამოფენებმა, საქართველოს სახალხო მხატვრის რუსუდან ჯავრიშვილის, ოთარ ჩხარტიშვილის, ვახტანგ გაბუნისა, გოგი ხუციშვილის, ვახტანგ ადვაძის და სხვათა პერსონალურმა გამოფენებმა. ძნელია ყველა გამოფენის დასახელება. რომლებიც ბოლო წლებში მოეწყო. მაგრამ არის ისეთიც, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, ვინაიდან ამ გამოფენებით განისაზღვრება მუშაობის დონე და მიმართულება საქართველოს მხატვართა თეატრის შემოქმედებით ორგანიზაციისა, როგორც თბილისში, აგრეთვე სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და ცხინვალში. საინტერესო იყო თბილისის საზოგადოებისათვის ბათუმელი მხატვრების — შოთა ხოლციშვილის და შოთა ზამთარაძის, ქუთაისელი მხატვრის ჯავა ჭყიშვილის, ოსი მხატვრების — ბორის სანაკოევის და ხსარ გასიევის შემოქმედების გაცნობა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ მხატვრობაში ბოლო პერიოდში ბევრი კარგი ნაწარმოები შეიქმნა, აიგო საინტერესო ძეგლები, მემორიალები, მხატვრობას შეემატა მრავალი ფერწერული ტილო, ქანდაკება, კედლის ფერწერა, კერამიკული თუ გრაფიკული ნამუშევარი. თანდათან დიდი მასშტაბით იმკვიდრებს ადგილს პოლიქრონია და დიზაინი. ერთი სიტყვით, ბევრი რამ, რაც გუშინ თითო-ორთა მხატვარს ხელუწინებდა, დღეს გამრავლდა და ხშირ შემთხვევაში, სასამართლო შედეგით. შარშან ქალაქ ქუთაისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ცნობილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილისა და არქიტექტორ ოთარ კალანდარიშვილის მიერ შექმნილი „დიდების მემორიალი“. ეს ძეგლი თავისი მასშტაბით, მხატვრული მნიშვნელობით ეროვნული მონუმენტური ხელოვნების დიდი გამარჯვებაა. აი, რა სიტყვა ძეგლის გახსნაზე ამხ. ე. შევარდნაძემ: „შეყურებთ გმირთა დიდების ამ დიდებულ მემორიალს და ჩვენ თვალწინ ცოცხლობს ისტორია, ჩვენი სახელოვანი რევოლუციური და საბრძოლო წარსული. ახლა, ამ ნუთში დიდ სამამულლო ომის გმირებთან ერთ მსკრივიმ დგანან რევოლუციის ბარიკადების გმირები, ყველა დროის გმირი, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად ებრძოდა უსამართლობას, ებრძოდა დამპყრობლებს, გმირები, რომლებსთვისაც სხვა უმაღლესი არ არსებობდა რა, გარდა ცნებისა: „სამშობლო, მამული, ხალხი“. ჭეშმარიტად აღძრავს ამ გრძობებს ეს მშენიერი ნაწარმოები“.

მოქანდაკე გიორგი ოჩიაურს კარგად იცნობს ფართო საზოგადოება როგორც ნიჭიერ მხატვარს, რომელიც თანაბარი ძალით მუშაობს როგორც დაზღურ, ისე მონუმენტურ ჟანრში. შარშან საბჭოთა საქართველოს მე-6 წლისთავის საზეიმო დღეებში თბილისში, ვაკის გამარჯვების პარკში სადღესასწაულო ვითარებაში გაიხსნა გიორგი ოჩიაურის მიერ

შესრულებული მონუმენტი „მაღლიერი დედა“. ეს ქანდაკება ანსამბლის ნამყენი იდეურ-ეტიკური, და ეფექტობა, მისი მთელი მხატვრული მნიშვნელობა ზემოქმედების ძალა მემორიალის დასრულების შემდეგ წარმოჩინდება. მასზე ავტორი რამოდენიმე წელია მუშაობს.

ერეკლია დიაპაზონი მხატვარ-მონუმენტალისტ ზურაბ ნურეთლისა. ამის დასტურია მის მიერ მსოფლიოს მრავალ ქალაქში შექმნილი მოზაიკური პანოები, ვიტრაჟები, თუ მონუმენტური სკულპტურული ნაწარმოებები.

მოქანდაკე ჯუანშერ მიქაძაძის მიერ შესრულებულმა გალაკტიონ ტაბიძის ძეგლმა ჩვენი დედაქალაქის ფართო საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რაც პოეტის სახის ასეთი თანამი ინტერპრეტაციისათვის სრულიად გასაგებ რეაქციად მიგვაჩნია.

ნ. ბარათაშვილის პოეტური სახე შექმნა მოქანდაკე ბორის ციხაძემ. ეს ქანდაკება ორგანულად ჩაენერა ძველი თბილისის ერთ-ერთ უღამაზეს, კოლორიტულ უბანში.

ძნელია ჩამოთვლა ყველა ნაწარმოებისა, რომლებიც უკანასკნელი პერიოდის ქართული სახვითი ხელოვნების წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს: მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილის „გალაკტიონის“ ძეგლი ბათუმში, ვფირთში, ავტორის უფარო გამარჯვებაა; გურამ ქაჯაიას „ალიოშა ჯავახიძის ქანდაკება“ თბილისში, გოგი შხვაციბაძის „მირზა გელოვანი“ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელადემი კონკრეტულ პიროვნებათა სახის საინტერესო ინტერპრეტაციის მაგალითებია. მოქანდაკე გოგი შხვაციბაძიამ შექმნა აგრეთვე გმირ კომკავშირელთა მემორიალი ქალაქ ბორის ძნელადემი და კომუნარების ძეგლი თბილისში.

მართალია, ჯერ კიდევ დამთავრების პროცესშია მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილის მიერ შექმნილი „შინმოუსვლელთა ტაძარი“ ქალაქ ცხაკაიაში, მაგრამ ის, რაც უკვე გაკეთებულია, წინასწარ შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტი შემოქმედებით გამარჯვების მაუნჯებელია. ეს მონუმენტი ფაშოზის არის გამომხატველი სიმბოლური ძეგლია.

შინმოუსვლელთა საინტერესო ნაწარმოები შექმნეს სოფელ მუხრანში არქიტექტორებმა ვახტანგ დავითაიამ და შოთა ზოსტანაშვილმა, მხატვარ ემირ ბურჯანაძის მონაწილეობით. ამავე ავტორებს ეკუთვნით ქალაქ ქუთაისში „შრომის დიდების მონუმენტი“.

სასიხარულოა, რომ ბევრი ახალგაზრდა მხატვრის დებიუტი როგორც დაზღურ ისე მონუმენტურ ხელოვნებაში წარმატებით შედგა და ჩვენ მოწინეი ვახვით მათი შემოქმედებითი ზეიმისა. ახალგაზრდობის გამოფენაზე, რომელიც საქართველოს კომკავშირის 32-ე ყროლობის მიუძღვნა, გამოფენილი იყო მოქანდაკე ზაქარაიას ნამუშევარი „ქალის ტორსი“. ეს ნაწარმოები ქართული დაზღური ქანდაკების უფუო გამარჯვებაა, და იმის მარჯვენებელია, თუ რაოდენ მყარი და საფუძვლიანია ქართული დაზღური სექანდაკო ხელოვნების სკოლა. ეს ნაწარმოები ავტორის მომავალ მნიშვნელოვან წარმატებათა სანინდარია. ნუ შეგვემინდება ამ სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმისა. ახალგაზრდა მხატვარს

სიმაართლე შემოქმედების გზის დასაწყისშივე უნდა ვუთხრაო, რათა არ აპყვეს იგი ათას ცდუნებას, რომელიც მას შემოქმედების გზაზე შეხვდება.

ასევე მინდა მივულოცო შემოქმედებითი გამარჯვება ახალგაზრდა მოქანდაკე აეთანადლე მონასელიძეს, რომლის კომპოზიცია „ბერადილები“ ძველი თბილისის განახლებული რაიონის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობად იქცა. საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს ახალგაზრდა მოქანდაკეებმა გია ჯაფარიძემ, ჯემალ შანშიაშვილმა, ნეველი ჯეციამ, ნუგზარ კვიციანიმ და სხვებმა.

როგორც აღვნიშნე, ბევრი მოქანდაკე და მხატვარი არქიტექტორებთან ერთად მუშაობს საქართველოს სამხედრო გზაზე დასაადგმელ ნაწარმოებებზე. მოქანდაკეები გურამ ქაჯაია, გივი გიგაური, კიმი ტაბატაძე, ჯემალ ჯაფარიძე, რევაზ ხასია, ალექო შალუტაშვილი, ჯემალ თუშურაშვილი და სხვები ჩამბულნი არიან ამ სამუშაოებში.

წარმატებით მონაწილეობენ აფხაზი მხატვრები რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. აფხაზეთის და ქუთაისის კულტურის დღეებთან დაკავშირებით ქ. სოსუნსა და ქ. ქუთაისში მოეწყო საინტერესო გამოფენები.

მოსკოვში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის საგამოფენო დარბაზში მონყობილმა აფხაზ და აჭარელ მხატვართა გამოფენამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა მათი მაღალი შემოქმედებითი შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში სახვითი ხელოვნების ყველა დარგში ბევრი საყურადღებო ნაწარმოები შეიქმნა და სწორედ ამან განაპირობა ქართველ მხატვართა საერთო წარმატება. სამწუხაროდ, კარგი ნაშრომების გვერდით, გამოფენებზე ჯერ კიდევ შეხვდებით უსახო, მაგრამ თანამედროვე ხედვის პრეტენზიით შექმნილ არაემოციურ, არაროფესიულ ნაწარმოებებსაც. ალბათ, საჭიროა კიდევ ერთხელ ითქვას ხმა მაღლა, რომ თანამედროვე ხელოვნება უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი აზროვნების თანამედროვე ტონალობას გულისხმობს, და რომ ეს ტონალობა შესატყვისი უნდა იყოს არსებული საზოგადოების ფსიქოლოგიური და სულიერი წყობისა. მართალია, ჭეშმარიტ ტალანტი ზოგჯერ ახალ, უცნობ ფორმას, ფერსა და ხაზს სთავაზობს ადამიანებს და ამის გამო იგი მაყურებელთან შეიძლება დროებით კონფლიქტშიც აღმოჩნდეს, მაგრამ თუ მისი ნაწარმოები ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია, მას ადამიანი იგრძნობს, აღიქვამს და მიიღებს, რამდენადაც ლტოლვა სიახლისაკენ ადამიანის თანდაყოლილი თვისება-მოთხოვნილება მხატვრიალურ ყოფაშიც და სულიერშიც. იყო თანამედროვე ხელოვნებაში, ნიშნავს გრძნობად დროის რიტმს, მის მხარსიცემას და ყოველდღიურ ესთეტიკურ წყურვილს, ამ რიტმს აყოლილი შრომით, მოძრაობით უნდა იკლავდე. ეს ეხება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს წარმომადგენელს — მეცნიერს, მხატვარს, მწეწეველს, მეფოვეს. ამ მხრივ ჩვენს გამოფენებზე, მიუხედავად საგამოფენო კომიტეტების პრინციპულობისა, არც თუ ისე იშვიათად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შევხვდებით ნაწარმოებებს, რომლებიც არავითარ რიტმსა და ტონალობას არ ემორჩილებიან, და მხოლოდ უაზ-

რო, ვიზუალურ სიმაართლეს გეთავაზობენ. სიმაართლე ხელოვნებაში მხატვრული სიცრუით გამოიხატება, ანუ, როგორც იტყოდა დიდი საბჭოთა ხელოვნების სიბრძნეა სიმაართისა. არც თუ ხშირ შემთხვევაში, როცა მხატვარი ახალ საღებავებს, შესრულებას ახალ ტექნიკასაც კი იგონებს და ამით ცდილობს მოიპოვოს თანამედროვე მხატვრის სახელი. როგორი თანამედროვეც არ უნდა იყოს ტექნიკა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს თანამედროვე აზროვნებას, თუ შინაგანი წყობა ხელოვნებას არქაულია და კონსერვატული.

რამდენიმე სიტყვა ნოვატორობისა და ტრადიციულობის შესახებ. ხელოვნების ყოველი ნოვატორული ნაწარმოები საფუძველში ტრადიციულია, რამდენადაც ტრადიცია მხატვრის სულში გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად დაღვიძლი კულტურული ინფორმაციაა, რომლითაც მისი სული წლების მანძილზე იკვებებოდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, შედგომას ზოგჯერ განყენებული მსჯელობა ამა თუ იმ მხატვრის შემოქმედებაში ნოვატორობისა და ტრადიციულობის არსზე. ნოვატორულია ლადო გუდიაშვილის შემოქმედება და იგი ეროვნული კედლის მხატვრების უძველეს ტრადიციებზეა აღმოცნებული. ასევე ორიგინალურია, მაგრამ ტრადიციული დავით კაკაბაძისა და სერგო ქობულაძის შემოქმედება. თუ პირველის სულ მსოფლიო ზოგადი კულტურული მემკვიდრეობა და მეოცე საუკუნის ევროპული ხელოვნება კვებავდა, სერგო ქობულაძის შემოქმედება ძველი საბერძნეთის, ანტიკისა და რენესანსული სულითაა ნასაზრდოები, გროუნული ტემპერამენტითა და რიტმით გაჯერებული. არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში შენათანდინებული მხატვრებისათვის ხელი არ შეუშლია დიდ ქართველ მხატვრებზე დარჩენილიყვენ, რამდენადაც შემოქმედებითი საწყისი, გენი მათი იყო ეროვნული და თვითყოფადი.

მართალია, მაღალ მხატვრულ შედეგს ხელოვნებაში ბუნებისმიერი ფენომენი — ნიჭი განაპირობებს, მაგრამ ტრადიციის გარეშე ნიჭი იმ ენას ჰგავს, ლამაზად რომ ჟღერს, მაგრამ არაფერს ამბობს. დარღვევა ტრადიციას სრულიად არ ნიშნავს მის უარყოფას. როდენის სკოლამ, მისმა ტრადიციამ შვა მაიოლიც და ბურდელიც და მისივე სკოლის ტრადიციების უარყოფამ აიყვანა ის მოქანდაკეები საკუთარ მწვერვალებზე. ჩვენი ხშირად ტრადიციების ფილოსოფიურ უარყოფას განვითარებას ვეძახით. მიქელანჯელოს, როდენის და ბურდელის ტრადიციებს განვითარება არ სჭირდება. ისინი თავის თავში დასრულებული და საკუთარი ტრადიციების სრულყოფილი მოდელეობა. ჭეშმარიტი ნოვატორობა ხელოვნებაში ტრადიციად იქცევა ანუ ტრამპლინად ახალი ნოვატორული აზროვნებისაკენ. ნიკოლოზ კანდელაკის პლასტიკური ხედვა, რომელიც მან მემკვიდრეობად მიიღო აღქვასდრე მატკევიკიანს, მის ტრადიციული მოდელი აღმოჩნდა, რამაც მისი დიდი თვითყოფადი ნიჭი წარმოაჩინა, ხოლო მისი მოწაფეები ახალ საკუთარ ორიბიტაზე გაიყვანა. ის დიდი რეზონანსი, ქართულმა ქანდაკებამ რომ მოიპოვა დღეს, სწორედ ამის შედეგია. ახალი ენა ერთ და ორ დღეში არ იქმნება. ენა ვითარდება და ამავად დაუმრეებით გამოვიგონოთ იგი. არსე-

ზობს ახალი აზრი, იდეა, თემა, დამოკიდებულება, განცდა, გამოსახვის ტექნიკური საშუალებები, სტილი. საუკუნის ისეთ ორიგინალურ, გამორჩენილ მოქანდაკეებში, როგორიც არიან ა. მატვეევი, პენრი მური და ბრანკუზი, მოუხდავად განსხვავებული მხატვრული ესთეტიკური აზროვნებისა, თვალში-საცემია მათი სიახლოვე პლასტიკური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებთან, ენის სემანტიკური თვისებებით — ფორმის სისასებით, სიმკერავით, სივრცობრიობით, სიღრმით. მივლავთ, თუ არ მივიღებთ მათ ფილოსოფიურ პრინციპს, ეს მათ ღრმა კავშირს ტრადიციებთან არ სცვლის.

დღეს ჩვენ ვეხებით ამ საკითხს იმიტომ, რომ მრავალფეროვნება, რომელსაც ვესაძლებით, ზედაპირული, მოჩვენებით არ იყოს, და მან არ უნდა გააბუნდოვნოს, უკან არ დასწიოს ყველა ეპოქისა და საუკუნის ხელოვნების უცვლელი დევიზი — განცდის სიმართლე და მაღალი პროფესიონალიზმი. ანტ თუ ისე იშვიათად გამოყენებულ შევხედებით მხატვრულ განზოგადებას მოკლებულ, ვინორ სუბიექტური ვნებებით შექმნილ ნაწარმოებს, შესაძლოა ნიჭიერებით აღბეჭდილს, მაგრამ დაბალი პროფესიონალიზმი ისტაბილურ შესრულებულ „თანამედროვე“ ნამუშევრებს. პროფესიონალიზმი სხვა არაფერია, თუ არა ნარსულის კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების ღრმა ანალიტიკური ათვისება და ფორმის, აზრის შექმნის და ვადმოცემისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებათა ცოდნა და ფლობა.

ციკენ, სიმპლიკსენ ლტოლვა ადამიანის თანდაყოლილი თვისება გახლავთ, მაგრამ რეალურად ეს ოცნება მან ტექნიკის სრულყოფით აღისრულა. ასეა ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. მხოლოდ ტიტანური შრომით, დაოსტაბილურ, პროფესიონალიზმით ბოლომდე ერთგულებით მიახლოვდნენ ადამიანი თავის სანუკარ მიზანს, იდეალს და იქიდან უგრძნებია მას განვლილი ცხოვრების სიღამაზე და წინ გადაშლილი მშვენიერების უსასრულობა.


არცერთ საუკუნეში, არცერთ ეპოქაში ხელოვნის პროფესია მატერიალური კეთილდღეობის ნიშნით არ აღიქმებოდა. ვინც ეს გააკეთა, საფუძველზე უღალატა მუხას, სული ეშმაკს მიჰყიდა. ბევრმა მხატვარმა არა ერთხელ და ორჯერ გვიჩვენა, რომ შემოქმედება მათი შინაგანი მოწოდებაა, სიცოცხლის მიზანია. მათი ცხოვრება მშვენიერი მავალითი უნდა იყოს ნიჭიერი ახალგაზრდობისთვის, რომელიც მოვიდა ქართული ხელოვნების სასიხარულოდ. დაე, მათაც არასოდეს ეღალატოთ ქვეშარები სიღამაზისთვის, საკუთარი შინაგანი სიმართლისთვის, ცხოვრებისეული სიმართლისთვის, დარჩენილიყვენ ერთგულნი საკუთარი მხატვრული მრწამსისა დიდი მატერიალური სიმწველების ფაშაზე კა.

ახალგაზრდა შემოქმედებათათვის საჭიროა იმის ცოდნა, რომ სამშობლო, ხალხი, პარტია ხელოვნისგან, უპირველეს ყოვლისა, მხატვრულ-იდეურ სიმართლეს ითხოვს, თანამედროვე ცხოვრების თუ ისტორიის, ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე მოვლენების, აწმყოსა და მომავლის გონიერულ გააზრებას ითხოვს. ახალგაზრდობამ თავისი წელიწადი უნდა შეიტანოს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში და ამით სა-

ხელი და დიდება შემატოს ჩვენს სამშობლო, სქართველოს. „სამშობლო ისეთი განძია, თუკა ამხ. ე. შევარდნაძემ ახალგაზრდობისა დიდი თავის საახალლო მილოცვაში — თუ მას ზრუნვა მოაკლდა ვანგი მოვიღებ, ვანგი უნ რკინასაც სკამს... ყველა ახალმა თაობამ ისე უნდა იცხოვროს, ამ სათაყვანებელ განძს ახალი თვისება შესძინოს, ახალი ელვარება შემატოს“. დიახ, ეროვნული კულტურის ისტორია, მისი მატერიალური და სულიერი საგანძობი — ეს თაობათა დაუღალავი მოღვაწეობის, მათი შემოქმედებითი ცხოვრებისა და ბრძოლების ისტორიაა, ახალი სიმალღებების, ახალ მწვერვალთა აღმოჩენის და დაპყრობის ისტორიაა. მაგრამ არც ერთ ეპოქაში, არც ერთ საუკუნეში ახალგაზრდა თაობას არ უთქვამს უფროსი თაობისათვის, მასწავლებლებისათვის — მაღლობთ აღზრდა-განათლებისთვის, ახლა კი ჩვენი დრო დადგა, დაგვიტოვე ასპარეზით. ხელოვნებამ არ იცის უმცროს-უფროსი. ნიჭიერება ხელოვნებაში უსასკონა. ანკეტური მონაწილეობით საინტერესოა მხოლოდ ნოზობრე ასპექტში, მორალური და ეთიკური ნორმების დადგენისათვის, ყოველდღიურ მიწიერ ურთიერთობაში. შენი ადგილი და უფლებანი საქმეშიან შენმან უნდა წარმოაჩინოს. მხოლოდ ტიტანური შრომით, ბრძოლით, ნებისყოფით აიგება დიდების ტაძარი.

ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ახალგაზრდა მხატვრისთვის ნორმალური სამუშაო პირობები — სახელოსნო, მაგრამ ისიც ცნობილია, თუ რაოდენ ძნელია ყველას დაკმაყოფილება თავიდანვე საკუთარი შემოქმედებითი სახელოსნოთი. მართალია, ისტორია გვასწავლის, თუკი რამ შეუქმნია ხელოვნის ღირსეული და მნიშვნელოვანი, მხოლოდ დიდი ტკივილის ფასად, ხშირ შემთხვევაში, სხეულებსა და სარდაფებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნათელი სახელოსნო — ატელიე „ხელს უშლის“ შემოქმედს. მხატვარი უფრო ადვილად ეგუება უბინაობას, ვიდრე უსახელოსნობას. შეიძლება ითქვას, რომ მხატვართა კავშირის ორგანიზაციული მუშაობის მთელი სიმწველეები ახალგაზრდობის შემოქმედებითი სახელოსნოების უკმარისობიდან იწყება. არსებობს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგინებული — საცხოვრებელ სახლებზე შემოქმედებითი მანსარდების დაშენების თაობაზე, მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება და ყოველწლიურად ათი-თხუთმეტი მანსარდის ნაცვლად თითო-ორილას თუ ვიღებთ. ამკამად ჩვენ ვაპირებტებით ორმოცამდე სახელოსნოს და იმედი გვაქვს, მთავრობის დახმარებითა და მხარდაჭერით ამ სახელოსნოების მშენებლობით ნაწილობრივ მაინც გამოვასწორობთ შექმნილ არასახარბიელო ვითარებას.

მართალია, ქართული მხატვრობის საერთო დონე დღეს გაცილებით მაღალია, ვიდრე იყო იგი ამ რამდენიმე ათწლეული წლის წინ, მაგრამ ეს არ გვაძლევს გაცნობრობის უფლებას. საუკუნეში, რომელშიც მცნეიერებამ და ტექნიკამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია, ხელოვნება ჯერ უნდა იმ მწვერვალთა მისაღწეველთან იმყოფება, რომლებიც ელინურმა თუ იტალიური აღორძინების ეპოქებმა თავის დროზე დაიმორჩილა. ეს სიმალღეები დღემ-



დე იზიდავს ხელოვანთა თვალს, აღძრავს სტიმულს მხავსი სიმაღლეებისკენ ლტოლვისა. არსებობს პოეტური თქმა: „ისწრაფე სიმაღლეებისკენ, რომელთა დაყრობაც არ ძალგამს. მამ რისთვისღა არსებობს ცარგვალი“. ვფიქრობ, ეს სიტყვები ყველა ქვეყნისთვის შემოქმედის დევიზი იყო და არის დღესაც, ოცნება, თუ გნებავთ, მიულწვევლი სიმაღლეებისკენ უკვე შემოქმედებითი სიმაღაცეა და გამარჯვების წინასწარი გარანტია.

მართალია, განსხვავებულია ყველა ეპოქის სულიერი ინტერესები, მხატვრულ-ესთეტიკური კრიტერიუმები, მაგრამ მარადიული ღირებულების ფენომენი — საზოგადოების, თუ კონკრეტული ადამიანის ლტოლვა სილამაზისა და მშვენიერებისკენ ყოველთვის უცვლელია და იგი ზოგად სიმაღლეებში იღებს სათავეს. იქნება ეს სკოპისის „მენადა“, ლიონარდოს „ჯიოკონდა“, პიკასოს „პერნიკა“ თუ ყინწისის ანგელოზი.

სტიმული შემოქმედებისა ოცნებაა, ხოლო ოცნება ფრთებს ახალგაზრდული შემართებით ისხამს. ფრთების გარეშე ადამიანს უმედდება რამაცთუ ლტოლვა მიზნისაკენ, არამედ არსებობაც. ჩვენ არასოდეს დაგვკლებია მეოცნებე, მებრძოლი და მოქმედი ახალგაზრდობა. სასიხარულოა, რომ ქართულ მხატვრობასაც ეგულვის დღეს თაობა, რომელთა ხელშია ჩვენი მხატვრობის მომავალი.

რამდენიმე სიტყვა ჩვენს კრიტიკასა და ხელოვნებათმცოდნეობაზე. ჩვენ გვყავს შესანიშნავი ხელოვნებათმცოდნეები და კრიტიკოსები, რომლებიც ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევიან და თავისი შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებაში. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას იმ პასიურობის შესახებაც, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეობის სექცია ზოგჯერ იჩენს ამა თუ იმ თანამედროვე მხატვრულ მოვლენებთან დაკავშირებით, იქნება ეს გამოფენების განხილვა, ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისადმი დამოკიდებულება და სხვა. ჩვენი სურვილია, ქართული მხატვრობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურებზე ავიდეს. პოეტ ოთარ ჭილაძეს ეკუთვნის სიტყვები:

როდესაც ასე ახლოა გრემი,
მე მინდა ვიყო უფრო მაღალი.

დაიხ, სიმაღლისკენ სწრაფვა ერის გენეტიკური თვისება გახლავთ. ქართული ხასიათი ვერ ეგუება ერთფეროვნებას, თუ გნებავთ ბედნიერ ერთფეროვნებასაც კი. აქ იჩენს თავს ყოფიერებისა და მშვენიერების მარადიული განუსაზღვრელია და ამ მთლიანობის არტისტული ბუნება, და თუ რომელიმე ერის ფსიქოლოგიაში შეინიშნება უკმარისობის, დაუკმაყოფილებლობის ტენდენცია, უპირველესად, ვფიქრობთ — ქართულ ბუნებაში. დღევანდელი საქართველოს ნიჭის აღზევება ტოტალურია და შეედგება იქნებოდა ეს აღზევება რომელიმე დარგის პრიორიტეტად მიგვეჩნია. ნიჭის ინერცია თანაბრად იგრძნობა მწერლობაში, მხატვრობაში, თეატრში, მუსიკაში, საერთოდ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში, მაგრამ მაინც არ შემიძლია განსაკუთრებით არ გამოვყო დღევანდელ ქართულ მხატვრობაში წარმატება ზოგიერთი ავტორისა, რომელთა ხელითაც შემოკრულმა „ზარმა“

მსოფლიო აუწყა ქართული ხელოვნების დიდი აღმავლობა. დასაწანია, რომ ეს წარმატება ჯერ კიდევ არ არის ფსიქოლოგიურად გააქტიურებული და მეცნიერულად შესწავლილი თანამედროვე ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მიერ.

მწერლობა, კინოს, თეატრის, მუსიკის ყოველი ახალი ნაწარმოები უმაღლეს იქცევა ოცნებითი კრიტიკული შეფასების არეში, იწერება პროფესიული წერილები და საზოგადოება მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ხდება. სამწუხაროდ, ქართულ მხატვრობაში, ხშირ შემთხვევაში, კარგი ნაწარმოებიც კი დუმლით იმკვიდრებს ადგილს დროში ან უმაღლეს დილექტანტურ, არაპროფესიულ შეხედულებათა არეში.

ვფიქრობთ, დროა ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეებმა მიტოვოთ გამოცხადონ საკუთარ თავს და საზოგადოებას მიანოდონ ობიექტური აზრი ყოველ ახალ ნაწარმოებსა თუ გამოფენაზე.

ყოველი ყრილობა მომავლის ინტერესების აქტია. მომავალი კი ახალგაზრდა თაობისა თუ მცოცვანთა შემოქმედებითი ინტერესების ხორცშესხმაა. ის, რაც იყო გუშინ, ან რაც არის დღეს, უკვე ისტორიაა, ვინაიდან ბუნება — მშობელი „უთვალავ ფერთა“, მხოლოდ მომავალში აგრძელებს სიცოცხლეს და მიეღი მისი სილამაზე მის უწყვეტობაშია. უთვალავ ფერთა ცოცხალი სიმბოლოა ახალგაზრდობა და ახლისკენ სწრაფვა ახალგაზრდობის უპირველესი სულიერი მოთხოვნილებაა.

მიეღი სილამაზე ხელოვნებისა მის ინტერნაციონალურ ბუნებაშია, მისი სპეციფიკური ენის ზოცილობაშია. თანამედროვე ადამიანები პლანეტაზე ერთ დროს ცხოვრობენ. მიუხედავად სხვადასხვა კონტინენტისა, რწმენისა, სოციალურ-პოლიტიკურ წყობათა სხვაობისა, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ბევრ მოვლენას ერთნაირად აღიქვამენ და ერთნაირად ხედავენ. ერთნაირად აღელვებთ მათ სილამაზე და ერთნაირად აღაშფოთებთ სიმახინჯე. ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ გამოახვის თანამედროვე საშუალებები მათ ნათესაური აღმოაჩნდებოდა. საუკუნის ტოტალური ინფორმაცია სწორედ ის ძალაა, რომელიც აჩქარებს ამ ნათესაობას.

ქართველი კაცის ბუნება ინტერნაციონალურია. მას არ შეუძლია ცხოვრება უმეგობროდ, უამხანაგოდ. ის მზად იყო და მზად არის დღესაც, როგორც ყოველთვის, უანგაროდ გასცეს სიყვარული და სიკეთე.

ქართველ მხატვართა შემოქმედების პრობლემატურ, სასიცოცხლო საკითხებზე მსჯელობას, წარმატების ირგვლივ დავასა და კამათს თან გაჰყვება რწმენა, რომ ქართული მხატვრობა იქნება იმ დონეზე, იმ სიმაღლეზე, რომელიც მას დღეს ეკადრება და შეუძლია თავისი სულიერი აღზევების ტყმა.



გიორგი ერისთავის სახელობის

გიორგის სახელობის რეპეტიციური თეატრი



თეატრის სამხატვ-
რო ხელმძღვანელი და
მთავარი რეჟისორი

შოთა კობიძე — ჩვენ-
თვის, სარაიონო თე-
ატრების მუშაკების-
ათვის, უაღრესად მნი-

შვნელოვანია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქალაქო და რაიონული თეატრების შესახებ, სადაც აღნიშნულია ის ხარვეზები, რაც ხელს უშლის ამ თეატრებს ამაღლდნენ რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე. ეს დადგენილება რომ საჭირო, დროული და საქმიანია, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის არასახარბიელო მდგომარეობა, ჩვენს სარაიონო და საქალაქო თეატრებში რომ შეიქმნა ამ ბოლო წლებში. დადგენილება სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას და ადგილობრივ ხელმძღვანელობას მოუწოდებს დაეხმარონ თეატრებს პროფესიული დონის ამაღლებაში, გაააქტიურონ და გაამრავალფეროვნონ მათი მუშაობა. თუ როგორ ყურადღებას გამოიჩინენ ჩვენს მიმართ, როგორ ამოგვიდგებიან მხარში, ეს უკვე მათ უნარზე და მონდომებაზე დამოკიდებული, პირადად ჩვენთვის კი ამ დადგენილებას უდიდესი სასაიციოებლო მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება გორის თეატრის ხელმძღვანელობასა და შემოქმედებითი კოლექტივის

ურთიერთობას, ჩემის აზრით, ჩვენს წინაშე მხოლოდ ერთი პრობლემა დგას: რაც შეიძლება უკეთ დავუკავშიროთ ერთმანეთს თეატრის ცხოვრების ეს ორი მხარე, ვიმუშაოთ შეთანხმებულად და შეკავშირებულად. არა მარტო ადმინისტრაცია და შემოქმედებითი კოლექტივი გავხადოთ ერთსულოვანი, არამედ ცალკეული რგოლებიც და იმედი გვაქვს, რომ ერთიანი მონდომებით ჩვენ ამას მივაღწევთ.

კოლექტივის იმედი გვაქვს, მაგრამ ერთ რამეში ჩვენ უძღლური ვართ, — ესაა გორის თეატრის ტექნიკური აღჭურვილობა, რაც ჩვენი ყველაზე მტკივნეული საკითხია. შეიძლება გადაუჭარბებულ ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა თითქმის კატასტროფულია, რაც არაერთგზის დადასტურებულია ტექნიკურმა კომისიამ. ტექნიკის ყველა მხარეს გააჩნია ძალიან დიდი ხარვეზები, დაწყებული წრიდან, სცენის პლანშეტიდან დანათებით და გახმოვანებით დამთავრებული. გარდა ამისა, თვით შენობაა სავალალო დღეში, გულახდილად რომ ვთქვათ, გორის თეატრის შენობა ლეება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იმის გამო, რომ ერთ დროს სახურავი უხარისხოდ შეაკეთეს, მთელ თეატრში, სცენის ჩათვლით, ჩამოდის წვიმის წყალი და, თანაც, იმდენი, რომ პირველ სართულამდეც კი აღწევს და იტბორება თითქმის ყველა ოთახი. შეუძლებელი ხდება რეპეტიციების ჩატარება, იძულებული ვხდ-



სცენა სპექტაკლიდან „ქამთაბერის ასული“

ბით სარეკვიზიტო დარბაზიდან გავიტანოთ რეკვიზიტო, გვისველდება დეკორაციები, ვერ ვახერხებთ წარმოდგენის გამართვას. აი, ის, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაწუხებს. ყოველივე ამის გამოსასწორებლად და გამოსაკეთებლად უკვე დაისახა ღონისძიებები, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში როგორც ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ჩვენს გაკვირვებას მოვევლება.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რაც დღემდე ვერ გადაჭრა ვერცერთმა პერიფერიულმა თეატრმა და ამ პრობლემის გადაჭრა, ალბათ, შეუძლებელი იქნება, თუ ზემდგომმა ორგანოებმა რაღაც კონკრეტული ნაბიჯი არ გადაადგეს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს სცენის მუშებისათვის ხელფასის მომატება. თუ ეს საკითხი დადებითად არ გადაიჭრა, სხვაგვარად ამ პრობლემის მოგვარება წარმოუდგენლად მიმაჩნია. სცენის მუშებს, რომელთა სამუშაო ძალზე სპეციფიკურია, მართლაც ძალიან დაბალი ხელფასი აქვთ, ფაქტიურად ისინი თეატრში მთელ დღეს მუშაობენ, ანაზღაურება კი მინიმალური აქვთ. იგივე უნდა ითქვას დღურაზე, და სხვა პროფესიების მუშაკებზე, რომელთაც მაღალი კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეთ, რადგან სხვაგვარად საქმეს თავს ვერ გაართმევენ. ჩვენ ეს საკითხი დაევიტოთ ზემდგომი ორგა-

ნოების წინაშე, მივიღეთ კონკრეტული დაპირებაც და ვიმედოვნებთ, რომ ეს დაპირება საქმედ იქცევა.

რაც შეეხება გასვლით სპექტაკლებს, ეს საკითხი ერთ-ერთი ურთულესია პერიფერიული თეატრებისათვის. აქ სრულიად კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ გასვლითი სპექტაკლები დაბლა სწევს თეატრის შემოქმედებით დონეს, ცხადია, მხედველობაში მაქვს ის რეალური სავალალო პირობები, რომელშიც თეატრს უხდება სპექტაკლის წარმოდგენა. იმ შენობებს, სადაც გასვლითი სპექტაკლის დადგმა გვიხდება, ელემენტარული პირობები არ გააჩნია სპექტაკლის გასათამაშებლად — არც ტექნიკური აღჭურვილობა, არც აპარატურა და არც ის ზომები, რაზეც გათვლილი და გაანგარიშებულია ესა თუ ის დადგმა.

არის კიდევ ერთი საკითხი, რასაც არ შემიძლია არ შევეხო. მართალია, მე დიდი გამოცდილება არა მაქვს გასვლითი სპექტაკლების გამართვაში, მაგრამ იმ გამოცდილებაში, რაც მაქვს, დამარწმუნა, რომ ზოგიერთი მაყურებელი მოუშანადებელია სპექტაკლის საყურებლად. გასვლით სპექტაკლს ძირითადად ესწრება 17-18 წლის ახალგაზრდობა, ცხადია, უმეტესობა თეატრში სპექტაკლის სანახავად მოდის, მაგრამ, როგორც წესი, თეატრში ყოველთვის აღმოჩნდება ხუთი ან ექვსი აღვირახსნილი ახალგაზრდა, რომლე-



ბიც არავითარ ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ სპექტაკლს ესწრებიან და არა მარტო თვითონ არ უსმენენ მსახიობს, სხვებაც უშლიან ხელს. სადაც არ ვყოფილვართ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ინიციატივა გამოეჩინა და ახალგაზრდების ამგვარი ქცევა აღეკვეცა.

რაც შეეხება ადგილობრივ მაყურებელს ანუ ჩვენი ქალაქის მკვიდრთ, ეს არის საოცრად უშუალო, ახალი სპექტაკლის ხარზად მომლოდინე, კულტურული და სულიერი ცხოვრებით დაინტერესებული მაყურებელი, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. თითოეულ ჩვენგანს. მაგრამ ერთ მტკავენულ საკითხს მაინც უნდა შევხებო. ჩვენი მაყურებელი ძირითადად 17-25 წლის ახალგაზრდობაა, საშუალო და უფროსი თობა კი იშვიათად ესწრება სპექტაკლებს. შეიძლება ამის მიზეზი ისაა, რომ ვერ ვაკმაყოფილებთ მათ გაზრდილ მოთხოვნილებას, ვერ ვდგავართ სათანადო შემოქმედებით ღონეზე, მაგრამ რადგან ამ ქალაქის მკვიდრი არიან, გამოიჩინონ მეტი მოქალაქეობრივი სულგრძელობა და დაესწრონ სპექტაკლს, იქნებ, ჩვენ უკეთესი სპექტაკლი დავდგით, იქნებ, დღეს მეტი ყურადღების ღირანი ვართ, ვიდრე გუშინ ვიყავით.

ჩვენს თეატრს დიდი ტრადიცია აქვს და ამ სცენაზე დიდ რეჟისორებს უმუშავიათ. ჩვენ ახლაც მომხრე ვართ იმისა, რომ მოვიწვიოთ ჩვენს თეატრში სპექტაკლის დასადგმელად ცნობილი, ნიჭიერი რეჟისორები და მსახიობები. ეს აუცილებელიცაა, საკიროც და სასარგებლოც. შევიძინთ რაღაც ახალს, გავეცნობით თანამედროვე თეატრალური ხელოვნების მიღწევებს, ვისწავლით, გავმდიდრდებით. მაგრამ ამ საკითხს აქვს მეორე მხარეც. ერთია ჩვენი სურვილი, ხოლო მეორე ჩვენი ფინანსური შესაძლებლობანი. ის თანხა, რომელიც ჩვენ გვაქვს გამოყოფილი მოწვეულთათვის, — იხარჯება თეატრისათვის აუცილებელ საკიროებზე.

მთელი ჩვენი კოლექტივის დიდი სურვილია მეტი ყურადღება მოგვაკციონ პრესამ და ტელევიზიამ. ამ მხრივ თითქმის სრულიად მივიწყებულნი ვართ. მართალია, ადგილობრივი პრესა ცდილობს ჩვენი შემოქმედების გაშუქებას, მაგრამ, მოგესხენებათ, თუ რადიდი მნიშვნელობა აქვს პატარა ქალაქის მსახიობისათვის ცენტრალურ პრესას. ამას

წინათ ტელეკომიტეტმა დააპირა ჩვენზე გადაცემის მომზადება, მაგრამ ამჟამად განხორციელება ჭერჯერობით ვერ მოხერხდება, სარაიონო ქალაქების სპექტაკლების ჩვენება კი დიდი სტიმული იქნებოდა როგორც რეჟისორების, ასევე მსახიობებისათვის. ყველა თეატრში არის რამდენიმე ისეთი მსახიობი, რომლებიც ღირსნი არიან ყურადღებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ამას მოკლებულნი არიან, მათი წახალისება იშვიათად ხდება. გორის სახელმწიფო თეატრში უკვე კარგა ხანია არავის მინიჭებია საპატიო წოდება, არ მიუღია ჯილდო, რაც სამართლიან გულისტივილს იწვევს.

ჩვენი თეატრის წინაშე, ისევე როგორც სხვა სარაიონო თეატრების წინაშე, დგას ერთი მეტისმეტად მტკივნეული საკითხი. ეს გახლავთ თეატრში ახალგაზრდობის მოზიდვის საკითხი. ამ ცოტა ხნის წინათ ახალგაზრდა მსახიობი (მე ვგულისხმობ 30 წლამდე ასაკის მსახიობს) იშვიათობა იყო თეატრში. მართალია, ამ პრობლემების გადასაჭრელად დისახა ღონისძიებანი, წელს გორის თეატრის გამოუყვეს ლიმიტი თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლა ოთხ წელიწადს გრძელდება, ამდენ ხანს კი თეატრი ვერ მოიციდის, ვერ გაცდება და ამიტომ ჩვენ თვითონ მოვიზიდეთ ახალგაზრდები, რომელთაც სპეციალური განათლება არ მიუღიათ, მაგრამ თეატრი უყვართ და დიდი გულმოდგინებით მუშაობენ. ამ ახალგაზრდობის შემომატებამ საშუალება მოგვცა სულ მოკლე ხანში დაგვედგა სამი სპექტაკლი: „უტკარაჩა“, „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“ და „ქამთაბერის ასული“. ყველა ეს სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო და ამ წარმატებებში ჩვენს ახალგაზრდობას დიდი წვლილი მიუძღვის.

განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმ დიდ ყურადღებასა და ზრუნვას, რასაც ადგილობრივი ხელმძღვანელობა, საზოგადოება და ქალაქის ინტელიგენცია იჩენენ ჩვენი თეატრის მიმართ. ქალაქის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, დღიდან ჩვენი აქ ყოფნისა, — არ დაკლებიან არცერთ სპექტაკლს, ყველა პრემიერას ესწრებიან და გულთან ახლოს მიაკვთ ჩვენი წარმატება თუ წარუმატებლობა.



რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნინო ზალდასტანიშვილი — ოცდამეშვიდე სეზონი იწურება, რაც გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ვმუშაობ.

ცხადია, ამ ხნის განმავლობაში, ისევე როგორც ყველა თეატრს, ჩვენც გვქონია აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდები. იყო დრო, როცა ჩვენი თეატრი სწორ გზაზე იდგა და მისი სახელი მთელს რესპუბლიკაში ქუხდა, მაგრამ ზოგჯერ, მიუხედავად შრომისა და გარჯისა, წარმატებას მაინც ვერ ვაღწევდით ხოლმე, თუმცა, ერთი რამ მაინც ყოველთვის ახასიათებდა ჩვენს თეატრს — სწრაფვა სიმართლისაკენ, უკეთესობისაკენ, შემოქმედებითი დონის ამაღლებისაკენ. თითქმის ყველა რეჟისორი, ვისაც კი ჩვენს თეატრში უმუშავია, ცდილობდა შეენარჩუნებინა და გაეგრძელებინა გორის თეატრში დამკვიდრებული ტრადიცია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს ტრადიცია კი ადამიანის სიყვარული, ადამიანში კეთილი საწყისების ძიება, უკეთესი მომავლის რწმენაა.

დიდად მიხარია, რომ დღეს ჩვენს თეატრს ორი ახალგაზრდა კვალიფიციური რეჟისორი უდგას სათავეში. ისინი ამდიდრებენ და აძლიერებენ გორის თეატრის ტრადიციულ ხაზს და ადამიანებში ეძებენ ნათელს, კეთილშობილურს.

ჩემის აზრით, ამ მხრივ დღეს ჩვენი თეატრი სწორ გზაზე დგას, მაგრამ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მისი შემოქმედებითი დონე, საჭიროა მეტი ნიჭიერი, პროფესიული მსახიობი გვეყავდეს (განსაკუთრებით ახალგაზრდობა), საჭიროა დროდადრო მოეწვიოს სახელმწიფო რეჟისორები. მაგრამ უმთვრესი მაინც ისაა, გვეყვარდეს ჩვენი თეატრი, გვეყვარდეს დიდსაც და პატარასაც. შემოქმედებით კოლექტივსაც და ტექნიკურ პერსონალსაც, ვიცოდეთ როგორ ვინაცვალოთ პირადი ინტერესები თეატრის ინტერესებს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საკუთარი ნაღვარისადმი უპატივცემულობა, საკუთარი შემოქმედებისადმი გულგრილობა სპექტაკლებშიც მყლავნდება, ამას მაყურებელი ყოველთვის ვრძნობს (სხვათა ში-

რის, მაყურებელს არაფერი გამოეპოება. მხედველობიდან) და ყოველივე ^{რეჟისორის} შექმნილ სეზონურ დასს ასევე ჩვენი თეატრის ღირსებას და აქვეითებს მის შემოქმედებით დონეს.



მსახიობი ფატი ფულარიანი — გორის თეატრი ერთ-ერთი უძველესი თეატრია საქართველოში. მან დასაბამიდანვე შესანიშნავი ტრადიციები დაიმკვიდრა, მის წარსულს

სახელგანთქმული თეატრალური მოღვაწეების სახელი ამკობს. გორის თეატრის ისტორია ქართული დრამატურგიის ფუძემდებელთან გიორგი ერისთავთანაა დაკავშირებული.

ნამდვილი პროფესიული თეატრი კი გორში 1937 წელს შეიქმნა. წლების მანძილზე ამ თეატრში მოღვაწეობდნენ პ. ფრანგიშვილი, ვ. ყუშიჩაშვილი, ლ. იოსელიანი და სხვები, რომელთა ჩამოთვლაც შორს წავიყვანდა. მისი რეპერტუარი ყოველთვის განსხვავდებოდა სხვა თეატრების რეპერტუარისაგან. ჩვენს თეატრში მრავალჯერ დადგმულა ეროვნული დრამატურგიის ისეთი ნიმუშები, რომლებიც მანამდე არსად დაუდგამთ და შემდეგ დიდ თეატრებს აუტაციათა და განუხორციელებიათ. ჩვენმა თეატრმა შესძლო შეენარჩუნებინა ლიტერატურული ენის სიწმინდე, სწორი გამოთქმა და მუსიკალობა.

ერთ დროს ძალიან მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა გვქონდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან. თითქმის ყოველ ორშაბათსა და სამშაბათს ვცვლიდით წარმოდგენებს, ჩვენი კოლექტივი ხვდებოდა დედაქალაქის მაყურებელს. ეს ამაღლებდა ჩვენს შემოქმედებით დონეს და, პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდ სიხარულსაც გვანიჭებდა. ერთ დროს გასტროლებზეც ხშირად გავდიოდით, მაგრამ უკანასკნელ წლებში ყოველივე ეს მოიშალა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ბოლო წლებში მეტისმეტად ხშირად იცვლებოდნენ რეჟისორები, თითოეული მათგანი მოსვლის დღიდანვე წასასვლელად ემზადებოდა და ამან თეატრის შემოქმედებითი დონე დააქვეითა.

დღეს ჩვენს თეატრს სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა რეჟისორები შ. კობიძე და ქ.

ხარშოლაძე. მათ უკვე შეასამე სპექტაკლი დადგეს. ახლახან ჩვენ ვნახეთ „ქამთაბერის ასული“. ჩემის აზრით, სპექტაკლში ბევრი რამ არის საინტერესო და ორიგინალურად გადაწყვეტილი და ამიტომ დაჩქარებული ვარ, რომ მასუბრებული კმაყოფილი დარჩება. მჯერა, რომ ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორები გულიანად მოეციდებიან თავიანთ საქმეს, სწორ გზაზე გაიყვანენ თეატრს და აღადგენენ მივიწყებულ ტრადიციებს.

შემოქმედებით თვალსაზრისით ჩვენი კოლექტივი მრავალფეროვანია. თეატრში მუშაობს გამოცდილი და დიატატებული უფროსი თაობა, საკმაოდ ნიჭიერი საშუალო თაობა, რომელთა მხრებსაც აწევა მთელი რეპერტუარი. ერთი სიტყვით, გორის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მშრომელი, გულმართალი, ბევრის ამტანია. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ დღესდღეობით ჩვენს თეატრში არ არიან ინსტიტუტდამთავრებული, პროფესიული ახალგაზრდები, ხოლო ვინც არიან, იბრუნებენ უკვე 30 წელს გადასცდნენ.

ჩვენს თეატრს ძალზე სჭირდება ზემდგომი ორგანოების თანადგომა და ყურადღება. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ქართლის ამოდენა ტერიტორიის მხოლოდ ერთი თეატრი ემსახურება და მის აფიშას არ ამშვენებს არცერთი სახალხო არტისტის წოდება. 10-12 წლის მანძილზე ჩვენს თეატრში დამსახურება არავის მიუღია, ამან კი ერთგვარი გულგატეხილობა გამოიწვია. ერთი სიტყვით, ყურადღება და თანადგომა გვაკლია. ამას წინათ თეატრალურმა საზოგადოებამ გიორგი ერისთავს ძეგლი დაუდგა სოფელში. ჩვენი თეატრის ეზოში კი აგერ 35 წელიწადია გიორგი ერისთავის ძეგლი დგას, ჩვენს თეატრსაც მისი სახელი ჰქვია, მაგრამ არავის მოგონებია, ქართული თეატრის დღის ჩატარება გორშიც რომ შეიძლება.



გორის თეატრის მთავარი მხატვარი შოთა ხუციშვილი — ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა თეატრში გამიფორმებია სპექტაკლები და არასოდეს მქონია იმის შიში,

რომ დაგვაცდებდა მასალა და რალაცას ვერ ვიშოვით. როცა ამბობენ თეატრში არ არის კარგი განათება და თანამედროვე ტექნიკური

აღჭურვილობა, ეს ყველაფერი წინაშეა თუ კაცი მოინდომებს და ამავე დროს, იმის უნარიც შესწევს, რომ სპექტაკლში ყველაფერით გააფორმოს, სცენურ ნაწარმოებს არაფერი დააყლებდა. მთავარია გვექონდეს პიესა, აღმოჩნდეს რეჟისორი, რომელსაც შეუძლია პიესის მაღალ დონეზე დადგმა და მხატვრულად მისი გაფორმება არ გაქრდებოდეს თან არ ვიქებ, მაგრამ ვისაც თეატრებში უშოლავია და ჩვენთანაც დაუღვამა სპექტაკლი, ხშირად უთქვამს: დეკორაციის შექმნის კულტურა და მისი ექსპოზიციურად განლაგება მხოლოდ რუსთაველისა და გორის თეატრებში იცინაო.

შეიძლება ჩვენი თეატრი არასოდეს არ მიიწვიონ საგასტროლოდ საზღვარგარეთ, მაგრამ ამის გამო გულზე ხელეები არ უნდა დავიკრიფოთ. ჩვენს სპექტაკლებს აქვთ მიღებული უამრავი საკავშირო თუ რესპუბლიკური დიპლომი, სიგელი, წილდო, ხშირად გავგიმარჯვია კონკურსებშიც, მივიღია ა. პოპოვის სახელობის ვერცხლის მედალი, მარჯანიშვილის სახელობის პრემია და ეს ყველაფერი ჩვენ გვაკლებს კიდევ უფრო ავამალლოთ ჩვენი შენოქმედებითი დონე.

ამ ბოლო დროს გაჩნდა რალაცნაირი უცნაური და, ჩემის აზრით, უხამაი კუთხური დანაწილება მწერლებისა, მხატვრებისა და, საერთოდ, შემოქმედი ადამიანებისა. ამბობენ „ეს ფოთის რეჟისორია“, ეს „თელავის მხატვარია“, ეს „გორის მწერალია“. ჩვენს სახელმძღვანელო მწერალს ოთარ ჩხეიძეს იმდენი უძახეს „გორის მწერალი ხარო“, რომ ადგა და თბილისში გადასახლდა და ახლა „თბილისელი მწერალია“. ამას წინათ თბილისში გამოფენა ვნახე, მითხრეს, ამ დარბაზში თბილისელი მხატვრებია გამოფენილი, ამ დარბაზში კი რაიონების მხატვრებო და ზოგერთი არც კადრულობდა რაიონელი მხატვრების დარბაზში შესვლას, აქაო და, უგემოვნება არ დამწამონო. მთავარი ის კი არ არის, ვინ სად მოღვაწეობს, არამედ ის, ვინ რას ქმნის.

ბოლოს მე იმის თქმა მინდა, რომ მთავარია კაცს მუშაობა უყვარდეს, უყვარდეს თავისი პროფესია და ხელოვნების ის დარგი, რომელსაც ემსახურება. ასეთ კაცს მუშაობაში ხელს ვერც საცხოვრებელი ადგილი შეუშლის და ვერც მასალის ნაკლებობა.



გორის თეატრის სა-
ლიტერატურო ნაწი-
ლის გამგე გუგული
გარდაცხადე — ჩენი
თეატრის ძირითადი
რეპერტუარი ეროვნუ-
ლი დრამატურგიაა. მა-
მდინარე რეპერტუარას

15 სექტაკლიდან 11 ქართველი დრამატურ-
გების პიესა ან ინსცენირებული პროზაული
ნაწარმოებია. ეს ტენდენცია მომავალშიც
გაგრძელდება, მხოლოდ უფრო ყურადღე-
ბას დაუთმობთ საბავშვო სპექტაკლების
დადგმას. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა
პრაქტიკული ნაბიჯი. დაიდგა ა. ლინდგრე-
ნის „ბიჭუნა და სახურავების ბინადარი კარ-
ლოსონი“.

რეპერტუარის შედგენაში გვეხმარება სა-
ქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგია. იგი
საგანგებოდ არჩევს პიესებს და რეკომენდა-
ციას უწევს მათ. მათგან ჩვენ ვირჩევთ ისეთ
პიესებს, რომლებიც უფრო მეტად ეხმაურე-
ბიან ჩენი მსაყურებლის ვაზრდილ მოთხოვ-
ნილებს და თვით შემოქმედებითი კოლექტი-
ვის მხატვრულ შესაძლებლობას.

მართალია, დრამატურგთა პირადი ინიცია-
ტივით თეატრში ბევრი პიესა შემოდის, მაგ-
რამ ავტორთა უმრავლესობა დამწყები დრა-
მატურგია და მათი პიესებიდან იშვიათად თუ
გამოირჩევა ჰეშმარითად მხატვრული ღირე-
ბულების ნაწარმოები. არცთუ ისე დიდი ხნის
წინათ კი სხვა მდგომარეობა იყო, რამდენი-
მე ცნობილი დრამატურგის პიესა პირველად
სწორედ ჩენი თეატრის სცენაზე დაიდგა.
ჩვენ ვცდილობთ კვლავ დავიბრუნოთ დაკარ-
გული ტრადიცია და ამ მიზნით მკიდრო
კავშირი დავამყაროთ როგორც რესპუბლიკის
ცნობილ დრამატურგებთან, ასევე საქართ-
ველოს მწერალთა კავშირის გორის განყო-
ფილებასთან. დღეს ჩვენ დრამატურგებთან
ნაყოფიერი თანამშრომლობა გვაქვს, რაც
იმის საფუძველს იძლევა, რომ უახლოეს ხან-
ში თეატრის რეპერტუარში ადგილს დაიმკ-
ვიდრებს ადგილობრივი დრამატურგიაც.



მსახიობი ლევან ბეგაშვილი

ბეგაშვილი ურეპერტუარში
თეატრში ბეგაშვილი
რეჟისორი მოღვაწეობ-
და, რომელთა შემოქ-
მედება ნებისმიერ თე-
ატრს დამსვენებდა. ამ

დღესაც ბედნიერ თეატრს ეძახიან. მინდა
ერთ-ერთი მათგანი გავიხსენო, სახელდობრ,
ქალბატონი ლილი იოსელიანი. მან გორის
თეატრში არა მარტო კარგი სპექტაკლები
დადგა, არამედ თითოეული მსახიობის მომავ-
ალი გზაც განსაზღვრა. მე პირადად თამა-
მად შემოძლია ვთქვა, თუ დღეს ჩვენ, მისი
რეპერტიციების თაყვანისმცემლებს, ცოტაო-
დენი სცენური სიმართლე და უშუალობა ვაგ-
ვანია, ეს მისი უდიდესი შრომისა და ნიჭის
ნაყოფია.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს თეატრს ისე-
თი სეზონებიც ჰქონია, როცა თეატრი მხო-
ლოდ გასართობ დაწესებულებას წარმოად-
გენდა. ამან კი გარკვეული დიდი დასვა ჩვენს
აქტიურულ შესაძლებლობას. გულსატკეპია
ისიც, რომ ზოგიერთი რეჟისორი პერიფერი-
ულ თეატრს დღესაც, ალბათ, მოვალეობის
მოხდის მიზნით ემსახურება და დარწმუნე-
ბულია, რომ კარგი სპექტაკლის დადგმა თით-
ქოს მხოლოდ დედაქალაქის თეატრებში შე-
იძლება. ასეთი მრწამსის რეჟისორი კი
კარგს ვერაფერს მოუტანს თეატრს.

რაც შეეხება ჩენი თეატრის დღევანდელ
შემოქმედებით ღონეს — ჩვენთან სულ ცო-
ტა ხნის წინათ მოვიდნენ ახალგაზრდა რეჟი-
სორები შოთა კობიძე და ჭეთევან ხარშილა-
ძე. ამ ხნის მანძილზე მათ მხოლოდ სამი
სპექტაკლის დადგმა მოასწერეს და ამ დად-
გებებმა მოგვაგონეს ის ბედნიერი დღეები,
რომლებიც ერთ დროს ჩვენს თეატრს ჰქონ-
და. მთელი ჩენი კოლექტივი მიესალმება ამ
ამბავს და დიდად სასიხარულო იქნება ყვე-
ლაათვის, თუ მათი მოღვაწეობა ჩვენს თე-
ატრში მარტო ძველის გახსენებით არ შემო-
იფარგლება.

იმისათვის, რომ ჩენი დღევანდელი წარმა-
ტება გამტკიცდეს და განზოგადდეს, რეჟისო-
რებს სჭირდებათ მეტი თანადგომა, ხელშეწყ-
ობა. ჩვენგან, მსახიობებისაგან მხარდაჭერა.
ისეთი სპექტაკლების განხორციელება, რო-
გორც ჩვენ რეპერტუარში გვაქვს, ჩვენგან
დიდ შემოქმედებით შემართებლასა და თაყუა-



დებულ შრომას მოითხოვს. საამისო ძალა კი თეატრს აქვს და ჩვენზეა დამოკიდებული რა და როგორ გამოგვივა.

აქ ბევრი ითქვა ახალგაზრდობაზე. კვალი-ფიციური, ინსტიტუტდამთავრებული ახალგაზრდობა მართლაც აკლია თეატრს, მაგრამ თვით ახალგაზრდები რატომღაც უარს ამბობენ ჩვენს თეატრში მუშაობაზე და რამდენიმე წლით სტუმრობას ამჯობინებენ. ამბობენ, ამას ეკონომიური პირობები უშლის ხელსო, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, ყველას ყველაფერი უცებ არ ეძლევა. ჯერ გამოგაჩინოს საქმემან შენმან და დამერწმუნეთ, დამფასებელი ჩვენს ქალაქსაც ბევრი ჰყავს.



მსახიობი კახა ბერიძე — თეატრი ჩემთვის ყოველთვის იყო შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა, ყოველთვის მიტაცებს მისი იღუმალის სამყარო და

ამიტომ ამ ოთხიოდე წლის წინათ ჯერ შტატგარეშე თანამშრომლად დავიწყო მუშაობა გორის თეატრში, ხოლო როცა მონდომება და საქმის სიყვარული შემატყვეს, ამავე თეატრში მსახიობად მიმოღეს.

ჩემი კოლექტივი ჩემთვის ახალი ოჯახია, მომწონს მისი ერთსულოვნება, მსახიობთა მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება, მიტაცებს მათთან მუშაობა, მამხნევებს მათი

გამოცდილება და ოსტატობა და მეც ჩემს მხრივ ვცდილობ მხარი ავუბა ჩემს კოლეგებს და გავუწიო ღირსეულობა. ამჟამად ვერც კი წარმომიდგენია სხვა თეატრში მუშაობა, ჩემთვის ძვირფასია ყოველივე ის, რასაც გორის თეატრის სცენაზე ვეზიარე.

ამ ბოლო დროს გორის თეატრში საინტერესო სახეები შექმნეს ახალგაზრდა მსახიობებმა, რომლებიც დაახლოებით ჩემთან ერთად მოვიდნენ თეატრში. სულ ცოტა ხანში ჩვენს თეატრში დაიდგა სამი სპექტაკლი, სამივე საინტერესო და საყურადღებო ნაწარმოებია. მაყურებელმა კარგად მიიღო „კუკარაჩა“, სადაც კუკარაჩას როლს შესანიშნავად ასრულებდა ახალგაზრდა მსახიობი ქ. მანველოვი. ეს სპექტაკლი დღეს ჩვენს რეპერტუარში ერთ-ერთი საუკეთესოა და არა მარტო მისმა ინსცენირებამ და კომპოზიციურმა მთლიანობამ მოიქცია მაყურებლის ყურადღება, არამედ მხატვრულმა გაფორმებამაც და მსახიობთა საშემსრულებლო ღონემაც. დიდი სიხარული მოუტანა ვორელ ბავშვებს ამ ცოტა ხნის წინათ დადგმულმა საბავშვო სპექტაკლმა „ბიკუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“. ეს სპექტაკლიც ჩვენი ბოლოდროინდელი შემოქმედებითი ცხოვრების უტყუარი გამარჯვებაა. სპექტაკლი ორიგინალურადაა გადაწყვეტილი და აქაც კარლსონის საინტერესო სახეს ქმნის ახალგაზრდა მსახიობი დ. გუცაშვილი. ბოლოს შევხებით ისტორიულ თემას. „ქამთაბერის ასული“ დი-

სცენა სპექტაკლიდან „კუკარაჩა“






საქართველოს
წერა-ბეჭდვის
კავშირის
წევრი

დი და რთული პიესაა, რთულია გმირთა სახეებიც, რეჟისორმა შესძლო მისი გონიერული ადაპტაცია, გაამდიდრა მასობრივი სცენებით, შესცვალა ესა თუ ის ეპიზოდი და შექრა ერთ მთლიან ნაწარმოებად, დაუმორჩილა ერთ საერთო იდეას, სადაც სამშობლოს ერთგულება ყველა პირად ინტერესზე მალა დაყენებული. სპექტაკლი საინტერესოა და გაფორმებული და დარწმუნებული ვართ, რომ იგი მოეწონება გორელ მაყურებელს.

ჩვენ, ახალგაზრდობას, იმედი გვაქვს, რომ გორის თეატრი ამერიკიდან აღმავლობას გზით ივლის და არც ისაა გამორიცხული, რომ დიდი შრომისა და მონდომების შედეგად, რესპუბლიკის წამყვანი თეატრების დონეს მიღწეოს.



გორის თეატრის უფროსი მემანქანე ითარცერცვაძე — თეატრი ბავშვობიდანვე მიყვარდა. 1949 წელს დავაწყე მუშაობა გორის სახელმწიფო თეატრში რეჟისორად. იმ ხანად თეატრის მთავარი რეჟისორი იყო ვასო ყუშიტაშვილი. მან ბევრი შესანიშნავი სპექტაკლი დადგა, რამაც გორის თეატრს შორს გაუთქვა სახელი. თეატრის წარმატებაში ცოტაოდენი წვლილი მეც მიმიძღოდა, ჩემი შრომა დააფასეს და უფროს მემანქანედ გადამიყვანეს.

მე ჩივილს არ ვაპირებ, მაგრამ ხელისშემშლელი პირობები ჩვენი თეატრის სპექტაკლების დონეს დაბლა სცემს და მეც სწორედ ეს მაწუხებს. მიუხედავად ხელმძღვანელობის დიდი მეცადინეობისა და თეატრის შენობისა და სცენის მოწყობილობის შეკეთებისა, სცენა დღემდე მაინც არ არის აუცილებელი ტექნიკით აღჭურვილი. გვაკლავს მუშახელი, ადგილი აქვს სცენის მუშების დენადობას, რაც დიდ დაბრკოლებებს გვიქმნის. ჩვენი თეატრი მეზობელ რაიონებსაც ემსახურება, გვიხდება პარალელური სპექტაკლების ჩატარება და მუშახელის ნაკლებობის გამო დიდ სიძნელეებს ვაწყდებით.

დღეს ჩვენს ქალაქში თეატრს ცხოვრება ძლიერად ჩქევს. ჯერ არც კი იყო შეწყვეტილი ტაში, რითაც თბილისელმა მაყურებელმა დააჯილდოვა ახალგაზრდა თეატრალური კოლექტივების საკავშირო ფესტივალის მონაწილენი და თბილისელ მაყურებელს უკვე აუწყეს აფიშებმა, რომ ახლოვდება კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი — ჩვენს დედაქალაქში საგასტროლოდ ჩამოდის ს. ქანბას სახელობის აფხაზეთის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ზახელაშვილი დრამატული თეატრი.

ძვირფას სტუმრებთან შეხვედრის სიხარული დიდ თეატრალურ ზეიმად გადაიქცა, ორი მოძმე ხალხის ეროვნული კულტურის ზეიმად, რაც ღირსეული დაფასებაა საიუბილეო წლის — საბჭოთა კავშირის შექმნის სამოცი წლისთავის. მართალია, ზეიმი მხოლოდ სამ დღეს გრძელდებოდა, მაგრამ მისი გამოძახილი დიდხანს დარჩება იმ ადამიანების სულსა და გონებაში, ვინც ამ ზეიმის მონაწილე იყო, ვინც აღიქვა მისი ღრმა და გულში ჩამწვდომი აზრი.

თუმცა ადამიანის გრძნობათა სიღრმე და გულითადობა უცერად არ იბადება. მათი დაგროვება ხდებოდა წლების მანძილზე, ისინი ამ ხნის განმავლობაში იძენდნენ უამრავ ასპექტს და ნიუანსს, ხდებოდა მათი განმტკიცება საქმით და უკვე აღსრულებულით, დულაბდებოდა წარსულით და დღევანდელით და იქცა იმ დიდ სულიერ სიმდიდრედ, რითაც შეიძლება შეაბიჯო მომავალში.

გასტროლების ხანმოკლეობა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა აფხაზეთის თეატრის შემოქმედებით კოლექტივს. იგი რ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ თეატრს მშვიდად აეღო სტარტი, არც იმის აქედს იძლეოდა, რომ თანდათან მიეღწია კულმინაციამდე, რაც ასე აუცილებელია ყოველი გასტროლების დროს. სიმალღე და ტემპი თავიდანვე უნდა აეღოთ, როგორც ამბობენ „ადგილიდან“. ეს კი მათ



ტრანსიციები და რესტრუქცია

ეთერ გუგუშვილი

იძულებულს ხდოდა, რეპერტუარი ისეთი ანგარიშით შეერჩიათ, რომ შემოქმედებითი კოლექტივის ძალა და შესაძლებლობა უკიდურესობამდე დაეძაბათ, ზუსტად და შეუცდომლად მოერტყათ მიზანში.

თეატრმა ეს იგრძნო და მთელი თავისი ყურადღება შეაჩერა იმაზე (ასევე მაყურებლის ყურადღებაც), რაც მათ შემოქმედებაში უმთავრესი და არსებითი იყო. ეს გამომჟღავნდა როგორც აქტიორული ძალების განაწილებაში, ასევე საგასტროლო რეპერტუარის შერჩევაში. თეატრის ყველა მსახიობს, როგორც უფროსი ასაკისა, ასევე ახალგაზრდებს, მიეცათ შესაძლებლობა მთლიანად გამოემჟღავნებინათ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი, წარმდგარიყვნენ თბილისელი მაყურებლის წინაშე მთელი თავიანთი „აღჭურვილობით“. რაც შეეხება რეპერტუარს, მან ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა გვემსჯელა არა მარტო თეატრის მიმართულებასა და მრწამსზე, მის რეჟისურასა და სცენოგრაფიაზე, არამედ მის იდეურ, მოქალაქე-

ობრივ და ჭეშმარიტად პარტიულ პოზიციაზე.

„ხელოვანს მოეთხოვება“, ამბობდა ე. ვახტანგოვი და თეატრი, რომელსაც ეს ესმის, ყოველთვის მხარს აუბამს თავის ხალხს, დროს, რომელშიც შექმნის და იპოვის გზას თანამედროვე ადამიანის გულისაკენ.

შემოქმედებით კოლექტივს, რომელზეც ვწერ, კარგად ვიცნობ, ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ. და მე მხოლოდ კრიტიკულ რეცენზიას კი არ ვწერ, არამედ იმ დანუხებულების თანამშრომლის სახელითაც ვლაპარაკობ, სადაც აღიზარდა ამ თეატრის ბევრი მსახიობი, სადაც მათ, როგორც ხელოვნების მუშაკებმა, ფეხი აიდგეს.

ჩემთვის ეს თეატრი უაღრესად ძვირფასია, ძვირფასია თავისი შორეული წარსულით, რის მომსწრეც, სამწუხაროდ, მე არ ვყოფილვარ, არ დავსწრებივარ



მის ჩასახვას. მაგრამ არსებობს ლიტერატურა, ცოცხალი ადამიანები, რომლებიც ამ წარსულის მოწმენი არიან — საბჭოთა პერიოდის აფხაზურმა თეატრმა დიდი ხანია დაიკავა თვალსაჩინო ადგილი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების თეატრებს შორის.

პირადად მე აფხაზურ თეატრს ვიცნობ 50-იანი — 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ამ თეატრის მოღვაწეებთან უშუალო ურთიერთობამ არაერთხელ მომანიჭა დიდი ესთეტიკური სიხარული. ამ ხნის მანძილზე თეატრში მოვიდა ბევრი ახალგაზრდა მსახიობი, შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, რომლებიც ბუნებრივად და უშუალოდ შეერწყნენ თავიანთ უფროს კოლეგებს და მათი ანსამბლის მთლიანობა განამტკიცეს. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველოს თეატრალურმა ინსტიტუტმა თავისი წვლილი შეიტანა აფხაზური თეატრის გაფურჩქვნასა და მის შემდგომ წინსვლაში.

ამ ხნის განმავლობაში თეატრმა თავისი ხელოვნება უჩვენა არა მარტო სოხუმელ, არამედ თბილისელ, მოსკოველ და უკრაინის სხვადასხვა ქალაქების მაცურებელსაც. ბევრი რამ, რაც ამ წლების მანძილზე თეატრმა შექმნა, სამუდამოდ დარჩა მის ისტორიაში, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედებითი მიღწევა. ეს მიღწევები განსა-

კუთრებით თვალსაჩინოა შემდეგ სპექტაკლებში: ე. შვარცის „შიშველი მეფე“ და გულიას „მოჩვენებები“, ა. ოსტროვსკის „ფიფქია“, ვ. შილერის „დონ კარლოსი“, ბ. შინკუბას „სიმღერა კლდეზე“, ლ. უკრაინკას „ტყის სიმღერა“ და სხვა. ყველა ეს სპექტაკლი დადგა ნიჭიერმა რეჟისორმა ნელი ეშბამ. ზემოთ ჩამოთვლილი სპექტაკლები არასოდეს არ ამოიშლება არა მარტო ჩვენი მეხსიერებიდან, არამედ გულიდანაც. ისინი გამოირჩევიან ნათელი თეატრალური სილამაზით, საზეიმო განწყობილებით, რეჟისორული ფანტაზიის გამბედაობით, ღრმა სულიერი მოძრაობებით და ფაქიზ ადამიანურობით.

გასაკვირი არც სპექტაკლების ანსამბლურობაა, რაც იმ წლებში თეატრში იშვა და რაც განაპირობა იმ საერთო მეთოდოლოგიურმა მიმართულებამ, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა თეატრალურ ინსტიტუტში ისეთი ოსტატების ხელმძღვანელობით, როგორც იყვნენ ა. ხორავა, დ. ალექსიძე, მ. მრევლიშვილი, კ. ბადრიძე, ა. თავზარაშვილი და სხვა მრავალი. მათი გამოცდილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აფხაზეთის თეატრს ჰქონოდა ის პროფესიონალიზმი და სცენური ოსტატობა. დღეს რომ აქვს წვლილი, რომელიც ამ ადამიანებმა შეიტანეს აფხაზეთის თეატრის დაარსებასა და აღ-



მავლობაში, დიდად უწყობდა ხელს აფხა-
ზური თეატრის ნიჭიერი ოსტატების
ჩამოყალიბებას, სცენური ხელოვნების
რეალისტურ ტრადიციებზე დაფუძნებას
და ისეთი მსახიობების აღზრდას, დღესაც
რომ ამშვენებენ აფხაზური თეატრის სცე-
ნას. ესენი არიან: მ. ზუზბა, შ. ფაჩალია,
ლ. კასლანძია, ა. აგრაბა, ფ. შედანიძე და
სხვები. ზოგიერთები ამ თაობიდან აღარ
არიან ჩვენს შორის და გვინდა კეთილი
სიტყვით მოვიხსენიოთ ტ. ხორავა, რ.
აგრაბა, ა. არღუნ-კონოშვილი. მათ გარეშე,
ამ მოღვაწეების გარეშე თეატრს არ ექნე-
ბოდა ის წარმატება, ახლანდელ ვასტრო-
ლებს რომ აქვს.

მე არაფრის დავინწყება არ შემძლია.
მახსოვს თეატრალური ინსტიტუტის თი-
თოეული სტუდენტი, მათი როლები, მახ-
სოვს როგორ იზრდებოდა, ვითარდებოდა,
როგორ ივსებოდა სასიცოცხლო წვენი
თითოეული მათგანი. მახსოვს, რა ზეიმი
იყო თეატრალური ინსტიტუტისათვის,
როცა აფხაზური ჯგუფის სტუდენტმა
ეთერ კოლონიამ თავის კოლეგასთან ჯუ-
ლიეტა ვაშაყმაძესთან ერთად რუსულ ენა-
ზე ითამაშეს გრიბოედოვის სახელობის
თეატრის სპექტაკლში „მგზნებარე მეოც-
ნებე“ ნინოსა და ეკატერინე ჭავჭავაძის
როლები. ეს იყო აფხაზეთის თეატრის
მომავალი მსახიობის შესანიშნავი თამა-
ში და ეს თარიღი დაუვიწყარია არა მარ-
ტო თვით მსახიობის შემოქმედებითი ბიო-
გრაფიისათვის, არამედ თბილისის რუსუ-
ლი თეატრის ისტორიისათვისაც. სწორედ
ასეთი თარიღებითაა მდიდარი დღეს აფხა-
ზეთის თეატრი. იგი ხვალისდღე დღესაც
„აღჭურვილი“ ხვდება. დღეს მას ჰყავს
ძლიერი აქტიორული კოლექტივი, რომელ-
შიც ბევრი ნიჭიერი სცენური პოტენციის
მქონე, ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით
აღჭურვილი მსახიობია გაერთიანებული.
რა მოხდა მერე, თუ ყველა როლი, სტუმ-
რებმა რომ მაყურებელს უჩვენეს, თანაბ-
რი ძალით არ არის განხორციელებული.
ხელოვნება რთული სფეროა. ჩავარდნები
ჰქონიათ სტანისლავსკისაც და სხვა დიდ

მსახიობებსაც. მთავარია მსახიობთა სვერ-
თო დონე, ის, რომ ხელოვნებაში არ
არსებობს „თანაბარიანობა“, რთმ-ყოფელ
მსახიობში იგრძნობა მისი სამსახიობო
შესაძლებლობების პოტენცია, სცენური
ენერჯის შინაგანი მარაგი, ემოციური
განწყობილების ძალა. ზემოთ ნათქვამი
ეხება არა მარტო უფროსი თაობის წარ-
მომადგენლებს, არამედ საშუალო და უმ-
ცროს თაობასაც. აქვე უნდა ითქვას ისიც,
რომ დღეს შემოქმედებითი ცხოვრების
მთელი სიმძიმე მათ მხრებს აწევს.

დიახ. მე დავინახე შემოქმედებითი
კოლექტივის სიმწიფე. უკანასკნელ წლებ-
ში მსახიობები არა მარტო ასაკობრივად
გაიზარდნენ, არამედ შემოქმედებითადაც.
მათ შეიძინეს სოლიდურობა, ოსტატობა,
პროფესიონალიზმი. ეს მკლავნდება საგას-
ტროლოდ ჩამოტანილ სამივე სპექტაკლში
და, მიუხედავად იმისა, რომ სამ სპექ-
ტაკლში შეუძლებელია ამომწურავად
წარუდგინოთ თავი მაყურებელს თანაბ-
რი ძალითა და თანაბარი ოსტატობით
(ზოგიერთს უფრო მნიშვნელოვანი როლი
აქვს, ზოგიერთს ეპიზოდური), თავის გა-
მოჩენა მაინც ყველა მსახიობმა შესძლო,
რითაც ხელი შეუწყო შედუღებული
სცენური ანსამბლის შექმნას.

მე მინდა მოვიგონო და შეგახსენოთ
დებულება, რომელიც წამოაყენა სკკპ ცენ-
ტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს
წევრობის კანდიდატმა, საქართველოს
კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პი-
რველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შვეარდნაძემ
პირველადი პარტიული ორგანიზაციების
მდივნების თათბირზე, სადაც იგი ხაზგას-
მით ლაპარაკობდა შემოქმედების მოქალა-
ქეობრივ და პარტიულ პოზიციაზე, მის მო-
ნაწილეობაზე პარტიის მუშაობაში, იმ ამ-
ბავზე, რომ, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს
იშვიათად იგონებენ წარსულში მოღვაწე
ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარ-
გების მუშაკების პარტიასთან ერთიანობის
შესანიშნავ მაგალითებს.

ამხ. ე. ა. შვეარდნაძის სიტყვები პროგ-
რამული უნდა გახდეს ჩვენი კულტურის
ყველა მოღვაწისათვის, ყველასათვის, ვინც

მუზას ემსახურება, იქნება ეს ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა თუ საკულტურა.

აფხაზეთის თეატრის კოლექტივს კარგად ესმის ყოველივე ეს. ამის დამადასტურებელია მისი რეპერტუარი. ამ რეპერტუარში ჩანს თეატრის პოზიცია, მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, დღევანდელი პრობლემებისა და საჭიროო-ტო საკითხებისადმი. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის მოქალაქეობრივი, პარტიული, ღრმად ხალხური პოზიცია.


სამი სპექტაკლი. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან თემატიკითაც, წარჩინადაც და რეჟისურითაც. მიუხედავად ამისა, მათ მაინც აერთიანებთ რაღაც საერთო, გადამწყვეტის მთლიანობა, სტილისტური ერთიანობა. ყოველ სპექტაკლს აქვს არსებობის თავისი ლოგიკა, თავისი სცენური სახეობრიობა.

პირველად აფხაზმა მეგობრებმა მაცურებელს უჩვენეს „წყაროს ხმა“, რომლის ავტორია შ. აჯინჯალი და რომელიც ეძღვნება თანამედროვე თემას. თემა მოწოდებულია რეტროსპექტულად. წარსული მაცურებლამდე მოგონების სახითაა მოტანილი. პიესაში ერთმანეთს ერწყმის წარსული და აწმყო, ისინი გადახლართული არიან მჭიდროდ და ქმნიან ურთიერთკავშირს. წარსული მოგონებაა, აწმყო — ცხოვრების დამკვიდრება, მისი პერსპექტიული განფენა დროში. ორივე საწყისი — წარსულიც და აწმყოც — გამსჭვალულია სამშობლოსადმი, საკუთარი მიწაწყლისადმი სიყვარულით. დამაჯერებლად და ლამაზად ჟღერს ლაქერბაის ხმა, რომლის როლსაც ა. აგრბა ასრულებს: „ვინც სამშობლოს შეჭირვების ჟამს მიატოვებს, იგი ვერასოდეს იპოვის ბედნიერების გზას“. ეს სიტყვები, რომლებიც შ. აჯინჯალის პიესის ძირითადი იდეაა. რეჟისორ დ. კორტავას ძირითადი იდეაც გახდა. სწორედ ამ სიტყვებში იპოვა მან პიესისა და სპექტაკლის ძირითადი აზრის გასაღები. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ლიტერატურამ და თეატრმა ბევრი მაგალითი იცის იმისა, თუ როგორ უნდა იქნას გააზრე-

ბული მოქალაქეობრიობისა და პატრიოტიზმის თემა. რატომღაც მაგონდება ბერსენევი სპექტაკლიდან „რღვევა“ ამ პიესის გმირი მთელი თავისი ფესვებითა დაკავშირებული სამშობლოსთან და რევოლუციასთან იგი სწორედ ამ სიყვარულის გამო მოდის. ავიღოთ მეორე მაგალითი, ვერშინინი ეს. ივანოვის პიესიდან „ვავშნოსანი 14—69“, ან თუნდაც ანზორი ს. შანშიაშვილის ამავე სახელწოდების პიესიდან. მათაც თავიანთი ცხოვრება იმიტირებდა დაუკავშირეს რევოლუციას, რომ სამშობლო, თავიანთი ხალხები უყვარდათ და მათთან სისხლითა და ხორციით იყვნენ დაკავშირებულნი.

ფიქრობ, აზრი, რომელიც აჯინჯალის პიესაშია ჩაქსოვილი, კიდევ უფრო მძაფრად უნდა აჟღერებულყო სპექტაკლში. პიესაში სოციალური მოტივები ყოველმომცველია და ადამიანების ბედთანაა დაკავშირებული. ეს კი მსახიობებსა და რეჟისორს საშუალებას აძლევთ შექმნან სხვადასხვაგვარი სცენური მოქმედება, გამოამზეფონ თავიანთი ფანტაზია. სამწუხაროდ, რეჟისორი ამ შესაძლებლობას ყოველთვის ვერ იყენებს ბოლომდე. სპექტაკლს უდავოდ აკლია ფსიქოლოგიური სიღრმე. მოქმედების ხშირი ცვლა, წარსულიდან აწმყოში გადმოსვლა თხოულობს აქტიორთა მუდმივ ტრანსფორმაციას, მაგრამ სპექტაკლში სწორედ ეს ტრანსფორმაციაა სქემატური. მსახიობს ზოგჯერ უჭირს თვალყური ადევნოს მოვლენათა განვითარების ლოგიკას, ხოლო რეჟისორი და მხატვარი (კოტილიაროვი) დიდად ვერაფრით ეხმარებიან მათ. სპექტაკლის საერთო გადაწყვეტა ვერ ეხმარება გმირების ყოფით ურთიერთობას, რის გარეშეც ამ პიესას არსებობა არ შეუძლია. გარდა ამისა, შეინიშნება მიზანსცენების წინასწარ გაპირობებულობა, მათი სტატიურობა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მასობრივ სცენებში. ისინი უფრო ოპერის მასობრივ სცენებს გვაგონებენ, სადაც მოქმედება მასისაგან დამოუკიდებლად ვითარდება. ხოლო მასობრივი სცენების მონაწილენი არიან ჩართულნი სპექტაკლის ქსოვილში.

ეს არის სპექტაკლის ყველაზე სუსტი მხარე. ახლა ამის გამოსწორება შეუძლებელია, მაგრამ მომავალში რეჟისორმა



უნდა იფიქროს იმაზე, რომ უფრო ფაქიზად გამოიყენოს გამომხატველ საშუალებათა ერთიანობა და მასში მსახიობთა მონაწილეობის შესაძლებლობა.

სპექტაკლში მონაწილეობენ თეატრის საუკეთესო ძალები, მაგრამ რეჟისორმა ისინი საკმარისად ვერ გამოიყენა იმ მომენტებში, რომლებზეც ლაპარაკი ზემოთ გვქონდა. ხანდახან კი თვით პიესა არ აძლევს შესაძლებლობას მსახიობებს ღრმა ფიქრისათვის, ზოგი რამის „შიგნიდან“ დახაზვა შეუძლებელია, ყველა სახე ბოლომდე გამოკვეთილი არაა, მათ ხასიათში იგრძნობა სქემატიზმი. ჩემის აზრით, თვით პიესაში არაა ბოლომდე განსაზღვრული მისი ჟანრი და საჭირო და საინტერესო პიესის ამ დრამატურგიულმა ხარვეზმა რეჟისორის მუშაობაზეც იქონია გავლენა.

სწორედ აქედან მომდინარეობს ის რიტმული მუხრუჭი, სპექტაკლში რომ იგრძნობა. რიტმისა და დინამიკის თვალსაზრისით სპექტაკლი თანაბრად არაა აგებული და თუმცა მსახიობები (მინდა გამოვყო როზა დბარი, რომელმაც შექმნა ახალგაზრდა ალიცეს უაღრესად მომხიბვლელი სახე. გენადი ბარბა, რომელიც ალხასის როლს თამაშობს, აზიზ აგრბა, მინადორა ზუხბა, შარახ ფაჩალია და ყველა მსახიობი, ეპიზოდურ როლებში რომ არიან დაკავებულნი — ოლა ლაგვილავა, მიხეილ კოვე, ლეო კასლანძია, ჩინგორ ჯენია და სხვები) თამაშობენ მთელი სულითა და გულით, ამჟღავნებენ მთელ თავიანთ გამოცდილებას და ოსტატობას, მაგრამ სპექტაკლი მთლიანობაში მაინც „ძველმოდურ“ პომპეზურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ბოლომდე ვერ აღწევს მიზანს და მაყურებელს ცოტათი აგულგრილებს კიდევ.

მეორე სპექტაკლი ო. იოსელიანის პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მიხედვით დადგმული წარმოდგენაა. როგორც ცნობილია, ამ პიესამ ჩვენი ქვეყნის ბევრი თეატრის სცენა მოიარა და ამის მიზეზი ისაა, რომ პიესა სცენური და დინამიურია, ცხადად და გარკვევითაა გამოკვეთილი სახეები, რაც რეჟისორსა და მსახიობებს მდიდარ მასალას აძლევს ფიქრისა და ძიებისათვის. ამ პიესას ჩვენი ქვეყნის მრავალი თეატრისათვის მოუტანია შემოქმე-

დებითი წარმატება და ყოველთვის ახარება მაყურებელ-მწყობრი და დრამატურ აზრებული დრამატურგიული მნიშვნელობით, რაც მაყურებელში იწვევდა თეატრის პოზიციასთან ზოლიდარობის გრძნობას.

სხვაგვარად, ალბათ, არც უნდა მომხდარიყო. პიესის თემა აქტუალური და ამალელებელია, რაც მარტო ყურს კი არ ხვდება, არამედ თავისი ცხოვრებისეული პრობლემატიკით მაყურებელს გულს უძგერებს. ამ თემატიკამ არ შეიძლება არ ააღელვოს თითოეული ადამიანი, ვისაც თავისი მშობლიური მხარე უყვარს, სუნთქავს მშობლიური მიწის პაერს და ცხოვრობს თავისი ხალხის ცხოვრებით. რომელთანაც მისი ზედ-იღბალი სისხლსორცეულადაა დაკავშირებული. ცხადია, პიესის სწორედ ამ თავისებურებამ, მისმა დამაჯერებლობამ დააინტერესა ბევრი თეატრი და შესაძლებლობა მისცა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ნაწარმოებში აღწერილი მოვლენებისადმი, რაც ბადებს სამშობლოსადმი სიყვარულის ღრმა გრძნობას და, ამავდროს, ხდის მას ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ჟღერადობის სცენურ ნაწარმოებად. ამ პიესაში თავიდან დევს საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურის გამდიდრების უზადო და საკვირველი მონაცემები. სხვას ვის უნდა დაედგა ეს პიესა, თუ არა აფხაზეთის ნაციონალურ თეატრს, რომელიც ქართული თეატრის მეზობლად ცხოვრობს, აღზრდილია სოციალისტური რეალიზმის საუკეთესო ტრადიციებზე, შემოქმედებით კოლექტივს, რომელიც, ალბათ, სხვებზე უკეთ იცნობს და გრძნობს თავისი ძმის — ქართველი ხალხის სულსა და ფსიქიკას. სწორედ ეს თეატრი უნდა ჩასწვდომოდა ქართველი კაცის სულიერ სამყაროს, ქართული სოფლის სპეციფიკას, მისი მცხოვრებლების აზრებს, იმედებს, სიხარულსა და მწუხარებას.

სპექტაკლი, რომელიც დადგა და მხატვრულად გააფორმა ი. მაცხოვანიშვილმა, დინამიურია და ისეა გათამაშებული, თითქოს ერთი ამოსუნთქვით შეიქმნა. მასში ბევრია საინტერესოდ ჩაფიქრებული, რიტმულად ზუსტად გააზრებული სცენა, რომლებშიც პიესის პრობლემატიკის სერიო-



უნდა იფიქროს იმაზე, რომ უფრო ფაქიზად გამოიყენოს გამომხატველ საშუალებათა ერთიანობა და მასში მსახიობთა მონაწილეობის შესაძლებლობა.

სპექტაკლში მონაწილეობენ თეატრის საუკეთესო ძალები, მაგრამ რეჟისორმა ისინი საკმარისად ვერ გამოიყენა იმ მომენტებში, რომლებზეც ლაპარაკი ზემოთ გვექონდა. ხანდახან კი თვით პიესა არ აძლევს შესაძლებლობას მსახიობებს ღრმა იფიქრისათვის, ზოგი რამის „შეგინდან“ დანახვა შეუძლებელია, ყველა სახე ბოლომდე გამოკვეთილი არაა, მათ ხასიათში იგრძნობა სქემატიზმი. ჩემის აზრით, თვით პიესაში არაა ბოლომდე განსაზღვრული მისი ჟანრი და საჭირო და საინტერესო პიესის ამ დრამატურგიულმა ხარვეზმა რეჟისორის მუშაობაზეც იქონია გავლენა.

სწორედ აქედან მომდინარეობს ის რიტმული მუხბრუჭი, სპექტაკლში რომ იგრძნობა. რიტმისა და დინამიკის თვალსაზრისით სპექტაკლი თანაბრად არაა აგებული და თუმცა მსახიობები (მინდა გამოვყო როზა დბარი, რომელმაც შექმნა ახალგაზრდა ალიცეს უალრესად მომხიბვლელი სახე. გენადა ბარბა, რომელიც ალხასის როლს თამაშობს, აზიზ აგრაბა, მინადორა ზუზბა, შარახ ფაჩალია და ყველა მსახიობი, ეპიზოდურ როლებში რომ არიან დაკავებულნი — ოლა ლაგვილავა, მიხეილ კოვე, ლეო კასლანძია, ჩინგორ ჯენია და სხვები) თამაშობენ მთელი სულითა და გულით, ამჟღავნებენ მთელ თავიანთ გამოცდილებას და ოსტატობას, მაგრამ სპექტაკლი მთლიანობაში მაინც „ძველმოდურ“ პომპეზურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ბოლომდე ვერ აღწევს მიზანს და მაყურებელს ცოტათი აგულჯარილებს კიდევ.

მეორე სპექტაკლი ო. იოსელიანის პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მიხედვით დადგმული წარმოდგენაა. როგორც ცნობილია, ამ პიესამ ჩვენი ქვეყნის ბევრი თეატრის სცენა მოიარა და ამის მიზეზი ისაა, რომ პიესა სცენური და დინამიურია, ცხადად და გარკვევითაა გამოკვეთილი სახეები, რაც რეჟისორსა და მსახიობებს მდიდარ მასალას აძლევს ფიქრისა და ძიებისათვის. ამ პიესას ჩვენი ქვეყნის მრავალი თეატრისათვის მოუტანია შემოქმე-

დებითი წარმატება და ყოველთვის აზარებდა მაყურებელს. მწყობრი და ღრმად აზრებული დრამატურგიული კონცეფციით, რაც მაყურებელში ინვეცდა თეატრის პოზიციასთან ლოლიდარობის გრძნობას.

სხვაგვარად, ალბათ, არც უნდა მომხდარიყო. პიესის თემა აქტუალური და ამალელებელია, რაც მარტო ყურს კი არ ხვდება, არამედ თავისი ცხოვრებისეული პრობლემატიკით მაყურებელს გულს უძგერებს. ამ თემატიკამ არ შეიძლება არ ააღელვოს თითოეული ადამიანი, ვისაც თავისი მშობლიური მხარე უყვარს, სუნთქავს მშობლიური მიწის ჰაერს და ცხოვრობს თავისი ხალხის ცხოვრებით. რომელთანაც მისი ბედ-ილალი სისხლსორცეულადაა დაკავშირებული. ცხადია, პიესის სწორედ ამ თავისებურებამ, მისმა დამაჯერებლობამ დაინტერესა ბევრი თეატრი და შესაძლებლობა მისცა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ნაწარმოებში აღწერილი მოვლენებისადმი, რაც ბადებს სამშობლოსადმი სიყვარულის ღრმა გრძნობას და, ამავე დროს, ხდის მას ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ჟღერადობის სცენურ ნაწარმოებად. ამ პიესაში თავიდან დევს საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურის გამაღვივების უზადო და საკვირველი მონაცემები. სხვას ვის უნდა დაედგა ეს პიესა, თუ არა აფხაზეთის ნაციონალურ თეატრს, რომელიც ქართული თეატრის მეზობლად ცხოვრობს, აღზრდილია სოციალისტური რეალიზმის საუკეთესო ტრადიციებზე, შემოქმედებით კოლექტივს, რომელიც, ალბათ, სხვებზე უკეთ იცნობს და გრძნობს თავისი ძმის — ქართველი ხალხის სულსა და ფსიქიკას. სწორედ ეს თეატრი უნდა ჩასწვდომოდა ქართველი კაცის სულიერ სამყაროს, ქართული სოფლის სპეციფიკას, მისი მცხოვრებლების აზრებს, იმედებს, სიხარულსა და მწუხარებას.

სპექტაკლი, რომელიც დადგა და მხატვრულად გააფორმა ი. მაცხოვნაშვილმა, დინამიურია და ისეა გათამაშებული, თითქოს ერთი ამოსუნთქვით შეიქმნა. მასში ბევრია საინტერესო და ჩაფიქრებელი, რიტმულად ზუსტად გააზრებული სცენა, რომლებშიც პიესის პრობლემატიკის სერიო-



ზულად გააზრებასთან ერთად გვხვდება კომიკური სიტუაციები და გროტესკიც კი. მიუხედავად დეკორაციების ერთგვარი სიმძიმისა და გაბარიტულობისა, მსახიობები კარგად და ზუსტად იყენებენ სცენურ მოედანს და ქმნიან სცენური თხრობის მსუბუქ და უშუალო გარემოს. დიდი სულიერი სიფაქიზით, ღრმა და დახვეწილი ადამიანურობით, ჭეშმარიტი არტისტიზმით გამოირჩევა სსრ კავშირის სახალხო არტისტის შარას ფაჩალიას (აგაბო ბოგვერაძე), და მისი უცვლელი პარტნიორის, აფხაზეთის თეატრის ერთ-ერთი ყველაზე სახელმძღვანელო მსახიობის, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მინადორა ზუხბას (კესარია) თამაში. მაყურებლის ყურადღებას სწორედ ეს დუეტი იპყრობს მათი სცენაზე გამოჩენისთანავე და განსაზღვრავს მოქმედების განვითარების ხასიათს, მთელ მის პერიპეტეხებს. თამამად, თვალმისაცემად, მწვავე სცენური გროტესკის მანერით და, ამავე დროს, მსუბუქად და უშუალოდ თამაშობს აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ეთერ კოლონია (ლანდა). კარგეს მცირე როლში ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ს. საქანია.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მსახიობთა ანსამბლი შედგება სხვადასხვა თაობის მსახიობებისაგან და თუ მ. ზუხბას და შ. ფაჩალიას მაღლა უჭირავთ უფროსი თაობის მსახიობთა კარგი ტრადიციების დროშა, ე. კოლონია და ს. საქანია, ხოლო მათ შემდეგ აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ალექსი ერმოლოვი (იოველი), სცენურად მომზიბვლელი რუში ჯაბუა (დიტო), იუმორის გრძნობითა და თეატრალური ფორმის ფაქიზი შეგრძნებით დაჯილდოებული ნ. ლაკობა (გოგოლა); აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვიქტორია მაანი (ჭუჭუხინა) და სხვები სპექტაკლში მათი ღირსეული მემკვიდრეები, დღევანდელი თეატრის ოსტატები არიან. ყველა ისინი აღზარდა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალურმა ინსტი-

ტუტმა და ისინიც თავის მხრივ ესტაფეტას გადასცემენ მსახიობთა ახალ თაობას. რ. დბარს (ვაგო), კ. ხაგბას (დურშიშხანი), ტ. ჩამაგუას (ბუხუტი), რომელთაც სპექტაკლში შექმნეს ცოცხალი სცენური სახეები.

ამგვარად, თაობათა ცოცხალი ურთიერთობა, პროფესიონალური სიძნელების დაძლევა, ეპოქის დონეზე სვლა, კოტე მარჯანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თანამედროვე ცხოვრების ტემპის“ შეცნობა ანიჭებს ძალას აფხაზეთის დრამატული თეატრის კოლექტივს და იგი თამამად მიაბიჯებს ხვალისდელი დღისაკენ.

მესამე სპექტაკლი, რომელიც სტუმრებმა თბილისელ მაყურებელს უჩვენეს, გახლავთ „აღორძინება“. ამ სპექტაკლმა, და აქ არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, მართლაც გაამდიდრა არა მარტო თეატრი, არამედ გაგამდიდრა ჩვენ, მაყურებელიც, და შემოქმედებითი კოლექტივის მუშაობაში ერთგვარი სიახლე შეიტანა. ეს არის პუბლიცისტური სპექტაკლი, თეატრალური პუბლიცისტიკა ამ სიტყვის კარგი გაგებით. სპექტაკლი ამაღლებს და მასშტაბურია, მას მასშტაბურობასვე ანიჭებს გაფორმებაც, შეიძლება ცოტათი მძიმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ბუნებრივი და გამართლებული. აქ ხომ ლაპარაკია რაღაც დიდზე, გრანდიოზულზე, მონუმენტურად ამაღლებულზე, რაც ხვალისდელი დღისაკენ არის მიმართული. სწორედ ეს ამართლებს სცენურ ხასიათებს და დადგმის მონუმენტურ გადწყვეტას. და, მიუხედავად იმისა, რომ თვით ეს ხერხები ახალი არაა, შეიძლება ყოველივე ეს ცნობილ სცენურ შტამპადაც კი იქცა, მაგრამ ამ შემთხვევაში გამართლებულია.

სპექტაკლი დადგა უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა ვ. ტერენტიევმა. სპექტაკლზე მუშაობის დროს მას ახსოვდა, რომ პუბლიცისტურ სპექტაკლში მსახიობს უჭირს სცენური სახის შექმნა, მისი ფსიქოლოგიის გახსნა, სულიერი ნიუანსების დანახვა და ბოლომდე მიტანა. სცენაზე ვხედავთ ქარხანას, რაიონს, ახალმშენებარე ობიექტებს, ყველაფერს თან ახლავს მასშტაბურობა. დიდი გაქანება, „მოცულობრიობა“.. ამ სპექტაკლის მთავარი საშიშროება ისაა, რომ ყოველივე ამაში შეიძლება



სცენა სპექტაკლიდან „სანამ ურემი გადაბრუნდება“

ავტორი დაიკარგოს. ამავე დროს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მშენებლობამ „სუნთქვა დაიწყო“, რომ ადამიანები მოარული სქემები კი არ იყვნენ, არამედ ცოცხალი, გამგებნიანი, გულითადი პიროვნებები.

ამ სპექტაკლში მშენებლობა მართლა „სუნთქავს“. ამ სუნთქვას ძლიერად გრძნობ, ისეთი გრძნობა გექმნება, თითქოს მშენებლობა წინ მიაბიჯებს, მასში იჭრება ომის გამოძახილი, ქვემეხების ქუხილი, რასაც თან ახლავს მუსიკა. თუმცა, მუსიკა ცოტათი ხმაურიანია და ეს ხმაურიც ზოგჯერ მაყურებლის ყურადღებას „იმ მხარეს“ არ ექაჩება. სპექტაკლში ბევრია საინტერესოდ აგებული სცენა. ცნობილია, რომ თეატრში ძალზე ძნელია კრების, თათბირისა და იმ პროცესების მოსმენა, რომლის მონაწილენიც ჩვენ ცხოვრებაში ხშირად ვართ, სცენაზე ყველაფერი ეს ხშირად მშრალად და დიდაქტიკური ტონალობით ხდება. საინტერესო იყო, როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში რეჟისორი, შესძლებდა თუ არა კრების მსვლელობისთვის მოეძებნა შესაბამისი სცენური ფორმა? და უნდა ითქვას, რომ რეჟისორმა ვ. ტერენტიევმა ეს შესაძლო. კრება მიმდინარეობს ცოცხლად, ტემპში, მსახიობებიც საჭირო რიტმს არ ლა-

ლატობენ, ცხადად და დინამიურად გამოთქვამენ აზრს, გვიხსნიან თავიანთი სულის საწყისებს.

სპექტაკლში ნაპოვნი ადამიანების სახეები არ დაკარგულა. ყველას აქვს თავისი ამოცანა და თითოეული მათგანი მას სცენური სიმძაფრით წყვეტს.

თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი ალიოშა ერმოლოვი ქმნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახეს. ა. ერმოლოვს დიდი სცენური გამოცდილება აქვს, შეუქმნია მრავალი საინტერესო სახე და მან ამ ძნელ და საპასუხისმგებლო როლსაც ღირსეულად გაართვა თავი. მსახიობმა შესძლო იმ ადამიანის სახის შექმნა, რომელიც შინაგანად რთული პიროვნებაა, ჩასწვდა მის ხასიათს, ძალისხმევას, დაგვანახა მისი ამოუწურავი ენერჯია, ერთგულება პარტიისა და ხალხისადმი. დიდი გრძნობით თამაშობენ ნ. კამკია (ქარხნის დირექტორი), მოსაწონია ს. საქანია, ა. ავიძბა. ოსტატის კოლორიტული სახე შექმნა ა. აგრაბამ, მშვენიერია ტ. გამგია ალიონას როლში, კარგად ითამაშა ვ. მაანმა გალინა ერმოლოვნას როლი, ნათლადაა გამოკვეთილი სმელანსკაიას სახე, რომელსაც ქმნის ს. აგუმაა. ეს არის რთული სახე და მან შესძლო გმირისათვის საჭირო ხასიათის მინიჭება. რაც

შეეხება ს. აგუმაას. მე მას ვუსურვებ ახალი როლების თამაშს, იგი ღირსია იმისა, რომ სოხუმის თეატრში მეტი როლი ითამაშოს.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ა. მუკბას თამაში, ამ სპექტაკლში ჩემთვის იგი სხვაგვარად გაიხსნა. ძალზე შთამბეჭდავი იყო მისი მეთაური, მან შესძლო ეჩვენებინა ადამიანის სულიერი მშფოთვარება, მისი განცდები, რთული სულიერი პერიპეტეიები და ჩემთვის ეს დიდად ფასეული და ძვირფასია. ეს არის შესანიშნავი მსახიობი შესანიშნავი სცენური მონაცემებით. ამიტომ იგი უფრო ინტენსიურად უნდა ჩართონ თეატრის მუშაობაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახე, რომელიც შექმნა ე. კოლონიამ. სახე ისეა ჩაფიქრებული, რომ ერწყმის მასას და იგი ამ მასის ცენტრშია. სპექტაკლში არის ასეთი ფრაზა — ვინ არის ჩვენს შორის მთავარი? ცხადია, რომ მთავარია ე. კოლონიას გმირი. ამავ დროს მსახიობი ისეთი მანერით თამაშობს, რომ სხვა მსახიობთა შესაძლებლობას ჩრდილს არ აყენებს. სპექტაკლში არის დრამატულად ძლიერი სცენები, ცალკეული იუმორის შემცველი სცენები და მსახიობი ყველაფერ ამას შესანიშნავად ართმევს თავს.

სასიამოვნო იყო ირინე კოლონიას ხილვა სცენაზე. მართალია, იგი პატარა, მშრალ „ცისფერ“ როლს ასრულებს, მაგრამ აქვს მომხიბვლელი სცენური გარეგნობა და კარგად უჭირავს თავი სცენაზე. შესანიშნავად გამოიყურება მ. ჯოპუა, მაგრამ საინტერესო როლს ანხორციელებს სცენაზე კ. ახბა, რომელმაც ასევე კარგად შეასრულა სპექტაკლში „სანამ ურემი გადაბრუნდება“ თავისი როლი. გამახსოვრდება შ. გიცბა, ს. კობახია, რ. საბუა, ლ. ავიძბა, ო. ლავგილავა.

მე შემთხვევით არ დამინყია თავიდანვე საუბარი ფსიქოლოგიზმებზე. ახლა მოდოდ იქცა თანამედროვე თეატრში ორი მმართველების დანახვა: ერთის მხრივ ფსიქოლოგიური თეატრი, მეორეს მხრივ კი — პირობით-მეტაფორული. ამას წინათ ჩვენს ქალაქში გამართულ საკავშირო ახალგაზრდულ თეატრების ფესტივალის შემაჯამებელ თათბირზე თითქმის ყველა მომსხენებელი სწორედ ამგვარად აყალიბებდა

თავის აზრებს. ჩემის აზრით ეს არის პირობითი დაყოფა, რასაც მხარი არ უჭირავს დაუჭიროს თეატრმა და თეატრალურმა პრაქტიკამ. თავისი ბუნებით თეატრალური ხელოვნება — პირობითი ხატოვნებაა და საქმე ისაა, რა გზით მოხვალ ამ პირობითობასთან. პირადად ჩემთვის არ არსებობს გზა, რომელიც ზერელედ მიგვიყვანს ნებისმიერ თეატრალურ შედეგამდე, და თუ გინდ ყველაზე ბრწყინვალე მეთაფორამდე. უპირველეს ყოვლისა, ავტორი უნდა ცოცხლობდეს სცენაზე, ღრმად სწვდებოდეს თავისი გმირის ქცევის შინაგან, ქმედით მხარეს და სტანისლავსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, გახსნას „ადამიანის სულის ცხოვრება“. ამას გვასწავლიდნენ ჩვენ სტანისლავსკიც, ნემიროვიჩ-დანჩენკოც, მეიერჰოლდიც, მარჯანიშვილიც, ახმეტელიც და ჩვენი თანამედროვე რეჟისორებიც — ვ. ყუშიტაშვილი, დ. ალექსიძე ა. ჩხარტიშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვები. სტანისლავსკი ამბობდა: დაე, მსახიობს შტონდეს სამი ცხვირი და ოთხი თვალი, მთავარია, ეს იყოს შინაგანად გამართლებული, თუ სახე შექმნილია, თუ აქტიორული ცხოვრების ლოგიკა საფუძვლიანად ვითარდება, მაშინ ყბადაღებული ფსიქოლოგიზმიც „თავის თავთან“ კი არ რჩება. არამედ ერწყმის მოვლენათა ლოგიკას და გამოხატავს ამ მოვლენათა სიღრმეს. სწორედ აქეთვე უნდა ისწრაფოდეს თეატრი, მისი რეჟისურა და მსახიობები, ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, უნდა ვეცადოთ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ მოხდეს სიტყვის, ბგერის, ხმაურის ფორსირება. ამას თავი უნდა დავაღწიოთ და ვეძებოთ სცენური გმირის ბუნებაში ღრმად შესაღწევი გზები. სხვა ყველაფერი თეატრს აქვს. სხვა ყველაფერი, როგორც იტყვიან, „ღვთისაგან“ აქვს ბოძებული.

აფხაზურ თეატრს აქვს ნიჭი, გამოცდილება, პროფესიონალიზმი, ტრადიციები, წინსვლის სურვილი, ჰყავს ძლიერი შემოქმედებითი კოლექტივი, აქვს დიდი შესაძლებლობანი და აქვთ კიდევ აფხაზებს შესანიშნავი სიტყვა „აიაირა“. ასე, ჩემო მეგობრებო, „აიაირა“!

თანამედროვე ქართული კინოს

სტილის თავისებურებათა

საკითხისათვის

ირინე კუჭუხიძე

თუ შევეცდებით თანამედროვე კინემატოგრაფიული პროცესის (საუბარი გვაქვს მრავალეროვან საბჭოთა კინოზე) თუნდაც ზოგიერთი თავისებურების გაანალიზებას, უპირველეს ყოვლისა უთუოდ შევნიშნავთ მის მასშტაბურობას, მრავალმხრივობას, სულ უფრო მზარდ საზოგადოებრივ, კულტურულ და ესთეტიკურ მნიშვნელობას. მეორეს მხრივ, თანამედროვე კინემატოგრაფიული განვითარების ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად უნდა ვაღიაროთ მოძმე ეროვნულ კინემატოგრაფიათა შემდგომი სულიერი და შემოქმედებითი ერთიანობის განტიციება, მათი ინტერნაციონალური საფუძვლის გამყარება.

საბჭოთა კინოხელოვნების მრავალფეროვნების ნათელსაყოფად კინომცოდნეობა იკვლევდა და იკვლევს მის იდეურ, თემატურ, პრობლემურ თუ ფარულ ნიშნებს. მაგრამ უკანასკნელ წლებში კვლევის ერთ-ერთ წამყვან ასპექტად იქცა სტილის ასპექტი და ეს კანონზომიერება: სტილის შესწავლა გზას ხსნის, ერთის მხრივ, ნაწარმოების ესთეტიკური მთლიანობის შეხაცნობად, მეორეს მხრივ კი, კინემატოგრაფიული პროცესის კანონზომიერებათა გასაზრებლად.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ინტენსიურია თითოეული ეროვნული კინოხელოვნების განვითარება, მით უფრო მდიდარი და მრავალმხრივი ხდება მრავალეროვანი საბჭოთა კინემატოგრაფი. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ კინემატოგრაფიათა განვითარების სწორედ ასეთი ინტენსიური პროცესი შეინიშნება უკანასკნელ 15-20 წლის მანძილზე. ჩვენი კრიტიკის მიერ უკვე ფიქსირებულია ცალკეული რესპუბლიკების კინემატოგრაფიათა აღმავლობის ფაქტი. ქართულ კინოზე დაიწერა არცთუ ისე ცოტა წიგნი, სტატია... განსაკუთრებით ღრმად და ყოველმხრივ არის განხილული მისი განვითარების ისტორიული ასპექტი. ამ ნაშრომებს შორის უნდა აღინიშნოს კ. წერეთლის „ეკრანის სიუჟეტი“, ნ. ამირჯიანის „ქართული კინოს გარეგანი“, ო. თაბუაშვილის „ნიკოლოზ შენგელაია“, ქართული კინოს ისტორიის

მოკლე მიმოხილვა „საბჭოთა კინოს ისტორიის“ ოთხტომეულში.

ჩვენი კინომცოდნეობა ქართული კინოს განვითარების თანამედროვე ეტაპის გააზრებასაც ცდილობს. რესპუბლიკურ ეურნალებში სისტემატურად იბეჭდება პრობლემური და მიმოხილვითი ხასიათის წერილები, შემოქმედებითი პორტრეტები, რეცენზიები. მს. იანა წლების კინოპროცესის პანორამა წარმოდგენილია რ. თიანათის („ქართული კინო. პრობლემები, ძიებები...“), კ. წერეთლის („ძიებები და მიღწევები“) წიგნებში. მიუხედავად ამისა, ეროვნული კინოხელოვნების მრავალი პრობლემა ჯერ კიდევ გასაშუქებელია კინომცოდნეობით ლიტერატურაში. მაგალითად, ჩვენში თითქმის არ ყოფილა ცდა თანამედროვე ქართული კინოს ეროვნული თავისებურებების, მისი უპირადი თუ სტილისტური მიდრეკილებების დადგენისა.

სტილური განვითარების თვალსაზრისით კინოხელოვნების რაიმე კონკრეტული გამოკვლევის რეზულტატი დიდადაა დამოკიდებული საკუთრივ სტილის თეორიის დამუშავების ხარისხზე, მისი ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების სისწორეზე.

კინოთეორია, უმთავრესად, ეყრდნობა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში შემუშავებულ ძირითად ტაქსოლოგიურ პრინციპებს და სტატურ მიმდინარეობათა კლასიფიკაციის სისტემას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტილის პრობლემებისადმი ასეთი ცხველი ინტერესის მიუხედავად, ლიტერატურის თეორიაში ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვაობა სტილის განსაზღვრაში, ხშირია კამათი ათავად „სტილის“ ცნების არსის გამო.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ყველა თვალსაზრისის ჩამოთვლას, ვიტყვით მხოლოდ, რომ წამყვან ესთეტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომებში თვალსაჩინოა ორი განსხვავებული თვალსაზრისი ორ საკითხზე: 1) ნაწარმოების რა სტრუქტურული ელემენტები შეადგენენ მის სტილს და 2) შესაძლებელია თუ არა სტილურ მიმდინარეობათა არსებობა, თუ სტილი — ინდივიდუალური მოვლენაა?



ერთნი თვლიან, რომ ნაწარმოების სტილს ავალილებს როგორც შინაარსივით მხარე (თემა, ხასიათობი, იდეები), ისე ფორმისეული ელემენტები (მხატვრული სახეები, კომპოზიცია, ენა).

მეორე თვალსაზრისის თანახმად სტილი უაღიბდება მხატვრული ფორმის სხვადასხვა ელემენტებიდან. ამგვარი გააზრების მიმდევარა სტილი ესმით როგორც შინაარსის გამოხატვის თავისებურება.

ამ თვალსაზრისის მრავალი ლიტერატურათმცოდნე იცავს და მათ შეზღუდულებებს სტილის არსის თაობაზე ჩვენც ვეთანხმებით.

მეორე ჯგუფის კამათი სტილის გარშემო ამ ცნების მოცულობას ეხება.

ავტორთა ნაწილს მართებულად არ მიაჩნია სტილურ მიმდინარეობათა შესახებ საკითხის დასმა. მათი თეორიით, შეიძლება ითქვას, აბსოლუტიზირებულია ინდივიდუალური სტილი, როგორც მრავალფეროვნების ერთადერთი წყარო.

მეორე თვალსაზრისის მომხრენი აღიარებენ ცალკეულ ნაწარმოებთა სტილურ მსგავსებას, აქედან გამომდინარე კი ლიტერატურასა და ხელოვნებაში სტილურ მიმდინარეობათა არსებობასაც ცნობენ.

უკანასკნელი წლების კინომოდერნიზმის შრომებში შესამჩნევია საბჭოთა კინოს სტილური განვითარების საერთო კანონზომიერებათა აღიარება. ა. მაჩერეტის აზრით „არ შეიძლება საწივს დებულვებად მივიღოთ ის, რომ სოციალისტური რეალიზმის ფარგლებში არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური სტილი და ფორმათა თვალშეუვლები მრავალფეროვნება, და თავი ავარდოთ საკითხს სხვადასხვა ესთეტიკურ სისტემათა შესახებ“.

საყურადღებოა ლ. კოლუვის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც „სტილი მხოლოდ ინდივიდუალური რელია, იგი არ დაიკავანება მხოლოდ განსხვავებულობამდე ან ვანუშეირებლობამდე. სტილის სფეროში აუცილებლად იჩენს თავს ინდივიდუალურთა საერთო ნიშნები. ეს კი გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ არა მხოლოდ მკვანი მხატვრის სტილზე, არამედ ისეთ ერთობლიობებზე, როგორცაა „მიმდინარეობის სტილი“, „ეროვნული სტილი“, „ეპოქის სტილი“. სტილის სფეროში ინდივიდუალურთა ერთიანობის პრობლემას... არსებითი მნიშვნელობა აქვს კინოხელოვნების განვითარების პროცესში“.

გამოცდევებში, რომლებიც ლიტერატურისა და ხელოვნების სტილური განვითარების ტაოლოგიის საკითხებს ეხება, სტილურ მიმდინარეობათა კლასიფიკაციის ცდისას, ხშირად გვხვდება ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება. მაგრამ განსაზღვრათა და კონცეფციათა მრავალფეროვნებაში შეინიშნება შედარებით მყარი კატეგორიები, რომელთა არსებობასც ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის მანძილზე მრავალი თეორეტიკოსი აღიარებს. თუმცა ისიც უდავოა, რომ ეს კატეგორიები მუდმივ მოძრაობაში იმყოფებიან, იცვლებიან და ყოველ მნიშვნელოვან ნაწარმოებში განუმეორებელი თავისებურებებით ულინდებიან. მიუხედავად ამისა, ხელოვნებაში განმეორებადი, მყარი კანონზომიერებანიც არსებობენ (მხედველობაში გვაქვს მხატვრული აზროვნების სხვადასხვა ფორმები). სტილების ტაოლოგიკა, ხელოვნებაში ფართო სტილურ ერთობლიობათა აღ-

მოჩენა, უფრო ხშირად წწორედ მხატვრული აზროვნების სხვადასხვა ფორმათა თავისებურებებზე უნდა კანონზომიერებებს ეყარება.

ქერ კიდევ ბელინსკი, „რეალურ“ და „იდეალურ“ პოეზიაზე საუბრისას, ფაქტიურად, აღიარებდა მხატვრული აზროვნების ორ განსხვავებულ ტიპს, რასაც შეესატყვისება ეპიკური (ობიექტური) და ლირიული (სუბიექტური) სტილები.

სუბიექტურისა და ობიექტურის კატეგორიები, როგორც ყველა სტილურ დინებთა თუ ინდივიდუალურ სტილთა საფუძველი, ხშირად ფიგურირებს თეორიულ ნაშრომებში. მაგალითად, სტილის განსაზღვრისათვის ობიექტურისა და სუბიექტურის კატეგორიის „უდიდეს მნიშვნელობას“ აღიარებს ა. ლი-სევიკი.

სინამდვილეში, ადვილი შესამჩნევია, რომ ხელოვნება რამდენიმე სრულიად გარკვეული ფორმით „აზროვნებს“. ეს ფორმები განუყოფელიყო მეორედებიან. ხელახლა აღმოცენდებიან, მაგრამ ამ ცვლილებების მიუხედავად, მანაც შეიძლება მათი დაუკანა ფართო ტაოლოგიურ ერთობლიობებამდე.

ქერ კიდევ 1927 წელს კრებულში „კინოს პოეტიკა“ ვ. შულოვსკი წერდა „კინემატოგრაფის ორი პოლუსის“ შესახებ, რაშიც გულისხმობდა წწორედ საზოგადოების განსხვავებულ ტიპებს, მხატვრული განზოგადების განსხვავებულ ფორმებს. ეს ორი პოლუსი შულოვსკის მიერ კლასიფიცირებული იყო როგორც „ობიექტური“ და „პროზაული“ კინო.

სხვადასხვა დროს ეს ორი ცნება ტერმინოლოგიურად სხვადასხვაგვარად ფიგურირებდა საბჭოთა კინომოდერნობაში, მაგრამ ეს მათ ძირითად ნიშნებს, მათ არსს არ ცვლიდა. სტილისტიკის თვალსაზრისით ეს ორი ცნება უკავშირდებოდა, ერთის მხრივ, „დოკუმენტალურ“ ესთეტიკას, „ფოტოგრაფიულ“ და „წარმომსახველ“ კინოს, მეორეს მხრივ — „მეტაფორულ“, „გარდამსხველ“, „ფერწერულ“, „ლირიკულ“ და ა. შ. კინემატოგრაფს.

სტილური სისტემების, საზოგადოების ტიპების თუ მხატვრული განზოგადების ფორმების ტერმინოლოგიური მრავალფეროვნების მიუხედავად, ავტორთა უმრავლესობა აღიარებს, რომ სტილურ მიმდინარეობათა ბუნებაში ყველაზე მყარია ის კლასიფიკაცია, რომელიც ეყარება სტრუქტურას „ობიექტურ-სუბიექტური“ ანუ (რაც იგივეა) — „ეპიკური-ლირიკული“, „პროზაული-პოეტური“.

ყველა დროისა და ხალხის ხელოვნების ინდივიდუალური სტილთა ჭაოსში, — წერს ა. ელიაშვიკი, — შეინიშნება ერთი ძალზე მნიშვნელოვანი კანონზომიერება: რაოდენ განსხვავებულაც არ უნდა იყოს ნაწარმოებში შეცონისა და შეჯახის მომენტები, ისინი ყოველთვის უაღიბდებათ როგორც დაქვემდებარება ობიექტური ელემენტისა სუბიექტურისადმი ან პირიქით, სუბიექტურისა — ობიექტურისადმი“.

თვის ფუნდამენტურ ნაშრომში „მიმეზისი“ დასახლები გერმანელი ლიტერატურათმცოდნე ე. აუერბახი ცდილობს გამოავლინოს სინამდვილის ასახვის ორი ძირითადი ტიპი, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია, აქედან გამომდინარე „ი სტილის ორი ტიპი, რომლებიც, მისი აზრით, სახეშე-



ცვლილი ფორმით თავს იჩენენ ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მართალია, ავტორი ტერმინოლოგიურად არ განსაზღვრავს ამ ორ ტენდენციას, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს ზოგადად უკავშირებს „სინამდვილის მიმბაძველობას“, ხოლო მეორეს — ხელოვნების უნარს გამოხატვის კეუმარტობას.

კინემატოგრაფის მიმართ მსგავს აზრს ავითარებს ლ. კოზლოვი, რომელიც წერს: „კინემატოგრაფიული პოეზიისა და კინემატოგრაფიული პროზის ცნებები გაჩნდა 20-იან წლებში, იმდროინდელი კინემატოგრაფების გამოცდილების საფუძველზე. მაშინ ეს ცნებები თეორიულად განსაზღვრული იყო და ემპირიულად დასაბუთებულად.“

მაგრამ... მათ კეუმარტო აზრს ხსნის კინემატოგრაფის ხანგრძლივი განვითარების პერსპექტივა, ისტორია წარმოიქმნა ამ ცნების არა მარტო ცვალებად და სულ უფრო კონკრეტულ შინაარსს, არამედ რეალურ პრაქტიკაში პოეტური და პროზული საწყისების ურთიერთშემოქმედების ხასიათსაც.“

არსებითად იგივეს წერს „ფილმის ესთეტიკის შესავალი“ (1972) ე. ულანი. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი სხვა ტერმინებს („პირობითობა“ და „დოკუმენტურობა“) მიმართავს.

ამგვარად, სხვადასხვა მკვლევართა აღიარებით, სახოვანების ტიპები (როგორც სტილის წარმომქმნელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორები) განსაზღვრული სახით შეიძლება ლიტერატურისა და ხელოვნების, კერძოდ — კინოხელოვნების ისტორიაში, მაგრამ შეორღებიან არა როგორც განმეორება, არამედ როგორც სახის კონსტრუქციის მსგავსი პრინციპი. საბჭოთა კინოს ისტორია იძლევა თვალსაჩინო სურათს მხატვრული აზროვნების ფორმათა ორი ძირითადი ტიპის თანარსებობისა, მათი მრავალფეროვნებისა, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ ორი ტენდენციის ურთიერთშემოქმედებისა და ურთიერთგავლენისა, რაც საბოლოო კამში, გვამდევს მრავალფეროვან, სინთეტურ ნაწარმოებებს.

თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთ ნიშანდობლივ ტენდენციად სწორედ სინთეზისავე სწრაფვა შეიძლება მივიჩნიოთ... ხშირად ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს (მათ შორის — კინონაწარმოებებს) გამოარჩევს საოცარი სიმდიდრე მხატვრული ქსოვილისა, რომელშიც პარაზიტიულად თანარსებობენ განსხვავებული ზერხები, ინტონაციები, და მანერა, ამ მხრივ ყველაზე რთულ ნაწარმოებშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ის სტილური დომინანტა, რომელიც აწესრიგებს მთელ ამ სტრუქტურას, უზრუნველყოფს ნაწარმოების მთლიანობას მისი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების მრავალფეროვნების მორეგდავად.

როდესაც ვაღიარებთ საბჭოთა კინოში სტილურ მიმდინარეობათა არსებობას, აქედან გამომდინარე კი მათი ტიპოლოგიის აუცილებლობას, ჩვენ ამასთანავე, მიგვანია, რომ ამ სახის კლდე უნდა ემყარებოდეს ცალკეულ ხელოვნათა შემოქმედების შესწავლას, მათ ნაწარმოებთა ანალიზს.

ვფიქრობთ, ქართულ კინოში ძნელი აღმოსაჩენი არ არის სახოვანების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ტიპის ნაწარმოებები.

ერთ შემთხვევაში (ობიექტურის შირობრტეტი) ნაწარმოებს საფუძვლად უდევს მოვლენიერებას, ხასიათთა განვითარების შედეგებით ობიექტური მოვლენების გაცხადება, ასეთ ნაწარმოებებში უფრო ძლიერია ანალიტიკურობა, სოციალური და ფსიქოლოგიური დეტერმინირება.

სახოვანების მეორე ტიპის დომინანტს წარმოადგენს შეფასებითი მომენტის, პოეტური საწყისის გაძლიერება, რომანტიკული ტიპიზაცია.

რომანტიკულ ტიპიზაციაში ვგულისხმობთ იმ თავისებურებას, რომელიც გამოიხატება პირობითობის გაღრმავებით, სუბიექტურობა და ობიექტურობის თანაფარდობაში სუბიექტურის სიჭარბით, ხოლო მხატვრული სახეები და ხასიათები ასეთ ნაწარმოებებში წარმოდგენილია არა მორალურ-ფსიქოლოგიური განუმეორებლობით, არამედ როგორც უფრო ფართო განსოვადება — სოციალური, ეროვნული, ისტორიული.

აღნიშნული ტენდენციები ერთმანეთისაგან იზოლირებულნი არ არიან. მათ შორის არ არის მკაფიო ზღვარი. ქართული კინოს გამოცდილება ცხადყოფს მათ ურთიერთშემოქმედებას და გავლენას. ხელოვნების ნებისმიერი ტიპოლოგიის და მათ შორის სტილურ მიმდინარეობათა ტიპოლოგიის ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ ხელოვნების ნაწარმოები რთული სტრუქტურაა, რომელიც ერთმნიშვნელოვან ტიპოლოგიურ ჩარჩოში ვერ მოთავსდება. საერთოდ ხელოვნება ძნელად ექვემდებარება მკაცრ სისტემატიზაციას, ამიტომ კონკრეტული მასალის კვლევის პროცესში აღმოჩენილი ნებისმიერი სტილური მიმართულება მოძრაობს და ამდენად, მისი განსაზღვრვა მიახლოებითია. მეორეს მხრივ, ტიპოლოგიის უარყოფა, მის მიმართ უნდობლობა ხელოვნებათმცოდნეობას აქცევს ლოგიკური და ისტორიული არსით იზოლირებულ, ურთიერთგათავსებელ მოვლენათა ერთობლიობად.

ამ თუ იმ ეროვნული კინემატოგრაფიის ან ცალკეული ოსტატის სტილის თავისებურებათა გამოსავლენად, ვფიქრობ, საჭიროა არა ფორმალური განსაზღვრა ამა თუ იმ სტილური მიმართულებისადმი მისი კუთვნილებისა, არამედ ნაწარმოების განხილვა ობიექტურ-სუბიექტური სტრუქტურის თვალსაზრისით სხვადასხვა დონეზე (ვგულისხმობ სიუჟეტს, ტიპიზაციის პრინციპს, პლასტიკურ გადაწყვეტას...). ასეთი განხილვის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს სუბიექტური და ობიექტური განწყობის შესწავლა ან შესატყვისობა. უფრო ზუსტად, ნაწარმოები შეიძლება იყოს სუბიექტური სიუჟეტისა და ტიპიზაციის პრინციპების თვალსაზრისით, მაგრამ ობიექტური — სახვითი ფაქტორით. ან პირიქით, ობიექტური — სიუჟეტით თვალსაზრისით და სუბიექტური — პლასტიკური გადაწყვეტით, ან კიდევ, სუბიექტურიცა და ობიექტურიც ორივე სფეროში.

ამგვარად, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მხატვრულ ფორმათა მრავალფეროვნების მიუხედავად, თანამედროვე ქართულ კინოში შეინიშნება საერთო ხასიათის ორი ტენდენცია. ცხადია, მათი გამოყოფისა და გვიხდება ერთგვარი სქემების აგება, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ და ძალზე მკრთალად ასახვენ სინამდვილეს. ამიტომ საზოგადოდ კინომცოდ-



ნეობა, და განსაკუთრებით სტილის შესწავლა ემყარება ცალკეულ ნაწარმოებთა და ცალკეულ ავტორთა შემოქმედების ცოდნას. რაღა თქმა უნდა, მოავარი ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ ხაზი გავუსვავთ ერთი ავტორის შემოქმედებით სიახლოვეს მეორესთან, არამედ იმაში, რომ დავინახოთ მრავალფეროვნების ერთიანობა, განვიხილოთ და გავანალიზოთ განსხვავებულ სტილთა და პოეტიკის თავისებურებათა ეს სიმდიდრე. მაგრამ სწორედ ამ ზღაპრე გამორჩეული არ არის ზოგად კანონზომიერებათა და ერთვული კინემატოგრაფიის განვითარების ამა თუ იმ ეტაპის განსახლავრებლ ტენდენციათა აღმოჩენა.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ რთულ შემოქმედებით პროცესში, მხატვრულ ფორმათა და სტილთა მრავალფეროვნებაში თანამედროვე ქართული კინოს რეჟისორები მჭიდროდ მიდრეკილებას უფრო აზროვნების სუბიექტური ფორმებისადმი იჩენენ. მხატვრულ სახეში სუბიექტურის, ლირიკულის, შეფასებითის უპირატესობა ობიექტურზე განსაზღვრავს უკანასკნელი ორი ათწლეულის ქართული კინოსხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთა ხასიათს.

რომანტიული ელემენტი, ლირიკული საწყისის პრიმატი საერთოდ არის დამახასიათებელი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის. ქართული ლიტერატურა და ხელოვნება საუბუნების მანძილზე უკლებლადობდა და უნდა ვიფიქროთ, რომ მასში გაბატონებულმა ესთეტიკურმა, ენარქულმა სტრუქტურებმა და განსახოვნების ფორმებმა, ასეთი სახე ისტორიული, ეთნოგრაფიული და სხვა ობიექტური მიზეზების გამო მიიღეს.

ქართული კინომ, შემოქმედებითად აითვისა მრავალფეროვანი საბჭოთა და მსოფლიოს მოწინავე კინემატოგრაფიის გამოცდილება, ამასთანავე, არც ერთვულ ხელოვნების მრავალსაუფროვნებ ტრადიციებზე უთქვამს უარი. ამიტომ ვაკვირვი არ არის, რომ გამოსახვის მხატვრულ ფორმათა და ინდივიდუალურ სტილთა ამ მრავალგვარობასა და მრავალფეროვნებაში ადვილი შესამჩნევია, რომ მთლიანობაში ქართული კინემატოგრაფი ავლენს მიდრეკილებას გამოხატვის პოეტური ფორმებისადმი, ლირიკულისადმი, ფართო განზოგადებისა და მკვიშიმალე ტყვადი ხასიათების შექმნის საშუალებათა ძიებისადმი. სამყაროს პოეტური გააზრების სწორედ ეს საერთო ტენდენცია აერთიანებს განსხვავებულ შემოქმედებით დინების ერთ მივლენად, რომელსაც ქართული კინო ქვია. რაღა თქმა უნდა, ქართული კინოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ცალკეულ ავტორთა შემოქმედებაში ეს ტენდენცია სხვადასხვა სახით იჩენს თავს.

* * *

ქართული კინოს განვითარების ახალი ეტაპი დაკავშირებულია თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის „მაგდანის ლურჯასთან“. თავის დროზე ამ ფილმმა მალაღი შეფასება მიიღო და ეს კანონზომიერცაა — „მაგდანის ლურჯა“ მართლაც ესთეტიკური ღირებულების შემცველი ნაწარმოებია. მაგრამ დღეს ისიც უნათელია, რომ ფილმის წარმატება და ქართული კინოს ისტორიაში მისი მნიშვნელობა, მხატვრულ ღირსებებთან ერთად, განსაზღვრავს თავი ფაქტმა ისეორ

ტიპის ეკრანული ნაწარმოების გამოჩენისა. რომელიც ამსხვრევდა წინა წლების (40-იანი წლები და 50-იანი წლების დასაწყისი) თემატურ და მხატვრულ გიულ, ენარქულ თუ სტილისტურ სტერეოტიპებს.

სწორედ ამ თვალსაზრისით „მაგდანის ლურჯამ“ მოიპოვა მყარი ადგილი ქართული კინოს ისტორიაში და მანვე მისცა დასაბამი ახალ ეტაპს, რომლის აუცილებლობა და ნიადაგი უკვე მზადდებოდა.

სინამდვილისადმი გონებაჯერტიო დამოკიდებულებაზე, მის შეღამაზებაზე უარის თქმა, უბრალო ადამიანთა ცხოვრებაზე, კოფის დეტალებზე უუარადლების გამოხელება, ამ ამოცანის შესატყვისი სტილისტური თავისებურებების შემოქმედებაში ფორმალურ დახვეწილობაზე, კადრის ეფექტურ კომპოზიციაზე, მის უჩვეულო განაოებაზე, კომპლექსურ გადაღებებზე უარის თქმა, ნატურისადმი ინტერესი, უტყუარობა — თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის ფილმში არა თუ თავისებურებებმა გამოავლინეს არა მარტო ახალგაზრდა რეჟისორთა პირადი, ინდივიდუალური მიდრეკილებები, არამედ მნიშვნელოვანწილად გამოხატეს საერთო პროცესის ხასიათი, საბჭოთა კინოს ახალი ნიშნები.

თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის პირველ ფილმშივე, აღნიშნულ ტენდენციასთან ერთად მკაფიოდ იკითხებოდა ავტორთა მიდრეკილება ლირიკის, პოეტური ხატოვანების, იუმორისა და პათოსისაკენ... შემდგომში ამ ორი რეჟისორის შემოქმედებებში განვითარდნენ და უპირატესობა მოიპოვეს სწორედ ამ ტენდენციებმა, თუმცა, მათი გამოვლენის ფორმებმა როგორც ერთ ისე მეორე შემოთხვევაში განსხვავებული იყო.

ღებობის შემდეგ რ. ჩხეიძემ გადაიღო „ჩვენი ეჭო“, ხოლო თ. აბულაძემ — „სხვისი შვილები“. ამჭრად ფილმებს თანამედროვე მასალა დაედო საუფქვლად და უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალ ადამიანთა ხასიათებში წყდომის თვალსაზრისით ეს ნაწარმოებები მნიშვნელოვანი მღწვევები აღინიშნა (ბავშვთა სახეები „სხვის შვილებში“, ციციო და დათო — „ჩვენ ეჭოში“); შესამჩნევი იყო ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ინტერესი თანამედროვე ყოფის, ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების მიმართ; ნატურისადმი, ემპირიული უტყუარობისადმი ინტერესი, „გაკეთებულ“ კადრებზე უარი — ყველაფერი ეს, ასე თუ ისე, განსაზღვრავდა ახალგაზრდა რეჟისორთა ძიებების საერთო მიმართულებას. ამასთანავე, „სხვის შვილებშიც“ და „ჩვენ ეჭოშიც“ კვლავ ადვილი შესამჩნევი იყო ისეთი მხატვრული ელემენტები, კინოაზროვნების ისეთი ფორმები. რომლებიც შემდგომ წაყვან სტილისტურშემქმნელ ფაქტორებად მოვლდნენ. ჩხეიძესთან ესაა პათოსი, როგორც საკუთარი მსოფლმხედველობის, სიმათიებისა თუ ანტიმათიების მკაფიო გამოვლენა, ესაა სიტყვის, ფაბულის პრიმატი. აბულაძესთან პირიქით, სახვითი მხარის პროორიტეტი, მიდრეკილება მეტაფორული ხატოვანებისაკენ, სიმბოლიკისაკენ.

ყოველივე ეს თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის პირველ ფილმებში იმდენად იყო შეზავებული იმ დროის საბჭოთა კინოში გაბატონებულ „დოკუმენტურ“ სტილისტიკასთან მისთვის დამახასიათებელი ხატოვანების „ხმადაბალი“ რეგისტრით, ცხოვრებისე-



ული და ყოფითი კონტრუქციისადმი უკრავდებით, რომ ამ რევისორთა შემოქმედების მხოლოდ შემდგომში განვითარებამ გამოაშკარავა მთელი სიხედაღი მათი კუშიარტი მხატვრული მიდრეკილებები, მათ სტილის წაშუვანი ელემენტები და ფაქტორები, სინაძვილის ასახვის ფორმები და ტიპიზაციის პრინციპები.

60-იანი წლების მეორე ნახევრისათვის რ. ჩხეიძის შემოქმედებაში დასრულდა ძიებათა ერთი ეტაპი. ფილმმა „ჩარისკაცის მამა“, შეძლება ითქვას, რეჟისორის საკუთარი თემა აპოვინა, ამერიკად იგი ენდობს დასაყაროს საკუთარ ხედვას და საკუთარ ემოციურ დამოკიდებულებებს, რაც თანდათან განახლებავს მისი შემოქმედების სტილისტურ და პოეტიკურ თავისებურებებს, მხატვრული განზოგადების ფორმებს.

რ. ჩხეიძის თუნდაც სამი უკანასკნელი ფილმი — „ჩარისკაცის მამა“, „ნერგები“ და კინოფილოზოფია „შეშლილთა ჩემო მიწაზე“ — ცხადყოფს, რომ ამ ნაწარმოებებში ასახული (მასალათა სხვაობის მიუხედავად) — მისი შემოქმედების მულტიფუნქციონალიზაცია. იგი ცდილობს აჩვენოს ცხოვრებისეული, რეალური და ამავე დროს, უჩვეულო, იდეალური ადამიანი, რომელშიც თავმოყრალია ჩვეულებრივი ხალხის საუკეთესო თვისებები. სამივე ფილმის იდეურ-მხატვრული ცენტრია იდეალური გმირი; ერთ შემთხვევაში გიორგი მახარაშვილი, მეორეში — ლუკა ოდილაძე, მესამეში — გიორგი თორელი.

რევისორი რ. ჩხეიძე განზოგადების იმ ტიპისაკენ იჩენს მიდრეკილებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მხატვრული სახის გაიკეთება რაიმე მორალური ან იდეურ არსთან, და ეს, ძირითადად, მთავარ გმირს ეხება. დანარჩენი პერსონაჟები კი ერთგვარად ჩრდილში რჩებიან და მათ მხატვრულ სახეებს აყალიბებენ რევისორის დაკვირვების სფეროში არსებული ფაქტების ემპირიული თავისებურებები.

რ. ჩხეიძის შემოქმედებაში შემინვეა რომანტიკული ტიპიზაციის ნიშნები, ჩვენს მოხანს არ შეადგენს იმის დადგენა, თუ რომელია უკეთესი — ფაქიზი ფსიქოლოგიური მოტივებით დამუშავებული, კონკრეტულ-ინდივიდუალიზებული, თუ ფართოდ განზოგადებული, ხალხის რომელიმე მორალური ნიშან-თვისების მატარებელი მხატვრული სახე? ხელოვნებაში ორივე საინტერესოა, კარგია და საკირო. საქმე ისაა თუ რა მხატვრულ დონეზეა ეს სახე ზორსუნსმული.

რალა თქმა უნდა, „რეალისტისათვისაც“ და „რომანტიკოსისთვისაც“ ამოსავალი თავად ცხოვრებაა, მაგრამ თუკი პირველის ამოცანაა რეალურად არსებულის ასახვა მის ტიპურ გამოვლინებებში და საკუთარი იდეალის უკუით მისი გასხივანება, „რომანტიკოსის“ ამოცანა მდგომარეობს რეალურად არსებულის გარდასახვაში თავისი იდეალის შესაბამისად. ემპირიოდ, ორივე ეურდნობა თავად ცხოვრებას, რომელშიც ესოტიკურად მნიშვნელოვანი მხატვრული სახეები ან იდეები წარმოიქმნებიან. ოღონდ „რეალისტი“ მისწრაფვის პერსონაჟთა მრავალპლანოვანი ინდივიდუალიზაციისაკენ, ღრმა ფსიქოლოგიური და სოციალურ-ისტორიული განსაზღვრისაკენ, მხატვრულ სახეს აძლევს თვითგანვითარების, თვით-

გამოხატვის საშუალებას შემოთავაზებულ ვითარებაში; „რომანტიკოსისათვის“ მხატვრული კატეგორიულობის ნაქლები მნიშვნელობა აქვს მისთვის მისი მათემატიკური თვალწინ გახსნის მხატვრული სახე მის მთავარ თვისებებსა და გამოვლინებებში.

რ. ჩხეიძის შემოქმედებითი სტილის შემქმნელ ფაქტორთა რთულ კომპლექსში, ვფიქრობთ, წაყვანა 1) განზოგადების ისეთი ხერხები, რომლებიც, საყოველთაოდ და განსაკუთრებული მომენტების შეფარდებისას, მხატვრული სახის სტრუქტურაში გამოვლენენ საყოველთაოს უპირატესობას და, შედეგისადგვარად, არბილებენ განსაკუთრებულის გამოხატვის ხასიათში, „ფილტვრად“ მას. მისი ფილმების გვირგვინში არახდროს არ არის გამოვლენილი ინდივიდუალურ თავისებურებათა სიმდიდრე, არ არის გამოხატული პიროვნებაზე შემთხვევითი ვითარებათა გავლენა და ზემოქმედება, განსაკუთრებული განწყობა, ცხოვრების ინტიმური სფერო. აქ ცხადად ჩანს სრულყოფილებისა და სილამაზის დონეზე ხასიათის ამოვლენის ცდა.

2) მეორე ფაქტორი, რომელსაც რ. ჩხეიძის ფილმში აქვს განსაკუთრებული და განსაზღვრული მნიშვნელობა — არის პათოსი, როგორც მხატვრის მსოფლმხედველობის შედარებით აშკარა გამოხატვა, როგორც ხასიათის შეფასება.

როგორც ცნობილია, ლიტერატურასა და ხელოვნებაში გვხვდება პათოსის რადიკალურ სახეობა — დრამატული და სატირული, რომანტიკული და ტრაგიკული... ვფიქრობთ, რ. ჩხეიძის შემოქმედებისათვის უფრო ახლობელია რომანტიკული პათოსი, რომელსაც განყენებული აზრის განხილვით აგება კი არ წარმოშობს, არამედ „სწრაფვა იდეალისაკენ, რომელიც თავისი განხორციელების შესაძლებლობით დაკავშირებულია თანამედროვე საზოგადოების სინაძვილესთან, მისი განვითარების პერსპექტივებთან“ პათოსის აქტიური ნებელობა და ემოციური საწყისი, მიმართული რეალობის გარდასაქმნელად, რ. ჩხეიძის შემოქმედების ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, მაგრამ ამ პათოსის რეალისაცია ხდება ტიპიზაციის, მხატვრული სახის განზოგადების დონეზე, რაც შეეხება რ. ჩხეიძის ფილმების ქმედით ფაქტორებს, თავად გამოსახულებას — იგი ცხოვრების მსგავს ფორმებს და რეალურ სინაძვილის საგნობრივ კონტურებს ინარჩუნებს.

რ. ჩხეიძის შემოქმედებაში მხატვრული აზროვნების სუბიექტური ტიპი, რომანტიკული ტიპიზაციისაკენ ტენდენცია რეალისებულია ობიექტურ-სახით ფორმებში.

რ. ჩხეიძისაგან განსხვავებით თ. აბულაძის შემოქმედებაში სულ უფრო მძაფრდება ინტერესი სტილური ძიებების, მეტაფორული საზოგადების, ფილმის დახვეწილი ვიზუალური სახის მიმართ. ეს სწრაფვა მხოლოდ ერთი მიმართულებით არ ვითარდება, იგი ეკლენდება განსხვავებული ფართულ-პლასტიკური სტრუქტურის ათვისებისას. რევისორი ცდილობს მისთვის საინტერესო პრობლემები დაამუშავოს სხვადასხვა ტანში, მის შემოქმედებაში შემინვეა გამოვლენილი ინტერესი კინოგამოსახულების ხან ერთი და ხან მეორე ელემენტის მიმართ (შუქ-ჩრდილი



* * *

„მე, ბებია, ილიკო და ილიარიონში“, გრაფიკული ნახატი „ვედრებაში“, ფერი, კომპოზიცია, ხმა-ხედვითი სახე „ნატურის ხეში“ და ა. შ.).

თუკა თ. აბულაძის პირველ ფილმებში („მკვდრის ლურჯა“, „სხვისი შვილები“) ჯერ კიდევ ძლიერია რეალობის ასახვისადმი ინტერესი, მის შემდგომ ნამუშევრებში ცხადად იჩინეს თავს რეცესიონის სწრაფვა მხატვრული განვითარების პირობითი, სუბიექტური ფორმებისაკენ, სიმბოლურ-მეტაფორული სტილისაკენ, გამოსახვის ფერწერული ხერხებისაკენ.

თ. აბულაძის ფილმებს ბევრია ჩამ აქვთ საერთო — პრობლემათა რკალი, ისეთ მორალურ-ეთიკურ კაც-გორიათა მხატვრული გააზრება, როგორცაა სიყვით და ბოროტება; სიცოცხლე, სიკვდილი, უკვდავება... რეცესიონის მნიშვნელოვანი საკითხები აღიწერება: რა არის სამართალი წინაშე რაიმე საფუძველი? რა არის კეთილშობილი უსახელოდ? გულუბრყვილობა იქნებოდა ამ კითხვებზე მზა პასუხები მოგვთხოვა. მნიშვნელოვანი ისაა, რომ რეცესიონი ცხოვრებას ძირეულ საკითხებზე ფიქრობს.

პირველივე დამოუკიდებელ ფილმში იჩინა თავი თ. აბულაძის შემოქმედების იმ ძირითადმა ნიშან-თვისებებმა, შემდგომში სულ უფრო მზარდი სიცხადით რომ ვლინდებოდა. ჯერ კიდევ „სხვისი შვილებში“ სიმართლე და უტყუარობა ერწყმოდა გამოსახულების ლირიკულობას, დოკუმენტური საფუძველი — პოეტური განვითარებას, რეალისტური ტიპიზაცია — რომანტიკულს, კონკრეტულობა — სიმბოლიკას.

მომდევნო სურათებში იგრძნობა რეცესიონის მიდრეკილება პოეტური და სახვითი საწყისისაკენ, შესამჩნევია ძიებები ცხოვრების ლირიკულ-ფილოსოფიური გააზრების გზაზე.

„ნატურის ხეში“ თ. აბულაძის ძიებები განსაკუთრებული საცხადით, კონცენტრირებული და ჩამოყალიბებული სახით მოგვევლინა. ანტიხიკლოგიზმი, სტატისკური გმირი, „შაკრი“ ფაბულის უარყოფა, მეტაფორიზმის, ფერწერულ საშუალებათა პრიორიტეტი — ყველა ეს ნიშან-თვისება თ. აბულაძის შემოქმედებას ე. წ. „პოეტურ“ მიმართულებას მიაკუთრებს.

თანამედროვე ქართული კინოს ორი წამყვანი რეცესიონის — რ. ჩხეიძისა და თ. აბულაძის შემოქმედების თავიებურებები უფლებას გვაძლევს ვისაუბროთ მათ მიდრეკილებაზე მხატვრული განვითარების სუბიექტური ფორმისადმი... მაგრამ მათ შემოქმედებით მანერათა შედარებისას აშკარა ხდება სხვაობაც, რომელიც, ძირითადად, გამომსახველობითი სტილისტიკის სფეროში ვლინდება. თუ თ. აბულაძე ნიშან-თვისებით ინტენსიურ პოეტურს, მონარქვეზულს აქვს პირობითობა, პოეტური ხერხები, ფერწერული საშუალებები, ხოლო სუბიექტურობის პაირობიტუ ვლინდება როგორც სიუჟეტის, ისე სტილისტიკის სფეროში, რ. ჩხეიძესთან ცხოვრება თავად ცხოვრებას მიახლოებული ფორმებით აისახება (საუბარა მხატვრული სახისა და სინამდვილის საგნობრივ მსგავსებაზე, მათ გარეგან უტყუარობაზე), შეინიშნება რეცესიონის მიდრეკილება ფაბულისადმი, ტრადიციული თხრობისადმი,

ქართული კინოში მოღვაწეობს კინოსტუდია „საქმადო“ მთავარი რეჟისორი რაზმი. იგი შედგება 11 ხელოვნებისკარისგან, რომელიც შემოქმედების გარეშე თანამედროვე ქართული კინოს სრული სურათის წარმოადგენა ძველი იქნებოდა. მაგრამ მათ შორის ჩვენ გამოყოფთ იმ ოსტატთა შემოქმედებას, რომლებმაც მაღალი იხით მაღალ მხატვრულ დონეს, რომ შექმნეს საკუთარი ინდივიდუალური სტილი, თუმცა, ვიშორებ, ქართული კინოს ეროვნული თავისებურების განვითარებად აუცილებელია ჩვენს წამყვან შემოქმედებასთან სტილური პრინციპების საერთო ნიშნების დადგენა.

60-70-იანი წლების ქართული კინოს ზოგიერთი ძირითადი ტენდენციის გამოვლენისა და სტილურ ძიებება თვალსაზრისით სანატყუნო იქნება თავი გადავალთ ელდარ შენგელაიას შემოქმედებით ჩამოყალიბებას.

საქართველოში, ქართულ მასალაზე შექმნილი მისი პირველი ფილმი იყო „თეთრი ქარავანი“ (1964, რეჟისორი თ. მელიავასთან ერთად), რომელიც მკაფიოდ გამოიკვეთა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტის ძიებები — ადამიანი და დრო, უბრალო, მაგრამ გამორჩეული პიროვნება; სინამდვილის გააოტრებული დოკუმენტურობა, ფაქიზი, სიცოცხლის და მამკვარტული იუმორი... ე. შენგელაია შეეხოს სიეთისა და ბოროტების, წარსულისა და მომავლის ზოგად საკითხებს, რომლებიც ფილმში წარმოსახა როგორც რეცესიონის ღრმა დაუფრება ადამიანის ბედზე, შრომის სიღირსად, წინაპართა ტრადიციების მიმართ პატივისცემასა და მოვალეობაზე.

„თეთრი ქარავანი“ უდავო ღირსებად უნდა მივიჩნიოთ მისი კინემატოგრაფიული ინტონაცია. ეს ინტონაცია ძალზე გულწრფული და მართალია. მაგრამ ფილმის შემქმნელის შორის არანაყოფი შესაშური ურთიერთგაგებისა და ინტუიციური ურთიერთთანხმობის მიუხედავად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის თითოეული მათგანი (დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი) ფაშლს თავისკენ „ეხილება“, რაც „თეთრი ქარავანს“ მხატვრული მთლიანობას უყარავს. ფილმი იმასიც გვარწმუნებს, რომ მისი ავტორები შტამებისა და სტერეოტიპების სასტიკი მოწინააღმდეგენი არიან, მაგრამ ფილმის დრამატურგად კარკას მანიც იტყობა ფაბოლური შტამების ანაბეჭდი. ამიტომაც სინამდვილის ახლებური ხედვის, წყუმბთა ყოველდღიური შრომისა და ყოფას უტყუარა ასახვის მიუხედავად, ფილმის დრამატურგიული კარკასი, კონფლიქტის გამწვავება და მისი დადაწყება ხელოვნურად გამოიყურება და არ შეუბაზუნება სურათის საერთო განწყობას.

თანამედროვეობის, ნატურის მიმართ ესოდენ დიდი ინტერესის, ამ მიმართებით სერიოზული მიღწევების შემდეგ თ. შენგელაიას კინოაზროვნება უწყობდა იცვლას მიმართულებას და იქნება ფილმი „მოქალაქე“ (1966), დ. კლდიაშვილის მოთხრობის (ნაწევით), რომელიც ქართული კინოსტუდიაში თავისებურ გამოვლინებად შეიქმნება ჩვეთვალთ.

დავით კლდიაშვილის მოთხრობა იქცა რეცესიონისათვის კინოს გამომსახველობით საშუალებათა სფეროში



როში ექსპერიმენტების სახაზად. რეისორმა თი-
ქოს მიწნად დაისახა შავ-თეთრი გამოსახულების
საშუალებით პეიზაჟისა და პერსონაჟების, უფრო
სწორად, მოძრავი ობიექტების (ადამიანის, ცხოვე-
ლის) რაღაც იდეალურად მოკლე ერთიანობის
ვადმოცემა. თეთრი ბილიყი (ასევეა თეთრი ხაღ-
ბავით შეღებილი) და მის ფონზე ძაძვით მოხილი
ქალი — კინოსახის ძირითადი ყოფილი.

თავის შემდგომ ფილმში „არაჩვეულებრივი გამო-
ფენა“ (1964) ე. შენგელამ მაღალი ფორმისა და
შინაარსის სრულ მარმონისა და მოვეყვინა ხაზებით
ჩამოკლებულ ოსტატად, სხვებისაგან განსხვავე-
ბული, ინდივიდუალური აზროვნების, რეისორული
ხელწერისა და სტილის მქონე შემოქმედად.

ახალი ფილმით ე. შენგელა, მისთვის საინტერე-
სო მოვლენათა შეფასებისა და სახეთა დახასიათების
საწყის წერტილად გვათავაზობს ობიექტისადმი კომე-
დიურ-სისტემატურ დამოკიდებულებას. პირველი ფი-
ლმებისათვის დამახასიათებელ პირქუშ დაძაბულ-
ბას ცვლის ირონიულ-ფილოსოფიური მსოფლშეგ-
ნება. თუ „თეთრ ქარავნს“ და „მიქელანჯელო“
იუმორი ჭერ კიდევ მჭიდროდ იყო დაკავშირებულა
პათეტიკასთან, კომიკური — რომანტიკასთან, შემე-
დგომ ნაწარმოებებში ობიექტისადმი დამოკიდებუ-
ლების აქტიურ ფორმად გამოიკვეთა კომედიური პარა-
დოქსი, რომელსაც ძალუძს დაახლოვოს საპირისპი-
რო მოვლენები, გამოიკვეთა სიცილი — ერთდროუ-
ლად უარყოფიელი და დამამკვიდრებელი, მხიარუ-
ლი და სევდიანი.

სასაცილოა და დრამატულის, ოცნებისა და სი-
ნამდვილის, გონიერისა და ალოგიურის სწორედ
ეს შერწყმა-დაპირისპირება ვახდა მთელი ფილმის
სტილური დომინანტა, რომელმაც განსაზღვრა არა
მარტო ფილმის მხატვრული ხაზის კონსტრუქციის
შინაგანი ლოგიკა, არამედ სახვითი სტილისტიკის
თავისებურებებიც: ერთის მხრივ, ავტორი არ ახდენს
რეალური სინამდვილის დეფორმაციას, არ ამბობს
უარს საგნობრივ შესაბამისობაზე, დეტალიზაციაზე,
ამახსარავე, ამ ბუნებრივ კომპოზიციებში დიდი
ტაქტივთა და ზომიერების გრძნობით შემოდის სხვა-
დასხვა ხაზის გაწვიადება, პირობითი და ზოგჯერ
ფანტასტიკური ელემენტებიც კი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ირონია, როგორც
მსოფლშეგრძნების ხერხი, ე. შენგელაის ფილმებში
სხვადასხვაგვარად ვლინდება — „მობრძობელითა“
(ამ შემთხვევაში სცენარისტისა და რეისორის)
ირონია ხშირად ერწყმის ფილმის გმირთა თვით-
ირონიას. ამ აზრის დადასტურება ეპაზოლი, როდესაც
„არაჩვეულებრივი გამოფენის“ გმირი ხს მიერ-
ვე გამოქანდაკებულ საფლავის ძეგლებს შორის და-
ბოდიხალობს. ავტორისეული იუმორით შეფერილი
თვითირონიის ეს გამოვლინება იმავე მეტყველებს,
რომ ფილმის გმირი დალუბული ადამიანი არ არის,
უნაიდან თვითირონია ცოცხალი სულის, ბედს და-
უმორჩილებელი ადამიანის თვისებაა.

ე. შენგელაის შემოქმედების ირონიულ ინტონა-
ციაზე საუბრისას ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი
ირონია მკაცრი, უღმობელი კი არ არის, არამედ
პირიქით, ლირიკულია, გულუხვადაა შეხავებულა

იუმორით და ამიტომაც უფრო თბილი და ადამი-
ნის მიმართ კეთილად განწყობილია.

ე. შენგელაის შემოქმედების განხილვისას უნდა
ვთქვათ იქცევის მისი ფილმების ეანრული სტრუქტ-
ურა. ვფიქრობ, ხადავ არ უნდა იყოს ის აზრი, რომ
ე. შენგელაის ფილმებში კომედიის ტიპოლოგიური
ნიშან-თვისებები ჭარბობს. მაგრამ ეს არ არის მდგო-
მარეობის ან ხასიათების ტრადიციული კომედიები.
ავტორი მიდრეკილებას იჩენს უფრო რთული ეანრ-
ულ კონსტრუქციებისადმი, მის ფილმებში თამაშადა
შერწყმულია და მარმონიულად სინთეზირებული
სხვადასხვა ეანრული საწყისი.

ე. შენგელაის უკანასკნელმა სამმა ფილმმა თვალ-
საჩინო ვახდა მისი შემოქმედების ძირითადი მიმარ-
თულება, გამოავლინა ვანოვადების პრინციპები,
ეანრული და სტილური თავისებურებები, რეისორის
სწრაფვა ეროვნული ხასიათის გააზრებისაკენ ყო-
ფიერების ზოგად პრობლემათა კალაპოტში.

ლირიკული საწყისის უპირატესობა ანუ სინამდევ-
ლისადმი საკუთარი აქტიური დამოკიდებულების
გამოვლენა; სტილისშემქმნელ ძირითად ფაქტორად
რბილი იუმორისა და ირონიის გამოყენება; ყოფით
უტყუარობასთან ლირიკისა და კომიზმის შერწყმა;
სწრაფვა ეანრული საზღვრების გაფართოებისაკენ
(სხვადასხვა ეანრული ელემენტების გამოყენება) —
აი ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც რეისორ
ელდარ შენგელაის სტილის თავისებურებებს განსა-
ზღვრავენ.

* * *

კინოხელრეისორის გააზრების ტრადიციული, თითქ-
მის ინერციით მოქმედი ფორმები ხშირად ვეაძულე-
ბენ ყველა მიღწევა და ნოვაცია რეისორის შემოქ-
მედებს, საერთოდ რეისორას დაუკავშიროთ.

თუკი ახალი ქართული კინოს განვითარების პრო-
ცესს დავეყვირდებით, აღმოვაჩინებთ, რომ ე. შენგელა-
იას შემოქმედებასთან დაკავშირებული ტენდენციები
უშუალო კავშირშია და, შეიძლება ითქვას, ბევრად
განპირობებულია რ. გაბრიასის დრამატურგით, რო-
მელმაც დიდი გავლენა (როგორც დადებითი, ისე
უარყოფითი) იქონია 60-70-ანი წლების ქართული
კინოს განვითარებაზე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა კინორეჟი-
სურამ არა მარტო აითვისა რ. გაბრიასის სამუარო,
არამედ ცალკეულ შემთხვევაში (საქართველოში —
ე. შენგელაი, რუსეთში — გ. დანელია) მნიშვნელო-
ვნად გააღრმავა და გაამრავალფეროვნა იგი.

როგორც ის სამუარო, რ. გაბრიამედ ქართულ კი-
ნოში რომ მოიტანა? ეს ბრის მხატვრის მიმერ ბან-
ცდშილი და მთლიან ცოცხალ მრბანისზედ გა-
ერთიანებულნი საკუთარი ცხოვრებისეული დეკ-
პირმეზანი და უთაბუჯილი ელემენტი, შერწყმული
სტილისტურად გადამუშავებულ ფოკალურთან,
მირითადად თანამდროვე კალაპუტ ფოკალურ-
რთან — ანაქლოტურ სიუჟეტბთან.

ეს გზა კარგადაა ცნობილი და ტრადიციულიცაა ხე-
ლუვნება და ლიტერატურაში, მაგრამ ქართულ კი-
ნოში რ. გაბრიამედ პირველმა აღმოაჩინა ეს სამუარო.
ცხადია, ფოკალური მასალა, რომელსაც მიმარ-

თავს სცენარისტო, უველასათვისაა ცნობილი, მაგრამ იმ ცხოვრებისეულმა პლასტებმა, ეროვნული ხასიათის იმ ნიშნებმა, მოძრაობაში რომ მოიყვანეს რ. გაბრიამის შემოქმედებითი ემერგია, სხვა, ძალზე ნიჭიერი ოსტატებიც გულგრილი დატოვეს.

დღეს იმ სამყაროს კარი, რომელიც პირველად რ. გაბრიამემ ქაღალდით ფართოდაა გახსნილი. უშუალოდ ქალაქურ ფოლკლორს უამრავი ინტერპრეტატორი ჰყავს, მაგრამ ამ თემისა და მისი თავისებური, ახლებური ზღვების პრიორიტეტი კვლავაც რ. გაბრიამეს ეკუთვნის.

მაგრამ რ. გაბრიამის ნოვატორობა მართო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან გზა მისცა ქართულ კინოში „უბრალო“ ადამიანის სახეს, რომელშიც, ცვლილებების მიუხედავად, თავმოყრილი და შენარჩუნებულია ეროვნული ხასიათის არსებითი ნიშნები — გამორჩეული არტისტიზმი, მძაფრი შეგრძნება სიცოცხლის მუდმივობის, იუმორისა და თვითიარონის გრძნობა, დიდი ნიჭი ხმწივარის სიცილით ძღვევისა. მაგრამ მთავარი ნოვატორი რ. გაბრიამისა ის არის, რომ დრამატურგმა სრულიად ახალი კუთხით დაინახა ეროვნული ხასიათი. მან ისეთი სახეები შექმნა, რომლებიც ვერ თავსდებათ უკვედღიური უფლის ჩვეული ნორმების ჩარჩოში. გაბრიამისეულ „შერეულ“ გმირთა სახეებში ერთმანეთს შერწყმარევიკია თანამედროვეობასა და ძირითად ქართულ თვისებებზე. ქართული კინოსათვის ნოვატორულია აგრეთვე, ჩვენის აზრით, ისეთი დრამატურგიული კონსტრუქცია, რომელშიც ანექდოტური სიტუაცია, ანექდოტური სიუჟეტი სერიოზული განწოგადების დონეს აღწევს და წარმოკვიდდება როგორც ეროვნული კომედიური თვითანალიზის ფორმა.

* * *

როდესაც აღნიშნავთ ქართველ კინოსტატთა მოდრეკილებას ფართო განწოგადებებისადმი, მხარდაიუღ. წოგადსაკაცობრიო პრობლემების დონეზე ცხოვრების მოკლენათა განხილვისადმი, როდესაც ვსაუბრობთ ქართულ კინოში საზოგადოების სუბიექტური ფორმების უპირატესობაზე, იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ხდება ინტერპრეტაციის მხატვრის მსოფლმხედველობის ასპექტის პრობლემები, ამით ჩვენ სულაც არ ვვსურს იმის თქმა, რომ ეს ტენდენციები მხოლოდ ქართული კინოსათვისაა დამახასიათებელი. აზროვნების პარაბოლურობისაკენ, ფართო განწოგადებებისაკენ წყრავჯას, სინამდვილის სუბიექტურ განცდათა გამოხატვას სხვა ეროვნულ კინემატოგრაფიებშიც ვხვდებით.

ასე, მაგალითად, თანამედროვე უირგიული და თურქმენული კინო ვითარდება „პოეტური“ კინემატოგრაფის ნიშანთვისებათა თავისებური გამოვლენის გზით. იგივე ტენდენცია შემჩნევა ფრანკონული კინოს ოსტატთა ი. ილიერსის, ლ. ოსიკას და სხვათა შემოქმედებაში. ფართო ფილოსოფიური განწოგადებები, სამყაროსადმი, ეპოქის პრობლემი-

ზისადმი, ადამიანთა ბედისადმი მძაფრად სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა, განწოგადებულ-სიმბოლური ტიპოვაცია გამოარჩევს ეროვნულ კოცის შემოქმედებას. მაგრამ ეს საერთო ტენდენცია სრულიად სხვადასხვაგვარად ვლინდება არა მართო ცალკეულ ეროვნულ კინემატოგრაფში, არა. მუდ თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში (რალა თქმა უნდა, საუბარია მაღალმხატვრულ ნიმუშებზე), ამიტომაც, ჩვენ იმდენად ქართულ კინოში საზოგადოების სუბიექტური ტიპის უპირატესობის დამტკიცება არ ვვსურს, რამდენადაც ვცდილობთ ვაჩვენოთ ამ ფორმთა გამოვლენის სტილური მრავალფეროვნებაც და აგრეთვე ეროვნული მხატვრული ტრადიციით, ეროვნული ხასიათისა და მსოფლშეგრძნების თავისებურებებით განპირობებული ერთობაც.

მაგალითად, შუა აზრის რესპუბლიკების კინემატოგრაფიებში „პოეტური“ კინოსაკენ ტენდენცია იძენს ეროვნულ ფორმებს ფოლკლორული მოდელების, ლეგენდებისა და მოთხების თანამედროვე ინტერპრეტაციის წყალობით...

ა. ტარკოვსკის შემოქმედება აღბეჭდილია მძაფრი დრამატული (წოგ შემთხვევაში კი ტრაგიკული) მსოფლშეგრძნებით, რომელიც შერწყმულია გამოსახვის ექსპრესიასთან, სინამდვილის სიმბოლიზაციის ტენდენციასთან, მხატვრული ენის ძლიერი დინამიზაციასთან. ამ რეიესორის შემოქმედების დამახასიათებელ თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ მისი ფილმების სტრუქტურაში ძალზე ძნელი აღმოსაჩენია სიცილის რომელიმე ფორმის ელემენტები.

წამყვან ქართველ ოსტატთა პოეტურ სისტემებში ობიექტური სამყარო, ჭერ ერთი, მკვეთრადაა შეფერილი ლირიკული ემოციით, და მეორე, მათ მხორგანებულ საწყისს უმეტესწილად წარმოადგენს სიცილის ესა თუ ის ფორმა, ძირითადად იუმორი და ირონია. ამას თვალსაჩინოს ხდის არა მართო ის ფაქტი, რომ კომედიის უანრს თანამედროვე ქართულ კინოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, არამედ ის გარემოებაც, რომ სხვა უანრების ფილმებში უხვად და ორგანულად შემოიღის სიცილის ფორმები.

* * *

ქართული კინოს წამყვან რეიესორთა შემოქმედებითი გამოცდილება ცხადყოფს მხატვრული განწოგადების პირობითი, სუბიექტური ფორმების ქმედითობას, იმას, რომ ამ ფორმებს აქვთ საკუთარი, განსაკუთრებული ადგილი, მათ სხვა ფორმა ვერ შეცვლის და ამიტომ ისინი აუცილებელნი არიან ქართულ კინოში. მაგრამ ბევრი სხვა ფილმი ფართო განწოგადებას მიმართავს ძალზე ზედპიარულად, რაც მხატვრულ სახეს ობიექტურ შინაარსს უკარგავს.

არ შეიძლება არ აღნიშნოთ ისიც, რომ უიანასკნელ წლებში კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ არჩნდა ისეთი სურათები, რომლებიც არამც თუ არ აღმავებენ და ავითარებენ კომედიის უანრში ქართული კინოს მიღწევებს, არამედ პირიქით, ზწირად კო-



მეორს სასაკილოთი ცვლიან; საცილი ასეთ ფილმებში იდებს გამოვლენას კი არ ემსახურება, შეფასებითი კატეგორია კი არ არის, არამედ უსაგნო კომიკურობის საშუალებაა, რაც მას არსებით ესთეტიკურ მნიშვნელობას უკარგავს (სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი ფილმების სერია „ნაქლევი“, „სამი მანეთი“, „თერმომეტრი“; სრულმეტრაჟიანი ფილმები „აურზაური სალხინეთში“, „აბა, პაპეო!“ და სხვ.).

თანამედროვეობის მთავარი თემების ასახვა ეკრანზე, თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს, რთულ საზოგადოებრივ და ინტიმურ ურთიერთობათა კვლევა, ცხოვრებისა და ხასიათების აქტიური დრამატული წვდომა (რაც, ბუნებრივია, ქმნის განსხვავებულ მხატვრულ ორიენტაციას, სულ სხვა ხასიათის თბრობას) საგრძნობლად უშობდა ადგილს (როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად) ლირიკულ კინოს, ინტორიულ მასალაზე შექმნილ ფილმებს, ფილმ-ეკრანაჟიციებს.

თანამედროვეობის ქუმშარიტად შემოქმედებითი ასახვისთვის სასურველია ყოფითისა და ფილოსოფიურის შერწყმა; სასურველია, რომ ლირიზაციისა და ფართო განზოგადების სახეა მიების პროცესში, ლირიკული მიდგომა უფრო ორგანულად დეჟავუშირდეს ანალიტიკურ აზროვნებასა და ფსიქოლოგიურ სიღრმეს. რა თქმა უნდა, ასეთი შერწყმისაკენ სწრაფვა არ გამორიცხავს შემოქმედებით სტილთა მრავალფეროვნებას.

ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ქართულ კინოში არ გვაქვს ამგვარი მხატვრული სახის მაგალითები. მაგრამ მაინც, თანამედროვე ქართულ კინოს განვითარებას თუ გავაღვივებთ თვალს, გარკვეულ ეტაპზე აღმოვაჩინებ წონასწორობის დარღვევას, უფრო ინტენსიურ განვითარებას ერთი მიმართულებისა, რომელსაც საფუძვლად უდევს განზოგადების სუბიექტური ფორმები, ლირიზაცია მეორე მხატვრული ორიენტაციის საზიანოდ, რომლისთვისაც განმსზღვრულია რეალისტური ტიპიზაცია, ფსიქოლოგიური ანალიტიკურობა, მაღიფერენციუბეტი ინდივიდუალიზაცია, დრამატული ნაწიყის... ჩვენს მიზანს არ შეადგენს საზოგადების ერთი რომელიმე ტიპის, ერთი სტილური მიმართულების უპირატესობის მტკიცება. რომელიმე მათგანის უარყოფა კინოხელოვნებისათვის ზიანის მოყენების გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან თითოეული მათგანი თავის სპეციფიკურ ამოცანას წყვეტს. თუმცა, კინემატოგრაფის, კერძოდ ცალკეულ ეროვნულ კინოხელოვნებათა განვითარების გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია (ზშირად კი კანონზომიერი და აუცილებელიცაა) ზან ერთი და ზან მეორე ტენდენციის პრიორიტეტი. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ამ პროცესში სასუებით უარყოფილი იქნება საწინააღმდეგო ტენდენცია ყველა მისი სტილური თავისებურებით. ცალკეულ ტენდენციათა განვითარებაში წონასწორობის რღვევას რომ აღვნიშნავთ,

ამით ჩვენ სულაც არ გვსურს იმის თქმა, რომ ამ პერიოდის ქართულ კინოში არ გვქონდა მრავალფეროვნება თემატიკის, ესთეტიკური პოზიციების, უფლებსაშუა რისით, რომ არ იყო ცდები სხვა მიმართულებითაც.

მაგალითად, 60-იანი წლების დასაწყისში ეკრანებზე ერთობლად გამოვიდა ორი ფილმი, რომლებიც საფუძვლად ჩაუყარეს ქართულ კინოში მეორე ფორმის შექმნის ტრადიციას. თუ მოკლემეტრაჟიან ფილმ „ქორწილს“ საფუძვლად დაედო გარკვეული ესთეტიკური სტრუქტურა, რომლის დომინანტად უნდა მივიჩნიოთ ლირიკული, შეფასებითი მომენტის, პოეტური ნაწიყის გაძლიერება, მოდერტილება კინოსახის აგების შედარებით პირობითი ფორმებისა. ეენ. მ. კოკრაშვილის „მიხამ“ დასაბამი მისცა ქართული კინოხელოვნების სულ სხვა ტენდენციებს. „მიხამ“ საფუძვლად ედო მოვლენათა და ხასიათთა განვითარების შედარებით ობიექტური ლოგიკა, ბატონობდა თვით ამ ხასიათთა კონსტრუირების რეალისტური მეთოდი. მათში ძლიერად იყო გამოხატული ფსიქოლოგიური და სოციალურ-ისტორიული დეტერმინანტები.

„არჩევნულბრები გამოფენის“ პარალელურად შეიქმნა ო. იოსელიანის „გოგორგობისთვე“ და მ. კოკრაშვილის „დღი მწვანე ველი“, რომელთა ძირითად თავისებურებას შეადგენდა ავტორთა სურვილი ესაუბრაო თანამედროვეობის მნიშვნელოვან პრობლემებზე. ღრმად ჩაწვდომოდენ რეალობას, რეალურ დროსა და სივრცეში აესახათ ეკრანზე ტიპური ხასიათები, რეალურად არსებული ურთიერთობები...

ასეთი სწრაფვა განაპირობებს შინაგანად ლოგიკურ სტილურ და ენარულ გადაწყვეტას. ამიტომაც ამ ფილმებში აქვეთრად იჩენს თავს ცხოვრებისა და ხასიათების აქტიური დრამატული წვდომა, „დოკუმენტური სტილისტიკის“, ფსიქოლოგიური ანალიტიკურობის სტრუქტურული უპირატესობა. თუმცა მწიერი შესამჩნევია არ არის სხვა ენარული და სტილური ელემენტები თუ ფორმები.

უკანასკნელი ოცწლეული მრავალმხრივი მხატვრული ძიებებით აღინიშნა. სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა ახალი ტენდენციები, კინოენის ახალი ფორმები. სწორედ ამ პერიოდისათვისაა დამახასიათებელი ახალ პრობლემათა მოსიწყვა, სინამდვილის წარმოსახვისადმი ახლებური მიდგომა. მაგრამ კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ქართული კინოს ძირითადი ტენდენციებისა და სპეციფიკური თავისებურებების ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია სწორედ იმ ავტორთა შემოქმედებამ, რომლებმაც შეძლეს კინემატოგრაფში თვითმყოფადი, მხატვრულად ღირებული სამყაროს მოგანა. ასეთ ავტორთა რიცხვს ეკუთვნის ო. იოსელიანი, რომლის შემოქმედებაში ყველაზე მაჟიფი, სრული და თვითმყოფადი რეალიზება პოევა სხვადასხვა ენარულ თუ სტილურ ნაწიყისთა სინთეზისაკენ, „პროზისა“ და „პოეზიის“ შერწყმისაკენ სწრაფვამ. ანალიტიკურობა, პირუთვნელობა ხასიათთა შეფასებისას, სხვითი ენის სისადავე და ეკონომიურობა — მისი სტილის ეს ძირითადი ნიშან-თვისებები არა მარტო არ უარყოფენ სამყაროს სუბიექტურ ხედვას,

პოეტურ სტიქიას, არამედ წარმოაჩენენ მათ ახალ ხარისხში — თვით პროზაული რეალობაში აღმოჩენილი „ნიშნავნი პოეზიის“ სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ო. იოსელიანის შემოქმედება ასეთი ინდივიდუალურია, ის მაინც დიდ ვაჟულენას ახდენს ქართულ კინოზე, განსაზღვრავს მის წარმატებებს და ხელს უწყობს იმ ახალ ტენდენციათა ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას, 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში რომ იჩინეს თავი.

* * *

დღეს ქართულ კინოში სულ უფრო აქტიურად ჩნდება ნაწარმოებები, რომლებშიც ცხადად იკითხება ავტორთა სურვილი ღრმად ჩაწვდნენ რეალობას, მართლად ახახონ ცხოვრება მისი ყველა სოციალური ნიშან-თვისებით; სულ უფრო ზშირია ფილმები, რომელთა მორალურ-ეთიკური იდეალი ამახვილებს უფრადლებას ადამიანის ხასიათზე, თანამედროვეობის პრობლემებზე... ასეთი ტენდენციის მქონე ფილმებში წამყვანი როლი ენიჭება თხრობით სტილისტიკას, ფსიქოლოგიურ და ეპიკურ ელემენტებს, თუმცა აქაც შეიძლება აღმოვაჩინოთ ქართული კინოსათვის სპეციფიკური სხვა ნიშნები თუ ეპიკური ელემენტები.

ასეთი იდეურ-კონცეფციური ტენდენციის გაძლიერებაზე მეტკველებს არა მარტო ო. იოსელიანის შემოქმედება, არამედ წამყვან რეჟისორთა მიერ შექმნილი მთელი რიგი სხვა ფილმები, რომლებიც, განსხვავებული ინდივიდუალური ხელწერისა და სტილის, მხატვრული დონის სხვაობის მიუხედავად, მაინც ავლენენ უკანასკნელი წლების ქართული კინოს ესთეტიკურ ძიებათა გარკვეული ერთიანობის ნიშნებს.

ფილმები „რამდენიმე ინტერვალი პირად საკითხებზე“ (რეჟ. ლ. ლოლბერიძე), „ქვიშანი დარჩებთან“ (რეჟ. გ. შენგელაია), „თუში მეცხვარე“ (რეჟ. ს. ჩხაიძე), „საფხულის სამი ცხელი დღე“ (რეჟ. შ. კოკოჩავილი) სხვადასხვა მასალაზე და მხატვრული დამატებლობის სხვადასხვა ხარისხით იკვლევენ თანამედროვე ადამიანის ხასიათს, განიხილავენ მას როგორც სოციალურ ფუნქციათა გარკვეულ სტრუქტურას. ამ ფილმებში დიდ მნიშვნელობას იძენს გარემო, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი და რომელსაც ფონის ფუნქცია კი არ აქონია, არამედ განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთობის ხასიათს.

ეს ტენდენცია თავისებურად და მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილადაა რეალიზებული სამსერიოიანი ფილმ „თუშ მეცხვარეში“.

მეცხვარეთა უოველდლიური ცხოვრების ამსახველი კინომასალა ძალდაუტანებლად და უოველგვარი მოჩვენებითი პათეტურობის გარეშე გადაიქცა საზოგადოდ მშრომელი კაცის მაიღიდებლ პეროიკულ კინოიპოვად. ავტორებმა სცადეს მხატვრულად გაეზრებინათ და ეკრანზე აღებუქდათ დოკუმენტური, თითქმის ხელშეუხებელი სინამდვილე, ფაღმის ყველაზე დიდი ღირსება სწორედ ისაა, რომ მან შესანიშნავად ასახა ცხოვრების რეალური პლასტი, შექმნა სისხლსა-

სვე, ცოცხალი ხასიათები; რომ ეკრანი არსად ტრატობს მხატვრულ სიმართლეს როგორც გარეგანგაროს ხედვასა და წარმოსახვაში, ისე ადამიანურ დამოკიდებულებათა განვითარებაში.

ფილმის გარეგანი ფენა თანამედროვეულად და მასალიანდში დიდი ნდობით აფიქსირებს ფილმის გმირთა უოველდლიურობას, რომელიც, ერთი შეხედვით, მხოლოდ მატერიალური ცხოვრებით იფარგლება. ისინი თითქოს პროზაული გმირები არიან და ამავე დროს ფილმი ბადებს პოეტურობის, ღირსშემის მძაურ შეგრძნებას, ვინაიდან, ერთის მხრივ, ფილმში ძლიერია ჩვეულებრივის, ყოფითის პოეტიკაცია, გამაზვიერებელია უფრადლება „გასულიერებულ“ ბუნების, პერზონის მიმართ, ხოლო, მეორეს მხრივ, პოეტურობის შეგრძნებას ბადებს თვით გმირთა სულიერი სამყაროს სიმდიდრისა და სიწმინდის თანდათანობითი წარმოჩენა.

საბედნიეროდ, მეცხვარეები, რომლებიც ასე შეიყვარეს ფილმის ავტორებმა, მართლაც სიუვარულისა და აღფრთოვანების ღირსნი არიან, ვინაიდან სწორედ ისინი არიან ის „დადებითი“ გმირები, რომლებსაც ასე ეძებს ზელოვნება. აი, კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ეს გმირი არსებობს, ის უბრალოდ უნდა შეამჩნიო. ავტორები თუმცა უოველგვარი ბაზგასმას გარეშე გამოხატავენ თავიანთი გმირების მიმართ სიყვარულსა და აღფრთოვანებას, მაგრამ მაინც სადიდებულ ღდას „უშდრიათ“ მათ და ამით, თავისი „ობიექტური რეალიზმის“ მიუხედავად, „თუში მეცხვარე“ ავლენს საზოგადოდ ქართული კინოსათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს — ღირსშემს, გარკვეულ სუბიექტურობას მოვლენათა და ხასიათთა შეფასებისას.

ამგვარად, ამ ფილმში მხატვრის პოეტური მდელვარება, ღირიული საწყისი მთავარი სტილისშემქმნელი ფაქტორი არ არის, მაგრამ ორგანულად ერწყმის პროზაულ ქსოვილს. „თუში მეცხვარე“ შესანიშნავი მაგალითია იმ ტენდენციისა, რომელშიც „კინოპოეზია“ წარმომადგარია სრულიად ახალი ხარისხით — როგორც ავტორის მისწრაფება მაღლივის პოეტურობას არა პროზაზე ამაღლებით, არამედ თავად პროზაში აღმოაჩინოს იგი.

თანამედროვე ქართული კინოს სტილური განვითარებისათვის ერთი თვალის გადავლება ცხადმყოფს, რომ, ჭერ ერთი, მხატვრული განზოგადების იდენტური ფორმების საფუძველზე წარმოიქმნება სტილის განსხვავებული ვარიანტები, მეორე, — ნიშდინარეობს ქართული კინოსთვის უკვე ტრადიციულ ესთეტიკურ სტრუქტურათა განახლების და ახალ ფუნქციათა გამოვლენის პროცესი (მაგალითად — იგავი ა. რეზიაშვილის შემოქმედებაში); მესამე, — სულ უფრო ინტენსიური ხდება განსხვავებულ ტენდენციათა ურთიერთმოქმედების პროცესი, რის შედეგადაც წარმოიშება უფრო რთული და მრავალფეროვანი სტილური სისტემები. ამასთან, არ იყარგება ქართული კინოს



სპეციფიკური თავისებურებები, განპირობებული ეროვნული მხატვრული ტრადიციებით.

ამგვარად, ცალკეულ რეჟისორთა შემოქმედებაში, ერთის მხრივ, ჩვენ აღვნიშნავთ საერთო ნიშნებს, მეორეს მხრივ — მათ მკაფიო განხვავებას. ამიტომ უფლება გვაქვს ვისაუბროთ ამა თუ იმ ტენდენციაზე, განზოგადების გარკვეული ფორმებისადმი და სახოვანების გარკვეული ტიპებისადმი მიდრეკილებაზე, თანამედროვე ქართული კინოს სტილური განვითარების საერთო კანონზომიერებებზე. მაგრამ შეუძლებელია სტილის ერთიან სისტემაზე საუბარი ისე, რომ არ შევქმნათ ხელოვნური, განყენებული სქემები, რომლებიც უარყოფენ რეჟისორთა ინდივიდუალურ თავისებურებებს.

1 Мачерет А., О поэтике киноискусства, 1981, стр. 8;

2 Козлов Л., Изображение и образ, М., Искусство, 1980, стр. 81;

3 Материалы для построения современной теории стиля. — В сб.: Контекст, М., Наука, 1979, стр. 238;

4 Эльяшевич Арк., Единство цели — многообразие поисков, Л., Советский писатель, 1980, стр. 116;

5 Козлов Л., Изображение и образ, М., Искусство, 1980, стр. 88;

6 Поспелов Г., Теория литературы, М., Высшая школа, 1978, стр. 219;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება



ამხ. რ. რ. სტურუასათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“
საპატიო წოდებას მინიჭების
შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება მიენიჭოს ამხ. რობერტ რობერტის ძე ხტურუას — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეშნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1982 წლის 1 სექტემბერი.

ფორნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ გამოჩენილ რეჟისორს ამ საპატიო წოდებას და უსურვებენ შემდგომ შემოქმედებით გამარჯვებას.





დიდების მემორიალი

ქუთაისში

გიორგი ხუციშვილი

ბასული წლის ნოემბერში ქუთაისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდების მემორიალი, რომლის ავტორები არიან მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი და არქიტექტორი ოთარ კალანდარიშვილი.

მონუმენტური ხელოვნება მკაცრ მოთხოვნებს უყენებს მხატვარს. გაბედულებასთან ერთად შემოქმედს გამორჩეული გემოვნება და ოსტატობა უნდა გააჩნდეს, რათა უამრავმა წერილმანმა, მეორეხარისხოვანმა ფორმამ თუ დეტალმა არ დაფაროს მთავარი, უმნიშვნელოვანესი. მერაბ ბერძენიშვილმა და ოთარ კალანდარიშვილმა შექმნეს რთული კო-

მპლექსი, რომელიც მთლიანობითა და პლასტიკური აზრის სი-ცხადით ხასიათდება.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მემორიალის ძალზე კარგად მოძებნილი მდებარეობა; თითქმის ორმოცდაათმეტრიანი სამმალიანი სატრიუმფო თალი გაშლილ ველზე მდებარეობს და თავის პროფილებითა და მოცულობით ორგანულად ერწყმის გარემოს, ავეირვეინებს მას.

თალის არქიტექტონიკა უნებლიედ, შორეულად მოგვაგონებს ბაგრატის ტაძრის უნატიფესსა და უმძლავრეს თალებს. ცხადია, ეს არ არის არც მიბაძვა და არც ასლი. ეს არის ერთი მიწიდან,

ერთი განცდიდან ამოზრდილი ფორმა, და არა აქვს მნიშვნელობა ქვეცნობიერად თუ შეცნობილად მოხდა ასე. მითავრია, რომ ქალაქს კიდევ ერთი, მაღალი ხელოვნების ნიშნით აღბეჭდილი მონუმენტი შეემატა.

სატრიუმფო თაღის მთელი კონსტრუქცია და პლასტიკური სახე თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა შექმნილი. თაღის წინ, დაბალ კვარცხლბეკზე ბრინჯაოს ჩირაღდანაწვედილი შოშველი ჭბუქის ცხენოსანი ფიგურა დგას; მის ზურგს უკან, სატრიუმფო თაღის ცენტრალურ სიბრტყეზე ჭედური სპილენძის უზარმაზარი რელიეფია. ზევით კი შეიდმალის თაღები, რომელსაც ფუნქციური და, ამავე დროს, დეკორატიული მნიშვნელობა აქვს. ეს სამრეკლოა და მთელს ქალაქს ყოველდღე ეფინება ზარის ხმა, იმათ მოსაგონრად, ვინც სამშობლოსათვის ბრძოლაში დაეცა. ზევით, ვაზის ხეულში, თასაწვდილი მოხუცის რელიეფური ფიგურაა. მოხუცი უჩვეულო მოსავალს იშვის, ეს სიცოცხლის ძღვევამოსილი ვაზია. ამაზე, მეტყველებს ბავშვების ფიგურები, რომლებითაც დახუნძლულა ვაზი.

შემორიალის აზრობრივ და მხატვრულ ცენტრს წარმოადგენს აპოკალიფსური ხილვებით აღსავსე რელიეფი, რომლის შუაგული უკავია ჰაერში „მცურავი“ ქალის, დედის გამოსახულებას, დედისა, რომელიც ალეგორიული ფიგურებითაა გარშემორტყმული. აღსანიშნავია რელიეფის დამუშავების ავტორისეული გადაწყვეტა: დედის თმაგამოილი და მუხლმოყრილი ფიგურა მაღალ რელიეფს წარმოადგენს, ზედა ნაწილის ფორმები საშუალო სიმაღლის გამოსახულებებია. ხოლო ქვედა ნაწილის ფიგურები, თითქოს ცეცხლს დაუდნიაო, იმგვარადა განზოგადებული. სტალინგრადისა და ხიროსიმას შემდეგ ამ ძა-

ლის ცეცხლი კარგადაა ცნობილი კაცობრიობისათვის. საქართველოს შეიდასი ათასი შვილი მკერდით აღუდგა მის დამანგრეველ ძალას და მათ შორის მრავალი ქუთაისელიც იყო.

მთელი რელიეფი დინამიკით, მძაფრი ექსპრესიითაა აღსავსე. იგი წარმოადგენს საკაცობრიო ტკივილის, ღრმა ნაღველის, ვამოუსწორებელი დანაკარგების განსახიერებას. მოქანდაკე აფრთხილებს ადამიანებს, ომის, ნგრევისა და განადგურების საშინელებას წარმოუსახავს მათ, და რაო-





დენ ქმედითა, რაოდენ აქტუალურია ეს აზრი დღეს!

მემორიალის მნიშვნელობა მის მებრძოლ ოპტიმიზმში მდგომარეობს. ყველაფერს გაუძლო ხალხმა და მიწამ, რომელთა სიმბოლოსაც წარმოადგენს მოხუცის მკაფიოდ გამოკვეთილი ფიგურა და ბავშვების მშვენიერად ნაბერწი სხეულები. ძლიერია ის ხალხი, რომელსაც ასეთი ბავშვები და ასეთი მოხუცები ჰყავს. მემორიალის ამ ნაწილში განაკუთრებით კარგად ჩანს მერაბ ბერძენიშვილის ფილოსოფიური დამოკიდებულება ომისა და მშვიდობის უძველესი პრობლემებისადმი.

ფიგურული გამოსახულებების რაოდენობისა და ფართობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მემორიალში უფრო ტრაგიკული მხატვრული სახეები ჭარბობს. მაგრამ მაღალი ოსტატობის წყალობით, მხოლოდ მისთვის ცნობილი ხერხით მოქანდაკემ შეძლო საოცრად ნათელი, მომავლის იმედით, სიკეთითა და მზით აღსავსე მსოფლშეგრძნების ხორცშესხმა ყველასათვის გასაგებად.

მემორიალის რთულ ემოციურ კონტექსტში მოქანდაკეს გაბედულად შეაქვს ისეთი ცნობილი მო-

ტივი, როგორცაა ცხენოსანი მხედრის მიერ ურჩხულის დათრგუნვა. ბერძენიშვილისეული ინტერპრეტაციით ეს არის გონიერებისა და სიმართლის გამარჯვება ბნელეთსა და ბოროტებაზე. სწორედ ამ ოპტიმისტური განწყობილების შექმნაში დიდ როლს თამაშობს სატრიუმფო თალის წინ მდგომი, ძლევაშობილი ცხენოსანი ფიგურა, რომელიც თითქმის მაყურებლის დონეზე დგას და ეს კიდევ უფრო აძლიერებს ხალხის ერთიანობისა და უძლეველობის განცდას. ჭაბუკი მხედარი დიდი ხნის ნანატრი გამარჯვების მახარობელია. საკუთარ ძალაში დარწმუნებული, იგი მის წინ გადაშლილ უკადევანო სივრცეს გასაჭერის და მაყურებელს აზიარებს ურყევ რწმენას.

დიდების მემორიალი ქუთაისში რთული მხატვრულ-ფილოსოფიური ნაწარმოებია. იგი მერაბ ბერძენიშვილის და მთელი ქართული მონუმენტური ხელოვნების კიდევ ერთი დამაჯერებელი გამარჯვებაა. ამ მონუმენტმა კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ მხოლოდ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს აქვს ადამიანზე ძლიერი ზემოქმედების უნარი.

მობლიური მიჯის

მომღერალი

ელენა გროშევა

საბმარინა გაეხსენო კონსერვატორიაში სწავლების წლები და ჩემს თვალწინ უეცრად წარმოსდგება ხოლმე ორი მეგობარი — ორი განუყრელი შალვა. ერთი მოძრავი, მომღიმარი... ეს შალვა აზნაიფარაშვილია, რომელიც მალე დადგა სადირიჟორო პულტთან, თუმცა არც კომპოზიცია მიუთოვებია. მეორე კი შალვა მშველიძეა — დინჯი, კეთილი და ჩაფიქრებული. იგი არ ჩქარობდა...

მისი პირველი საორკესტრო ნაწარმოებების მიხედვით ძნელი იყო მომავალი გამოჩენილი სიმფონისტის ამოცნობა, მაგრამ, როცა დაიბადა სიმფონიური პოემა „ზვიადაური“, ნათელი გახდა, რომ მის სულსა და მუსიკალურ შეგნებაში მიმდინარეობდა ხანგრძლივი და შეუწყვეტელი მუშაობა, ყალიბდებოდა საკუთარი მხატვრული მსოფლმხედველობა, გროვდებოდა მდიდარი საღმშენებლო მასალა განუთენილი დიდი ტილოებისათვის, ღონიერი დრამატურგიული სახეებისათვის.

როცა ვფიქრობ შალვა მშველიძეზე, მის საკვირველ, უჩვეულო მუსიკაზე, მის დიდ ტალანტზე, რომელიც თანდათან იხს-

ნებოდა, მაგონდება მშვიდი, მიძინებული ვულკანი. მაგრამ ეს სიმშვიდე მაცდურია, მოჩვენებითი. ვულკანის ვეება წიაღში ხომ შეუწყვეტლივ გიზგიზებს ალი, დროდადრო კი, მიწისქვეშა ძვრების შედეგად, ზედაპირზე ამოვარდება ხოლმე ცეცხლოვანი ძალა, ლავასთან ერთად კი ძვირფასი კეთილშობილი მადნეული იღვრება. შალვა მშველიძის მუსიკაშიც ასეა...

„ზვიადაური“ აღმადროვანა ავტორისეული ტალანტის თვითმყოფადობით, სრულიად ახალი მუსიკალური სამყაროთი. შეიძლება არ იცოდე, რომ კომპოზიტორი დიდხანს და დაჟინებით სწავლობდა კავკასიონის მიუწვდომელი მწვერვალების ფერდობებზე დასახლებული ამაყი და სულით წმინდა — ფშველების, ხევსურების, სვანების სასიმღერო ფოლკლორს. მაგრამ შეუძლებელია უმალევე არ იგრძნო, რომ მშველიძის მუსიკალურ იდეებს საფუძველი ეყრება საღდაც იქცის კიდესთან, იმ ადგილას, რომელზეც მის სათაყვანებელ პოეტს უთქვამს:

„თოვლი სიოვს, ქარი ბობოქრობს
ყელზე შაქრული მთებისა;
ჩამოდის ხევად ზოგები,
ჩამონახსლდენი კლდებისა“.

დაიხ, შალვა მშველიძის მუსიკა ასეთივე დიდებულია და ვაჟკაცურად მკაცრი ტრაგიკულად გამწვავებულ კონფლიქტებსა და ლირიკულ ვითარებებშიც. იგი ეპიკოსია, ანზოგადებს მოვლენებისა და გრძნობების უზარმაზარ პლასტებს, საიდანაც გამოსჭვივის ერთმანეთთან შედღუღებული სიმეტრიცე, სინაზე, პეროიკა! კომპოზიტორის აზრები ლოდებს ჰგავს, მასშტაბურია, ზოგჯერ მგონია, რომ მათ არ ჰყოფნით სივრცე თვით ისეთ ტევად ქანრებშიც კი, როგორცაა ოპერა, სიმფონია, ორატორია. ასეთ დროს მას უსაყვედურებენ ხოლმე გრძლიობებს, მაგრამ ეს გრძლიობები „ღვთაებრივია“.

ჩემთვის შალვა მშველიძე ყოველთვის იყო და იქნება დაუცხრომელი ტემპერამენტის ხელოვანი, რომანტიკული სულის მხატვარი, ქეშმარიტი პოეტი. მხოლოდ ისტორიისა და თანამედროვეობის ამალღებულ რომანტიკულ შეგრძნებას შეეძლო სიცოცხლე შთაებერა მუსიკაში განსახიერებელი შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველასა თუ კონსტანტინე გამსახურდიას ტიტანური სახეებისათვის.

მაგრამ მე ასევე მიყვარს შალვა მშველიძის მინიატურები — რა პლასტიკური სიღამაზეა მის ელგეიურ „ფშაურში“, რა მშფოთვარე ენერგიაა „აზარის“ მგზნებარე რიტმში, რა ძალა მსჭვალავს თუმი ქაღების სახეებს!

მშობლიური მიწის ამ დიდებულმა მომღერალმა ფასდაუღებელი წვლილი შეიტანა მრავალეროვანი საბჭოთა მუსიკის სავანძურში. და მე მჯერა, რომ მისი გამდიდრებისათვის კიდევ ბევრს გააკეთებს ჩვენი ძვირფასი ბატონი შალვა!

გამოჩენილი ოსჯაჯი

იული მეიტუსი

მრავალი წელი გავიდა ჩვენი პირველი შეხვედრიდან, რომელიც შედგა 20-იანა წლების დასასრულს, ხარკოვში. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. რადგან „მეგობრობის სახლში“ ნიჭიერი მომღერალი დინა ფრეიჩო ასრულებდა ჩემს „ეთნოგრაფიულ კონცერტს“, რომელშიც გამოყენებული მაქვს რუსული, უკრაინული, ქართული, სომხური, ებრაული, პოლონური, ბულგარული და სხვა ხალხური სიმღერები. ძალიან ველავდი. მით უფრო რომ კონცერტს ესწრებოდა გამოჩენილი კომპოზიტორი, ქართული მუსიკის კლასიკოსი ზაქარია ფალიაშვილი. იგი ინტერესით უსმენდა ჩემს მიერ დამუშავებულ ხალხურ სიმღერებს. მერე კი დადებითად შეაფასა ჩემი ნამუშევარი.

სალამოთი, ლიტერატურის სახლში ანრი ბარბიუსისა და ზაქარია ფალიაშვილის პატივსაცემად გაიმართა მიღება. ზ. ფალიაშვილმა აქაც შემაქო და ხაზგასმით აღნიშნა ხალხური მუსიკის როლი და მისი მნიშვნელო-



1937 წელს ერთი წლით მიმი-
წვიეს ვ. სარაჯიშვილის სახელ-
ობის თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიაში, სადაც უნ-
და წამეკითხა მუსიკალური ნა-
წარმოებების ანალიზის კურსი
და მემუშავა კომპოზიტორ-ას-
ისტენტებთან. ჩემამდე აქ მუ-
შაობდნენ პროფესორები ვ. შჩე-
რბაკოვი და პ. რიაზანოვი. ბე-
ერმა ქართველმა კომპოზიტო-
რმა ლენინგრადის კონსერვა-
ტორიაში მიიღო მუსიკალური
განათლება. ამრიგად, თბილი-
სისა და ლენინგრადის კონსე-
რვატორიებს შორის დამყარე-
ბული იყო საინტერესო შემოქ-
მედებითი კავშირი.

30-იან წლებში შემოქმედე-
ბით ასპარეზზე გამოვიდა ნი-
ჭიერი ქართველი კომპოზიტო-
რების ჯგუფი, რომელიც სათა-
ვეში ჩაუდგა ქართულ მუსიკა-
ლურ კულტურას. ესენი იყვნენ
— ი. ტუსკია, გრ. კილაძე, შ.
მშველიძე, ა. ბალანჩივაძე, ვ.
გოკიელი. ჩვენს შეხვედრებს
ახლდა საინტერესო კამათი და
დისკუსიები. გატაცებით ვმსჯე-
ლობდით ხოლმე ახალ ქართულ
ნაწარმოებებზე — ა. ბალან-
ჩივაძის ბალეტზე „მთების გუ-

ბა საკომპოზიტორო შემოქმედებაში. მისი სი-
ტყვების კეშმარიტებაში დავრწმუნდი, როცა
მოგვიანებით მოუხსინე ზ. ფალიაშვილის
შესანიშნავ ოპერებს „აბესალომ და ეთერსა“
და „დაისს“. ვიგრძენი თუ რა დიდი ზემოქ-
მედება მოუხდენია ქართულ ხალხურ სიმ-
ღერას ამ დიდებული კომპოზიტორის შემო-
ქმედებაზე.

ზ. ფალიაშვილის სიტყვები კვლავ გამახ-
სენდა, როცა პირველად მოვეხსინე შ. მშვე-
ლიძის „ზევიდაურს“. ჩემს წინაშე წარმოსდგა
შესანიშნავი კომპოზიტორი-სიმფონისტი, ჩი-
ნებულად რომ გრძნობს და იცნობს ქართულ
ხალხურ მუსიკას, ეროვნული ინტონაციის
ორიგინალური გადაზარების ძალა შესწევს და
მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს სამაგალითო
შემართებით ანვითარებს.

ამ გამოჩენილი ოსტატის შემოქმედებას
ახასიათებს მიდრეკილება პროგრამული მუ-
სიკისაკენ, რომელიც აღბეჭდილია ორიგინა-
ლური მელოდითური და კილო-პარმონიული
თავისებურებებით. შ. მშველიძის სიმფონიუ-
რი პოემები „ზევიდაური“ და „მინდია“, მი-
სი სიმფონიები შესანიშნავი შენაძენია არა
მარტო თანამედროვე ქართული მუსიკისა,
არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა მუ-
სიკალური კულტურისა.

იგი ზაქარია ფალიაშვილის ტრადიციების
შესანიშნავი გამგრძელებელია და ამაშია მი-
სი შემოქმედების ძალა!

ვამაყოფ, რომ შალვა მშველიძესთან მა-
კავშირებს არა მარტო პროფესიული, არა-
მედ მრავალწლიანი ადამიანური, კეშმარი-
ტად მეგობრული ურთიერთობა. სისადავე,
გულისხმიერება, სულაერი სიმდიდრე და
სოფაქიზე — აი, ის თვისებები, რომელთა
გამოც მრეყვარს ბატონი შალვა...

თ ვ ი თ ე ყ რ ზ ა ღ ი ჯ რ მ ჰ რ ზ ი ტ რ რ ი

ბორის არაპოვი

ლი“, გრ. კილაძის სიმფონიურ პოემაზე „განდეგილი“, შ. მშველიძის სიმფონიურ მინიატურებზე „აზარი“ და „ფშაური“... სწორედ მაშინ გავიცანი შალვა მშველიძე. მაშინვე გამაოცა მისმა მინიატურებმა ეროვნული კოლორიტის ელვარებით, ავტორისეული ინდივიდუალობის სიმკვეთრით, შემოქმედებითი ხელწერის განუმეორებელი თავისებურებებით. იგი ოსტატურად იყენებდა ხალხური მუსიკის კილო-რიტმულ ნაგებობებს, უჩვეულო სიახლით სუნთქავდა მშველიძისეული ჰარმონია და ორკესტრობა.

მას შემდეგ შეუნელებელი ინტერესით ვადევნებ თვალყურს შალვა მშველიძის მოღვაწეობას. მოგვიანებით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა მესამე სიმფონიამ „სამგორი“. ეპიკური წყობის ეს ნაწარმოები დაწერილია, ფუნჯისი ფართო მონასმებით. თვითეული ნაწილი ფრესკაა, რომელიც მოგვითხრობს სამგორის ისტორიას ამა თუ იმ ეტაპზე.

თვითმყოფადია კომპოზიტორის მუსიკალური ენა, სათავეს

რომ იღებს ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის შორეული შრეებიდან.

1961 წელს დავესწარი შ. მშველიძის ოპერის „დიდოსტატის მარჯვენის“ პრემიერას. ვუსმენდი ოპერის მუსიკას და ჩემს თვალწინ ცოცხლდებოდა XI საუკუნის საქართველოს დიდებული პანორამა, აღბეჭდილი შუა საუკუნეების სიპირქუშით. დიახ, მშველიძემ შესანიშნავად შეძლო ეპოქის კოლორიტის გადმოცემა. ძალიან ძლიერი და შთაბეჭდავია გუნდები, გამომსახველია რეჩიტატივები, მკაცრი და სახოვანია ორკესტრირება. პრემიერიდან თითქმის 15 წლის შემდეგ რადიოთი მოვუსმინე ამ ოპერის ნაწყვეტებს და კვლავ დიდი სიამოვნება განვიცადე. უფრო მეტად დავრწმუნდი ამ ნაწარმოების ღირსებებში — მის სტილისტურ სიმწინდესა და ავტორისეულ სიმწიფეში.

შალვა მშველიძე მთლიანი და ძლიერი ფიგურაა, იგი მრავალეროვანი საბჭოთა მუსიკალური კულტურის შესანიშნავი წარმომადგენელია.

ბივი ნარმანიას

ღირიკული სამყარო

მარინე კერესელიძე

ბივი ნარმანიას სახელი ჩვენი სამხატვრო გამოფენების კატალოგებში 60-იანი წლების მეორე ნახევარში გამოჩნდა. მას შემდეგ ქართული სახვითი ხელოვნებით დაინტერესებული მკითხველი ყურადღებით ადევნებს თვალს მის შემოქმედებით ზრდასა და დაოსტატებას.

გივი ნარმანიას ნამუშევრები — თემატური კომპოზიციები, პეიზაჟები, ნატურმორტები — მოკლებულია გარეგნულ ეფექტურობას. რთულ ტონალურ გრადაციებზე აგებული ფერადოვანი გამა თვალსაჩინოს ხდის გ. ნარმანიას ფერწერულ კულტურას.

ორი ათეული წლის მანძილზე მხატვრის ძიება საკუთარი ფერწერული ენის გამომუშავება-ჩამოყალიბებისაკენ არის მიმართული. ძიების ამ გზაზე შექმნილი ყოველი ახალი ნამუშევარი ახალი შემოქმედებითი თუ ტექნოლოგიური ამოცანის გადაწყვეტას უკავშირდება. ახალი მხატვრულ-სტილისტური ამოცანებისადმი გ. ნარმანიას აქტიური დამოკიდებულების პროცესი დღესაც გრძელდება. ეს არის მხატვრის შემოქმედებითი ევოლუციის პროცესი, რომლის თვალის გადავლება თვა-

ლსაჩინოს ხდის ორი ეტაპის არსებობას მის შემოქმედებაში.

პირველ ეტაპს არჩეული თემისადმი მხატვრის ლირიკულ-ემოციური დამოკიდებულება გამოარჩევს. ამ დამოკიდებულებითაა აღბეჭდილი როგორც პეიზაჟები, ისე თემატურა კომპოზიციები. ამ ეტაპის ნამუშევართა ფერწერული სისტემის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მხატვრის სიკაბუჯის გატაცებებმა და შთაბეჭდილებებმა. უპირველეს ყოვლისა შეიძლება საუბარი იმ შემოქმედებით იმპულსებზე, გ. ნარმანიამ იმპრესიონისტა მემკვიდრეობის შესწავლისას რომ მიიღო. მეორეს მხრივ, მხატვრის ნამუშევართა სტილისტურ სისტემას საფუძვლად დაედო ქართული და საბჭოთა ფერწერის გამოცდილება. მაგრამ ყოველივე ეს სამყაროს მისეული ხედვის პრიზმითაა გარდატეხილი და მისი შემოქმედებითი ინდივიდუალურობისათვის ახლობელ ფორმებში განსხეულებული.

გ. ნარმანიას ძირითად მხატვრულ ამოცანას ხაზობრიობისა და ფერწერულობის სინთეზი წარმოადგენს. ხელოვანის ეს სწრაფვა შესანიშნავად გამოჩნდა მის ერთ-





მარტოობა



ქართული ენციკლოპედია


ქართული ენციკლოპედია

ქართული

მხატვარი ლ. მამოქაძე









ერთ ადრეულ ტილოში „დაბრუნება“ (1965), რომელმაც მხატვარს პირველი წარმატება მოუტანა. ამ ნამუშევრის შესახებ კრიტიკა აღნიშნავდა: „ჩვეულებრივი ზამთრის პეიზაჟი გ. ნარმანიას ტილოში, ხედვის წერტილისა და „დაყირავებული“ პერსპექტივის წყალობით იძენს თითქმის კონსპიურ მასშტაბს. ჰორიზონტის მომრგვალებული ხაზი აღიქმება დედამიწის სფეროს საზღვრად, რომლის მიღმაც, სამყაროს მსგავსად, ათასფრად ელავს ქალაქი. სურათის ჩარჩოთი მოკვეთილ ხეები უცნაურად გაშეშებული ტოტებით, ჰორიზონტის ხაზისაკენ სწრაფად მიმჭროლავი სატვირთო მანქანა ქმნის შეგრძნებას უკიდევანო სივრცისა, რომელშიც ერთმანეთს ხედებიან ქალი და ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცი. მათი შეხვედრა აღიქმება როგორც სიმბოლო დედამიწის ზურგზე მიმოფანტულ და ომით დაშორებულ ადამიანთა შეხვედრებისა“ (ეზერსკაია).

თემის ასეთივე ფილოსოფიურ-სიმბოლური გადაწყვეტისაკენ სწრაფეთი გამოირჩევა კომპოზიციები „გაზაფხული“ (1967), „ქარხანა“ (1971) და სხვ. ამ ნაწარმოებთა ჩანაფარის სტილური რეალიზაციის ამოცანა ემოციურად აქტიური, უშუალო აღქმისა და ფორმის კონსტრუქტიული ლოგის ერთიანობის მიღწევა იყო.

ზემოთ ხსენებული ხაზობრიობისა და ფერწერულობის სინთეზი სხვადასხვაგვარად ვლინდება გ. ნარმანიას პეიზაჟურ ტილოებში და თემატურ კომპოზიციებში. ზშირად ეს თანაფარობა ირღვევა ერთ-ერთი საწყისის სასარგებლოდ. პეიზაჟურ ტილოებში წინა პლანზე ფერწერული საწყისი გამოდის. გ. ნარმანიას ფერწერა მრავალფეროვანია. ფერთა ქვედა ფენები ზეგავლენას ახდენენ ზედა ფენების უფრო ჩამქ-

რალ ტონებზე და ნატიფი ფერწერულობა შეაქვთ ტილოში.

პეიზაჟურ მოტივებს შინაგანი ნარმანიას შემოქმედებაში უპირატესობა შემოდგომის მოტივს ენიჭება, ამასთანავე შთაგონების წყაროდ მხატვრისათვის ქართლისა და კახეთის ლანდშაფტები ქცეულა. გ. ნარმანია არ იფარგლება ამა თუ იმ პეიზაჟური ხედისა და მოტივის მხოლოდ გარეგნული სილამაზის ფიქსაციით, არამედ ცდილობს აღძრას მყურებელში ლირიკული ასოციაციები.

მაგალითად, ლირიკული განწყობილების, შემოდგომისათვის დამახასიათებელი შინაგანი სიმძიმის გადმოცემა სცადა მხატვარმა მცირე ფორმატის ტილოზე „შემოდგომა“. ამ განწყობილება: ქმნის სურათის ზედა რეგისტრში ფოთოლშემოდარცულ ტოტებს შორის მომწყვდეული ღრუბლები. ხის ტოტებისა და ტანების ხაზოვან რიტმთან თანაფარობაშია მოყვანილი წითელ-ყვითელი ფოთლებით შემოსილი გუჯა ხეებისა და ბორცვების ფერწერული დამუშავება. მომწვანო-მოდურჯი და წითელი ფერებისაგან შედგენილი ფერადოვანი გამა მოიხსენო ლურჯის, მოყავისფროსა და მოყვითალოს თამაშითაა გამდიდრებული.

იმავე ამოცანებს წყვეტს მხატვარი დიდი ზომის პეიზაჟურ კომპოზიციაში „ზამთარი“. უდიდეს ყურადღებას აქცევს იგი ასახული მოტივის ყველა დეტალის მყარი პლასტიკური კავშირის მიღწევას.

ფერწერულ საწყისთან დეკორატიულობის ჰარმონიული შტრწყმის საინტერესო ცდას წარმოადგენს „შემოდგომა გომბორზე“, რომელსაც პლენერზე შეკრულებული ეტიუდი დაედო საფუძველად.

ამჟამად მხატვრის ძიებები ნაწარმოების მაქსიმალური სისადავის მიღწევისაკენ არის მიმართუ-

ლი. ეს ძიებები გ. ნარმანიას შემოქმედებას აახლოვებენ თანამედროვე სახვითი ხელოვნების ანალიტიკურ-ინტელექტუალურ ტენდენციასთან, რომელიც აერთიანებს სახვითი რეალიზმის კლასიკური ტრადიციებით დაინტერესებულ მხატვრებს. ამდენად შემთხვევითი არ არის, რომ შემოქმედებით იმპულსებს გ. ნარმანია ევროპული ფერწერის კლასიკურ მემკვიდრეობაში, კერძოდ ალორძინების ხანის იტალიელი (უპირატესად კვატროჩენტოს) და ნიდერლანდელი მხატვრების შემოქმედებაში ეძებს. მის უკანასკნელ ტილოთა კომპოზიციები ხშირად ძველ ოსტატთა ნამუშევრებთან ასოციაციით იქმნება, რაც რეალური ყოფის დამკვიდრებისაკენ არის მიმართული. ამ გზაზე მხატვარი ამდიდრებს თავის ნამუშევართა მხატვრული ექსპრესიის უკვე ნაპოვნ ფორმებს, აფართოებს მსოფლხედვის დიაპაზონს.

ვერმეერის ნამუშევრებთანაა შთაბეჭდილი გივი ნარმანიას კომპოზიცია „მკერავი“. სისადავეს, სიმყუდროვეს, ხასიათის სისუფთავეს მხატვარი კომპოზიციური წყობით, განათებით, სახოვან ქსოვილში შემოტანილი ატრიბუტებით და, რაღა თქმა უნდა, ფერადოვანი გადაწყვეტით აღწევს. ამ ნამუშევარში უფრო ცხადად გამოჩნდა მხატვრის სწრაფვა კომპოზიციის არქიტექტონიკური წყობისაკენ, ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისთა სინთეზისკენ.

უკანასკნელ წლებში შექმნილი ტილოები („ივანზე“, „მკერავი“, „ბლოკები“ და სხვ.) ტოვებენ ზუსტად ნაგები ობიექტების შთაბეჭდილებას, სადაც არ არის ცარიელი ზონები, ხოლო გამოსახულ საგანთა ურთიერთდამოკიდებულებანი ცხადი და გაწონასწორებულია. ეს ნამუშევრები ქმნიან მყარი და სიდიადით აღსავსე სამყაროს სურათს, სადაც სისადავისა და მრავალფეროვნების, კონკრე-

ტულისა და ზოგადის პარმონია სუფევს.

გ. ნარმანიას თითქმის ყველა ტილოში, პეიზაჟი იქნება ეს, ნატურმორტი თუ კომპოზიცია, შეინიშნება განცდის ლირიზმისა და სტატიკური უშფოთველობის ერთგვარი თანფარდობა. მხატვრის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა პოლიფონიური პარტიტურის სირთულე დამოკიდებულია ამ სახეებში კონკრეტულისა და ზოგადის, მათურბელისათვის ახლობელისა და მისგან დაშორებულის შერწყმაზე.

იგივე სწრაფვას გ. ნარმანიას პორტრეტული ტილოებაც ავლენენ. მხატვრის სტილისტური ძიებები ამ უანრშიც ძველ ოსტატთა მემკვიდრეობას ემყარება, რაც ვლინდება კოლორიტში, კომპოზიციურ წყობაში, გამოყენებულ ტექნიკაში. მისი პორტრეტები ძირითადად ლესირების ტექნიკითაა შესრულებული. მხატვრული სახის ზედმიწევნით კონკრეტულობასთან ერთად გ. ნარმანია მიმართავს მის სტილიზაციას, პოეტურობით მსჭვალავს მას, ცდილობს მიადწინოს პორტრეტზე გამოსახული პიროვნების ემპირიულ თავისებურებათა შერწყმას ზოგადად ადამიანზე იდეალურ წარმოდგენასთან.

გ. ნარმანიას შემოქმედება სიმწიფის ხანაშია შესული. ძიების გზაზე წამოპირილ ამა თუ იმ პროფესიულ ამოცანას იგი თანმიმდევრულად წყვეტს. მხატვარს ისიც ცხადად აქვს გაცნობიერებული, რაც ჯერ კიდევ დასახუტებელი და დასახვეწია მის შემოქმედებაში. მიღწეულად დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მისი შემოქმედებითი პოტენციის ახლ-ახალი წახნაგების გამოვლენისაკენ უბიძგებს მხატვარს.



საქართველოს
ანტიკვარიათა



კახიანი

პეტრიაშვილი



Գոհեո՛ւ ՊՅՅԻՄՅՅԵ՛





ՅՅԾԻՅԾ



ნიკიფორე ირბახი — ავტორი

პირველი ქართული

ნაბეჭდი თარგმანისა

ჯუანშერ კათეშვილი

პართული "ბეჭდვითი სიტყვის ჩასახვა და საწყისი ეტაპი მისი განვითარებისა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ეტამთხვა რთულ ისტორიულ პერიოდს, როდესაც ეროვნული დანიშნულების ასეთი ღრმამინარსიანი კულტურული ღონისძიების განსახორციელებლად საქართველოში რაიმე შესაძლებლობა თითქმის გამოირჩეული იყო. სწორედ ამ ვარემოებამ განაპირობა ის, რომ პირველმა ქართულმა ნაბეჭდმა წიგნებმა საქართველომ ფარგლებს გარეთ, იტალიაში, იხილეს დღის სინათლე, რითაც სათავე დაედო მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ბეჭდურ ტრადიციას.

ზოგადეროვნული შინაარსის ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის, მით უფრო ხანგასულის, სწორი შეფასებისათვის, მისი ისტორიულ კონტექსტში განხილვის აუცილებლობასთან ერთად, სათანადო წყაროთმოდუნებითი საფუძველიც უნდა არსებობდეს. სამწუხაროდ, 1629 წელს რომში დასტამბული ქართული წიგნების შესახებ მათი გამოცემიდან თითქმის 350 წლის განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფიას არაკითარი ხელშესახები დოკუმენტური ხასიათის ცნობები არ გაჩნდა, თუ ასეთად არ მივიჩნევთ თბილისის ზოგიერთი წიგნთსაცავის რარიტეტში დაცული ამ წიგნების გატრეცილი ეგზემპლარების თავფურცლებში დამოწმებულ სატიტულო მონაცემებს. ამასთან დაკავშირებით შემთხვევითი როდი იყო ის ვარემოება, რომ 1929 წელს ქართული ნაბეჭდი წიგნის მე-300 წლის-სთავზე რაგი მკვლევარებისა იძულებული იყო, თუკი მსჯელობა უშუალოდ პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებს შეეხებოდა, მათი შექმნის ისტორია მათსავე შინაარსში დაშვებული ხარვეზებისა თუ ლაფსუების მეშვეობით ამოეცნო.

პირველი ცდა ამ სამეცნიერო პრობლემასთან დაკავ-

შირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი, თუნდაც საინფორმაციო ხასიათის, მასალის შემოტანისა 1963 წლის 15 მარტს განეკუთვნება, როდესაც აწ განსვენებულ აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის თაოსნობით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით ვატკიანის „ბიბლიოთეკა ამოსტოლიკა“ შეკითხვა გაეგზავნა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების თაობაზე. ასეთივე შეკითხვით ერთდროულად მივმართეთ ფლორენციის ცენტრალურ ნაციონალურ ბიბლიოთეკასაც. ეს შეკითხვები ითვალისწინებდნენ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გამოკვეყნებიდან 350-წლოვანი სათბილეო თარიღის მოახლოებასა და მათ შესახებ არსებული ერთობ მწირი ცნობების შემდეგის დაგვიარად შევსების აუცილებლობას. საპასუხო წერილებმა არ დაიგვიანა: ფლორენციის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორის წერილი იმავე წლის 1 აპრილთანა დათარიღებული, ხოლო ვატკიანის ბიბლიოთეკის პრეფექტისა — 27 აპრილით!

ორივე საპასუხო წერილში მოცემული იყო არასრული ნუსხა XVII საუკუნის მისძილზე რომში დასტამბული ქართული წიგნებისა და მითითებული იყო რაგი ქართველ და უცხოელ ავტორთა გამოკვლევებისა, რომელთა შინაარსი ჩვენთვის საინტერესო საკითხს ან სრულიად არ ეხებოდა, ან ნაკლებად ეხებოდა. ფლორენციის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორი ალბერტო ჭირალდი აღნიშნავდა, რომ „ამ ბიბლიოთეკის განკარგულებაშია საგნობრივი კატალოგი 1925 წლიდან, რომელიც არ შეიცავს ქერნალებში გამოკვეყნებულ ნაწარმოებებს. ამის გამო ჩვენ არ შეგვიძლია მოგაწოდოთ ამომწურავი ბიბლიოგრაფია საქართველოს შესახებ... ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ასეთი ცნობების მისაღებად მივემართო შემდეგი მისამარ-

ით: სარწმუნოების გამოკრეკლები საზოგადოება (პროპაგანდა ფილეს" წმინდა კონგრეგაცია), ესანგეთის მოედანი, 48, რომი". ვატიკანის ბიბლიოთეკის პრეფექტი თავის მხრივ მიუთითებდა, რომ „პროპაგანდა ფილეს" წმინდა კონგრეგაციის პირველთაგან სტამბის (პოლიგრაფიკა), სადაც პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები გამოქვეყნდა, „სრული ისტორია ვერ არ დაწერილა“-ო.

ზემოთ მოტანილი საბასულო წერილი იტალიიდან იმით იყო საინტერესო, რომ, მათი შინაარსის მიხედვით, 1629 წელს რომში დასტამბულ ქართულ გამოცემათა შორის — „ქართული ანბანი ლოცვებითურთ" და „ქართული-იტალიური ლექსიკონის" გარდა — მიგვიითებდნენ მესამე, მანამდე უცნობ, ქართულ ნაბეჭდ ტექსტს, რომლის ავტორად დასახელებული იყო ნიკოლოზ ირბახი, თეიმურაზ პირველის ელჩი დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში. ვატიკანის ბიბლიოთეკის პრეფექტის საბასუხო წერილის ქართული თარგმანის მიხედვით ამ ტექსტს სათაურად „ლავერენტის ლიტანიობა" ჰქონდა წამბეჭდვებული. ეს ცნობა დიდად საინტერესოც იყო და, ერთდროულად, გაუგებარიც: საინტერესო იმით, რომ იტალიის ორი ცნობილი სამეცნიერო დაწესებულების ზეღმძღვანელების მიერ მოწოდებული ინფორმაციაში თვითკაცურად იყო დამოწმებული ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი ფაქტი — მესამე ნაირსახეობა 1629 წელს სტამბური წესით განხორციელებული ქართული გამოცემისა, ხოლო ვაგებარის იყო ამ უკანასკნელის სათაური, უფრო ზუსტად კი — მასში არსებული ერთგვარი შინაარსობრივი შეუსაბამობა. საქმე ისაა, რომ „ლიტანია" (Λιτανια) ბერძნული სიტყვაა და „ვედრება" — ნიშნავს, ხოლო ვედრებით ძირითადად იგსო ქრისტიანთა და ღვთისმშობელს მიმართავდნენ ხოლმე. უცნობი ქართული ნაბეჭდი ტექსტის სათაურის ისე წაკითხვა, თითქოს ვინმე ლავრენტი (წმინდანი?) მით მიმართ ალაუტუნდა ვედრებას, გაუმართლებლად ჩანდა, რადგან სათაურის კონტექსტი, ჩვენი აზრით, უჩვეულო იყო: სიტყვა „ლიტანიობის" ნაცვლად აქ თითქოს „მარტილობა" ან რომელიმე სხვა შინაარსობრივად უფრო შესაფერი სასულიერო ტერმინი უნდა ყოფილიყო გამოყენებული (შემდეგ გამოირკვა, თუ რაოდენ უსაფუძვლო იყო ცდა ამ სათაურის მსგავსი კორექტირების).

ძირითადად ამ ვაგებებობის შედეგი იყო ის, რომ იტალიიდან მიღებულ წერილებში დამოწმებული ზემოაღნიშნული უნიკალური ცნობა არ მოხვდა სამეცნიერო ნიმუშკევიში, რითაც ქართულ ისტორიოგრაფიასა და ბიბლიოგრაფიას მასში საშუალება არ მიეცა პირველი ქართული ნაბეჭდი ტექსტების თუნდაც რაოდენობრივი მონაცემების დასახუსტებლად. ასე ვაგებულდა მანამ, სანამ შემოხვევამ შესაძლებლობა არ მოგვცა ვაგეკრეკილეთი ამ საკითხის რაობაში, რასაც დიდად შეუწყურია იყო 1977 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით სახელგარკავთ, კერძოდ იტალიაში, იუნესკოს სტიპენდიის საფუძველზე ვანზორციელებულმა სამეცნიერო მივლინებამ. მივლინების შედეგად ვატიკანისა და მისდამი დაწვემდებარებულ „პროპაგანდა ფილეს" არქივსაკაგებებსა თუ ბიბლიოთეკეში ვაგეკრეკილეთი და შეძლებისდაგვარად ვაგეკრეკილეთი როგორც საარქივო, ისე სხვა ფაქტობრივი ხასიათის მასალა, რომელსაც ვაგეკრეკილეთი ნათელი მოქონის

პირველი ქართული ნაბეჭდი ტექსტების რომში გამოქვეყნების ისტორიას.

„პროპაგანდა ფილეს" არქივში საგანგებოდაც ვაგეკრეკილეთი ამ სასულიერო დაწესებულებულთაგან დადგენილი არსებული მრავალენოვანი სტამბის ტექსტების მსგავსი ფონდი „სტამბურის" სახელწოდებით, რომელიც ექვს მოზრდილ დასტას ითვლის. პირველ დასტაში ძირითადად XVII საუკუნის მასალა თავმოკრული, თუმცა ამ სტამბის ისტორიის საწყისი პერიოდის ამსახველი საბუთები აქ შედარებით ძუნწადაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ დასტაში მივაკვლიეთ ჩვენთვის საინტერესო ცნობებს პირველი ქართული ნაბეჭდი ტექსტების შესახებ. უნიკალური შინაარსის შემცველ საარქივო საბუთებს შორის ჩვენი ყურადღება, ცხადია, ამ საკითხზე გამოახვილდა, თუ რას წარმოადგენდა „ლავერენტის ლიტანიობა". საარქივო საბუთებში არაერთგვარის იყო აღნიშნული მესამე ნაირსახეობა 1629 წელს რომში გამოქვეყნებული ქართული ნაბეჭდი ტექსტებისა ნიკოლოზ ირბახის ავტორობით, თორღ სრულიად განსხვავებული სათაურით: „Litaniae B(eatae) M(ariae) V(irginis) Lauretanae", რაც ქართულად ნიშნავს: „ლიტანია ლორეტოს ნეტარისა ქალწულისაი მარიამისაი"².

ამგვარად, პროპაგანდა ფილეს" არქივის ახალი მოხაგეკრეკების საფუძველზე გამოირკვა, რომ ვატიკანის ბიბლიოთეკის პრეფექტის საბასუხო წერილის ქართულად მთარგმნელს არახუსტად ვაგეკრეკილეთი სათაური დღემდე უცნობი ქართული ნაბეჭდი ტექსტის, ერთდროულად ისიც დადასტურდა, რომ 1629 წელს რომში განხორციელებულია სამი ცალკეული ქართული გამოცემა, ნაცვლად ადრე ცნობილი ორისა, რაც მეცნიერულად უდავოდ დიდად ვაგეკრეკილეთი ფაქტია. მაგრამ ერთი საქმეა საარქივო საბუთების მიხედვით ჩვესა ისტორიოგრაფიისთვის უცნობი და შინაარსის მიხედვით ქართული კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა დაადგინო, ხოლო სულ სხვა მისი de visu აღქმა, ცხადია, თუკი ამის შესაძლებლობა არსებობს. მეტად ხანგრძლივი და დაძაბული ძიების შემდეგ რომში გამოქვეყნებული ამ ახლად დადგენილ ქართული ნაბეჭდი ტექსტის ერთადერთ (აუცილებელ) ვეგზმპლარს ვატიკანის „ბიბლიოთეკა აპოსტოლიკაში" მივაკვლიეთ. ეს აღმოჩნდა ერთ ვაგეკრეკილეთი (in aperto) მხედრული დასტამბული ტექსტი ნიკოლოზ ირბახის მიერ ლათინურიდან ქართულად თარგმნილი კათოლიკური ლოცვისა, რომელიც ქალწულისა სასწაულმოქმედად მიჩნეული ღვთისმშობლის რელიკვიებისადმი იყო მიძღვნილი.

პირველი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ ფაქტთან დაკავშირებით, ის იყო, რომ ცალკე გამოცემად დასტამბული ქართული ტექსტი ამ კათოლიკური ლოცვის ერთდროულად წიგნშიც „ქართული ანბანი ლოცვებითურთ" განსახიერდა. ერთი და იგივე ქართულ თარგმანის ტექსტის ამ ორ თანადროულ პუბლიკაციაში შორის არსებითად მხოლოდ ის სხვაობაა, რომ ლოცვის ქართული სათაურის: „ლიტანია: -ის: ხოლმე: ღმერთის: მშობლისა: თედესკა: ვნებლისა: ვსმენ: თვის: მშობელი: ისტ: ლარეტნი:" აქ („ანბანში") წინ უძღვის მისი უფრო ზოგადი ლათინური სათაური: „Litanie B(eatae) Maria(e) Virginis", (ლიტანია ნეტარისა ქალწულისაი მარიამისაი), იგივე ქართული ტექსტი არსებობს თითქმის უცვლელად დაერთო აგრეთვე

პროპაგანდა ფიდეს⁴ სტამბაში ფრანკესკო-მარია ვაქოს მიერ 1643 წელს გამოქვეყნებულ „ქართულ გრამატიკას“.

„ლიტანია ლაურეტანას“ ქართული ტექსტის ამ სამოპულიკაციის შეცვრების შედეგად გამოირკვა, რომ ნაკვირვარ ირბაზის მიერ ლათინურიდან ქართულად თარგმნილი ლოკის ტექსტი სამივე შემთხვევაში ძირითადად უცვლელია, თუმცა თითოეულ მათგანს, ერთობლივ ხარვეზებთან ერთად, დამახასიათებელი ნაკლიც გააჩნია. მაგალითად, ამ ლოკის ცალკე გამოქვეყნებული ქართული ტექსტისაგან განსხვავებით, „ანბანში“ დასტამბული ამივე ტექსტის (იხ. გვ. 15-20) მე-11 პწკარში მომდევნო მე-12 პწკარიდან გადმოადგილებულია ფრაზა-რეფრენი („მოიხება შენი ზედა ჩუენ“), ხოლო 27-ე, 31-ე, 37-ე, 43-ე, 44-ე, 47-ე, 51-ე, 53-ე პწკარებში — რეფრენის ნარისახებოა განსხვავებულიადაა ნახშირი („მოიხება“ „მოიხ“-ის ნაცვლად და პირიქით). ფ.-მ. მაქოს „ქართულ გრამატიკაში“ (1643 წ.) გამოქვეყნებული იგივე ტექსტი (იხ. გვ. 141-143) წინამორბედი ორივე პულიკაციისაგან განსხვავებით არასრულია: აქ გამოტოვებულია 21-ე („შობელსო მაცხოვრისაო მოიხ“) და 22-ე („შობელსო საკრალველ“) პწკარები, რის გამო საერთო რაოდენობა პწკარებისა 60-ის ნაცვლად 58-ს შეადგენს. კორექტურა აქაც გამოტოვებს, ზოგ შემთხვევაში — მეტად, ვიდრე წინა გამოცემებში (იხ. 28, 29, 32, 41, 43, 49, 53, 58 პწკარები), უფრო ხშირია ასეთი აღრევა მათ გრაფიკულ მოხატულობაში გაურკვევლობის გამო. „გრამატიკაში“ გამოქვეყნებული ტექსტი ამ ლოკისა სხვა მხრივაც არის განსხვავებული, ერთობ, საწყისი ასოს კახშულ ჩარჩოში გამოსახულებითა და ახალი სტამბური წყობით, მას აქ 3 გვერდი უკავია ნაცვლად 6 გვერდისა „ანბანში“. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აქ გამოყენებულია „ენ“-ისა და „ლას“-ის, „სან“-ისა და „სან“-ის ტექსტის წინამორბედ გამოცემათაგან განსხვავებული ლოგატურები. მიუხედავად ამ მინიმალური, მაგრამ თვალნათლივი სხვაობისა, ლოკის „ანბანსა“ და „გრამატიკაში“ გამოქვეყნებულ ტექსტებს შორის მეტი საერთო აღინიშნება, ვიდრე მის ცალკე გამოცემაში. ქართულ ტექსტსა, ამ დასკვნის მართებულობაზე, ჩვენს აზრით, ის ვარაუგობა მოწმობს, რომ „გრამატიკაში“ გამოქვეყნებული ლოკის ტექსტის მე-11-მე-12 პწკარებში ზემომითითებული ფრაზა-რეფრენის იგივე გადაადგილება გამოტოვებული, რომელიც „ანბანში“ გამოქვეყნებული იმავე ტექსტის შესაბამის ნაცვლად დაკავშირებით აღვნიშნეთ. უფკრობით, რომ ეს ფაქტი თავისთავად იმაზე მიუთითებს, რომ „ლიტანია ლაურეტანას“ „ანბანში“ მოცემული ტექსტი „გრამატიკაში“ გამოქვეყნებული ტექსტის დენად გამოყენებითა.

„ლიტანია ლაურეტანას“ სამივე პირველნაბეჭდულ ქართულ წიგნში დასტამბვის ფაქტი ამ კათოლიკური ლოკის პოპულარობაზე მეტყველებს, რასაც ალბათ ისიც ადასტურებს, რომ 1629 წელს განხორციელებული მისი ქართული თარგმანის ცალკე გამოცემა, როგორც საარქივო საბუთებიდან ჩანს, იმ დროისათვის შედარებით დიდი ტრაჟიდი დასტამბა⁵.

„ბიბლიოთეკა აპოსტოლიკაში“ „ლიტანია ლაურეტანას“ ახალგაშთენილი დამოუკიდებელი ქართული ნაბეჭდი ტექსტის სიგარძივი და ვანივი ზომაა 44X25 სმ. იგი აღმოჩნდა ლიტურგიული შინაარსის სხვადასხვა-

RESIDENTIE PRINCIPALJ ACQVISTATE IN ORBITI
da nostri Padri fono tre Panchi d'io Vrbono VIII.
Innocenzo X. Alesandro VII.



ბიბლიოთეკა აპოსტოლიკაში მოცემული ტექსტის დენად გამოყენების ფაქტი, რომელიც „გრამატიკაში“ გამოქვეყნებული ტექსტის დენად გამოყენებითა.

საქართველოს ელჩი რომის კარზე ნიკიფორე ირბაზა (ირუბაქიძე) ჩილოყაშვილი

ენოვანი მცირე მოცულობის ნაბეჭდი ტექსტების დასტამბა, რომლებიც „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში დამკვიდრებულ წესის თანახმად, ტრიაის დასტამბულისთანავე რამდენიმე ცალად ეგზავნებოდა ვატიკანის ბიბლიოთეკას, ოღონდ არა როგორც სასიხვი (თანამედროვე ტერმინით—სასიგნალო) ცალბედი, არამედ როგორც ბიბლიოთეკის ფონდებში შესანახად განკუთვნილი, ე. წ. „აუცილებელი“ ეგზემპლარები. დასტამბული ტექსტებს შორის ლიტანიის ქართული ტექსტი ქრონოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე ხანგასული აღმოჩნდა. მოცულობით იგი, ისევე როგორც მისი შესატყვისი ლათინური ტექსტი, 60 პწკარისაგან შედგება. გაშლილ ფურცელზე დასტამბული ლიტანიის ქართული ტექსტი ორ, თითქმის თანაბარ სვეტად არის მოთავსებული — მარცხენა მხარეზე (დასაწყისი ნაწილი) 33 პწკარია, ხოლო მარჯვენაზე — მომდევნო 26 პწკარია. ხოლო, მოცულობით ყველაზე ვრცელი, პწკარი ტექსტისა, რომელსაც ფაქტიურად ოთხი სტრიქონი უკავია, ორსავე სვეტს ქვემოდან ეკვრის გაბმულად ისე, რომ მათ შორის არსებული სტამბურად კახშული, თუ შეიძლება ასე ითქვას, დეკორატიული გამყოფი ხაზი მას შეუხებ არ ჰყოფს. ლიტანიის ქართული ტექსტის ორ სტრიქონად წამდგარებელი აქვს ზემომითითებული, მეტად თავისებური და ძნელად გასაშიფრი, ქარაგმული სათაური, რომლის თითოეული შემადგენელი სიტყვა მარჯვენე წაწვეტბულ სამწერტილითაა განაკუთვებული. ლიტანიის ქართული ტექსტის დამაკვირგინებელი მე-60 პწკარის ქვეშ გავლენული ხაზის მიღმა იტალიური წარწერაა: „In Roma, nella Stampa della Sag(r)a Congreg(azione) de Propaganda, Fide.

Con licenza d' Superiori", რაც ნიშნავს: „დაბეჭდილი რომში, პრაზაგანდა ფილეს წმ(ინდა) კონგრეგ(აციის) სტამბაში უმაღლესი სასულიერო მთავრობის ნებართვით“.

„ლიტანია ლაურეტანას“ ქართული ტექსტის გამოსახულება სტამბური გაფორმების თვალსაზრისით სკერად უფრო შთაბეჭდილია, ვიდრე „ანანასი“ ან „ლექსიკონის“ ნებისმიერი გვერდისა, თუმცა სამივე პირველი ნაბეჭდი ქართული გამოცემა ერთი და იგივე მხედრული შრიფტითაა აწყობილი. ასეთ დასვენებას, სხვა მონაცემებთან ერთად, როგორც ჩანს, ხელს უწყობს ლოცვის ასაკე გამოცემული ქართული ტექსტისათვის დამახასიათებელი ჰერაზია სიმპიღროვე და ცალკეულ ასოთა მოხდენილად შესრულებული ლიტანტრების უფრო მეათეოდ წარმოჩენა, ვიდრე ამას ადგილი აქვს, კერძოდ, წიგნში „ქართულ ანბანს ლოცვებითურთ“.

მთელი ტექსტი „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული თარგმანისა ჩასმულია ორიგინალურ, მეტად ლამაზი ორნამენტის შემცველ, ჩარჩოში, აღსანიშნავია, რომ ამ ორნამენტის ცალკეული დეტალი გამოყენებულია „ქართული-იტალიური ლექსიკონის“ და ფ. შ. „ქართული გრამატიკის“ სტამბურად გაფორმებისას (იხ. „ლექსიკონის“ 1, 2, 128 და სხვ. გვერდები; „გრამატიკის“ 1 ტომის შესავალი ნაწილის 7, 10 გვ. და ძირითადი ტექსტის 1, 2, 33, 111 და სხვა გვერდები). თავისი სტილის მიხედვით ეს ორნამენტი და ჩარჩო გარკვეულად უკავშირდება აგრეთვე წიგნის „ქართული ანბანს ლოცვებითურთ“ გაფორმებისას გამოყენებულ ცალკეულ თავსართ-ბილოსამკებს, თუმცა მათ შედარებით ნაკლები საერთო აქვთ. მაგრამ თუ „პრაზაგანდა ფილეს“ შიგნით განოკრეფილებულ ამ სამ ქართულ გამოცემას შორის რაღაც გარკვეული მსგავსება არსებობს სტამბური გაფორმების თვალსაზრისით, უნდა აქვე აღინიშნოს, რომ „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული ტექსტი სრულიად განსხვავებულად გამოიყურება შთაბეჭდილი გრაფიკის წყალობით.

გრაფიკა „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული თარგმანის სტამბური გაფორმების ყველაზე მნიშვნელოვანი, ასე ვთქვათ, დამაკვირვებელი დეტალია იგი მოთავსებულია სათაურის ზემოთ, ტექსტის ორ სტრად გამაყვავებული გამოფხი ხაზის პერპენდიკულარულად და სიმეტრიულად ჩასმული ტექსტის ორგანოვ შემოვლებულ ორნამენტურად ჩარჩოში. გრაფიკის სიუჟეტი ბიბლიური შინაარსისაა. მისზე საკმაო მხატვრული დახვეწილობითაა წარმოდგენილი კომპოზიცია, რომლის ცენტრალური თემა ლეთისშობლის თავყანისცემა ახალშობილ ქრისტესსადმი წმ. იოსების თანდასწრებით. მუხლოდრეკილი მარამი მოკმალეულად ვითაყენება ახალშობილ მღერტყას, რომელიც თივაზე დაფენილ თეთრ ტილოზე წყვს. მარცხნივ გრაფიკაზე ბოსლის ფრამენტა მოცემულია საკონსოლიტო, რაც ქრისტეს ბოსელში დაბადების შესახებ ბიბლიური წარმომავლობის ცნობაზე მიგვიანიშნებს, ხოლო მარჯვნივ — სამი მამაკაცი შედარებით დაშორებულ ფიგურა მოჩანს, რომელთა სახით გრაფიკის ავტორს, ჩვენი აზრით, სამი მწყემსი ჰყავს წარმომხილი (ჩამულეობით ისინი მწყემსებს უფრო ჰგვანან, ვიდრე სამ ბიბლიურ. მოგვს ანუ მეფეს). როგორც, შესაძლოა, ერთგვარი ცდა გრაფიკის ძირითადი თემის სხვა ბიბ-

ლიურ სიუჟეტთან — მწყემსთა თავყანისცემა — გაერთიანებისა. გრაფიკის ზემო ცენტრალურ ნაწილში შხის უხვად ვადმოტრქვეულ „ქართულ-გელოზია დასია განსახიერებელი, რომელიც უწყობს გრაფიკაზე აღბეჭდილი სურათის მთლიანობაში აღქმას.

გრაფიკა ტექნიკურად ხის ყალიბის მეშვეობითაა დამზადებული იმავე მეთოდით, რომლითაც „პრაზაგანდა ფილეს“ სტამბაში, კერძოდ, ქართული შრიფტის შექმნისას იხელმძღვანელებს, როდესაც ცალკეულ ასოთა ჩამოსახმელად ხის ჰენსონები და მატრიცები გამოიყენეს. „ლიტანია ლაურეტანას“ ქართულად დასტამბულ ტექსტში გამოყენებული გრაფიკა XVI-XVII საუკუნეთა მიჯნის შეიძლება დოთაროდეს. მისი ავტორი, სამწუხაროდ, უცნობია. მაგრამ ცნობილი ის არის, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის 50-იანი წლების ჩათვლით დასავლეთ ევროპაში და საეთორად იტალიაში ფართოდ ვითარდება წიგნის გრაფიკისა და ე. წ. გამოყენებით ხასიათის გრაფიკის ხელოვნება. ამ უკანასკნელს სხვადასხვა დანიშნულებით ხმარობდნენ: თუ შეიძლება ასე ითქვას, პირადი ლეთისმსახურების მიზნით (ხატის ნაცვლად), ხელნაწერი ტექსტების სალესტრაიკოდ, წმინდანთა ცხოვრების გასათვრებლად და სხვა სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა გამოცემულია ერთგვარი სპეციფიკური კატეგორიის ჩამოყალიბება (მაგალითად, სალამანის, სადღერისა და სხვათა საგვარეულო ფიგურები), რომელთაც გრაფიკისას დასაბეჭდად და გასაყვრებლად საგანგებო სახელისონები ჰქონდათ. მაგრამ ამ ცნობილ ხელოვნებაშია გარდა, იმხანად არსებობდა აგრეთვე მრავალრიცხოვანი ფენა კვალიფიცირებული ხელოვნებისა, რომელთა მხატვრული ნაწარმი, თუმცა ვერ აღწევდა ჰემპარიტად დიდი ხელოვნების დონეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეულ ფასეულობას წარმოადგენდა, კერძოდ, სასტამბო საქმის განსაჯითარებლად. წინამდებარე გრაფიკა, რომელიც „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული ტექსტს ამშვენებს, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფენიდან გამოსული საშუალო ნივის მხატვარ-ხელოსნის ნაწარმოებს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც, შესაძლოა, რომელიც გრაფიკითა რომელიმე კონკრეტულ გაერთიანებს ეკუთვნოდ.

ამ გრაფიკასთან დაკავშირებით ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს, სახელდობრ ის, რომ შინაარსობრივად იგი ლორეტოს ლეთისშობლის ტაძრის რელიეფისა და მათ შესახებ არსებულ ლეგენდებს არ ემდებარება. ეს ფაქტი შესაძლოა იმით აიხსნას, რომ, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, „იტალიაში ლეთისშობლის განსახიერებას ლორეტოს ლიტანიის სიმბოლიკასთან კავშირში არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებენ“.

ვიღებ „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული თარგმანის ტექსტოლოგიურ განხილვას შევუდგებოდეთ. ზედმეტად არ გვეჩვენება ამ კათოლიკური ლიცის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებში გვერდითი და ერთდროულად შევეცდეთ მასეხი ვაეცეთ კითხვაზე, თუ სხვა კათოლიკურ ლიცეთა შორის ნიკიფორ იბრაჰმა რატომ გამოარჩია და უპირატესობა მისცა ლორეტოს ლეთისშობლის პატივსაცემად აღღწეული ლიტანიას.

ქალაქი ლორეტო (Loreto), იტალიის პროვინცია



ანონსში, ადრიატიკის ზღვასთან ახლოს, მდინარე მუხონას შესართავთან, მდებარეობს ისევე როგორც საფრანგეთის ქალაქი ლორდი, ლორეტო რელიგიური ფანატისმით შემკობილი კათოლიკე მორწმუნეთა შორის განთქმულია თავისი ცნობილი ღვთისმშობლის ტაძრით, სადაც დატეულია ე. წ. წმინდა ქოხი (la casa santa). გადმოცემის თანახმად, ეს ქოხი, რომელშიც ღვთისმშობელი ცხოვრობდა, ნაზარეთიდან XIII საუკუნეში ჯერ დღანაიაში მდებარე ქალაქ ტრინატიში, ხოლო შემდეგ ლორეტოში გადაუადგილებიათ. „წმინდა ქოხი“, რომელშიც ლორეტოს ღვთისმშობლის ტაძარში პპავა ნათსაყდელი, შედარებით პატარა მოკლეობას: მისი სიგრძეა დაახლოებით 8 მეტრი, სიგანე — 3 მეტრი, ხოლო სიმაღლე — 4 მეტრი. იგი შვიი ხისა და აგურისაგან არის აშენებული, ბრინჯაოს კარები ცნობილი ოსტატის ლომბარდოს ნახელავს წარმოადგენს. „წმინდა ქოხს“ უმდიდრესი მორთულობა ჰქონდა. მორთულობას რაფაელის მიერ შესრულებული ღვთისმშობლის სახეც ითვისებდა.

ლორეტოს ტაძარში დატეული „წმინდა ქოხი“ კათოლიკე მორწმუნეთა სათაყვანებელ რელიქვიად გადაიქცა, რომლის სანახავად მლოცველები ევროპის სხვადასხვა ადგილიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ, რათა ღვთისმშობლის წინაშე მუხლი მოედრიკათ და შესაფერისი ლოცვა-ვედრება ადევლანთ. დროთა განმავლობაში ევროპის ბევრ სხვა ქალაქში არსებულ კათოლიკურ ტაძრებშიც ვიანდა „წმინდა ქოხის“ მსგავსი მინიატურული ნაგებობანი, რომელთა დამახასიათებელ ნიშან-თვისებას ლორეტოში დატეული „ორიგინალისათვის“ მიბაძვა წარმოადგენდა. რაც შეეხება „ლიტანია ლაურეტანას“ ანუ ლორეტოს ღვთისმშობლის პატივსაცემად შეთხზულ ლოცვას, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, კათოლიკურ სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მისი ავტორი და კომპოზიციის თარიღი უცნობია, ზოგადად ლიტანის, როგორც კათოლიკური ლოცვის, საფუძველს მიიჩნევენ ძველი აღქმის შინაარსში ეძიებენ. სპეციალისტების აზრით, მის პროტოტიპს წარმოადგენს ცალკეული ფსალმუნები, კერძოდ, 118-ე და 138-ე. ლიტანიის შესახებ არსებულ ყველაზე ადრინდელ დოკუმენტურ წყაროდ XII საუკუნის ე. წ. მაინცის ხელნაწერია მიჩნეული, სადაც მოხსენიებულია „ლიტანია ჩვენი მუეფე ღვთისმშობლის ქალწულ მარიათის მიმართ. ლოცვის წარმოთქმა — ნათქვამია საბეთში, — დიდად სასარგებლოა ყოველდღე ყოველგვარი მწუხარების საწინააღმდეგოდ“⁹. პირველი დოკუმენტური ცნობები საკუთრივ ლორეტოს ღვთისმშობლის ლიტანია აღიარებული ლოცვის შესახებ 1531, 1547 და 1554 წლებით არის დათარიღებული, თუმცა ოფიციალურად იგი მხოლოდ 1587 წელს იყო დადასტურებული რომის პაპის სიქსტუს V მიერ¹⁰, რომლის ძველი ლორეტოს ტაძრის წინააღმართელი, ამ თარიღის აღსანიშნავად.

ყველაზე განთქმულ ლიტანიად ე. წ. „ყველა წმინდანის ლიტანია“ და ლორეტოს ღვთისმშობლის ლიტანია ანუ „ლიტანია ლაურეტანა“ ითვლება¹¹.

1575 წლიდან მოყოლებული ლორეტოშივე თავი იჩინა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილმა სხვა, ე. წ.

„ახალმა ლიტანიებმა“, რის გამოც ვატიკანსაც რიგი ლიტანიებისა განახორციელა, რათა „ლიტანიებისა რეტანას“ სიქსტუს V მიერ დამტკიცებულ „ლიტანიას“ დაეტოვა ყოველგვარი ხელყოფისაგან, მასში რაიმე ცვლილებებისა თუ შესწორებების შეტანისაგან. 1601 წელს რომის პაპმა კლემენტი VIII აკრძალა „ლიტანია ლაურეტანას“ მთელი რიგი ნებადართული ვარიანტების, ხოლო ვატიკანის სათანადო კონგრეგაციამ სხვადასხვა დროს სამი ოფერტური შინაარსის დეკრეტი მიიღო (1631, 1821 და 1839 წწ.) იმის უზრუნველსაყოფად, რომ „ლიტანია ლაურეტანას“ დამტკიცებულ ტექსტში არავითარი ცვლილება არ შეეტანათ რომის პაპის სავანებო ნებართვის გარეშე¹². ალბათ კათოლიკური ცენტრის ასეთმა სიმკაცრემ განაპირობა ის, რომ „ლიტანია ლაურეტანას“ ტექსტს საუკუნეთა მანძილზე არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია¹³. საგულსიმო. ის გარეთედა, რომ 1629 წელს „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული ტექსტის რომში დასტამების შემდეგ ვატიკანს 1631 წელს სავანებო დეკრეტი მიუღია ამ ლოცვის ძირითადი, ლათინური ტექსტის სიწმინდის დაცვის მიზნით. ამ ფაქტის მიხედვით შეიძლება დაეკვიტულიყავით დასაბუღებელი ლოცვის ლათინური დედნის, რომლიდანაც ქართული თარგმანი გაკეთდა, „ორთოდოქსალთაში“, მაგრამ „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული ტექსტის შესატყვის თანამედროვე ლათინურ ტექსტთან შეყრებამ, მიუხედავად მათ შორის არსებულ გარკვეული ტექსტოლოგიური განსხვავებისა, რაზეც საუბარი ქვემოთ გვექნება, ყოველგვარი საფუძველი გამოიქცა ასეთი დაკვიტისათვის.

ახლა შევეცადოთ გავერკვიოთ იმაში, თუ რამ გამოიწვია ნიკოფორე ირბახის მიერ ასე თვალნათლად გამქაფანებული ინტერესი „ლიტანია ლაურეტანას“ ანუ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ამ კათოლიკური ლოცვის მიმართ, ან რა კონკრეტულ გარემოებას შეეძლო ხელი შეეწყოს მის მიერ ამ ლოცვის ქართულ ენაზე თარგმნისათვის.

ამ საკითხთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა „ლიტანია ლაურეტანა“ კათოლიკური ლოცვა, იგი არანაკლები პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობდა მართლმადიდებელთა შორის, მთელი მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ქრისტიანულ მოსახლეობაში ამან რაიმით ისტორიული საბუთი შეტყვევებს. ვეფჩბრბო, საქმარისა დავიმოწმობთ ზოგიერთი ცნობა აღმოსავლური მართლმადიდებლური სამყაროს ისეთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის სათანადო ლიტერატურიდან, როგორცაა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია. სოფოი სნსორევის ცნობილი ნაშრომის ერთ-ერთ ნაკვეთში, სადაც საუბარია ღვთისმშობლის „სასწავლომოქმედ“ ხატებზე, რომელთა თარიღებს ყოველწლიურად სავანებოდ აღნიშნავდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, 14 სექტემბრის თარიღით მიითვებულა ღვთისმშობლის ორი ხატის დღესასწაული. ერთი მათგანია სოფელ ლენსაიაში (კონსტანტინოვს მახრა სელენცის გუბერნიისა) დატეული ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ადგილობრივ მწყემსებს 1683 წელს „გაგოთცხადა“, ხოლო მეორე — ლორეტოს ღვთისმშობლის ხატი, რომლის შესახებ ნაშრომში ნათქვამია: «Сия чудо-

творная икона явилась в 1291 году в Италии и находится в Лоретком (იველისხმება ქ. ლორეტო — §. 3.) монастыре¹⁴).

მეორე რუსული წყაროს მიხედვით, სადაც 14 სექტემბერი დადასტურებულია რუსეთში ლორეტოს ღვთისმშობლის ხატის აღდგენისწახლოდ თარიღად, «эта икона явилась в XI веке, по одним известиям в 1063 г., а по другим — в 1069 г. Находится она в монастыре гор. Лоретто (sic) в Италии. По изображению она похожа на Чернигово-Пыльскую, феодотьевскую, сокольскую и на некоторые другие русские иконы. Богомладенец изображен на левой руке Богоматери; правой рукой он благославляет именованно, а левую держит на коленях. Список с этой иконы находится в селе Песочино, в 12 верстах от города Харькова»¹⁵.

ეს წყარო არა მხოლოდ ამ მხრედა საინტერესო, რომ მასში დამოწმებულია ფაქტი რუსეთში ლორეტოს ღვთისმშობლის ხატის ასლის არსებობისა, არამედ იმითაც, რომ ამ ხატის აქ მოცემული აღწერილობის მიხედვით დასტურდება «ლიტანია ლაურეტანას» ქართულ ნაბეჭდ ტექსტში მოთავსებული ზემოვანხილული გრაჟიურის შინაარსის შეესაბამება ლორეტოს ტაძრის რელიკვიებისადმი, კერძოდ, იქვე დაცული ღვთისმშობლის ხატზე განსაზღვრებული სიუჟეტისადმი.

ღვთისმშობლის კელტის საქაოფ ფესვებარ ტრადიციას არა მხოლოდ დასავლეთ ევროპაში, არამედ, განსაკუთრებით, რუსეთსა და საქართველოში სხვა წყაროებიც მიუთითებენ. კერძოდ, საინტერესო ცნობებს გვაწვდიან თვით ნიკაფორე ირბახის თანამედროვენი. ცნობილი პოლანდელი მეცნიერი, მოგზაური და დოკუმენტი ნიკოლას კორნელუს ვიტკენი, რომელმაც 1664-1665 წლებში რუსეთში იმოგზაურა ი. ბორველს ცნობილი ელჩობის შემადგენლობაში, თავის ჩანაწერებში, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ რუსები «коказывают Деве Марии чрезвычайный и божественный почит также, как в каталической церкви. В песнях в ее честь в церквях часто поют: «Пресвятая Дева Мария, спаси нас». Ввиду того, что они (რუსები) в литургии так часто говорят: «ибо только Ты, господи, безгрешен». — я спросил что же они тогда думают о Деве Марии, и мне ответили, что она безгрешна, но не так и не в такой мере, как Бог. Ей придают обычно такой титул: «Чистая и непорочная»¹⁶.

მეორე შემთხვევაში ნ. ვიტკენს აღწერილი აქვს ლოცვის რიტუალი მოსკოვის შემოგარენში, მდინარე ისტრის პასლობად პატრიარქ ნიკონის მიერ ახალ დაარსებულ მონასტერში, რომელსაც «ახალი იერუსალიმი» ეწოდებოდა. ამ აღწერიდან ირკვევა, რომ ღვთისმშობლის ღვთაობისა და «აილიტუას», ამ შედარებით მცირე, მაგრამ პოპულარულ ლოცვებს, რუსულ ეკლესიაში სხვა, უფრო ვრცელი ლოცვების, მოსაგონარობა და სადღეგრძელოთა შემდეგ ასრულებდნენ, როგორც სალოკავი რიტუალის დამავიზირებელ სასულიერო ტექსტებს. აქ ნათქვამია:

«Трудно точно описать богослужение, так как я не понимал их языка (რუსული ენა იგულისხმება — §. 3.) и не знал значения многих слов (რუსული ენა — §. 3.) То, что я видел и смог запомнить, я опишу. Вначале один мирянин (დაიკვანი იველისხმება — §. 3.) читал параспев молитвы, обращаясь к святым и к богу. После некоторых слов он останавливался и замолкал. Тогда все монахи начинали петь «Господи помилуй» и это продолжалось наперво полчаса. Затем он молился за всех умерших царей, патриархов, митрополитов и их святых (იველისხმება რუსული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულნი — §. 3.); он читал самовона. Молился он также и за нынешнего царя (იველისხმება ალექსი მიხეილის ძე რომაიოვი — §. 3.) и его семью. При названии каждого имени все громко и параспев повторяли молитвы, произносили литанию, одновременно крестясь и делая поклоны. После этого спели «Аллилуйя» и «Канте Мейсон» (ამ სიტყვებით იწყება «ლიტანია ლაურეტანას» ტექსტი — §. 3.). Упомянутой мирянин продолжал стоять лицом к патриарху (პატრიარქი ნიკონი იველისხმება — §. 3.) с опущенной на грудь головой»¹⁷.

საქართველოში ღვთისმშობლის კელტის ტრადიციის დასასაბუთებლად საემპირისა გვაუხსენოთ, რომ სვეტიცხოვლის ტაძარი წმ. მარიამის სახელობისა; რუსულ წყაროებში იგი, სახელობარ, იხსენიება, როგორც «Собор во имя Покрова Пресвятыя Богородицы»¹⁸. ვარდა ამისა, ცნობილია, რომ ღვთისმშობლის „სასწაულომკმედ“ ხატებს შორის ერთ-ერთ უძველესად (ლორეტოს ღვთისმშობლის ხატის ჩანადაზმულობის ჩააკვლით) მიჩნეულია ათონის წმინდა მთაზე არსებულ ქართულ მონასტერში დაცული ე. წ. ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც X საუკუნით თარიღდება. რუსულ სასულიერო ლიტერატურაში ამ ხატის შესახებ არაერთი საინტერესო ცნობაა დაცული. კერძოდ, ის, რომ 1648 წელს რუსეთის ზემოსენებულ მეფის ალექსი მიხეილის ძის დროს ათონის მონასტრიდან მოსკოვში ჩამოიტანეს ივერიის ღვთისმშობლის ხატის ზემდოწვენით დიდი ხელოვნებით შესრულებული ასლი, რომელიც «шичем не разнится от подлинника, ни длиною, ни шириною, ни ликом, одним словом, «новая аки старая»¹⁹. „სასწაულომკმედთა“ რიცხვს განეუთვნება აგრეთვე ე. წ. „ქართული ღვთისმშობლის ხატი“, რომელიც შაჰ-აბას I შემოსულების დროს სხვა უნიკალურ სასულიერო რელიკვიებთან და უძირფრასეს საგანძობთან ერთად მიტაცებულ იქნა თბილისიდან სპარსელების მიერ. ამ ხატის შემდგომი თავგადასავლის შესახებ ს. სენსორევა გვამცნობს, რომ საქართველოდან სპარსეთში წა-



დებულ «რუსუ Господню шах Аббас поднес в дар патриарху филарету, а икону Грузинской Богоматери купил у персов бывший в Персии по торговым делам прикащик ярославского купца Григория Лыткина, Стефан Лазарев»²⁰.

მიუხედავად იმისა, რომ ლეთისშობლის ამ ორმა უნიკალურმა „სასწაულმოქმედმა“ ქართულმა ხატმა ადგილსამყოფელი საქართველოს ფარგლებს გარეთ დამოკიდრა. ქვეყნის შიგნით სხვა წმინდანთა და სალოცავთა შორის წმ. მთაბათის კულტი, შეიძლება ითქვას, თითქმის უტოლდებოდა წმ. გიორგისადმი ქართულ ეკლესიაში სრულიად განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. ამის დამადასტურებელი არაერთი საბუთი არსებობს. მაგრამ წინამდებარე გამოკვლევებისათვის სულ სხვა მნიშვნელობისაა საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების მიერ რომში გაგზავნილ რელიკიებში დამოწმებული ცალკეული ცნობები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებს გარკვეულ შექცაზე ახდენენ. ამჯერად მხოლოდ იტალიელი მისიონერის კუხუბე ჯულიჩეს (წარმოშობით მილანელის) მიერ XVII საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან რომში გაგზავნილ რელიკიებში აღნიშნულ ზოგიერთ ცნობაზე გვაქვს ჩვენთვის ცნობილი მონაცემები. თუმცა აქ მოხანილი ფაქტები ძირითადად მხოლოდ სამეგრელოს შეეხება, მაგრამ მათ შორის არაერთია ისეთი, რომელიც იმდროინდელი საქართველოს სინამდვილის ზოგადად დასახსიათებლად ტიპობრივად შეიძლება მივიჩნიოთ. უპირველეს ყოვლისა, დავიმოწმებთ ერთ ადგილს რელიკიებიდან, რომელიც, ჩვენი აზრით, საქართველოში ლეთისშობლის კულტის შესახებ ზემოვთქმული მონაცემების საილუსტრაციოდ შეიძლება გამოდგეს: „გაქირებებისა და მწუხარების შემოხვევაში (ქართველები) უმაღლე ეკლესიას მიაშურებენ ხოლმე. ეკლესიის კარების წინ გაჩერდებიან და თავიანთ გაქირებაზე ლოცულობენ, ლეთისშობლის ხატს ევედრებიან (რომელსაც ხელში ყრმა ქრისტე უჭირავს). ასეთი ხატები ჩვეულებრივია ყველა ეკლესიაში. თითქოს აღამანებენ ესაუბრებიანო ამგვარად: „ოო, უნეტარესო ქალწულო!.. წყალობით მოხედე ჩემს გაქირებას, რისთვისაც შენ მოგემსახურებ და შემოწირულებასაც არ დავიშურებ“ და სხვა“²¹.

ჯ. ჯულიჩეს ამგვ რელიკიაში, სამეგრელოში იმხანად მოქმედი კათოლიკური მისიონის მაგალითზე, მოკლულია საქართველოში მისიონერების ყოველდღიური პრაქტიკული სასულიერო საქმიანობის ერთგვარი განრიგი, რომლის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, როგორც ირკვევა, ლეთისშობლის ლიტანიის შესრულება წარმოადგენდა. რელიკიაში ამის შესახებ ნათქვამია: „წირვა ყოველ დღე სრულდება მგალობელთა გუნდით — ეამისას, სერობისას და ღამე... კვირაობით ქრისტიანულ მოძღვრებას ვასწავლობ. საზეიმო უქმეებში წირვა დგება ზარის რკით... თუ მწუხრისას — გიხაროდენ ქალწულოს“²² ლოცვის ნიშნად ზარი ირკვე-

ბა, რომლის შემდეგ საიდუმლო ლოცვა სრულდება. ის აგრეთვე აღიონის შემდეგ დილოთაც მეორედ და მას მაშინვე უწმინდესი ლეთისშობლის ღმერთის, ყველაფერი ეს ჩვენ წესრიგს შეესაბამება ეკვივარეშა, რომ „უწმინდესი ლეთისშობლის ლიტანიის“ სახით აქ „ლიტანია ლატრუტანა“ იგულისხმება და, სახელდობრ, არა ლათინური ტექსტი ამ ლოცვისა, რომელიც მკვიდრი მოსახლეობისათვის გაგებარი იქნებოდა, არამედ 1629 წელს რომში დასტურებული მისი ქართული თარგმანი. ეს უკანასკნელი XVII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, როგორც ახალგაშობილი საარქივო საბუთები მოწმობენ, იქვე გამოცემულ პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებთან ერთად მისიონერებს იტალიიდან საქართველოში გამოაქანეს. ეს ცნობა 1630 წლის 7 სექტემბრით დათარიღებულ ორიგინალური შინაარსის საარქივო საბუთშია დამოწმებული, რომელიც საქართველოში წამოსასვლელად გამოხნულ მისიონერთათვის სპეციალურად შედგენილ ინსტრუქციას წარმოადგენს. ინსტრუქციის VI პუნქტში ამის შესახებ ნათქვამია: „გვაკოზობონ (მისიონერებმა — ვ. გ.) კარგი გამოვიდა თუ არა ქართული შრაფტი და სხვა დაბეჭდილი ტექსტები, რომლებიც თან მიაკვთ“²⁴.

ზემოთ ციტირებულ საარქივო საბუთში დამოწმებული პირველი ქართული ნაბეჭდი ტექსტების რომლიდან საქართველოში გაგზავნის ფაქტი, მაგრამ ჩააღწია კი ამ ტექსტებმა დანიშნულებასამებრ? თუ გავითვალისწინებთ იმ ვარაუდებს, რომ საქართველოსკენ რომიდან მგზავრობის მრავალი სირთულე და ფაქტორი სდევდა თან, ამ კითხვის დაყენება უსაფუძვლო არ უნდა იყოს. მაგრამ დადებითი პასუხი ამ კითხვაზე ეკვივარეშა, რადგან ის მისიონერები, ვისთვისაც ზემოაღნიშნული საგანგებო ინსტრუქცია შეადგინეს, თუო კუხუბე ჯულიჩე (მილანელი) და არქანჯელო ლამბერტი (ნეაპოლელი) იყვნენ, რომლებმაც ალექსისა და არზრუმის გზით 1631 წლის მისის საქართველოში ჩამოაღწიეს და ერთხანს ჯერ გორში ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ სამეგრელოში გადავიდნენ სამოღვაწეოდ.

ამავე რელიკიაში ჯ. ჯულიჩეს მითითებული აქვს ზოგიერთი სასულიერო ხსიათის სხვა ღონისძიებაც, რომლებიც შინაარსობრივად ერთგვარად ავსებდნენ საქართველოში მისიონერთა მოღვაწეობის ზემოთ ციტირებულ განრიგს (პროგრამას): „ჩვეულებრივი ღამისთვისა და მარხვის ვარდა. — მიუთითებს ექვროი. — ამ ქვეყნის ორ დიდ მარხვასაც ვასრულებთ ჩვენი სარწმუნოების შესაბამისად და რასაც წმინდა ეკლესია გვაუბლებს დიდმარხვასა და ხსნილობით, ერთს უწმინდესი სამების შემდეგ პირველ კვირაში, ვიდრე წმიდა პეტრემდე, მეორეს — პირველ აგვისტოდან ლეთისშობლობამდე, ამ დროს ზორისაგან თავს ვიკავებთ და მხოლოდ რძის ნაწარმით ვიცვებებით. მარხვის დაცვა სავალდებულოა. ღამეს ვათევთ ოთხშაბათობით, რომ მიუხედავად ყველაფერიც ამ ხალხს, ...რომელსაც დასრულებული ქრისტიანული კულტურა მოეუბნება“²⁵.

ზემოთ მოტანილი ამონაწერებიდან ირკვევა, რომ მისიონერები საქართველოში თავისი პრაქტიკული საქე-



ლსიო საქმიანობის განხორციელებისას ყოველწარად ცდილობდნენ დაეკავებინათ ნიჟნა იგი ადგილობრივი სასულიერო ცხოვრების ტრადიციული წეს-ჩვეულებებისთვის, რომელიც მათ, არცაუფსაფუძვლოდ, მიჰმნდათ „დასრულებული ქრისტიანული კულტურის“ წინააღმდეგ აღმოცენებულად. თავისთავად ესაღი, რომ მისიონერთა მხრივ ამ ფაქტისათვის ანგარიშის ვაწყება სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი რამდენადმე მაინც ამით ზიანს აყენებდნენ ან უგულებელყოფდნენ საქართველოში თავისი მოღვაწეობის ძირითად დანიშნულებას, სრულებითაც არა: სწორედ ასეთი მიდგომათ მკვიდრი მოსახლეობისადმი ისინი უფრო სრულყოფილად და გვეგახებოდათ ცდილობდნენ საქართველოში დაენერგათ ის, რაც ჯ. ჯუღიძის თქმით „ჩვენს“ ანუ კათოლიკური ეკლესიის „წესრიგს შეესაბამებოდა“.

რელიგიური ამონაწერში დამოწმებული ცნობებით განსაკუთრებით უზარადად იმის დაქვრება, რომ შპა-აბას I მიერ არაერთხელის ოხრებულ საქართველოში, სხვა სასულიერო ხასიათის დღესასწაულებთან დაკრძალვად, წმინდა გიორგობასთან ერთად თურმე „ღვთისმშობლობაც“ რეგულარულად აღინიშნებოდა ხოლმე. თუნდაც ეს ფაქტი ნათუ არ კმარა საიმისოდ, რომ ისეთ სასულიერო მოღვაწეს, როგორც წმინდა ბასილის წესის ბერი ნიკიფორე ირბახი იყო, იტალიაში ყოფნისას ცხოველი ინტერესი გამოემჟღავნებინა საქვეყნოდ ცნობილი ლორეტოს ლეთისმშობლის ლტანისი მიმართ, რათა ეს ლოცვა მისი თარგმანის საშუალებით ქართულ ეკლესიას „ღვთისმშობლობის“ უფრო საზეიმო ვითარებაში აღსანიშნავად შემატეებოდა. მაგრამ არც იმის გამოიტყვა შეძლება, რომ ამ კათოლიკური ლოცვის ქართულად აარგმნა ნიკიფორე ირბახს ან ვინმემ შთაავრია, ან, შესაძლოა, რაიმე კონკრეტულმა გარემოებამ შეუწყო ხელი. ასეთი ვარაუდის დასაშვებად ისევე ჯ. ჯუღიძის რელიგიის შინაარსი უნდა მიაგონებოდით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1631 წელს საქართველოში ჩამოსული ჯუღიძე ჯუღიძე და არქანჯელო ლამბერტი ჯერ გორში ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ სამეგრელოში გადასახლდნენ. როსტომის ქართლში გამეფების შემდეგ გორის სამისიონერო ერთგვარად დაქვეითდა, მის საქმიანობას აღარ ჰქონდა ის შემართება და ელფერი, რაც, თავიც დროზე, შედეგი იყო თეიმურაზ I მხრივ მისიონერთა საქმიანობის ყოველმხრივი მხარდაჭერისა. ამიტომ მისიონერებმა ხელიდან არ გაუშვეს შესაძლებლობა სამისიონეროსათვის ახალი ადგილსამყოფელის შესარჩევად და, როდესაც გორის ლევან დადიანის მიერ გამოგზავნილი სასახუხო ელჩობა ეწვია, რომლის მიზანს ქართლის ახალი მფლობელისა და ლ. დადიანის დის მარიათის შეუღლება წარმოადგენდა, საელჩოს ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით კი ნიკოლოზ ბერს (ნიკიფორე ირბახს), მათ შემწეობა სთხოვეს სამეგრელოში სამისიონეროს დასაფუძვლებლად. ნიკიფორე ირბახის დახმარებით მისიონერებმა ჩანაფიქრი განახორციელეს და ლ. დადიანის სამფლობელოში გადაინაცვლეს.²⁶

სამეგრელოში კათოლიკური სამისიონეროს დაარსების არაერთი სიძნელე შეხვდა, მაგრამ თვით დადიანისა და მისი მუდლის ნესტან-დარეჯან ჰილანის მხარდაჭერით ყოველწინ წარსდგა. მისიონერებს „სამთავროს ცენტრალურ ადგილას“ მდებარე ერთ-ერთ

სოფელში ეკლესია ეგობათ, რომელიც მათ შესანიშნავად მოაწყეს. ახალდაფუძნებულები ეკლესიის მშენებლობაშიც მსაყვედროდ, როდესაც „შთაავრება“ (ლ. დადიანმა) ერთ დღეს თავისთან მიიხმო, — მოგვიტოვებს ჯ. ჯუღიძე, — სინიორ ნიკოლო (ნიკიფორე ირბახი) თარგმნობდა, ძალიან სურს (მთავარს) როგორმე ერთი ოქრომკვედელი ჩამოვიყვანოთ (იტალიიდან), რომელსაც მომინანქრება ეცოდინება. თარგმნის პირით მოვახსენეთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მისი უმაღლესობის სურვილი დაგვემაყოფილებინა. მოვითავიბრეთ და გავითვალისწინეთ, რომ თითქმის შეუძლებელი იყო რომელიმე ერისკაცი ოქრომკვედელი ასე ღირსეულ და ღარიბ ქვეყანაში ჩამოსულიყო. პატრმა აღარ არქანჯელომ (ლამბერტიმ) მიიხრა, რომ ჩვენს სახლში Santa Maria di Loreto-ში, ნეაპოლში, ჩვენს ბერებს შორის იმყოფება ერთი მორჩილი მძა, რომელსაც მარტინო ჰქვია, ნოვიციარი²⁷, იგი ძალიან კარგი ყოფიქვეყნისა, ოქრომკვედელია და იცის მომინანქრებაც. ამის გამო ადვილია მისი ჩამოყვანა, მით უფრო, რომ მას (საამისო) სურვილი აქვს.“²⁸

რელიგიური ამ შედარებით ვრცელი ამონაწერის შობაში იმითომ დავეკვირდა, რომ მის დასკვნით ნაწილში მოხსენიებულია ნეაპოლში არსებული „Santa Maria Loreto“-ს („ლორეტოს წმინდა მარიაშის“) სახელობის სახლი, რომელიც, როგორც ამონაწერის კონტექსტითა ირკვევა, თეატინულ ბერთა მონასტერს წარმოადგენდა. ასეთი სახლის არსებობა ნეაპოლში გასაგებია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლორეტოს ტაძარში დაცული რელიკვიის, ე. წ. „წმინდა ქობის“ („Santa casa di Loreto“) კვალობაზე ევროპის არა ერთ ქალაქში და არა მხოლოდ კათოლიკური ტაძრებსა და სამლოცველოებში²⁹, არამედ მათ ფარგლებს გარეთ, თვით ქალაქებში არსებობდა არქიტექტურულად ლორეტოს „წმინდა ქობის“ მსგავსი, ან უფრო ზშირად იდენტური, ნაგებობანი, რომლებსაც შესატყვისი სახელოვნებები და სასულიერო დანიშნულება ჰქონდათ. ასეთად დანიშნულებას იყო ნეაპოლში არსებული ლორეტოს ლეთისმშობლის სახელობის სახლი — მონასტერი, რომელიც თეატინული ორდენის გამგებლობაში ითვებოდა. ადრე მისი მკვიდრი, როგორც ჩანს, თვით არქანჯელო ლამბერტიც ყოფილა. მაგრამ ეს მონასტერი ჩვენთვის უფრო იმითაა საინტერესო, რომ მასთან უშუალოდაა დაკავშირებული დასავლეთ ევროპაში ნიკიფორე ირბახის ელჩობის საწყისი პერიოდი.

როგორც ცნობილია, ნიკიფორე საქართველოდან მესინაში ჩავიდა და აქ შემოქვეყნით გაეცნო საქართველოსკენ მიმავალ სამ თეატინულ მისიონერს — პეტროს ავიტაბიელს, ჭაკომო სტეფანოსა და ფრანჩესკო დ'აპარესოს. რადგან ქართული ელჩობის ერთ-ერთი უმთავრეს მიზანს ესპანეთის მეფე ფილიპე II-სათვის თეიმურაზ I წერილის გადაცემა წარმოადგენდა, ახალგაყვანილობა თეატინულმა მისიონერებმა ნიკიფორეს, როგორც ჩანს, ჭარ ნეაპოლში გამგზავრება ურჩვეს, რადგან ეს ქალაქი ესპანეთს ეკუთვნოდა, ხოლო ამ ქალაქის მმართველი, როგორც საარქივო საბუთებიდანაც ჩანს, ესპანეთის ე. წ. ვიცი-მეფის (ანუ მეფის ნაცვლის) ტიტულს ატარებდა. სწორედ აქ შეეძლო ნიკიფორეს ესპანეთში გასამგზავრებლად მისთვის აუცილებელი სარეკომენდაციო წერილების მიღება, რის



⁴⁰ „ტარიგი“ ძველქართულად სამსხვერპლო კრავს ნიშნავს (იხ. ი. აბულაძე. „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბ., 1973, გვ. 411).

⁴¹ „აიე“ (წმინდა) ახალი ბერძნული ფორმაა, შესაბამისი ძველბერძნული „პაგია“-სი. „ლიტანია ლაურეტანას“ ქართულ ტექსტში მოტანილი სხვა ბერძნული სიტყვებისაგან განსხვავებით, რომლებიც ნათესაობით ბრუნვაშია (Gen. pl.) მოცემული, „კირიე“, „აიე“ და „პართენე“ წოდებით (Vocativus) ფორმითაა გამოყენებული. „ტინ“ (ტინ მადლისა მიე(რ)...) — „ეს“ — ბერძნული „ტენ“ — τὸν ისევე როგორც „ტონ“ — τὸν, ნაწევარს (არტიკლს) წარმოადგენს: „ტინ მადლისა“ — τὸν ζῆλον (ტენ ხარინ).

„ლიტანია ლაურეტანას“ ქართულ ტექსტზე ბერძნულ-ლათინური გაყენის ამოხსნა-განმარტებაში დახმარებისათვის უღრმეს მადლობას მოვასხეებთ ყ. ყუბინიასა და ლ. კვიციანიას.

⁴² Breviarium Romanum. Ex Decreto sacrosancti Concilii Tridentini Restitutum summorum Pontificum Cura Cognitum. Cum textu psalorum e versione Pii Papae XII auctoritate edita. I, Romae-Tironibus-Parisiis, 1961, p. 391.

⁴³ Ibid., p. 392.

⁴⁴ „ოსანანა“ (Ὁσαννὰ) ძველბერძნული სიტყვაა და სოფოკლესის ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს: „გვიხსენე კუშპირიტად“. იგი საფუძვლიანადაა დამკვიდრებული საზოგადოდ ქრისტიანულ ლიტურგიაში.

⁴⁵ APF, SRC, Stamperia, 1622—1720, vol. 1, p. 97(95)-r.

⁴⁶ APF, Istruzioni, 1623—1638, p. 152-r.

⁴⁷ APF, Istruzioni, 1623—1638, p. 152-v.

⁴⁸ APF, CP, vol. 2, p. 28-r, შდრ.: W. Henkel. Die Druckerei der Propaganda Eide im Dienste der Glaubensverbreitung. — „Communicatio Socialis“, 1976, № 2, s. 107, ამ ავტორის რწმუნებით, ი. ე. ლიუნა მარინიტი ყოფილა. მარონიტები სირიისა და ლიბანის ქრისტიანთა სექტას წარმოადგენენ, რომელმაც XVI საუკუნეში რომის პაპის უტენესობა (პონტიფიკატი) აღიარა, თუმცა შეინარჩუნა ღვთისმსახურების ცალკეული თვითმყოფადი ფორმები. 1629 წელს ი. ე. ლიუნა „პროპაგანდა ფორმების პასუხისმგებელ მშვედრად (პროტოს“-ად) დანიშნეს (APF, SRC, stamperia, 1622—1720, vol. 1, p. 605 r-v, შდრ.: W. Henkel, op. cit., p. 109).



ს ე უ ბ ა რ ი ქ რ ე ჭ რ ი ზ ი ტ რ რ ნ ლ ფ რ ე ჲ მ ნ ი ტ ქ ე ს თ ა ნ

ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისში დიდი წარმატებით შესრულდა ცნობილი მოსკოველი კომპოზიტორის ალფრედ შნიტკანს „კონჩერტო გროსო“. ცოტა ხნის შემდეგ ეს ნაწარმოები თბილისის გრამფირფიტების სტუდიაში ჩაიწერა. ჩაწერას ესწრებოდა ავტორი. იგი ჩვენს რედაქციასაც ესტუმრა და ეხაუბრა მუსიკალური განუოფილებების გამეგს მანანა ახმეტელს.

მ. ახმეტელი: გვინდა, რომ თქვენ გამოეხატათ რომ ჩვენს ახალ რუბრიკას „მუსიკა და მსმენელი“, რომლის მიზანია ნათელი მოკლედ თანამედროვე მუსიკალური კულტურის პრობლემებს. ეს უაღრესად ფართო თემა იტევს, როგორც გლობალური მნიშვნელობის საკითხებს, ისე საქართველოს მუსიკალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ლოკალურ პრობლემებს. ეს რუბრიკა გვეხმარება პირდაპირ და დაუფარავად ვილაპარაკოთ იმ წინააღმდეგობებზე, რომლებსაც ვაწყდებით მუსიკალური შემოქმედების ამა თუ იმ უბანზე, იმ მიზეზებზე, რომლებიც წარმოქმნიან ამ წინააღმდეგობებს. ჩვენი სურვილია გამოვავაშკაროთ ის ნაკლი და ხარვეზები, რომლებიც ელობებიან მსმენელთა ესთეტიკური აღზრდის საქმეს, სერიოზული მუსიკის კონცერტებსა და საოპერო სპექტაკლებზე მსმენელთა ფართო წრეების მოზიდვის ამოცანებს.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ დამყარებული გაქვთ შემოქმედებითი ურთიერთობა ქართველ კომპოზიტორებთან, შემსრულებლებთან. ამიტომაც ძალზე საინტერესოა თქვენი აზრი ქართულ მუსიკალურ სინამდვილეზე.

ა. შნიტკე: ექვსი წლის წინ, თბილისში გაიმართა კამერული ნაწარმოებებისაგან შემდგარი ჩემი საავტორო კონცერტი. არ დავმალავ — ძალიან ველავდი. მალეულებდა ჩემი მუსიკა, რომელსაც აკლდა ესტრადული ელვარება. გარდა ამისა, პროგრამაში იყო საფორტეპიანო კვინტეტი, რომელიც პირველად თბილისში სრულდებოდა. მეგონა, რომ ეს ჩემი, სუბიექტური და ელვადიური ხასიათის ნაწარმოები მოკლებული იყო დამაჯერებლობას და ამიტომ მსმენელთა ყურადღებას ვერ დაიპყრობდა. მაგრამ შესანიშნავი შემსრულებლების წყალობით, საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტთან ერთად უკრავდა ჩემი მეგობარი, პიანისტი და კომპოზიტორი ნოდარ გაბუნია, ქართველმა მსმენელმა ჩემი მუსიკა კარგად მიიღო, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ კომპოზიტორს გაუგებენ თუ იგი გულწრფელია, მეტყველებს თავის ენაზე და ანგარიშს არ უწყევს, არ ექვემდებარება არც რთული და არც მარტივი მსმენელების დონეს. სწორედ ამ მხრივ, აუდიტორიის მაშინდელი რეაქცია ჩემთვის დიდ დახმარებასა და მხარდაჭერას ნიშნავდა. საქმე ისაა, რომ თანამედროვე მუსიკის



წინაშე მწვავედ დგას არჩევანი საკუთარ, ძალზე რთულ, წმინდა მუსიკალურ პრობლემატიკასა (ეგულისხმობ მუსიკალურ ენასა და ფორმას) და იმ ამოცანებს შორის, რომელთაც წარმოქმნის ფართო მსმენელთან კონტაქტის დამყარების პრობლემა. ხშირად ეს პრობლემები გამოიწვევენ, ხელს უშლიან ერთმანეთს. ზოგჯერ კომპოზიტორებს იმდენად იტაცებთ მუსიკის შინაგანი პრობლემატიკა, რაც თავისთავად ბუნებრივი და ორგანული მოვლენა გახლავთ, რომ ისინი შეუძინებლად ჰკარგავენ კონტაქტს მსმენელთან.

არ ვიზიარებ იმ გავრცელებულ აზრს, რომელიც ამტკიცებს, რომ მსმენელს თანამედროვე მუსიკა არ უნდა ესმოდეო. ცხადია, თანამედროვე მუსიკას ყველა ვერ იგებს. მაგრამ მწამს, რომ მსმენელი (შესაძლოა ერთაშად და ყველამ ერთად არა) ადრე თუ გვიან ახალ მუსიკას მაინც მიიღებს, თუ იგი შინაგანად გამართლებულია, თუ მასში ცოცხლობს მისი წარმოქმნელი იმპულსი. ასეთ შემთხვევაში დიალოგი, უსათუოდ, შედგება.

მაგრამ თუ წმინდა მუსიკალური პრობლემატიკა სჯანის ყველა სხვა ამოცანებს, მაშინ იქმნება ტრაგიკული სიტუაცია — კომპოზიტორს ვერ უგებენ, მიუხედავად იმისა, რომ მან თავის მუსიკაში გადმოსცა მისთვის ყველაზე ძვირფასი, არსებითი, მნიშვნელოვანი. ასეთია ერთი საშიშროება.

არსებობს მეორე საშიშროებაც, რომელსაც წარმოქმნის გამოუცდელ, საშუალო არითმეტიკულ მსმენელამდე დასვლის, მასზე დაქვემდებარების ტენდენცია, რაც მუსიკალური ენის შეგნებულ გაუბრალოებას იწვევს. ასეთ შემთხვევაში კომპოზიტორი, ოღონდაც კი მსმენელმა გაუგოს, მსხვერპლად სწირავს თავის მუსიკალურ პრობლემატიკას. მაგრამ ეს გზაც დაუნდობელია, რადგან მსმენელი შეუცდომლად გრძნობს გამარტივებულ მანერის სიყალბეს. დიახ, ამ ორ საშიშროებას შორის უხდებთ ლაიერება თანამედროვე კომპოზიტორებს.

მუსიკალური შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შემსრულებელი, რომელმაც მსმენელამდე უნდა მიიტანოს ნაწარმოები. მაგრამ შემსრულებელი ხომ მსმენელიცაა, მუსიკალური ქმნილებას პირველად რომ ხედავს, კითხულობს, აღიქვამს. ამდენად, შემსრულებლის მიხედვით წინასწარ შეიძლება განგვირითო

აუდიტორიის რეაქცია და მუსიკალური ნაწარმოების ბედიც.

თუმცა, არის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ნაკლებად საინტერესოა შესწავლისა და რეპიტაციების პროცესში. ასეთი ნაწარმოებები თითქოს ჭკნებიან მსმენელთა გარეშე. არსებობს სიტყვებით გამოუთქმელი, მაგნიტოფირზე დაუფიქსირებელი შემოქმედებითი იმპულსი, რომელიც წამოიჭმება მხოლოდ მაშინ, როცა ერთმანეთს პირისპირ ხვდებიან მსმენელი და შემსრულებელი. ეს იმპულსი, გამოხატულებას რომ პოულობს მათ ურთიერთშემოქმედებაში, წარმოქმნის დაძაბულობის იმ უჩინარ ველს, რომელიც ცხადად ამკლავებს მუსიკალური ნაწარმოების ღირსებასა და ხარვეზებს. ამიტომ კომპოზიტორი საბოლოო დასკვნებს ვერ გამოიტანს, სანამ თავის ნაწარმოებს არ შეამოწმებს მსმენელზე.

სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, მე კი ძალზე მწვავედ, მტკივნეულად ვგრძნობ მსმენელს, მის ფარულსა თუ აშკარა რეაქციებს, განსაკუთრებით კი აღქმის ინტენსიურობის შესუსტებისა და მოდუნების მომენტებს. ამიტომაც საბოლოო რეაქციას ვაკეთებ მხოლოდ ნაწარმოების საჯარო შესრულების შემდეგ.

მ. ახმეტელი: მით უფრო სამწუხაროა, რომ თბილისში „კონჩერტო გროსოს“ შესრულებას ვერ დაესწარი. გარწმუნებთ, რომ დარბაზში სუფევდა უარესად დაძაბული შემოქმედებითი ატმოსფერო, ქართველი მსმენელი თქვენს მუსიკას უსმენდა შეუწელებელი ინტერესითა და მღელვარებით. მრავალრიცხოვანი აუდიტორია აქტიურად მონაწილეობდა მუსიკირების პროცესში, უჩვეულო და ცხოველყოფილ სპექტაკლში რომ გადაიზარდა. განგებ ვუსვამ ხაზს სიტყვა სპექტაკლს, რადგან შემსრულებლებმა, პირველ რიგში კი ლ. ისაკაძემ, რომელიც შეუწყვეტელ პლასტიკურ გარდასახვებს ვანიცილიდა, „კონჩერტო გროსოს“ გამსჭვალა თეატრალური ქმედების სუნთქვით, რამაც თქვენს მუსიკას რაღაც განსაკუთრებული სახეიანება შესძინა და მსმენელს დაეხმარა ნაწარმოების აღქმაში.

რაოდენ დასანანიცაა, რომ თქვენ არ იყავით ამ დიდი წარმატების მონაწილე. ეს სადამოკიდევ ერთხელ დაგარწმუნებდათ თქვენი მომოსაზრებების სისწორეში და ახალ შემოქმედებით სტიმულს მოგცემდათ.



ა. შნიტკე: სამწუხაროდ, ეს კონკრეტი დაემთხვა ჩემი ახალი ნაწარმოების შესრულებას მოსკოვში.

სამაგიეროდ, დავესწარი „კონჩერტო გროსოს“ ჩაწერას და დაერწმუნდი, რომ ამ ნაწარმოებს ზედმა გაუღიმა, იგი მოხვდა შესანიშნავი მუსიკოსების ხელში. ვგულისხმობ ლიანა ისაკაძესა და ოლეგ კრისას, დირიჟორ საულის სონდევცისა და ისეთ მშვენიერ კოლექტივს, როგორცაა საქართველოს კამერული ორკესტრი ლ. ისაკაძის ხელმძღვანელობით, რომელსაც სულ ახლახან მოვუსმინე მოსკოვში. მათ „კონჩერტო გროსოსი“ იდეალური საშემართლებლო ატმოსფერო შეუქმნეს. სხვათა შორის, ეს ნაწარმოები მომისმენია სხვა გამოჩენილი მუსიკოსების შესრულებითაც. მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა „კონჩერტო გროსოსი“ დაუკრავთ უჩინტერესოდ და მას მსმენელზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. დიდად შემსრულებლების როლი მუსიკალური ნაწარმოების ბედის გადაწყვეტაში. საბედისწერო ვითარება იქმნება, როცა პირველი შესრულებაა სუსტი, მერე უკვე ძალიან ძნელია მსმენელის დამოკიდებულების შეცვლა, საკუთარი ეჭვების გაფანტვაც. ზოგჯერ იცი, რომ შენი ნაწარმოები ცუდად დაუკრეს და მაინც გაეკვივებს მისი ღირსებები. ასეთ დროს ხომ უნდობლობა გიჩნდება საკუთარი თავისა და შეგარძნებების მიმართ.

ბ. ახმეტელი: როცა საქმე მუსიკალური ნაწარმოების ახსნა-განმარტებაზე მიდგება ზოლმე, ყოველთვის მახსენდება სვიატოსლავ რიხტერი, რომელსაც უთქვამს: „მუსიკა ან უნდა მოისმინო, ან უნდა შეასრულო“. მართლაც, მუსიკაზე ძალიან ძნელია ლაპარაკი. იგი არ ითარგმნება სალაპარაკო ენებზე, სიტყვები ვერ გადმოსცემენ მუსიკის ნამდვილ არსს. არ არსებობს საზომი, რომელიც მუსიკალური და სიტყვიერი მცნებების შესაბამისობას, მათ სიზუსტეს შეამოწმებდა. მაგრამ რაკი ჩემი პროფესია არსებობს, იძულებული ვარ ვეძიო ამ მიუღწეველი შესაბამისობისა და სიზუსტისაკენ მიმავალი გზები. მიუხედავად ამისა, მაინც მოგახსენებთ ჩემს შთაბეჭდილებას „კონჩერტო გროსოსზე“, რომელშიც აღმოვაჩინე ცხოვრებისადმი ამაღლებული, ფილოსოფიური და სარკასტული დამოკიდებულების ბრძოლა, პოლარულ მსოფლშეგარძნებათა ჭიდილი. ალბათ, ამით აიხსნე-

ბა ამ ნაწარმოების მრავალხატოვნება, აზრი-მე, სიმწვავე, ასოციაციურობა... მაგრამ უნდა იხსენებ თქვენ განგვიმართოთ თქვენს მსმენლებს არსი?

ა. შნიტკე: მუსიკაზე, მით უფრო მის შინაარსზე, აზრობრივ მხარეზე მართლაც ძალიან ძნელია ლაპარაკი. რთული სიტუაცია იქმნება, როცა კომპოზიტორი თავს იცე ნაწარმოების სიტყვიერ, კონცეფციურ, ფილოსოფიურ არსს უფიქრდება. აქ მას მახე აქვს დავებული, ვინაიდან მისი ჩანაფიქრი შეიძლება ან გამოვლინდეს ან არა. ეს ყოველთვის როდია ავტორის სურვილზე დამოკიდებული. კომპოზიტორს ზოგჯერ ჰგონია, რომ მან ნაწარმოებში თანმიმდევრულად გაატარა კარგად ჩამოყალიბებული გეგმა, გარკვეული კონცეფცია და სჯერა, რომ ამ კონცეფციის ზუსტ გამოხატვას მიაღწია. სინამდვილეში კი, ეს ასე არ მოხდა. კომპოზიტორს ხომ ძალიან ხშირად ესმის ის, რისი თქმაც უნდოდა და არა ის, რაც მან გამოხატა. ნაწარმოები წარმოადგენს რაღაც ილუზორული, მეღერადი ხატების გაშიფვრის პროცესს, რომლის დროსაც კომპოზიტორი ამ ხატების დამაგრებასა და დამკვიდრებას ცდილობს. ამისთვის იყენებს მთელ თავის გამოცდილებას, ტექნიკას და, მაინც, მისი ჩანაფიქრის ნაწილი განუხორციელებელი რჩება. ლაპარაკია ნაწარმოების „მიწისქვეშა“ დინებაზე, რომელიც მსჯეალავს კომპოზიტორის შემოქმედებით იმპულსს. მსმენელმა კი, შესაძლოა, ეს ვერ იგრძნოს, ვერ დაინახოს. ერთი სიტყვით, მუსიკალური ნაწარმოების კონცეფციური, ზოგადშინაარსული მხარე სათუთია და არამყარი, იგი ხშირად ჰკარგავს სიმკვეთრესა და სახოვანებას რეალიზაციის დროს. აქედან გამომდინარე კომპოზიტორმა არ უნდა ილაპარაკოს თავის ჩანაფიქრზე, ვინაიდან ამან შეიძლება გაუგებრობამდე მიგვიყვანოს. ხშირად მუსიკა სრულიად საწინააღმდეგო რეაქციას იწვევს, რაც მე თვითონ განმიცდია. მგონებია, რომ ნაწარმოებში ჩავდე რაღაც გარკვეული აზრი, მსმენელი კი ამ აზრისადმი საპირისპირო დამოკიდებულებას იჩენს. ზოგჯერ იგი ნაწარმოებში ხედავს გაცილებით უფრო მეტს, ან ნაკლებს, ვიდრე ავტორს ჩაუფიქრებია. ამიტომაც კომპოზიტორისათვის გაცილებით უფრო ადვილია ლაპარაკი ნოტებზე, თემებზე, ინსტრუმენტზე, ვიდრე ნაწარმოების შინაარსულ მხარეზე.



„კონჩერტო გროსსოში“ კი მინდოდა გამოემქმეშევიყვინა ე. წ. უნივერსალური მუსიკალური ენა, რომლის საშუალებითაც საპირისპირო მუსიკალური ფაქტურების შერწყმას მივაღწევდით. მხედველობაში მაქვს რთული მრავალბგერაინი, პოლიფონიური ნაგებობები და ყოფითი ყანრებიდან წარმოიშობადარი მარტივი, უბრალო სტრუქტურები.

2. ახმეტელი: ნუთუ თქვენ ამ საპირისპირო მუსიკალური ფაქტურების შერწყმის დროს მართო წმინდა მუსიკალური ამოცანებით ხელმძღვანელობდით და არ ცდილობდით მუსიკალური თემების საშუალებით გამოგეხატათ გარკვეული აზრი ან ქვეტექსტი?

ა. შნიტკე: არა, ამ ნაწარმოების თემებს არა აქვთ რაიმე გარკვეული აზრობრივი დატვირთვა, ქვეტექსტი ან ფარული პროგრამა. თუმცა ასეთი შოდვლებითაც ვსარგებლობ ხოლმე, მაგრამ მსმენელებს ამას არ ვატყობინებ. ვასმენინებ იმას, რაც არის.

„კონჩერტო გროსსოში“ კი შეიძლება მიიჩიოდნას გარკვეული ხედვითი, თეატრალური ასოციაციები, ვინაიდან მასში გამოყენებულ თემები ჩემი სხვა ნამუშევრებიდან, კერძოდ კინოფილმებიდან (ალ. მიტას ფილმიდან „მეფე პეტრემ დაქორწინა თავისი არაბი“, ე. კლიმოვის ფილმიდან „აგონია“, ლ. შეპიტკოს ფილმიდან „ზეავსლა“, ნ. ხრქანოვის ფილმიდან „პუბელა“). ეს თემები კი იმიტომ გავაერთიანე, რომ მათ შორის წმინდა ინტონაციური, მელოდოიური ნათესაობა არსებობს. „კონჩერტო გროსსოში“ არის სრულიად სხვა სახის მუსიკაც — მწვავი, ექსპრესიული, ქრომულიზირებული. მინდოდა ყოველივე ამის გამოთლიანება, თანაც ისეთი ძველებური ყანრის ატმოსფეროში, როგორცაა კონჩერტო გროსსო, რის გამოც ნაწარმოები ნეოკლასიციკლურ გარემოცვაში აღმოჩნდა. ამაზე მეტყველებს შესაბამისი ტექნიკური ხერხების, პოლიფონიური ფორმების, კერძოდ კანონის, აგრეთვე ტოკატური მოტორიკის გამოყენება. ამრიგად, ამ ნაწარმოებში თავი მოიყარა მრავალმა, ურთიერთსაწინააღმდეგო სტილისტურმა კომპონენტმა. „კონჩერტო გროსსო“ სწორედ ამ კონტრასტების გამო იწვევს ხედვით ასოციაციებს. გარდა ამისა, ამ ნაწარმოებზე მუშაობის დროს ვითვალისწინებდი საკონცერტო შემსრულებლობის სანახაობით მხარესაც. საქმე ისაა, რომ „კონჩერტო გროს-

სო“ იწერებოდა ცნობილი შემსრულებლების/ გვიღონ კრემერის, ტატინა გრენდენკისა და საულის სონდევცისის თხოვნის/ მოთხოვნა მუსიკას ვწერდი, ვცდილობდი წარმომედგინა საკონცერტო ესტრადაზე თუ როგორ იდებოდნენ, როგორ იმოქმედებდნენ შემსრულებლები.

2. ახმეტელი: ამიტომ სტოვებს „კონჩერტო გროსსო“ მუსიკალური სპექტაკლის შთაბეჭდილებას, ამიტომ იძლევა იგი მუსიკის მიზანსცენირების საშუალებებს, რისი მეშვეობითაც ილუზორული სახეები კონსერტლებიან და იძენენ სავსებით რეალურ, ცხოვრებისეულ კონტურებს... მეტსაც ვიტყვოდი — წმინდა მუსიკის სფეროში ვიზუალური ელემენტის ასეთნაირი შემოჭრა წარმოქმნის მუსიკალურ-თეატრალური საშუალებების სინთეზირების ახალ ფორმებსა და საშუალებებს, ბადებს სრულიად უჩვეულო წარმოდგენებსა და შეგრძნებებს.

ა. შნიტკე: მახარებს თქვენი აზრი, მით უფრო, რომ რეპერტიციებში არ ვმონაწილეობდი. თუმცა ო. კრისა, ტ. გრინდენკოსთან და დირიჟორ ს. სონდევცისთან ერთად, მანამდე უტყავდა ამ ნაწარმოებს.

2. ახმეტელი: რა სხვაობაა მათ საშემსრულებლო ინტერპრეტაციებს შორის?

ა. შნიტკე: სხვაობა, რა თქმა უნდა, არსებობს. მაგრამ ყოველთვის რთულ სიტუაციაში ვვარდები სხვადასხვა საშემსრულებლო ინტერპრეტაციების შედარების დროს. მიძნელდება უყეთესის აღიარება. როცა ნიჭიერ შემსრულებელს ვხვდები, მგონია, რომ შეუძლებელია უფრო კარგად დაკვრა. დიახ, როცა შემსრულებლისათვის ნაწარმოები ორგანულია, მაშინ სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციებიც მისაღებია.

შეგვედრივარ შემსრულებელთა ორ კატეგორიას. პირველს მიეუთვნება ის, ვინც სიტყვიერი კომენტარების, ახსნა-განმარტებების გარეშეც ღრმად სწვდება ავტორისეულ შთანაფიქსს. მეორე კატეგორიის შემსრულებლებთან კი შეიღვევს ვერ აღწევ მიუხედავად ერთობლივი სარეპერტიციო მუშაობისა, სიტყვიერი ურთიერთობისა, წინასწარი შეთანხმებისა. თანაც, ეს ვლინდება უმაღლვე, პირველივე ფრაზიდან... მიძნელდება ამ საიდუმლოს ახსნა. ვიტყვი მხოლოდ, რომ არსებობს ჩემთვის სრულიად მიუღებელი ფრაზირების, ნიუანსირების ტიპი. უახრობაა რაიმე მოსთ-



ხოვო ასეთ შემსრულებელს. უმჯობესია მასთან თანამშრომლობაზე თავიდანვე თქვა უარი. აქ თავს იჩენს თვისება, ზღვარს რომ უდგმს ადამიანთა შორის კონტაქტებს. დიხა, არიან შემსრულებლები, რომლებთანაც, რამდენიც არ უნდა ეცადო, ნამდვილ ურთიერთობას ვერ დაამყარებ.

სულ ახლახან ლენინგრაღში ვასაოცარი მოვლენის მოწმე ვახვდი. გ. როდენსტეინსკი ორი საღამო ზედიზედ დირიჟორობდა ჩემს მეორე სიმფონიას და ორივეჯერ აბსოლუტურად სხვადასხვაგვარად. ორივე ინტერპრეტაცია სავსებით დამაჩერებელი იყო ჩემთვისაც და მსმენელთათვისაც. ასევე სავიწროველი მოვლენა ვახლავთ ლიანა ისაკაძე. „კონჩერტო გროსო“ ჩემი მესამე ნაწარმოებია, რომელსაც იგი რელიეფურად, მისთვის ჩვეული ექსპრესიითა და არტისტიზმით ასრულებს. მანციფერებს ზომიერების გრძობა და ის ძალაღვივება, იშვიათად რომ ახსიათებს ისაკაძისთან ტემპერამენტულ მუსიკოსებს. იგი დაჯილდოებულია იმ იშვიათი ალღოთი, თავისუფლად, ბუნებრივად რომ აწონასწორებს ისეთ რთულ კატეგორიებს, როგორცაა ტემპერამენტი და გემოვნება, ზომიერება და ექსპრესია...

მ. ახმეტელი: როგორც ჩანს, თქვენ კმაყოფილი ბრძანდებით „კონჩერტო გროსოს“ ჩანაწერით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან მუსიკის ჩაწერის ჰირვეულ პროცესს ახლავს სპეციფიკური ტექნიკურ-აქუსტიკური სირთულეები, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებული შესრულების ხარისხი და მუსიკალური ნაწარმოების ბედი.

ა. შნიტკე: დიხა, „კონჩერტო გროსო“ მშვენივრად ჩაიწერა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ როგორც შემსრულებლებს, ისე ხმის რეჟისორს მიხეილ კილასონიძეს, რომლის წყალობითაც ჩემი მუსიკა ფირზე ზუსტად და ბუნებრივად აღიბეჭდა. უკეთეს ვარიანტს ვერც კი ვინატრებდი. მ. კილასონიძემ მიაღწია აკუსტიკურ სრულყოფილებას და, ამავე დროს ჩანაწერს მუსიკირების ცოცხალი სუნთქვა შეუნარჩუნა. მკვეთრად ჩაწერა სოლისტები და გამოავლინა საორკესტრო ქსოვილის გამჭვირვალეობაც. მ. კილასონიძე დანუპირისპირდა იმ სტერეოტიპს, სოლისტებს რომ აძლევს პრიორიტეტს და ამით ჩრდილს აყენებს საორკესტრო ბგერწერას, რის გამოც ორკესტრი რაღაც ურუ მასას ემსგავსება ხოლმე.

მ. კილასონიძემ კი „კონჩერტო გროსო“ პოლიფონიურად დეტალიზებულ რეკონსტრუქციულ ქსოვილი ისეთნაირად ჩაწერა, რომ ხართლად ისმის არა მარტო საორკესტრო ჯგუფების ხმოვნება, არამედ ცალკეული ინსტრუმენტებიც. მან მკვეთრად წარმოაჩინა ნაწარმოების დინამიკური რელიეფი, კულმინაციების ელვარება. იგი შეუჩინველად აწარმოებდა ელერადობის კორექციას, ოდნავ აძლიერებდა ჩემ ხმოვანებას და ასევე ოდნავ ანელებდა ხმაძალდ ელერადობას. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან კორექცია ხშირად დინამიკური რელიეფის გაუსახურებას, ელერადობის უსიცოცხლო სტერილრობას იწვევს. მ. კილასონიძის ჩანაწერში კი ჩვენ ვგრძნობთ ფორტეს სავსე, რეალურ ელერადობას, ხოლო პიანო მოდუნებულ პროტოპლასმას კი არა ჰგავს, არამედ შინაგანად დაძაბულია, მობილიზებული. ეს, რა თქმა უნდა, ნიჭიერების, პროფესიონალიზმის, ოსტატობის შედეგი ვახლავთ, დიხა, მ. კილასონიძე დაჯილდოებულია სპეციფიკური ტალანტით, იმ თავისებური შეგრძნებებით, რომელთა მეშვეობითაც იგი აღწევს ელერადობის ზუსტ მოდულირებას, ზუსტ ბალანსს.

როცა მხარში გიღვანან აი ასეთი მუსიკოსები, მაშინ შეიძლება ფიქრი შემოქმედებითი ურთიერთდამოკიდებულების ისეთ რთულ წრეზე, რომელშიც ტოლფასოვნად მონაწილეობენ კომპოზიტორი, შემსრულებელი, ხმის რეჟისორი, მსმენელი.

მ. ახმეტელი: მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ქართულმა მუსიკამ განიცადა უზარმაზარი ძვრები. 60-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველი კომპოზიტორები ვაბედულ, ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათის ძიებებს აწარმოებდნენ და გატაცებულნი იყვნენ მუსიკალური ენის, ფორმების, ტექნიკის განახლების ამოცანებით, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის გარდაქმნის ტენდენციით. ეს პროცესი სეკამოდ მტკივნეულად ვითარდებოდა, იწვევდა ცხარე კამათს, საიდანაც გამოსჭევივოდა ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის, ინდივიდუალობათა ნიველირების შიში. ამ პროცესმა, თავის დროზე სუმბურულ შთაბეჭდილებას რომ სტოვებდა, მიიღო შედარებით უფრო გარკვეული, სისტემატიზირებული სახე და გამოიღო კიდევ თავისი ნაყოფი. ინტერესთა თქვენი აზრი ამ პროცესზე, მის შედეგებზე.



ა. მნიტკე: სამწუხაროდ, ბევრ ნაწარმოებს არ ეცნობ, ამიტომაც გამიძნელდება ლაპარაკი თანამედროვე ქართული მუსიკის მდგომარეობაზე. ჩემი დამოკიდებულების ფორმულირებას მხოლოდ ცალკეული შთაბეჭდილებების საფუძველზე შეეცდები.

ხელოვნებაში ეროვნული ნათლად და მკვეთრად ვლინდება მაშინ, როცა კომპოზიტორი ეროვნულის შეგნებულ კულტივირებას არ ახდენს. ეროვნული ხომ ხელოვნაში თავისთავად არსებული, მისი სულის განუყოფელი, თანდაყოლილი ნაწილი გახლავთ. იგი ვლინდება მისი აზროვნების სტილსა და ფორმაში. ბოლოდროინდელმა ქართულმა მუსიკამ ბევრს მიადწია სწორედ ამ თვალსაზრისით. ექსპერიმენტებისა და ძიებების პროცესმა კი არ ჩაკლა, არამედ უფრო გააღრმავა მისი ეროვნული არსი. ასეთ შთაბეჭდილებას ქმნიან გ. ყანჩელის სიმფონიები, ს. ნასიძის უკანასკნელი სიმფონიური ოპუსები, ნ. გაბუნიას საფორტეპიანო კონცერტი, ბ. კვერნაძის „ძველი ქართული წარწერები“, ი. ბარდანაშვილის კვინტეტი, თ. ბაქურაძის სიმებიანი კვარტეტი, ნ. შამისაშვილის საფორტეპიანო პიესების რვეული. ეს ნაწარმოებები არ ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ გრძნობ და ხედავ, რომ ამ ნაწარმოებთა ავტორებმა განვლეს აკადემიური სწავლების სკოლა, აითვისეს ახალი ხერხები და ყოველივე ეს თავიანთი პოტენციის, თავიანთი სახის გამოსავლინებლად მოიხმარეს. ისიც იგრძნობა, რომ ეს ნაწარმოებები ქართველ კომპოზიტორებს ეკუთვნის.

ქართულ მუსიკას ახასიათებს ერთი ფრიალ პრინციპული და მნიშვნელოვანი სიახლე — მხედველობაში მაქვს განთავისუფლება იმ სტერეოტიპული ფორმებისაგან, რომლებიც აუცილებლობას წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ ახლო წარსულში. ვგულისხმობ თუნდაც სონატურ ფორმას ან ტალღოვან-დინამიკური განვითარების ტიპებს... დიახ, ქართველმა კომპოზიტორებმა დასძლიეს, უარყვეს მუსიკალური ფორმებისადმი აკადემიურ-ხელოსნური დამოკიდებულების ჩვევები. ისინი

აღარ ცდილობენ თავიანთი ჩანაფიქრის მოწყვედვას ოლითგან დაკანონებულ მუსიკალურ ფორმების საზღვრებს და თავიანთ ნააზრევს უშუალოდ, ბუნებრივად გამოსთქვამენ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი გახლავთ, მით უფრო დღევანდელ სიტუაციაში, როცა კომპოზიტორების უმეტესობა იმყოფება ორი სტერეოტიპის ჰიპნოზის ქვეშ. ერთია აკადემიური სტერეოტიპი, მეორე — ახალი ტექნიკის სტერეოტიპი. ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია იყო დამოუკიდებელი, თქვარალაც ახალი...

აქვე მინდა სიახლის მცნებაც დავაზუსტო. ახალი ის კი არ არის, რაც არასოდეს გსმენია და გაგიგონია. როცა ახალს ისმენ, უნდა შეგეჭმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს რალაც ახალი ყოველთვის არსებობდა, ოღონდ შენ არ გქონდა იგი გათვიცნობიერებული და გააზრებული. კეშმარიტი სიახლე უნდა იყოს მისაღები, დამაჭერებელი, გასაგები. თანამედროვე ქართულ მუსიკას აქვს ამის მაგალითები. აი, სწორედ ამიტომ ქართული მუსიკა უფრო ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. იგი დიდ სამსახურს გაუწევს ბევრ საბჭოთა და უცხოელ კომპოზიტორს. ამის სამაგალითოდ იმარებადა ყანჩელის უღარესად თვითმყოფადი შემოქმედება, რომლის მიმართაც დიდ ინტერესს იჩენს თანამედროვე მუსიკალური სამყარო. გ. ყანჩელმა შექმნა სრულიად უჩვეულო ახალი ტიპის სიმფონიზმი, მის სიმფონიზმს შემოქმედების დიდი ძალა აქვს. ამასი არა ერთხელ დავრწმუნებულვარ არა მარტო ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთაც. ამას წინათ, მოსკოვში, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის ახალგაზრდულ კლუბში შედგა ყანჩელის V და VI სიმფონიების ჩანაწერთა მოსმენა-გამაოცა იმ ერთსულოვანმა ინტერესმა, ყანჩელის მუსიკისადმი რომ გამოიჩინეს როგორც უბრალო მსმენელებმა, ისე პროფესიონალებმა. სხვათა შორის, არ მახსოვს, რომ ამ კლუბში თავი მოეყარა ამდენ კომპოზიტორს.



ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ ქართული მუსიკა სიმწიფის პერიოდში შედის. აუცილებელია ფართო მასშტაბით მისი პროპაგანდა.

მ. ახმეტელი: ამჟამად რა პრობლემები და ამოცანები დგას თქვენს წინაშე?

ა. შნიტკე: ჩემს ძირითად პრობლემას წარმოადგენს უნივერსალური მუსიკალური ენის ჩამოყალიბების ამოცანა. სამწუხაროდ, წლების მანძილზე ბევრი რამ აფერხებდა ჩემს მუშაობას. ცხოვრების პრაქტიკული მხარე მაიძულებდა პარალელურად გამოყენებითი მუსიკის ენარებშიც მემუშავა. მუსიკის ასეთნაირ დაყოფას, ამ გაორების არაორგანულობას მტკივნეულად განვიცდიდი. კინოსა და თეატრისათვის ვწერდი კონკრეტული დანიშნულების მუსიკას და თან ვმუშაობდი ჩემთვის უმაღლეს — წმინდა მუსიკის სფეროში. აუტანელი იყო ამ ორი მუსიკის თანაარსებობის ფაქტი. მით უფრო, რომ ყველა ყანარს, გამოყენებითსაც, უდიდესი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი. გამოსავლის ძებნამ მიმიყენა ისეთ ამოცანებთან, რომელთა საფუძველზე სხვადასხვა ყანარში შექმნილი გამოცდილების განზოგადებას შევძლებდი. განვიზრახე შემეკავშირებინა თანამედროვე და ტრადიციული გამომსახველობითი ხერხები, თემები, ყანარები. დასაწყისში მეგონა, რომ თანამედროვე და ტრადიციული ერთმანეთისათვის უნდა დამეპირისპირებინა. ამიტომაც კონტრასტული შეპირისპირების გზას დავადექი. გატაცებული ვიყავი სტილების შეგნებულ თამაშით, რასაც საფუძველად დავუდებ ტონალური დაპირისპირების პრინციპი და ყოველივე ამას პოლისტილისტიკა დავარკვიე. მაგრამ, რაკი ტონალურ-ინტონაციურმა აზროვნებამ ერთგვარად ამოწურა თავისი ფუნქცია, ვგრანობდი, რომ უნდა მეძებნა რაღაც ახალი მუსიკალური სივრცე, რომელიც მუსიკის ისტორიის საფეხურებზე, მუსიკალურ დროში „მოგზაურობის“ საშუალებას მომცემდა. ასე დავიწყე მუშაობა კონტრასტული სტილური ელემენტების ორგანულ შერწყმაზე...

მეორე პრობლემა, რომელიც შეუწყვეტლივ მალეღვებს და რომლისთვისაც ჭერ ვერ

მიპოვნია ზუსტი გასაღები, მდგომარეობს თანაფარდობის დამყარებაში ჩემს მუშაობასა და განვარაღებებს შორის.

საქმე ისაა, რომ მუშაობის პროცესში კომპოზიტორი აყალიბებს თავისი მომავალი ნაწარმოების კონსტრუქციულ გეგმას და ამ გეგმის რეალიზაციისაკენ მისწრაფვის. მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა შემოქმედებითი პროცესი სათავეს იღებს იმ რაღაცისაგან, შენს შიგნით, თავისთავად რომ იზადება და დაჟინებით მოითხოვს დამკვიდრებას. მოკლედ რომ ვთქვათ, დროდადრო ვწერ ნაწარმოებებს, რომლებიც მკაცრ განვარაღებას ეყრდნობიან, დროდადრო კი ვქმნი ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც თავისთავად იზადებიან. სიტყვა „თავისთავად“, ალბათ, არ არის სწორი, რადგან „ეს რაღაცაც“ ქვეყნობიერი ინსტრუმენტის ვადამუშავების შედეგია. როცა ასეთ მუსიკას ვქმნი, მეუფლება ისეთი გრძნობა, თითქოს არა მაქვს არავითარი ცოდნა, გამოცდილება, ტექნიკა.

ასეა თუ ისე, მიწვალებს კონსტრუქციულისა და ინტუიციურის გაწონასწორების პრობლემა. ერთდროულად მინდა ამ ორი სახის შართვა. მართალია, კარგად ვიცი, რომ გარდუვალია გადახრა ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით, მაგრამ, მაინც ამ გადახრების გამო ხშირად უკმაყოფილებას განვიცდი.

აი, ასეთი პოლარული სიტუაციაა დამახასიათებელი მთელი ჩემი მუშაობისათვის. ამას მოწმობს სხვა მაგალითებიც. როცა ვიწყებ მუშაობას კინოსა ან თეატრში, სადაც უკვე 20 წელიწადია ვმოღვაწეობ, ჩემს წინაშე ყოველთვის დგას არჩევანი — მუსიკა და გამოსახულება უნდა თანხვდნენ თუ კონტრასტულად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს?

მ. ახმეტელი: ჩვენთან ამ პრობლემამ ბრწყინვალე გადაწყვეტა ჰპოვა რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში, რობერტ სტურუასა და გია ყანჩელის შემოქმედებაში, სადაც მუსიკა, უმეტესად, კონტრასტულად ედება რეჟისორულ პარტიტურას და მრავალგანზომილებიანი ქვეტექსტებისა და ასოციაციების წარმოქმნის ამოცანებს ემსახურება. ამის თვალსაჩინო მაგალითია „რიჩარდ



მესამე“, სადაც რ. სტურუა და გ. ყანჩელი ანეითარებენ პარალელური აზროვნების რთულ, მრავალწახანაგოვან სისტემას. მთელი სპექტაკლის მანძილზე პარალელური აზროვნების ეს ხაზები არაა და არ ჰკვეთენ, არ ერწყმინ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, რეჟისორი და კომპოზიტორი ორგანულობას, საოკარ პარმიოლობას აღწევენ... დიახ, „რიჩარდ მესამე“ კონტრაპუნქტული, პოლისტილისტური მუსიკალურ-რეჟისორული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

ა. შინაგანი: მეც კონტრაპუნქტის მომხრე ვარ, მაგრამ რეალურ, კონკრეტულ ფილმებსა თუ სპექტაკლებში ძალიან ხშირად იქმნება ისეთი სიტუაცია, ვანსაკუთრებით კულმინაციურ მომენტებში, როცა აუცილებელია მუსიკისა და გამოსახულების შერწყმა, თანხვედრა, პირადად მე ძალიან მიკვირს ყოველივე ამის წინასწარი განსაზღვრა. ამიტომაც, როცა ვიწყებ მუშაობას ფილმზე ან სპექტაკლზე, არასოდეს არ ვიცი რომელი გადაწყვეტა უნდა ავირჩიო — კონტრაპუნქტისა თუ თანხვედრისა. ამის გამო იძულებული ვხდები ყოველთვის თავიდან ვაწარმოო ექსპერიმენტული.

ასეთივე სიტუაცია მექმნება წმინდა მუსიკის უნარებშიც. აქაც, ზოგჯერ, ნაწარმოებს შექმნის დროს, ისეთი ვრცობა მეფულება, რომ არც გამოცდილება მაქვს, არც ტექნიკა და რომ ყველაფერი თავიდან, ნოლიდან უნდა დავიწყო. მაგრამ საკვირველი და უცნაური სწორედ ის არის, რომ გამოუცდლობის, უცოდინარობის შეგრძნება სასარგებლოა და აუცილებელი, რადგან იგი წარმოქმნის ყოველი ახალი ნაწარმოების ინტონაციური სამყაროს დაპყრობის უნარს, რომელზეც დამოკიდებულია შინაგანი მუშაობის ინტენსიურობა, ნაწარმოების ძაბვა.

ხშირად მახსენდება მალერი, რომელიც შონბერგს, ბერგსა და ვებერნს ეუბნებოდა: „თქვენ რა გიკვირთ, განვლილი გაქვთ კარგი პროფესიული სკოლა. მე კი ეს სკოლა არა მაქვს და ამის გამო ყოველი ხმის შექმნა მიხდება“.

მართლაც, ადამიანი, რომელიც ზედმიწევნით საფუძვლიანად ფლობს პროფესიულ ჩვევებს, ხშირად სარგებლობს თავისი განსწავლულობით და ამის იმედით ბოლომდე არ

სწვდება, არ ამუშავებს ცალკეულ დეტალებს. არადა, სრულიად ახლებურ მიდგომას წაღებურ გააზრებას მოითხოვს ყოველ ნაწარმოები, მუსიკალური ფაქტურის თითოეული ხმა, ყოველი კომპონენტი, ყოველი დეტალი. ამით სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ შონბერგს, ბერგსა და ვებერნს პროფესიული განსწავლულობის გამო დაკარგული ჰქონდათ ეს უნარი. მაგრამ მალერის სიტყვებში მაინც დევს ჰეშმარიტების მარცვლი, რაც იგრძნობა მისი მუსიკიდანაც, რომელშიც ინტონაციური ძაბვა უფრო მალალია, ვიდრე შონბერგისა, ბერგისა თუ ვებერნის მუსიკაში.

ბ. ახმეტელი: არ დავიმალოთ, დასაწყისში ცოტა არ იყოს შემაკრიოთ თქვენმა სწრაფვამ უნივერსალური მუსიკალური ენისაკენ. დამეთანხმებით, ალბათ, რომ უნივერსალიზმს უდარაჯებს, ერთის მხრივ, ნეიტრალიზმისა და მეორეს მხრივ, ეკლექტიზმის საფრთხე. სხვათა შორის, ეკლექტიზმს ნაყოფიერ ნიარდავს პოლისტილისტიკაც უქმნის. ამ კატეგორიებს შორის ზღვარის დადება ხომ მეტამეტად ძნელია...

ა. შინაგანი: დიახ, დიდია ეკლექტიზმის საფრთხე, შით უფრო, რომ აქ ვერ იხელმძღვანელებ რაიმე კრიტერიუმით. მაგრამ თუ კომპოზიტორს აქვს ორგანულობის გრძობა, მაშინ იგი ამ საფრთხისაგან თავს დაიცავს, თუ არა და ეკლექტიზმის მახეში ჩავარდნა გარდუვალია.

ბ. ახმეტელი: აქაც რაღაც სპეციფიკური ნიჭი და ალღოა საჭირო, რათა შეუთავსებელი შეათავსო, პოლარულ მოვლენებს შორის შეხების წერტილები დაძებნო და მათი შერწყმით შექმნა ახალი და მთლიანი მუსიკალური სინამდვილე. სხვათა შორის, ჩვენ აქ არაფერი გვითქვამს ისეთ გავრცელებულ ხერხზე, როგორიცაა კოლაჟი, რომელსაც გარკვეული ფუნქცია აკისრია პოლისტილისტური ამოცანების განხორციელების დროს. მოგხსენებათ ეს ხერხი დიდ კამათს იწვევს მუსიკოსთა შორის. ამ რამდენიმე ხნის წინ, თბილისში, საბჭოთა მუსიკის საკავშირო ფესტივალზე სიტყვით გამოვიდა ცნობილი ღირიყორი ე. სვეტლანოვი, რომელმაც მკაცრად და კატეგორიულად გაილაშქრა კოლაჟის წინააღმდეგ და იგი პლაგიატობის ერთ-ერთ სახეობად გამოაცხადა. ჩემი აზრით, ეს ცალმხრივი პოზიციაა. მუსიკის ისტორია მანამდეც

მიმართავდა ციტირების ხერხს, რომელმაც ჩვენს დროში, პოლისტილისტური ამოცანებას განზორციელების დროს ახალი ტექნოლოგიურ-აზრობრივი ფუნქცია შეიძინა. ცხადია, ბევრია კოლაჟის ფორმალური გამოყენების მაგალითები. მაგრამ ჩვენ ვიცნობთ ისეთ ნაწარმოებებს, სადაც კოლაჟის გამოყენება არა თუ გამართლებულია, არამედ აუცილებელიც... ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს თქვენი „კონჩერტო გროსსო“, რომელმაც კოლაჟის შესაძლებლობებში უფრო მეტად დამარწმუნა...

ა. შნიტცე: ძალიან მოხარული ვარ, თუკი ჩემმა ნაწარმოებმა შეძლო თქვენი აზრის განმტკიცება. ციტირებას, კოლაჟს, სხვისი მუსიკალური მასალის გამოყენებას მართლაც ემუქრება პლაგიატობის საფრთხე, მაგრამ მე მაინც ვერ ვავბედავდი რომელიმე; თუნდაც სადავო მუსიკალური ხერხის კატეგორიულ აკრძალვასა და უარყოფას. საქმე ისაა, რომ კოლაჟის გამოყენების დროს ვადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების კონტექსტს. თუ ციტატა ნაწარმოების კონტექსტს აძლევს ახალ აზრობრივ მნიშვნელობას, რომელიც უმისოდ ამ ნაწარმოებს არ ექნებოდა, მაშინ მისი ჩართვა და გამოყენება საესეებით გამართლებულია. მუსიკის ისტორიაში ამის მრავალი მაგალითია. ვაგნისენოთ თუნდაც ბერგის „ლირიკული სუიტა“, რომელშიც ვაგნერის ციტატა იმდენად ორგანულად ზის, რომ რწმუნდები — ბერგი უმისოდ თავისი ნაწარმოების იდეას ვერ გამოხატავდა. ვგულისხმობ ციტატას „ტრისტანიდან“, რომლის საშუალებებითაც ბერგმა თავისი პირადი, ლირიკული ისტორია აიყვანა სიყვარულის იმ კოსმიურ სიმბოლომდე, ვაგნერმა რომ შექმნა ტრისტანისა და იზოლდას სიყვარულის საფუძველზე.

ბ. ახმეტელი: მადლობა მინდა მოგახსენოთ საინტერესო საუბრისათვის, რომელმაც ნათელი მოჰფინა არა მარტო თქვენს შემოქმედებით პრინციპებს, არამედ თანამედროვე მუსიკალური შემოქმედების მრავალ აქტუალურ საკითხსაც. ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი საუბარი დაინტერესებს მკითხველებს და თანამედროვე მუსიკის გაცნობის სურვილს გაუძლიერებს...

ქ ს ქ ლ ი

გაეოკვლევი

ქ ვ ე ლ

ქ ა რ თ ე ლ

ხუროთმოძღვრებაზე

რუსუდან მეფისაშვილი

ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლა ფაქტიურად საბჭოთა პერიოდში დაიწყო და შედეგად მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზის წარმოჩენის საქმეში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამ მხრივ თავისი სისრულით გამოირჩევა ცნობილი მკვლევარის პროფესორ პ. ზაქარაიას კაპიტალური ნაშრომები, მიძღვნილი ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრებისადმი. ამ სქელტანანი წიგნებიდან ბოლო, მესამე, ახლახან მიიღო მკითხველმა!

სარეცენზიო წიგნებში განხი-

¹ გამომცემლობა „ხელოვნება“ პირველი წიგნი გამოსცა 1975 წელს, მეორე — 1978 წ. და მესამე წიგნი—1981 წ.



ქართული კენჭნაკობის
ტექნოლოგია არქიტექტურა

ლულია ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციის ძალიან დიდი მონაკეფი, სადაც მკვეთრად აისახა ნაციონალური ფორმების, მხატვრული სახეების განვითარება და ჩამოყალიბება.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი როლი, რომელიც მიუძღვის ქართული ხელოვნების მეცნიერების ფუძემდებელს გიორგი ჩუბინაშვილს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა განვითარების ეტაპების დადგენასა და შესწავლაში. გ. ჩუბინაშვილის მოწოდებების მიერ შესწავლილი და გაღრმავებულია არა ერთი ცალკეული თუ საერთო საკითხი, და მაინც, იმ ურიცხვ მასალაში, რომელსაც ძველი ქართული ხუროთმოძღვრება გვაძლევს, ბევრი რამ შესავსები და გასაფართოებელია. პ. ზაქარაიამ სწორედ ამგვარ საკვანძო საკითხების დამუშავებას მოჰკიდა ხელი. მან სისტემაში მოიყვანა ადრე დათარიღებული ძეგლები და კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით ახლებიც ბევრი დაუმატა. აქ წარმოდგენილი ძეგლები წარმოადგენს შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყეს.



ქართული
კენჭნაკობის ტექნოლოგია
არქიტექტურა

პ. ზაქარაიას ამ ნაშრომში, ისევე როგორც მის სხვა ნაშრომებში, გულდასმით, დამაჯერებლად და მიმოხილული წყაროები და უშუალოდ ძეგლებზე არსებული წარწერების მონაცემები.



ქართული
კენჭნაკობის ტექნოლოგია
არქიტექტურა

სამ წიგნში განხილულია 800 წლის მანძილზე ქართველ ხუროთმოძღვართა გენიის მიერ შექმნილი მთავარი გუმბათოვანი ძეგლები, რომელთა საერთო რიცხვი ოცდაორია.

პირველ წიგნში წარმოდგენილია XI ს-სა და XII ს-ის 70-იანი წლების ძეგლები: სამთავისი, სამთავრო მცხეთაში, გელათი, თიღვა და იკორთა. მეორე წიგნში: XII საუკუნის ბოლო პერიოდისა და XIII ს-ის პირველი ნახ-

ეგრის ნაგებობები — ბეთანია, ქვათახევი, ყინწვისი, ტიმოთესუბანი, ფიტარეთი, წულრულაშენი და ახტალა, მესამე წიგნში XIII საუკუნის ბოლო მეოთხედი და XVIII საუკუნეა წარმოდგენილი: საფარა, ზარზმა, ცაიში, ვერგეტის სამება, ახალი შუამთა, ვრემი, შიხიანი, ანანური და ლარგვისი.

ავტორმა ეს ძეგლები ერთ თემად გააერთიანა, მათი ხუროთმოძღვრული აგებულების ერთიანობის გამო. ფაქტიურად ესაა ერთი ტიპი — გეგმაში მოგრობო სწორკუთხედი, შუაზე აღმართული გუმბათით. ამ გზით შექმნილია სივრცე, რომელშიაც გუმბათი ეყრდნობა აღმოსავლეთით აბსიდის კუთხეებს, ხოლო დასავლეთით ორ ბურჯს. ნაგებობის ეს ტიპი, ავტორის აღნიშვნით, XI საუკუნეში სამთავისის სახით შექმნილი, საუკუნეთა მანძილზე თითქმის უცვლელი რჩებოდა, მაგრამ ყველა ეპოქას შეჰქონდა თავისი ნიუანსი, რომელიც ძეგლებს საკუთარ, განუმეორებელ სახეს ანიჭებდა. ეს ვლინდება ნაგებობათა პროპორციულ აგებულებაში, გვერდითი კარებისათვის ადგილის შერჩევაში, შიდა სივრცეში განათების წყაროების განაწილებაში. ავტორი ვრცლად იხილავს აგრეთვე ინტერიერში პატრონიკეთა მოწყობის საკითხს და სხვა საკითხებს.

XI-XIV საუკუნეებში ქართველ ხუროთმოძღვართა ძირითადი ყურადღება გადატანილია ფსადთა დეკორატიული მორთულობისაკენ. მორთვის ძირითად ელემენტად ხდება დეკორატიული თალები. იგი XI-XII საუკუნეებში სრულიად იმორჩილებს ნაგებობათა ფსადებს. ამ პერიოდში თანდათანობით იცვლება თალების მოხაზულობა, ხოლო XII საუკუნის ბოლოდან კედლები საბოლოოდ „თავისუფლდება“

თალებისაგან და მის ადგილზე იკავებს გლუვ კედლებზე განაწილებული, მდიდრულად მორთმებული, კარ-სარკმელთა საპირეები. გუმბათის ყელი კი, ისევე თალებითა და ჩუქურთმებით, ერთიან ხალიჩას წარმოადგენს. იმავე ეპოქაში გავრცელებულია აგრეთვე ფსადებზე სხვადასხვა ფერის ქვების გამოყენება. ნაგებობის ცხოველხატულობაში პოლიქრომიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მესამე პერიოდის, ე. ი. XVI-XVIII საუკუნეთა ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლები ქმნიან ახალ ჯგუფს. ისინი განსხვავდებიან სამშენებლო მასლით, პროპორციული აგებულებით და ფსადთა დეკორით. ამავე დროს როგორც ავტორი აღნიშნავს, ოსტატთა ერთი ნაწილის შემოქმედებაში ჩანს მისწრაფება ადრინდელი მხატვრული ფორმების რემიქსიცენციისაკენ, თალებისათუ საპირეების თავისებური გააზრებით.

ნაპრომისადმი გვაქვს მცირე შენიშვნა: ავტორი მის მიერ განხილულ ძეგლთა ტიპის წარმოქმნას ძირითადად სამთავისის ავტორს მიაწერს. სამთავისი, მართლაც, იმდენად მნიშვნელოვანი ძეგლია, რომ მისი გავლენა უცილობლად გასათვალისწინებელია მისმა გენიალურმა ავტორმა, როგორც პ. ზაქარაია აღნიშნავს, სამთავროს ხუროთმოძღვართან ერთად, საბოლოოდ ჩამოაყალიბა ეს ტიპი. ამ სწორ დასკვნასთან ერთად, გასათვალისწინებელია IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვართა შემოქმედებაც. მათი კონცეპტია ისეთი ძეგლები, როგორცაა — ოზანანი, შატბერდი ანუ ხანძთა და ვალე.

პ. ზაქარაიას ვრცელი შემაჯავებელი ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ხელოვნების ისტორიისათვის.

ეკლექტიკისა და მოდერნიზმში

დამოკიდებულების შესახებ

თენგიზ კვიციანი

ბოლო დროს აშკარად გამოიკვეთა ინტერესი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურისადმი. ერთდ, ე. წ. „ეკლექტიკისა“ და „მოდერნიზმის“. დაინტერესება ამ ხანის ხუროთმოძღვრებით აშკარადება როგორც სხვადასხვა სახის დისკუსიებსა თუ თეორიულ შრომებში, ისე პრაქტიკოს არქიტექტორთა პროექტებში. სულ რამდენიმე წლის წინ ვერც წარმოვიდგენდით, რომ ამ პერიოდის არქიტექტურა, რომელსაც ჩვენ გვირდს ვუვლიდით და ყურადღების ღირსად არ ვთვლიდით, ანდა ხუროთმოძღვრების დაკნინების ხანად მივიჩნევდით, სპეციალისტების ყურადღებას მიიპყრობდა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტიქონების ავტორსაც გამოუთქვამს სკეპტიკური დამოკიდებულება ეკლექტიკის (და არა მოდერნიზმის) პერიოდის ხუროთმოძღვრებისადმი. ეს არც გასაკვირია. ეკლექტიკისა და მოდერნიზმის უარყოფითი შეფასება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო და ათეული წლების მანძილზე მკვიდრდებოდა რამდენიმე თაობის შეგნებაში. მომავალ არქიტექტორებს სტუდენტური წლებიდან უნერგავდნენ უარყოფით დამოკიდებულებას თითქმის 70 წლის მანძილზე გაბატონებული არქიტექტურისადმი, რა თქმა უნდა, ზოგიერთი თვალსაჩინო ნაწარმოების გამოკლებით.

რა აიძულებს დღეს სპეციალისტებს გადახედონ აღრინდელ პოზიციებს?

საქმე იმაშია, რომ დღეს დღის წესრიგშია ქალაქების ცენტრალური უბნების რეკონსტრუქციის პრობლემები. ამ უბნების დიდი

ნაწილი კი სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ამ ამოცანების წინაშე დგან თბილისის არქიტექტორებიც. კარგა მანა მომწიფდა საქართველოს დედაქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციის საჭიროება. მუშავდება სათანადო პროექტიც. საერთო პროექტის შედგენამდე კი არქიტექტორები გენერალური გეგმის საფუძველზე სპროექტო წინადადებებს გვთავაზობენ ცენტრის სხვადასხვა კვანძების გარდასაქმნელად. ცხადია, ასეთი გარდაქმნები გარდუვალია. მათ ცხოვრება მოითხოვს. მაგრამ პრობლემის ერთი მხარე სწორედ იმაშია თუ როგორ მოვეცილოთ ძველ „ეკლექტიკურ“ განაშენიანებას. კვლავინდებურად ხელი ჩავიწიოთ და იგი სამსხვერპლოზე გავილოთ, თუ დროა დავინახოთ მასში ისტორიული ფასეულობა? თუ თბილისის ცენტრის განაშენიანებას გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ მისი დიდი ნაწილი XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX-ის დასაწყისშია შექმნილი. ეკლექტიკური და მოდერნული შენობებია სოლოლაკში, მთაწმინდაზე, რუსთაველის პროსპექტზე და მის პარალელურ ქუჩებზე, პლუხანოვის პროსპექტზე და მასთან მიკედლებულ უბნებში. ამ პერიოდის არაერთი შენობაა თბილისის შუასაუკუნოვან ბირთვშიც, კალაში. ამ ხანის შენობებია შემორჩენილი ბათუმში, სოხუმში, ზოგიერთ კურორტზე.

ირკვევა, რომ იმ დროს გამოშუშავებული ფუნქციონალური სქემები, ხშირ შემთხვევაში, არ ყოფილა უარყოფილი და მათი მხოლოდ გაუმჯობესება წარმოება. იმ ხა-

ნაში აშენებული შენობების დიდი ნაწილის — თეატრების, პასაჟების, საავადმყოფოების, ბანკების (და შემოსავლიანი სახლები-საც კი) ექსპლოატაციის შესაძლებლობა, ხშირად პირვანდელი დანიშნულებით, მინიმალური კორექტივების შეტანით, აქტუალურად ხდის ამ ეპოქის ნაგებობების დაცვისა და რესტავრაციის ამოცანებს (ამას მოწმობს თუნდაც რუსთაველის და ოპერის თეატრები, ჯიჯიას და კეცხოველის ქუჩებზე მდებარე ბანკების შენობები).

არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს იმ გარემოებამაც, რომ დღევანდელი მოქალაქე მიიღებს გასულ საუკუნეში ჩამოყალიბებული ცენტრალური უბნებისკენ, მათ მეტად კომუნიკაბელურად თვლის, აქ იგი მისთვის თანამასშტაბურ განაშენიანებას პოულობს. ამ მხრივ დასაფიქრებელია იმ დროის ქალაქ-შენებლური ტენდენციებიც, რომლის დადებითი მხარეების დანახვა ჩვენ აქამდე არ გვსურდა. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ დროს შექმნილ მიკრორაიონების პროექტებში არქიტექტორები ხშირად იყენებენ შენობების მიჯრით განლაგების პრინციპებს, რაც დამახასიათებელი იყო გასული საუკუნისათვის.

ეკლექტიკური არქიტექტურის განხილვისას ჩვენ უმეტესად გარე სამოსის ფორმალური ანალიზით ვიფარგლებოდით. საჭიროა ამ პერიოდის ხუროთმოძღვრების დიფერენციალური შეფასება, იმ სოციალური და კლასობრივი საფუძვლების გათვალისწინებით, რომელთაც განაპირობებს იმ დროის არქიტექტურის პროფესიონალური წინააღმდეგობანი. ეს წინააღმდეგობანი კი ყოველ ნაბიჯზე იკითხება. ერთი მხრივ, უთუოდ ვხედავთ ტაქტს, შექმნილ სიტუაციაში „ჩაწერის“ უნარს, მეორე მხრივ — დამკვეთის მოთხოვნის შედეგად, ანსამბლურობის სრულ იგნორირებას; ერთი მხრივ — სიყვარულსა და ყურადღებას დეტალებისადმი, მეორე მხრივ — მათ ისეთ სიმრავლეს, რაც გამოიციხავს ცალკეულის აღქმას. ადამიანისადმი თანამასშტაბურობა და ამავე დროს, ზის მაგარი ეზოების შემაწესებელი სიმკვირვე. პატრონის მტაცებლური ფსიქოლოგია მაქსიმალური შემოსავლის მიღე-

ბის თვალსაზრისით და ამავე ხორცბელის ორგანიზაციის მაღალი კულტურა. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებდით ხოლმე ეკლექტიკის ხანის სიჭრელზე, რაც მით უფრო გეცემათ თვალში, თუ დაბალი გემოვნების მქონე არქიტექტორი მდიდარი დამკვეთის ნება-სურვილს იყო აყოლილი და, იმის მიხედვით თუ რომელ „სტილს“ მოისურვებდა დამკვეთი, არ ერიდებოდა ფორმების, მოტივებისა და დეტალების აღრევას, მოვლენების ამ ხლართში მეტად ყურადღებიანი გარკვევა გემართებს (ცხადია, ერთ საქურნალო წერილს ამის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს).


გასული საუკუნის ეკლექტიკური არქიტექტურისადმი ყურადღების გაღვივებას დღევანდელ ხუროთმოძღვრებაში გამოვლენილი ტენდენციებიც განაპირობებს. დღეს, ცხადია, ე. წ. „ახალმა“ ან „თანამედროვე“ არქიტექტურამ პოზიციები დათმო და ასპარეზზე კვლავ ეკლექტიკა გამოჩნდა, რა თქმა უნდა, ხარისხობრივად და გარეგნულად მკვეთრად განსხვავებული წარსული საუკუნის ეკლექტიკისაგან. მაგრამ არსით მაინც ეკლექტიკა. სხვა თვისობრივ ანალოგიებს შორის ისიც შეიმჩნევა, რომ წარსულში, სანამ ეკლექტიკა გაარღვევდა კლასიციზტური კომპოზიციის გარე ფორმას, იგი „მწიფდებოდა“ მის შიგნით, ინტერიერში. საკმარისია გავიხსენოთ ე. წ. „ეგვიპტური“, „ჩინური“, „აღმოსავლური“ კაბინეტები კლასიციზმის სასახლეებში. ჩვენს დროშიც ფუნქციონალიზმის გარსის გარღვევა სწორედ ინტერიერში დაიწყო (ეს მოვლენა საქართველოს ქალაქებშიც მკაფიოდ არის გამოვლენილი). ყურადღებით თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ ეკლექტიკური ტენდენციების ახალ შემოტევას. ფუნქციონალიზმი ჯერ ახალი დოქტრინით არ შეცვლილა და ეკლექტიკა კვლავ „გარდამავალ პერიოდად“ გვევლინება.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ გადავხედოთ ეკლექტიკისა და მოდერნის ხანის არქიტექტურას და დიფერენცირებულად შევფასოთ იმ დროის რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე არქიტექტურა, ვადავხედოთ ადრინდელ თვალსაზრისს. ამას მოითხოვს ჩვენი

ქალაქების ცენტრების მომავალი ბედ-იღბალიც ჩვენ სათუთად ვინახავთ შორეული წარსულის ნანგრევებად ქცეულ ძეგლებს, ძეგლებად ვალიარებთ კლასიციკურ შენობებს. ამავე დროს უმოწყალონი ვართ ხოლმე ეკლექტიკის პერიოდის განაშენიანებისადმი. მათ დასაცავად გამოთქმული აზრი უკეთეს შემთხვევაში, ღიმილს თუ გამოიწვევდა. დამკვიდრდა თვალსაზრისი, თითქოს ასეთი შენობების ალაგმვა ავტომატურად აუმჯობესებდა ქალაქის არქიტექტურას, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ეკლექტიკამ წაართვა ქალაქს სივრცე, როდესაც ქუჩა-კორიდორები შექმნა, დარღვია ქუჩების და მოედნების მოშენების სტილისტურ-ერთიანობა, რომ მან ჰარბად გავსო ქალაქი უგემოვნო დეკორით დატვირთული ფასადებით და ა. შ. ამგვარ ხელაღებულ ნიპილიზმს ახლა ვერ დავეთანხმებით. როგორც ჩანს, საჭიროა მეტი ყურადღებით და პროფესიონალიზმით შევადგინოთ თბილისის და სხვა ქალაქების ის ფრაგმენტები, რომლებიც ეკლექტიკის პერიოდში ჩამოყალიბდა.

იქნებ ეკლექტიკური არქიტექტურის შესაფასებლად სხვა კრიტერიუმებია გამოსაძენი. ჩვენ ხომ კლასიციზმისათვის მიღებული ესთეტიკური საზომებით ვუღვებოდით ეკლექტიკას, იგი წარმოდგენილი გვქონდა, როგორც მხატვრული დაქვეითების ანარქალი, არქიტექტურის კრიზისის ამსახველი. XIX საუკუნის მეორე ნახევრის არქიტექტურას კლასიციზმს ვადარებდით, რაც ეკლექტიკის სასარგებლოდ არ უღერდა. ასევე აგებდა ეკლექტიკა, როდესაც მას მოდერნს უპირისპირებდნენ, და ამგვარად, გამოდიოდა, რომ ეს პერიოდი არქიტექტურის დაცემის ხანაა. მაგრამ თუკი წინაპირობად იმ დებულებას მივიღებთ, რომ არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპს ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ესთეტიკური საზომით უნდა მივუღვდეთ, მაშინ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ხუროთმოძღვრება წარმოგვიდგება არა როგორც ჩიხი, არამედ როგორც ხუროთმოძღვრების განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერი ეტაპი. იქნებ სწორედ ამ ეტაპმა გაარღვია გვიანდელი კლასიციზმის მკაცრი ჩარჩოები და გზა გაუყავა ახალ არქიტექტურას?

ტრადიციული გახდა აზრი იმის შესახებ, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლებისათ-



ყოფილი თბილისის „კრუეკი“ (ახლანდელი ოფიცერთა სახლი), 1916 წ.

ვის კლასიციზმმა ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და რომ იგი ვერ ერეოდა კაპიტალისტური ურთიერთობის საფუძველზე წამოჭრილ მრავალ ამოცანას. გვიანდელი კლასიციზმისათვის დამახასიათებელი ხისტი კანონები და კომპოზიციური სქემები მოუქნელი აღმოჩნდა იმ ნაგებობების მიმართ, რომელთაც წარსულში არ გააჩნდათ ანალოგიები. მხედველობაშია საწარმოო, ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი შენობები, საცხოვრებელი სახლების ახალი ტიპები. ასევე შეუძლებელი აღმოჩნდა მანამდე არანაღებული მასშტაბის ქალაქური განაშენიანების ფორმირება ძველებურად, რაც წარმოუდგენელ ერთფეროვნებას გამოიწვევდა (ძალაუნებურად იბადება თანამედროვე პრობლემებთან პარალელის გატარების ცდუნება). ალბათ, სწორედ ამიტომ გვიანდელი კლასიციზმის კანონების ოფიციალური გულგრილობას დაუპირისპირდა მოცულობათა კომპოზიციების, დეტალების არჩევის და შექმნის თავისუფლება. მრავალმიმართულებიანი ძიებანი იმ ჩიხიდან გამოსვლის ცდები იყო, რომელშიაც კლასიციზმი აღმოჩნდა. თუკი თბილისში ვერ დავასაბელებთ კლასიციზმის გამოორჩეულ ნიმუშებს, სამაგიეროდ, თბილი-



არქიტექტული საზოგადოების შენობა (ახლანდელი რუსთაველის სახ. თეატრი) 1901 წ.

სის არქიტექტურაში ნათლად არის აღბეჭდილი ეკლექტიკის ხანის ძიებანი, რაც იმ დროის რუსეთის იმპერიაში და მთელ ევროპაში მიმდინარეობდა (მართალია, მაღალი დონის პროფესიონალის მიერ აგებულ შენობებთან ერთად, ბევრია მდარე ხარისხის, უგემოვნო სახლებიც). ეკლექტიკა და ფსევდონაციონალური ფორმები სპობდნენ საუკუნეების მანძილზე გაბატონებულ კლასიციკლურ კანონებს. საბოლოო ჯამში, ამ გზამ მოდერნის გავლით მიიყვანა არქიტექტორები 20-იანი წლების „ახალ არქიტექტურასთან“ და შემდეგ კი — დღევანდლობასთან.

ჩვენ, არქიტექტორები, არ ვაფასებთ ეკლექტიკის ხანაში ჩამოყალიბებულ განაშენიანებას, უარყუყვით იმ დროის გვეგარეზითი პრინციპები. ბოლო ათეული წლების მანძილზე ახალი უბნები და მაგისტრალები ავაშენეთ. მივმართავდით სხვადასხვა კომპოზიციურ ხერხებს — იყო სწორივი განაშენიანება, გამჭოლი განაშენიანებაც, მოხიზგაწრაფალი და გვეგარეზითი ხერხი, შევექმენით რაციონალური სატრანსპორტო კვანძები (გმირთა მოედანი, ორ დონეზე მოწყობილი გადაკვეთები), და მინც, ვერ მოვახერხეთ შევექმნა ადამიანისათვის ისეთივე თანა-

მასშტაბური ქუჩები, რომლებიც შეიქმნა „შელახული“ ეკლექტიკის პერიოდში. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ქალაქის სწორედ ეს ფრაგმენტები კვლავ ყველაზე მიმზიდველი რჩება მოქალაქისათვის. სოლოლაკის თუ მთაწმინდის ქუჩები, რუსთაველის და პლებანოვის პროსპექტები და მათ მიკედლებული უბნები თბილისში, დერბასოვსკაია ოდესაში, კუზნეცი მოსტი მოსკოვში, ნევის პროსპექტი ლენინგრადში და ა. შ. ამ ქუჩების განაშენიანების ნაწილის „უგემოვნების“ მიუხედავად, მოქალაქეთათვის მათი არქიტექტურა რჩება ქალაქის ცენტრის განსახიერებად. ახლა ნათელია, რომ ფსიქოლოგიურად რაიონის ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრული ატმოსფეროს შესაქმნელად კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების კონცენტრაცია როდია საკმარისი, არამედ აუცილებელია სივრცითი გარემოს განსაზღვრული პარამეტრები. ამგვარი ატმოსფერო შექმნილია, მაგალითად, მარჯანიშვილის ქუჩაზე და არა ახალი მიკრორაიონების ფართო მაგისტრალზე, როგორც ირკვევა, არცთუ ისეთი ცუდი ყოფილა გაღანძლული ქუჩა-კორიდორებით ორგანიზებული ქალაქური სივრცეები,



ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრება.

თქმა არ უნდა, ეკლექტიკის მეკვიდრეობა აღსავსეა წინააღმდეგობებით. მაგალითად, მაქსიმალური შემოსავლის მიზნით სახლის მფლობელის მისწრაფებით გამოწვეული განაშენიანების მეტისმეტი სიმკვიდროვე, დაჩრდილული ეზო-ქეზი და, ამავე დროს, თვით შენობის ფუნქციონალურად მაღალი ხარისხი, რაც ხშირად დღესაც თავისებურ ეტალონად რჩება (ცხადია, „დროის კოეფიციენტის“ მოხმარებით). ამასთან, სიმკვიდროვე ოსტატისგან მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვდა (ცხადია, საუბარია ნიკიერი არქიტექტორის ნაწარმოებზე). თუ წინასწარი შეგონების გარეშე პროფესიონალურად გაეანალიზებთ ეკლექტიკის პერიოდის ქალაქმშენებლურ გამოცდილებას, რომელსაც ეამთა სვლის მიუხედავად მიმზიდველობა არ დაუკარგავს მოქალაქისათვის, შესაძლოა მოულოდნელი შედეგი მივიღოთ. გამოვნახოთ ეკლექტიკის პერიოდის ისეთი თვისებები,

რომლებსაც ქალაქის გარემოს ორგანიზაციის მაღალი პროფესიონალური პრინციპები ახასიათებთ. მაგალითად, დღეს საქართველოში ბებულ განაშენიანებაში ახალი შენობის ტაქტით ჩაწერის შემთხვევას ბევრს ვერ ჩამოვთვლით. თითქოს დავკარგეთ ამის ჩვევა-თუკი ბოლო ათეული წლების მეტრ-აკლებად მნიშვნელოვან მშენებლობებს გადავავლებთ თვალს, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნება, თითქოს არქიტექტორებს მაინცდამაინც განაშენიანებისაგან სრულიად თავისუფალი ბაქანი სჭირდებათ. თუკი სამშენებლო ბაქანი განაშენიანების მწკრივშია მოქცეული, შეამჩნევთ, რომ ახალი შენობის მასშტაბი შეეთანადება შემოთავაზებულ ბაქანს და არა არსებულ სახლებს (ერთი ასეთი მაგალითთაგანია, თუნდაც, სავაქრო დაწესებულება კამოს ქუჩაზე უნივერსიტეტის პირდაპირ). ზოგჯერ ძველ განაშენიანებაში ჩადგმული შენობა საკერებელს მოგაგონებს, ან აღიქმება ზოლმე როგორც ქუჩის მთლიანი რეკონსტრუქციის დასაწყისი, რაც ძველი მოშენების მთლიანად მოშლას გულისხმობს. ეკლექტი-

შემოსავლიანი სახლი რუსთაველის პროსპექტისა და ელაბაქიძის დაღმართის კუთხეში. 1900-იანი წლების დასაწყისი






ქის პერიოდში კი არქიტექტორებს შეეძლოთ შენობის ვირტუოზული ჩასმა ნებისმიერ მონაკვეთზე და ჩასვამდნენ ხოლმე იმგვარად, რომ შენობა ორგანულად ჩაიზრდებოდა განაშენიანებაში, თუმცა არ ითქვამებოდა მასში და მკვეთრად გამოსახულ ინდივიდუალობას ინარჩუნებდა. შენობის გეგმარების თვალსაზრისით, ეკლექტიკისათვის ისიც არის დამახასიათებელი, რომ მისი კომპოზიცია ვითარდებოდა კვარტლის სიღრმეში, სადა ეკონკრეტული ნაკვეთის კონფიგურაცია განსაზღვრავდა შენობის გეგმის ფორმას. შიდა-ეკარტალური სივრცის მაქსიმალური გამოყენებისადმი მისწრაფებამ წარმოქმნა შენობათა კომპოზიციების თავისებურებანი, როდესაც ცალკეული მოცულობები იჭრებოდნენ სიღრმეში, თითქოს „იღვრებოდნენ“ გეგმაში და ითვისებდნენ ყოველ თავისუფალ მეტრს. ქუჩისაკენ მოქცეული ვიწრო ფსადი აიძულებდა არქიტექტორს შენობა სიღრმეში განეფითარებინა, რამაც განაპირობა ისეთი შენობების თავისებურებანი, როგორცაა იმდროინდელი პასაჟები, ბანკები თუ შემოსავლიანი სახლები.

შენობის გარეგნულად თითქოს მკვეთრად გამოსახულ ინდივიდუალობასაც მასშტაბურობა მეტად დასაფასებელ თვისებას სძენდა. მხედველობაშია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ჩვენ დიდი ხნის მანძილზე ინდეფერენტულად ჩავეუვლიდით ხოლმე ეკლექტიკის პერიოდის შენობებს. ამის დასამოწმებლად მკითხველს ვთავაზობთ წარმოიდგინოს რუსთაველის პროსპექტზე, თუნდაც ჭავჭავაძის ქუჩასთან გადაკვეთაზე, ორთხე მხარეს მდგარი შენობები: არა მგონია პროფესიონალების უმეტესობამაც კი თვალნათლივ წარმოიდგინოს ამ შენობების არქიტექტურა. თუმცა ჩვენ ხშირად ჩავეუვლით ხოლმე ამ შენობებს. ეს რუსთაველის პროსპექტზე!!! სხვაგან? ღირს კი, რომ მათ ყურადღებით დავეუვირდეთ. ასეთი შენობების დიდი ნაწილი გაგაოცებთ ფასადების კომპოზიციების და დეტალების დამუშავების პროფესიონალიზმით, დეტალების შესრულების მაღალი ხარისხით და მოულოდნელად აღმოაჩენთ, რომ ბევრ შენობას სრულიადაც არ ახასიათებს უსახურობა, რომლის შესახებაც მივჩნვიეთ ლაპარაკს. ყველა ეს შენობა სხვადასხვანაირია და ინდივიდუალური, და სწორედ ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ეკლექ-

ტიკის პერიოდის განაშენიანება, ინდივიდუალურად შექმნილი, საზღვარსაღარაღარო რიული ფასადების სტილისტური გახსნა-გაგებისას, აღიქმება როგორც ერთიანი ნეიტრალური არქიტექტურული ფონი. თუმცა ცალკეული შენობა არ აღიქმირებს ყურადღებას, მაგრამ მთლიანობაში ადამიანი ინტუიტურად გრძნობს არქიტექტურის სხვადასხვაობას. ეს კი ფსიქოლოგიურად აწყობს მოქალაქეს, რომელიც ქალაქის არქიტექტურას ტურისტის თვლით კი არ ათვალთვობს, არამედ ცხოვრობს ქალაქში და არქიტექტურულ გარემოს, როგორც ფონს, ისე აღიქვამს. (ასეთი შეგრძნება გეუფლებათ, როდესაც დადიხართ თუნდაც სოლოლაკის ქუჩებში).

ეკლექტიკის ხანის წინააღმდეგობათა ხლართში გარკვევა ძნელია, თუმცა, მიუხედავად ამისა, აშკარად დადგა ამის დრო, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, დღის წესრიგშია ცენტრალური უბნების რეკონსტრუქციის ფართო სამუშაოები. ამ რთული ხლართის ერთ-ერთი კვანძი თეორიულ სფეროშიაც ძვეს. ვგულისხმობ ეკლექტიკის არა მატერიალურ ღირებულებას, არამედ ეკლექტიკის ესთეტიკურ ღირსებას. რაც მთავარია, უნდა გავეჩვენოთ: რას წარმოადგენს ეკლექტიკა, „უსტილობაა“ იგი თუ განსაკუთრებული სტილია? და თუ აღმოჩნდება, რომ იგი თავისებური, წინააღმდეგობით აღესილი, მაგრამ მაინც სტილია, მაშინ როგორიღაა მისი მხატვრული თავისებურებანი და კანონზომიერებანი? არქიტექტურულ სტილის სივრცისა და ესთეტიკური გამომსახველობის საშუალებათა მატერიალური და მხატვრული ორგანიზაციის ისტორიულად ჩამოყალიბებული, ხუროთმოძღვრების განვითარების განსაზღვრული პერიოდისათვის დამახასიათებელი წესების (გეგმარებითი, მოცულობით-კომპოზიციური, რიტმული, პროპორციული კანონზომიერებისა და ა. შ.) შედარებით მდგრადი ერთიანობა ახასიათებს. და კიდევ, — ხუროთმოძღვრული სტილი წარმოადგენს საზოგადოების განსაზღვრული მატერიალური და იდეურ-ესთეტიკური მოთხოვნების მატერიალიზირებულ განსახიერებას არქიტექტურულ ნაწარმოებში. სტილი ყალიბდება განსაზღვრული შემოქმედებითი მეთოდის საფუძველზე, რომელიც გაბატონებულია ხოლმე ამა თუ იმ პერიოდის არქიტექტორთა შემოქმედებაში.



ზემოთ თქმული თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობაში ჩამოყალიბებული არქიტექტურული სტილის ცნების განსაზღვრის ძირითადი არსია. პასუხობს თუ არა ეკლექტიკური არქიტექტურის თავისებურებანი „სტილის“ ამგვარ განსაზღვრას? აქნებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ხუროთმოძღვრება უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალ პერიოდად უკანასკნელ „დიდი“ სტილს — კლასიციზმსა და თანამედროვე არქიტექტურას შორის? ამ უკანასკნელის ფორმირების დასაწყისს მოდერნს უკავშირებენ ხოლმე. ბოლო ხანს ამ საკმაოდ რთული პრობლემის ირგვლივ ვაცხოველებული დისკუსიაა გამართული და აზრთა სხვადასხვაობაც არსებობს, მაგრამ ზოგიერთი დებულება მაინც შეიძლება ჩამოყალიბდეს.

სტილის ცნებას რომ ჯერჯერობით თავი ავაკრიდოთ, ერთი რამ ცხადია: ხუროთმოძღვრების განვითარებაში ეკლექტიკა ეტაპია, რომელსაც საკუთარი შემოქმედებითი მეთოდი ახასიათებს. ამ მეთოდის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს შეადგენდა „ყველა სტილის“, ყველა ისტორიული ეპოქის მემკვიდრეობის გამოყენება. საქმეც იმაშია, რომ სწორედ ეს მხატვრული განურჩევლობა ჩვენს მიერ წაყენებული ბრალდებების ძირითად საბუთს წარმოადგენდა და ამიტომაც ამ პერიოდს დიდი ხნის განმავლობაში არქიტექტურის განვითარების მძიმე, სტილისტურად უწყალო ხანად მივიჩნევდით. მაგრამ თუკი სხვაგვარად დაეაყენეთ საკითხი? იქნებ ეკლექტიკის პრინციპული „მრავალსტილიანობა“ XIX საუკუნის მეორე ნახევრის არქიტექტურის სტილისტური ნიშანთვისებაა? იქნებ განსაზღვრული შემოქმედებითი მეთოდით შექმნილი ეს „მრავალსტილიანობა“ წარმოადგენს ეკლექტიკის სტილის ერთ-ერთ მარჯვენებს? საკითხის ამგვარი დასმისას უცილობლად უნდა გავითვალისწინოთ ის ვარაუკობა, რომ „მრავალსტილიანობა“ ეკლექტიკურ პრაქტიკაში ძირითადად მხოლოდ დეკორში მკლავნდება და შედარებით იშვიათად — შენობების მოცულობითი კომპოზიციების რეკონსტრუქციულ გამოყენებაში. ამ პერიოდის შენობებს სრულიად ახლებური გეგმარებითი და მოცულობითი სტრუქტურა აქვთ, რომ არაფერი ეთქვათ კონსტრუქციულ-ტექნიკურ თავისებურებებზე. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს თავისებურებები, რომელთაც წარსულში

ანალოგიები არ გააჩნდათ, წარმოიქმნა ახალი სოციალური, კულტურული და ფუნქციონალური მოთხოვნების საფუძველზე. საფიქრალია, რომ ამიტომაც ისტორიული სტილებიდან ნასესხები არქიტექტურული ფორმები და ორნამენტულ-დეკორატიული მოტივები უბრალოდ კი არ მეორდებოდა, არამედ განსაზღვრულად გარდაიქმნებოდა ხოლმე ახალი პირობების მიხედვით, ახლებურ ყდვრადობას აღწევდა დეტალების მასშტაბური თანფარდობის შეცვლით, განსხვავებული პლასტიკური დამუშავებით, მათი რაოდენობრივი გაზრდილითაც. ეკლექტიკამ ვერ შექმნა სრულიად დამოუკიდებელი ესთეტიკური კონცეპცია ფასადების დეკორში, რაც მოგვიანებით მოდერნიზმს შეძლო.

მაინც რატომ არ მივიჩნევდით ეკლექტიკას განსაზღვრულ სტილად? როგორც ჩანს, ამას მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ არ შეიქმნა ისეთი სრულფასოვანი, მხატვრულად ერთიანი არქიტექტურული სტილი, როგორც იყო, ვთქვათ, ბაროკო ან კლასიციზმი. „დიდი სტილის“ ჩამოყალიბებას ხელს არ უწყობდა, პირველყოფლისა, ეპოქის სოცია-



სოლოლაკის ერთ-ერთი კუთხე


ლური წინააღმდეგობანი, რაც არქიტექტურის სოციალურ-ფუნქციურ დიფერენციაციას წარმოშობდა. ამას თუნდაც ისიც მოწმობს, რომ გარეუბნებში განლაგებული იაფფასიანი ბინების არქიტექტურა რადიკალურად განსხვავდებოდა ცენტრალურ უბნებში აგებული შემოსავლიანი სახლების მხატვრული სახისგან. „დიდი სტილის“ შექმნა დამუხრუჭა აგრეთვე ეპოქის ეკონომიკური განვითარების თავისებურებებმა და მძაფრ ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულმა ფაქტორებმა.

ეკლექტიკის მრავალ წინააღმდეგობათა შემცველი მახასიათებლების მიუხედავად, შესაძლებელია ზოგიერთი საერთო ნიშანთვისების დადგენა: შეგნებული „მრავალსტილიანობა“, რაც ძირითადად ფასადების და ინტერიერების დეტალებში და დეკორში აირეკლა: ისტორიული არქიტექტურული სტილებიდან ნასესხები მოტივების გარდაქმნა, კერძოდ, დეტალების პლასტიკის და მასშტაბური წყობის შეცვლა და ერთ კომპოზიციაში განსხვავებული სტილის ელემენტების შეგნებული გაერთიანება; ახალი გეგმარებითი ხერხების

გამომუშავება, რომელთა ანალოგიები წარსულში არ მოიპოვებოდა.

არქიტექტორთა წრეებში, ზოგ შემთხვევაში, დღესაც ავიკვებენ ხოლმე ეკლექტიკას და მოდერნს, თუმცა ეკლექტიკა და მოდერნი დიამეტრულად განსხვავებული მოვლენება არქიტექტურის ისტორიაში, განსხვავებული სტილებია. უნდა დავეთანხმოთ იმ ხელოვნებათმცოდნეებს, რომლებიც თვლიან, რომ მოდერნსა და ეკლექტიკას შორის მეტი განსხვავებაა, ვინემ, ვოქეათ, ბაროკოსა და კლასიციზმს შორის, ანდა იგივე მოდერნსა და კონსტრუქტივიზმს შორის. ეკლექტიკასა და მოდერნს შორის ეპოქალური მნიშვნელობის გარღვევაა.

მოდერნის ერთ-ერთი პრინციპული თავისებურება კლასიციზმის ორდერთან, ან ბაროკოს თუ ეკლექტიკის ფორმებთან შესადაარბელი სტილისტური (მხატვრული) სისტემების არქონაშია. მოდერნი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს უტილიტარული ფორმის მხატვრულ გამომსახველობას, მისი პრინციპის არსია სასარგებლოს მშვენიერში გარდა-




სიონის გვერდზე მდებარე ძველი ქარვასლის ადგილზე 1912 წელს ამოყვანილი ფასადის ფრაგმენტი

სახვა აქედან მოდის მოდერნის ე. წ. დეკორატიულობა და ტექნიკისადმი სპეციფიკურ მოკიდებულება. ტექნიკა განხილვება, როგორც გარემოს შექმნის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც აქტიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე და ამით საზოგადოების გარდასახვაზე. ამასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ მოდერნის პროგრამის უტოპიურობა და მისი საწყისის წინააღმდეგობანი, სადაც აღიარებდნენ ხელოვნებას ყველასათვის და ყველაფერში და მსოფლიოს გარდაქმნისაკენ ისწრაფვოდნენ მისი „სილამაზით“ გაცეხების გზით. შემთხვევითი როდია, რომ მოდერნის ოსტატები და თეორეტიკოსები (ო. ვაგნერი, ა. ვან დე ველდე, ლ. სალოვენი, ფ. შეხტელი და სხვ.) იზიარებდნენ დემოკრატიულ იდეებს. საინტერესოა ასეთი ფაქტიც: მოდერნის სათავეებთან იდგა არქიტექტურის თეორეტიკოსი უილიამ მორისი (1834-1896 წწ.), რომელიც თავის თავს მარქსისტს უწოდებდა. იგი ავტორია უტოპიური რომანებისა. უილიამ მორისი მკაცრად აკრიტიკებდა ეკლექტიურ არქიტექტურას და მას უპირისპირებდა მონუმენტალური კომუნისტური საზოგადოების არქიტექტურას, რომელსაც სამსახური უნდა გაეწია მშრომელებისათვის და რომელსაც იგი მოდერნის სტილის მდიდრულ დეკორატიულ ფორმებში გახეულებს ხედავდა.

მოდერნის მიღწევებმა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში დიდი გავლენა იქონია შემდგომი თაობების არქიტექტორების აზროვნებაზე. ცალკე ოჯახისთვის განკუთვნილი მხოვრხებული, კომფორტბელური ბინების შექმნა, სადაც გათვალისწინებულია ჰიგიენური მოთხოვნები და ახალი ტექნიკური აღჭურვილობა, მოდერნის უთუო შენაძენია. მოდერნის ეპოქაში ქარხნები და ფაბრიკები პირველად აღმოჩნდა არქიტექტორთა და ინტერიერების სფეროში. ამასთან, თანამედროვე არქიტექტურაში შესამჩნევი კვალი დატოვა მოდერნისტული ხელოვნების ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ძველი არქიტექტურისადმი.

ისევე, როგორც მოდერნმა გაწყვიტა კლასიციტური კანონების ჯაჭვი, კონსტრუქტივიზმმაც (შესაძლოა მეტად დაუნდობლად) უარყო მოდერნის კანონები. თუკი მოდერნი უარყოფდა ფსევდოკლასიციტურ დოგმებს, ოციან წლებში კონსტრუქტივიზმმაც, თავის მხრივ, უკუაგლო წინამორბედის დოგმები. ამის

ლითონის ლობე. კაშენის ქ. № 6





შემდეგ მოდერნი ათეული წლების მანძილზე უარყოფით მოვლენად ითვლებოდა.

დღეს მეორე უკიდურესობის წინაშე არ უნდა აღმოვჩნდეთ. ასლა, როდესაც ეს-ეს არის იწყება ჩვენი საუკუნის დასაწყისის არქიტექტურის განვითარების სერიოზული შესწავლა, ზოგიერთი ჩვენგანი, ცდილობს რა აღადგინოს სამართლიანობა, მზად არის თვალი დახუტოს მოდერნის ზოგიერთ უარყოფით მხარეზე. რა თქმა უნდა, მოდერნი თავისი დადებითი და უარყოფითი გამოვლინებით მნიშვნელოვანია, როგორც არქიტექტურის განვითარების უწყვეტი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი. იგი უნდა შეფასდეს, როგორც რთული და წინააღმდეგობების შემცველი მოვლენა, სადაც თანაარსებობდა პროგრესულიც და რეაქციულიც. არ უნდა დავივიწყოთ მოდერნის, როგორც არქიტექტურულ-მხატვრული მოვლენის, ჰეგელიანდ გამოსახული ისტორიული და სოციალური შეზღუდულობა. მაგრამ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მოდერნს აქვს თანამედროვე არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისება.

რალა თქმა უნდა, როდესაც ვსაუბრობთ ეკლექტიკის პერიოდისა, თუ მოდერნისტული განაშენიანების ფრაგმენტების შემონახვაზე, ვგულისხმობთ იმ შენობებს, რომლებშიც გამოვლენილია მაღალი პროფესიონალიზმი და ისტატობა.

რა სურათია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის და მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისის არქიტექტურაში?

ბატონყმობის გაუქმებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საქმეში. ამ დროს დამთავრდა თბილისის ისტორიის ფეოდალური პერიოდი და იგი მთლიანად იქნა ჩართული რუსეთის კაპიტალისტურ სისტემაში. მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რკინიგზის მშენებლობას. 1872 წელს დამთავრდა რკინიგზის ხაზის მშენებლობა, რომელმაც თბილისი ფოთს დააკავშირა, 1883 წელს კი დამყარდა სარკინიგზო კავშირი თბილისსა და ბაქოს შორის. სწორედ ამის შემდეგ იწყება ქალაქი განსაკუთრებით სწრაფ ზრდას. ვერის ხიდის მშენებლობამ და ახალი მაგისტრალის — ვერის დაღმართის გახსნამ ზიძგი მისცა მტკვრის მარცხენა ნაპირის

განვითარებასაც, სადაც, ყოფილ გერმანულ დასახლებაში, ფართო მშენებლობა დაიწყო. ქალაქი მტკვრის ორთავ მხარეს ჩქარი ტემპით მიიწეოდა დინების აღმა.

მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულში საგრძობლად იცვლის არქიტექტურულ-მხატვრულ იერს თბილისის ცენტრალური უბნებიც. თანდათან იცვლება გასული საუკუნის პირველი ნახევრის განაშენიანება. ჩნდება საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობების დიდი მოცულობები. საქართველის აბსოლუტურმა ჩართვამ რუსეთის იმპერიის სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ ცხოვრებაში, ბუნებრივია, განაპირობა ისიც, რომ თბილისის ხუროთმოძღვრებაში ირეკლებოდა იმ დროის რუსეთის (ე. ი. ვეროპისაც) არქიტექტურაში მიმდინარე პროცესები. ეს დროც როგორც აღვნიშნეთ, ეკლექტიკის ხანაა არქიტექტურაში. სხვადასხვა სტილისათვის დამახასიათებელი ფორმების თუ ელემენტების გამოყენების ცდებს ამოიკითხავენ იმ დროის, როგორც საზოგადოებრივ, ასევე საცხოვრებელ სახლებზე. რენესანსი, ბაროკო, როკოკო, გოთიკა, „მავრიტანული“, „აღმოსავლური“ არქიტექტურა შენაცვლებით შეადგენენ არქიტექტორების შემოქმედების წყაროს. იყო ცდებიც ეროვნული მოტივების სტილიზაციისაც, ზოგ შემთხვევაში საინტერესოც და მაღალპროფესიულიც. მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში ვრცელდება მოდერნის სტილის შენობები და მათ შორის — ბევრი პროფესიონალურად გამართულიც.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თბილისის მრავალრიცხოვან არქიტექტორთა და მშენებელთა შორის გამოირჩეოდა ხუროთმოძღვართა ჯგუფი, რომელთაც აკადემიური განათლება და მაღალი პროფესიონალიზმი გააჩნდათ. ზოგიერთი მათგანი რუსეთის იმპერიის ყველაზე ნაყოფიერ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნოდა: ალბერტ ზალცმანი, ოტო სიმონსონი, პავლე შტერნი, ალექსანდრე შიმკევიჩი, ლეოპოლდ ბილფელდი, ალექსანდრე როგოისკი, მიხეილ ოპანჩანოვი, ალექსანდრე ოზეროვი, პირველი დიპლომირებული ქართველი არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი და სხვები. ალბერტ ზალცმანმა, თბილისელი გერმანელის შვილმა, დამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადე-



მია. მის მიერ თბილისში აგებული მრავალი შენობიდან აღნიშნავ ქალთა გიმნაზიას, კათოლიკების ეკლესიას კალინინის ქუჩაზე, სასტუმრო „ორიანტს“ (ახლანდელი „მხატვრის სახლი“ რუსთაველის პროსპექტზე), მრავალ საცხოვრებელ სახლს. მას პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსის წოდება მიენიჭა. აკადემიკოსი გახლდათ ოტო სიმონსონი, წარმოშობით შვედი, ავტორი კავკასიაში აშენებული მრავალი შენობის პროექტებისა. თბილისში აღსანიშნავია მეფისნაცვლის სასახლე (დღევანდელი პიონერთა სასახლე). მისივე პროექტით ჩაეყარა საფუძველი პირველ საზოგადოებრივ ბაღს თბილისში — ალექსანდრეს ბაღს (ახლა კომუნარების სახელობას). წარმოშობით გერმანელმა, პველ შტერნმა დააპროექტა აწინდელი ქალაქის საჭკოს შენობა, სახლი რუსთაველის პროსპექტსა და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში, საცხოვრებელი სახლები (მათ შორის საკუთარი სახლი პლენხანოვის პროსპექტისა და კრილოვის ქუჩის კუთხეში, მაჟმინდაზე, პლენხანოვის პროსპექტზე და სხვ.). ეროვნებით პოლონელ ალექსანდრე შიმკეიჩის ნაწარმოებთა შორისაა დღევანდელი რუსთაველის თეატრი (კორნელი ტატიშჩევთან ერთად), კონსერვატორია, სასამართლოს შენობა, მრავალი სახლი, თბილისის სხვადასხვა უბანში. ლეოპოლდ ბილფელდი (გერმანელი) მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის და მე-20 საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი თვალსაჩინო არქიტექტორთაგანია თბილისში. მის მიერ აგებული შენობებიდან აღსანიშნავია სახლები პლენხანოვის პროსპექტზე, აქვე ვეტცელის (შემდგომში „რუსთავის“) სასტუმრო. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი პროექტით აგებული ქაშვეთის ეკლესია. ალექსანდრე როგოისკის, საცხოვრებელი სახლების გარდა, თბილისში

აშენებული აქვს სასულიერო სემინარია ვაკეში (ახლა იქ საავადმყოფოა, ადგილსამდლო-სამეურნეო ინსტიტუტი იყო მისივე პროექტული), ამჟამინდელი უნივერსალი მარჯანიშვილის ქუჩაზე. საბებიო ინსტიტუტი ლენინის ქუჩაზე და სხვ. ელექტრის ხანის ნამდვილი წარმომადგენელი იყო ალექსანდრე ოზეროვიც. მის მრავალრიცხოვან ნაგებობათა შორისაა ახლანდელი კულტურის სამინისტროს შენობა რუსთაველის პროსპექტზე, სახლები პლენხანოვის პროსპექტზე, ავლაბარში და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საუფლისწულო ლენინის სარდაფი ვერაზე (აწინდელი პირველი ლენინის ქარხანა), სადაც ქართული ხუროთმოძღვრების მოტივების გამოყენების ცდაა ეანხორციელებული. სიმონ კლდიაშვილის მოღვაწეობას და შემოქმედებას ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს. და მანც, მის მიერ აშენებულ სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი ვაკეში) არქიტექტურის ერთ-ერთ მხარეს საჭიროა კვლავ ხაზი გაესვას. ეს მისი გეგმარებაა. ამ ასპექტში უნივერსიტეტის შენობა თვალნათლივ ადასტურებს იმ აზრს, რომ იმ დროს შექმნილი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების დიდი ნაწილი გამოირჩეოდა დაგეგმარებისა და მოცულობითი სტრუქტურის მაღალპროფესიული ვადაწყვეტიით.

ელექტიკური არქიტექტურის თუ მოდერნის სტილის მატარებელი ყველა მეტ-ნაკლებად გამოჩენილი შენობის დასახლება შორს წაგვიყვანდა. საერთო სურათისათვის ზოგაერთ მათგანს მოვიყვან. კლასიციტური (რენესანსული, ბაროკალური) ფორმები და მოტივები გამოყენებული მეფისნაცვლის (პიონერთა) სასახლის, ქალთა გიმნაზიის (მუ-




საცხოვრებელი სახლი, ჩახრუჭადის ქ. № 25

ზეუმის ქვედა კორპუსი კეცხოველის ქუჩაზე), სასტუმრო „ორიანტის“, თბილისის „კრუ-
ეოკის“ (ახლა იქ ოფიცერთა სახლია), მუსი-
კალური სასწავლებლის (აწინდელი კონსერ-
ვატორია) და რამდენიმე ათეული სხვა შენო-
ბის არქიტექტურაში. შენობათა დიდი ჯგუ-
ფი ასახავს ცდუნებას „მავრიტანული“ და
„აღმოსავლური“ მხატვრული სახის შექმნისა
(ქარვასლები, საცხოვრებელი სახლები ენ-
გელის ქუჩაზე, პლენანოვის პროსპექტზე,
ოპერა, ქალაქის საბჭო). ეკლექტიკური არქი-
ტექტურის საინტერესო მაგალითებს ნახავთ
სოლოლაკში, პლენანოვის პროსპექტს მიკედ-
ლებულ უბნებში, მთაწმინდაზე. თბილისში
გვქვს მოდერნული არქიტექტურის მეტად
საინტერესო ნიმუშები: ბანკის შენობა კი-
როვის ქუჩაზე, ოფიცერთა ეკონომიკური საბ-
ჭოს შენობა (უნივერსალური მარკანიშვილის
ქუჩაზე), მის პირდაპირ განლაგებული მარ-
კანიშვილის თეატრი (ყოფილი ზუბალაშვი-
ლისეული სახალხო სახლი), შემოსავლიანი
სახლი რუსთაველის პროსპექტის და ელბა-
ქიმის დაღმართის კუთხეზე, საცხოვრებელი
სახლი ჭინჭაძის ქუჩაზე (№ 12), შენობები
პლენანოვის პროსპექტზე (თუნდაც ფოსტამ-
ტი), სოლოლაკში. მოდერნმა თბილისის ისტო-
რიულ ბირთვშიც შეაღწია (ქარვასლის ფსა-
დი სიოჩის გვერდით, საცხოვრებელი სახლი
კაშივის ქუჩაზე).

ბოლო ხანს, ამ ეპოქის არქიტექტურის შე-
ფასების თვალსაზრისით, შესამჩნევი გახდა
გარდატეხა არქიტექტორთა ნაწილის შუხედუ-
ლებებში. გაჩნდა ინტერესი რევოლუციამდე-
ლი არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი,
რაც შედარებით გაღვივდა მას შემდეგ, რაც
უსახო „მინისა და ბეტონის“ არქიტექტური-
სადმი რწმენა დაიკარგა. გაჩნდა საჭიროება
ეკლექტიკისა და მოდერნის არქიტექტური-
სადმი პროფესიული დამოკიდებულების გარ-
კვევისა, მით უმეტეს, რომ საჭირობოტოდ
იქცა არქიტექტურის მეტყველების პრობლე-
მა. დაგვაფიქრა იმ ხანის განაშენიანების ხე-
ლავებით მოსპობის ტენდენციამ, მით უმე-
ტეს, რომ მისი ღირებულების კომპენსაცია
ახალი შენობით როდი ხდებოდა. იმ პერიო-
დის ნეგატიური შეფასება დიდი ხნის მანძილ-
ზე განპირობებული იყო იმით, რომ ჩვენ მას
კულდგობდით მისთვის არადამახასიათებელი
სახომებით. და გამოდიოდა, რომ ყველა შემ-
თხვევაში მისი ნაირსახეობა — ეს მხოლოდ

ნაკლია. მაგრამ აქ ყველაფერი ესოდნ მარ-
ტივი როდია. რა თქმა უნდა, უახრუქნებელი
და იმის უარყოფა, რომ ეკლექტიკურმა პე-
რიოდმა შეუღარებლად ნაკლები გამოჩენილი
შენობები დაგვიტოვა, ვიდრე სხვა სტილს-
ტურმა ეტაპებმა.

ფუნქციონალიზმისათვის და კონსტრუქტი-
ვიზმისათვის დამახასიათებელი მისწრაფება
ფუნქციისა და კონსტრუქციების გარე ფორ-
მებში გამჟღავნებისაკენ არსებითად აბსტრაქ-
ტულია ამ მისწრაფებას მხოლოდ სპეციალის-
ტები აღიქვამენ. მე-19 საუკუნის დასასრუ-
ლის და მე-20 საუკუნის დასაწყისის არქი-
ტექტორები სხვა გზას ადგნენ. ისინი ცდი-
ლობდნენ სახლს გამომსახველობა ჰქონოდა,
პირველყოვლისა მდიდარი პლასტიკის და
გულუხვი დეკორის ხარჯზე. ამასთან ერთად,
სრულიად უარყოფილი იყო განაშენიანების
ერთგვაროვნება. ეკლექტიკის პერიოდის ნა-
გებობათა არქიტექტურულ-მხატვრული ფა-
სეულობა შედარებითი ცნებაა, რადგან გე-
მოვნება და შეფასების კრიტერიუმები იცე-
ლება ხოლმე. ერთი კი ცხადია, ჩვენ ჯერ
ბოლომდე არ შეგვისწავლია ეს მეტად რთუ-
ლი და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი.
ისიც ცხადია, რომ იმ ხანის მთლიანად, ხე-
ლავებით ნიჰილისტურმა შეფასებამ დღეს
ძალა დაკარგა არა მხოლოდ თეორიულ ას-
პექტში, არამედ პროფესიულშიც. ასევე ცხა-
დია, რომ ეკლექტიკური არქიტექტურის შე-
ფასება არ შეიძლება ერთგვაროვანი იყოს.
მაგრამ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჩვენ არ
მოვისურვებთ პროფესიული გაკვეთილები მი-
ვილოთ იმ დროის ადამიანისადმი თანამას-
შტაბური არქიტექტურული განაშენიანების-
გან, იგი უნდა შემოვუნახოთ შთამომავლო-
ბას. შესაძლებელია, ჩვენი მემკვიდრეები და-
ინტერესდებიან იმ პერიოდის არქიტექტუ-
რულ-გეგმარებითი ხარისხით. დაე, შეადარონ
და პირუთვნელად შეაფასონ ყოველივე, რა-
საც ჩვენ მათ დაუტოვებთ.



კერამიკის ხელოვნება მხატვრული მოღვაწეობის სისტემაში

ეთერ შავგულიძე

პრობლემამ შემდეგში მდგომარეობს: თანამედროვე კერამიკის ხელოვნება გამოყენებითი ხელოვნების დარგად რჩება, თუ არღვევს ტრადიციულ საზღვრებს და სახვით ხელოვნების სფეროში იჭრება?

საკითხის ამგვარი დასმა განპირობებულია კერამიკის ხელოვნების განვითარების თანამედროვე ტენდენციებით. უპირველეს ყოვლისა, რგი გამოიხატება ვიწრო უტილიტარულობისაგან განდგომაში დეკორატიულობისა და მონუმენტურობის სასარგებლოდ. დღეს კერამიკული ლარნაკი აღარ იქმნება იმისათვის, რომ მასში ყვავილი ჩაიდოს, უფრო მეტიც, ზოგჯერ ასეთი ლარნაკი უფსკეროც კია.

დღევანდელი კერამიკული ხელოვნების მეორე დამახასიათებელი თავისებურებაა სამყაროს სილამაზის ეროვნული გაგების გამოხატვა. მხატვრები ცდილობენ დაეყრდნონ ხალხურ ტრადიციებს. მაგრამ არა გარეგნული მიბაძვით, როგორც ეს იყო ადრე.

ტრადიციის ახლებური გაგებით აიხსნას ის, რაც დღეს ხდება კერამიკის ხელოვნებაში — ზუსტი ხაზების უარყოფა, მოცულობათა სისრულისა და წონადობისაკენ მისწრაფება: სკულპტურულ, მასიურ და თავისებურად მონუმენტურ ფორმათა ძიება; მასალის გამომსახველობით შეაძლებლობათა სრულყოფილი წარმოჩენის სურვილი და ამ მიზნით ახალი მასალების გამოყენება.

იმის გამო, რომ დღეს ყოფით ფუნქციას იძენს სხვა მასალათა (ლითონი, პლასტმასა და ა. შ.) მხატვრული წარმოება, კერამიკის ხელოვნებას აღარ მოეთხოვება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ფორმათა ეროგულეობა. ახლა მთავარია არა რისთვის იქმნება საგანი, არამედ როგორ უნდა ფუნქციონირებდეს იგი კონკრეტულ გარემოში.

ამრიგად, კერამიკის ხელოვნების თანამედროვე ტენდენციები მოკლედ შეიძლება ასე დავახასიათოთ: ნეოექსპრესიონიზმი, ნეოტრადიციონალიზმი და ნეოფუნქციონალიზმი. თავსართ „ნეოს“ დართვით ჩვენ გვინდა ხაზი გავესვათ ამ სამი მომენტის გაგების თავისებურებებს კერამიკის ხელოვნების განვითარების თანამედროვე ეტაპზე და არა რაღაც. მანამდე უცნობ ახალ ტენდენციათა გაჩენას. სწორედ ამის გამო დაისვა საკითხი კერამიკის ხელოვნებას მიერ გამოყენებითი ხელოვნების ტრადიციული საზღვრების დარღვევისა და სახვითი ხელოვნების საზღვრებში შეჭრის შესახებ.

რამდენად მართებულია პრობლემის ასეთ განსაზღვრაში წარმოდგენა?

საბჭოთა კერამიკის ხელოვნების განვითარების ლოგიკის გაგება შეუძლებელია იმ სოციალურ-ეკონომიკურ და მსოფლმხედველობითი ცვლილებებისაგან დამოუკიდებლად, რასაც დღეს ადგილი აქვს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. კერამიკის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია თანამედროვე სოციალისტური კულტურის არსებითი ნიშნები — იდეური მიზანდასახულობა, მასობრიობა, ხალხურობა. — მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გამოხატულია სპეციფიკურ ფორმაში, რომელიც ისტორიულად განვითარება-სრულყოფას განიცდიდა.

საბჭოთა კერამიკის ხელოვნებას პირველ

ეტაპზე ახასიათებდა ახალი სოციალური შინაარსის დაუფლების პათოსი (მაგალითად, ავგუტაიფური). 30-40-იან წლებში ეს მართულება თანდათან ქრება და თვით ადრე დემოკრატიულობის გამოვლენად მიიჩნეოდნენ ახალი საზოგადოებისათვის თვისობრივად ახალი ნაკეთობის შექმნას, ამ პერიოდიდან უკვე ისწრაფვიან პრივილეგირებულთა კუთვნილებად ქცეული ნივთების საყოველთაო-სახალხო საკუთრებად გადაქცევისაკენ. ფუფუნების საგანთა ფლობის ილუზია იქმნება კლასიკური ფორმებისადმი გარეგნული მიბაძვით. შემკულობითობის ეს ტენდენცია 50-იანი წლების ბოლოს იცვლება მშრალი ფუნქციონალიზმით, ხოლო 60-იანი წლების დასაწყისიდან კერამიკის ხელოვნება დგება კონსტრუქციულ-პლასტიკური ძიების გზაზე, როცა ტრადიციული მასალა — თიხა იქცევა თამამი ტექნიკური ექსპერიმენტის საგნად, ხოლო ფაქტურის ეფექტი მხატვრის მთავარი საზრუნავი ხდება. ეს პერიოდი გააანალიზა ვილნიუსის 1971 წლის კერამიკის ცნობილმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა.

შემდგომში თანდათანობით ძლიერდება უნიკალურობის ტენდენცია. იქმნება სიუჟეტურ-თემატიურ საფუძველზე აგებული ორიგინალური სკულპტურული და რელიეფური კომპოზიციები. აშკარაა კერამიკოსთა მიდრეკილება საგამოფენო ნაწარმოებთა შექმნისაკენ.

რა არის ამის მიზეზი?

კერამიკის ხელოვნებაში, ისევე როგორც საერთოდ გამოყენებით ხელოვნებაში, ახალი სტილის აღმოცენება-ჩამოყალიბების გადამწყვეტ ფაქტორად ყოველთვის, ყველა ეპოქაში ითვლება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დონე, რომელიც შემოქმედებს: 1. უშუალოდ, რაც გულისხმობს კერამიკის ხელოვნებაში ახალი ცხოვრების სურათების აღბეჭდვას. ეს არის გარდაქმნილი გარემოს, თავისუფალი შრომის, ახალი ტექნიკის და ა. შ. გამოსახვა; 2. გაშუალებულიად, რაშიც იგულისხმება ახალი სოციალური პირობები, ცხოვრების წესი, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი, ღირებულებათა ხელახალი გადაფასება, ეთიკური იდეალების ცვლილება და ა. შ.

უფრო კონკრეტულად, შემოქმედების პირველ მხარეს შეიძლება ვუწოდოთ მატერიალური ფაქტორი, ხოლო მეორეს — სულიერი.

მიზეზები გასაგებია და აქ სადავო თითქმის არაფერია. აზრთა სხვაობა შეიმჩნევა თვით შედეგის მიმართ დამოკიდებულებაში — როგორ შეიძლება შევადგასოთ უნიკალურობის ტენდენცია? დადებითი მოვლენაა იგი, თუ უარყოფითი?

უარყოფით პოზიციაზე მდგომია არგუმენტები: 1. უნიკალურობით ვატყვები გამოკერამიკის ხელოვნებამ დაკარგა თავისი არსებითი თვისება — მასობრიობა; 2. ამის გამო ყოფილი სფეროდან გადაინაცვლა საგამოფენო დარბაზებში, შეიჭრა სახვითი ხელოვნების ტრადიციულ საზღვრებში და ახლა დაზგურობის პრეტენზიასაც აცხადებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ უნიკალურობისა და მასობრიობის პრობლემა ერთმნიშვნელოვანი არ შეიძლება იყოს. ინდივიდუალური შემოქმედება, რომელიც ქმნას უნიკალურ ნაწარმოებებს და მხატვრული წარმოების მასობრივი საგნები — ეს არის ორი განსტოება იმ საერთო ფონტისა, რომელიც განსაზღვრავს კერამიკის ხელოვნების დიაპაზონს. დღეს, მართლაც, შეიძლება ლაპარაკი უნიკალურ ნაკეთობათა შექმნაში მხატვართა დიდ მიღწევებზე, და პირიქით, სერიულ პროდუქციათა მხატვრული წარმოების აშკარა ჩამორჩენაზე, მაგრამ ისტორიულად ცნობილია, რომ არსად, არასოდეს ფართო წარმოების საერთოდონე არ გატოლებია და მით უფრო არ ვაუსწრია ინდივიდუალური შემოქმედების მიღწევებისათვის. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქოს ამაში დამნაშავე არიან მხატვრები, რომლებიც ზედმეტად გაიტაცა ინდივიდუალურმა შემოქმედებამ, ან სამხატვრო ფონდები, რომლებიც ქმნიან პირობებს მხატვრული ძიებებისა და ექსპერიმენტებისათვის. კერამიკის მასობრივი წარმოების პრობლემები ცალკე მსჯელობის თემაა, ხოლო რაც შეეხება უნიკალურობის ტენდენციას, იგი სავსებით მოხანშეწონილი და გამართლებულია, რადგან, ჯერ ერთი, უნიკალური ნაკეთობანი, რომლებიც ამუშავებენ ოთულ იდეურ-სახეობრივ პრობლემებს და



მხატვრული პროცესის დეფორმაციაში შიკ გამოიხატა, რომ უკვე თავანთი არსით ბევრი მასობრივი ნავთი საგამოდენო ნიმუშად დარჩა. ამიტომ განსაგებია იმ მხატვართა პოზიცია რომლებსაც არ სურთ მუშაობა მასობრიობის ილუზიისათვის.

ამრიგად, პირველი არგუმენტი სრულიად უსაფუძვლოა: უნიკალურობა არ შეიძლება მასობრიობის უკუპროპორციული იყოს. ამ უქანასკნელის ჩამორჩენის მიზეზები გაცილებით უფრო ღრმა და ჩვენ ამ პრობლემას კვლავ დაუბრუნდებით, ხოლო რაც შეეხება მეორე არგუმენტს, თითქოს კერამიკის ხელოვნება დაზგურობაზე აცხადებს პრეტენზიებს და იჭრება სახვითი ხელოვნების ტრადიციულ საზღვრებში, ესეც უსაფუძვლო ბრალდებაა და, აი, რატომ:

უნიკალურობა დაზგურობას არ ნიშნავს და არც დეკორატიულია მისი შესატყვისი ცნება. ხომ არსებობს, მაგალითად, დაზგური და დეკორატიული ქანდაკება? ერთი შეიძლება იყოს უნიკალური და მეორეც, ასევე კერამიკის ხელოვნების სფეროში. ფაიფურის უნიკალური ჩაიდან შეიძლება, უბრალოდ, დეკორატიული იყოს და სრულიად არ გამოიყენებოდეს ჩაის დასალევად. ჩაიდან — ეს თემაა. თუკი უტილიტარულს ფართოდ გავივებთ და პრაქტიკულ სარგებლობას არ დავინახავთ მხოლოდ „ჩაის სმამი“, აღმოჩნდება, რომ საგანი შეიძლება სასარგებლო იყოს სულიერი თვალსაზრისითაც. ამგვარი „უტილიტარულობა“ უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი დეკორატიული ფორმის განუყოფელ თვისებად. სწორედ ეს არის უტილიტარიზმის ყველაზე ფართო და თანამედროვე გაგება.

ჩვენ ნაკეთობას უნიკალურს ვუწოდებთ ფორმის სილამაზისა და მხატვრული გადაწყვეტის თავისებურების თვალსაზრისით. დეკორატიულობა კი გვესმის არაროგორც შემკულობითობა, არამედ თვით საგნის შინაგანი კანონზომიერებისა და სილამაზის გამოხატულება, თვით კონსტრუქციის დეკორატიულობა მთლიანად და არა ცალკეული დეტალებისა. მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველა დეკორატიული ნაკეთობა უნიკალურია, ანდა პირიქით. უნიკალური შეიძლება იყოს დაზგური ნაწარმოებიც, დეკო-

და იძლევიან პლასტიკური ფორმის, რიტმის, სივრცობრივი წყობისა და კოლორიტის ახალ გადაწყვეტას. ქმნიან მტკიცე ბაზას მასობრივ წარმოებაში მომუშავე მხატვართა სახეობრივი აზროვნების პროგრესისათვის. უამისოდ მასობრივი წარმოება განწირულია.

გარდა ამისა, უნიკალური ნაწარმოების მასობრივი წარმოებისას მოქმედებს თვით ცხოვრების პრაქტიკით ნაყარნახევი მხატვრული პროექტირების სამი ფაზის სისტემა: 1. პირველი ფაზა წარმოდგენილია იმ უნიკალური ნაწარმოებებით, რომლებიც იძლევიან ახალ, საინტერესო მხატვრულ გადაწყვეტას წარმოებაში უკვე არსებული ტექნოლოგიის გამოყენებით და არ მოითხოვენ ტექნიკური ორგანიზაციის ცვლილებას. ამგვარი ნაკეთობანი შეიძლება იქცეს მასობრივი პროექტირების ნიმუშებად, რაც არ უგულვებელყოფს მათი, როგორც უნიკალური ექსპერიმენტის მნიშვნელობას; 2. ეს ის უნიკალური ნაწარმოებებია, მასობრივი წარმოების პრაქტიკაში ჭერ კიდევ დაუნერგავ ტექნიკო-ტექნოლოგიურ სიახლეს რომ იყენებს, და მოითხოვს წარმოების ორგანიზაციაში თანამედროვე ეტაპზე სავსებით შესაძლებელ ცვლილებათა განხორციელებას; 3. უნიკალური ნაკეთობანი, რომელთა მასობრივი წარმოების განხორციელებაც არსებულ პირობებში შეუძლებელია. ეს არის ოცნება, წარმოსახვის აღმადგენა, ინდუსტრიის მომავალ შესაძლებლობათა განვრცოტის ცდა.

ასე რომ, უნიკალური არ უნდა დაფუძირისპიროთ მასობრივ წარმოებას. ისინი მოვლენათა ერთი ჯაჭვის რგოლებია. უნიკალური შემოქმედების ნაყოფიერი განვითარების გარეშე შეუძლებელია მასობრივი პროდუქციის ესთეტიკურ თვისებათა წარმატებით განვითარება.

შეიძლება, პირიქითაც ითქვას — უნიკალურობით გატაცება კი არ ვახდა მასობრივი წარმოების ჩამორჩენის მიზეზი, არამედ საგამოდენო ნაწარმოებთა შექმნა მხატვართა ერთგვარი რეაქცია წარმოებას პასიურობაზე. პასუხია იმ ესთეტიკურ შიმშილზე, რაც ესოდენ აშკარად იგრძნობა ამ ბოლო დროს ჩვენს ირგვლივ ჩამოყალიბებულ საგნობრივ გარემოში. სწორედ ამ გზით შეეძლოთ კერამიკოსებს გამოხმაურებოდნენ მხატვრული შემკვიდრობის გადაფასების იმ პროცესებს, რასაც დღეს ადგილი აქვს

რატიულიცა და წმინდა უტილიტარული და-
ნიშნულების ნაკეთობაც.

სავამოფენო კერამიკული ნაწარმოები
გარკვეულ საწარმოო პირობებში შეიძლება
სერიულიც გახდეს, მაგრამ ამით თვით უნი-
კალური ნიმუშის თვითღირებულება არ
უფასურდება. იგივე შეიძლება ითქვას სახ-
ვითი ხელოვნების დაზგური ნაწარმოების
შესახებაც. მაგალითად, პიკასოს „ახსენის
მოყვარული ქალი“ ტირაჟირებული ოქნა,
მაგრამ ვანა ამით ორიგინალის მხატვრულ
ღირებულებას ვით რაიმე დააკლდა?

ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ
სახვითი ხელოვნებაც არღვევს ტრადიციულ
საზღვრებს და მასობრიობაში ეტილება კე-
რამიკის ხელოვნებას. სწორია თუ არა ამგვა-
რი დასკვნა? რა თქმა უნდა, არა. სახვითი
ხელოვნება სახვით ხელოვნებად რჩება, ხო-
ლო კერამიკის ხელოვნება კვლავაც გამოყე-
ნებითი ხელოვნების დარგია და აქ საზღვრე-
ბის დარღვევასთან კი არ გვაქვს საქმე, არა-
მედ რთულ შინაგან სტრუქტურულ ცვლი-
ლებებთან.

გამოყენებით ხელოვნებაში მიმდინარეობს
კრისტალიზაციის პროცესი. მისი საერთო
მასიდან გამოიყოფა მხატვრული მოღვაწეო-
ბის გარკვეული სახეები, ჭერ კიდევ გასულ
საუკუნეში მხატვრული მრეწველობა გამო-
ყენებითი ხელოვნების წიაღში არსებობდა და
მისი პრინციპებით განისაზღვრებოდა. დღეს
აქ მოქმედებს აგრეთვე დიზაინის მეთოდე-
ბიც, რიც გამოც იგი ერთგვარი სასაზღვრო
ზონა გახდა გამოყენებით ხელოვნებასა და
დიზაინს შორის. ისინი ერთნაირად მნიშვნე-
ლოვანი არიან გარემოს საერთო ესთეტი-
კურ ორგანიზაციაში, ახალი საგნობრივი სამ-
ყაროს შექმნაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყ-
ოთ, რომ გამოყენებით ხელოვნებას აქვს
საკუთარი მხატვრული ამოცანები, განვითარ-
ების საკუთარი ლოგიკა, კერძოდ ის, რომ
შედის რა დანარჩენ ნივთობრივ და საგნობ-
რივ გარემოსთან სინთეზში, იგი მაინც ხე-
ლოვნებად რჩება.

ისევე, როგორც დიზაინი ან სამრეწველო
ხელოვნება ვერ შეეცლის გამოყენებით ხე-
ლოვნებას, ასევე გამოყენებითი ხელოვნე-
ბაც და კერძოდ კერამიკა, არ აპირებს სახ-
ვით ხელოვნებასთან პაექრობას. მათ შორის
კავშირი ერთხაზობრივი არ არის. ისინი
მხატვრული მოღვაწეობის ერთნაირად ღი-

რებული განშტოებებია და ერთმანეთის სა-
ზომით არ განისაზღვრებიან. სწორია
ცნებების „სასარგებლო“, „უტრეტიკული“,
„ფუნქციონალური“, „ესთეტიკური“ და ა. შ.
ცვალებადობის შეცნობა, ხელოვნების გან-
ვითარების თანამედროვე ეტაპის ლოგიკის,
მისი არსის წყდომა.

მხატვრული მოღვაწეობის სხვა ფორმების
მსგავსად, ჩვენი დროის კერამიკის ხელოვნე-
ბაც ისწრაფვის გაარკვეოს თავისი ადგილი
და როლი ადამიანის კულტურის საერთო
სისტემაში. იგი სძლევეს „მეჭურჭლეობის“
ვიწრო ყოფით ფუნქციას და რჩება სინთე-
ზურ ხელოვნებად, რომელიც მჭიდრო კავ-
შირშია გარემომცველ სამყაროსთან, მაგრამ
აყალიბებს საგანს არა მხოლოდ საერთო,
არამედ საკუთარი კანონების მიხედვითაც.

სწორედ ამ „საკუთარას“ გამო კერამი-
კის ხელოვნება კვლავაც რჩება გამოყენები-
თი ხელოვნების ერთ-ერთ დარგად, ხოლო
თანამედროვე ხელოვნების განვითარების ზო-
გადი კანონზომიერებებისადმი დაქვემდებარ-
ება კიდევ უფრო განამტკიცებს მის ად-
გილს მხატვრული მოღვაწეობის საერთო
სისტემაში.

განვიზილოთ კონკრეტულად: რა არის სპე-
ციფიკური და რა საყოველთაო კერამიკის
ხელოვნებაში?

ადამიანი გარემოცულია ურიცხვი საგნე-
ბით, რომელთა მოთხოვნილებაც დიდია და
რომლებსაც ბუნება მზამზარეულად არ გვაწე-
ვდის: შრომის იარაღები, ავეჯი, ჭურჭელი,
ტანსაცმელი და ა. შ. ესენია ახალი, სპეცი-
ფიკურად ადამიანური ფორმები, ამიტომ, გა-
საგებია, რომ ამგვარი ნივთების შექმნისას
ადამიანი ვერ დაჰმაყოფილებს მხოლოდ
იმის კვლავწარმოებით, რაც შეიძლება ნახოს
ამ სინამდვილეში. მაგრამ აქ ისმის კითხვა:
საიდან უნდა აიღოს ადამიანმა ეს ახალი
ფორმები და კონსტრუქციები?

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არის ადამი-
ანის ფანტაზიის ნაყოფი, მაგრამ ფანტაზია-
საც, როგორც ფსიქოლოგია გვიჩვენებს,
სჭირდება გარკვეული საშენი მასალა და სწო-
რედ ამ მასალას აწვდის მას ბუნება. მაგა-
ლითად, ლარნაკი ქალის სხეულს მოგვაგო-
ნებს. მასაც აქვს ყელი, დაქანებული მხრები,
ტორსი, თეძოები. დაღესტანში თიხის წყლის
ჭურჭლის „მხრებზე“ ადამიანის ფიგურის
ბუნებრივი აგებულების ლოგიკის შესაბამი-
სად ტოვებდნენ „ხელებს“ — თიხის პატარა



ბორცვებს, რომლებიც დროთა ვითარებაში სახელურებად იქცნენ. მაგრამ უდავოა, რომ ქალის ხელი და კურკლის სახელური ერთმანეთისაგან განსხვავებული მოვლენებია. სახელური ვერ შეასრულებს იმ მოვალეობას, რაც ადამიანის ხელს აქისრია. ამით აიხსნება კერამიკის ხელოვნებაში „ნატურიდან“ განდგომა, რეალურ პროტოტიპთან მხოლოდ გარეგანი მსგავსება. აქ სინამდვილის სქემატური, მიახლოებითი ასახვა გამართლებულია და ზოგჯერ აუცილებელიც. მსგავსების ხარისხს კარნახობს თვით პრაქტიკა — ფუნქცია, საგნის დანიშნულება.

კერამიკის ხელოვნება ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც უტილიტარული დანიშნულების მოვლენა (სწორედ ამიტომ არის იგი გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი დარგი), მაგრამ თანამედროვე კერამიკის ხელოვნების განვითარების ლოგიკა მოითხოვს გაირკვეს: რა შეიძლება იყოს მისი ფუნქციონალური ამოცანა კონკრეტულად აღებულ საზოგადოებაში? ეს არის დღევანდელი კერამიკის ხელოვნების სოციალური ფუნქციის საკითხი, რომელიც ვერ თავსდება ვიწრო უტილიტარიზმის ჩარჩოებში და არც მხოლოდ მისი ასახვითი ბუნებით შეიძლება აიხსნას.

ყოველგვარი სიტყვიერი დანაშრეგები რომ მოვაცილოთ, გვრჩება საგანი — კერამიკული ნაკეთობა. აქ ამოცანა მდგომარეობს თვით ამ საგნის ინდივიდუალურ ამოხსნაში, სახის სპეციფიკურ გახსნაში. ნივთის ძირითად დამახასიათებელს წარმოადგენს სწორედ მისი სახეობრივი წყობა. თუ კერამიკის ნაკეთობაში იგრძნობა ახალი დროის სუნთქვა, ცხოვრების ახალი აღქმა, ერთი სიტყვით, სახეობრივი აზროვნების ახალი წყობა — შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კერამიკის ხელოვნების ნამდვილად თანამედროვე ნაწარმოები.

ამიტომ ნეოესთეტიზაციის პროცესი უტილიტარიზმისაგან განდგომას კი არ ნიშნავს, არამედ ეპოქის მოთხოვნილებების შესაბამისად განვითარებას, უტილიტარიზმის ვიწრო ჩარჩოების დარღვევასა და კერამიკის ხელოვნების საზღვრების გაფართოებას გულისხმობს.

ამით აიხსნება ფორმათქმნადობის სახვითი მეთოდისადმი მისწრაფებაც, მაგრამ არც ეს ნიშნავს ტრადიციული ასახვითი ბუნების ლაღს. თუ თანამედროვე კერამიკის ხელოვნებაში იქმნება ახალი სახვითი ფორმები, ეს ხდება იმიტომ, რომ დღეს მხატვრული აქვს სათქმელი თავის თავსა და თავის მხატვრულ მას სურს პარალელებისა და ასოციაციების მეშვეობით უფრო უკეთ ასახოს ნაკეთობის ფორმის სიმდიდრე.

სინამდვილის ასახვის წესს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების ამა თუ იმ დარგის სპეციფიკის განსაზღვრაში. ასევე უდავოდ დიდი როლი ენიჭება, ამ თვალსაზრისით მასალასაც (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. М. С. Каган. О прикладном искусстве. «Художник РСФСР». Л., 1961 Г.), მაგრამ იმისათვის, რომ სწორად იქნას გაგებული კონკრეტული ისტორიულ ეტაპზე ხელოვნების ამა თუ იმ დარგის განვითარების თავისებურებანი, აუცილებელია ეპოქის მოთხოვნილებათა გათვალისწინება. ამიტომ ის, რაც დღეს კერამიკის ხელოვნებაში ხდება, კანონზომიერია მთელი მხატვრული კულტურის განვითარებისათვის. კერძოდ, თანამედროვე კერამიკის ხელოვნებაზე, ისევე როგორც მხატვრული აზროვნების ნებისმიერი სხვა სფეროზე, ზემოქმედებენ შემდეგი ფაქტორები: 1. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი; 2. სოციალური ცვლილებანი; 3. ღირებულებათა გადაფასების ახალი ტენდენცია.

ამ ფაქტორთა გავლენით იცვლება და რთულდება კერამიკის ხელოვნების შინაგანი სტრუქტურა, ფართოვდება მისი საზღვრები, მაგრამ მის ძირითად კანონებად კვლავ რჩება: 1. მხატვრულად გამომსახველი ფორმისა და პრაქტიკული დანიშნულების ურღვევი კავშირი; 2. ოსტატურად სრულყოფილი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების განუყოფლობა; 3. ნაკეთობის აგება მასალის შესაძლებლობებისა და თავისებურებების შესაბამისად. 4. მხატვრული ფორმის კავშირი მისი დამუშავების ტექნოლოგიურ ბერებთან.

ყოველგვარ წესში არის გამონაკლისი და კერამიკის ხელოვნებაც ზოგჯერ არღვევს ამა თუ იმ კანონს, გარკვეული მიზეზების გამო, რომელთა აღმოჩენა-დადგენა წარმოადგენს არსებით პრობლემას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თანამედროვე კერამიკის ხელოვნების განვითარებაში მიმდინარე პროცესების მართებული გაგება, მათი სწორი მეცნიერული ანალიზი.

ხალხური ხელოვნების ასაღორძინებლად

გურამ გოგია

ხალხური ხელოვნება ჩვენი სულიერი ცხოვრების ნაწილია. მაგრამ ის ძვირფასია ჩვენთვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახლოა ჩვენს სულსა და ემოციებთან, არამედ იმიტომაც, რომ გარკვეულად განაპირობებს ერის წვლილს საერთო კულტურის ისტორიაში.

„სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულებანი ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. სსრ კავშირში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“ — ვკითხულობთ სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.


ხალხური შემოქმედება უდიდესი მხატვრული ღირებულების ისტორიული განძია. ამავე დროს, ის ერთგვარი ხილია თანამედროვეობასა და წარსულს შორის. ამდენად, ტრადიცია ამ ხელოვნებისა აღიქმება არა მხოლოდ როგორც ძველის გაცნობიერება, არამედ როგორც თანამედროვე მოვლენა და სწორედ ამაშია ხალ-

ხური შემოქმედების სიცოცხლისუნარიანობა.

როგორც ეს მხატვართა ერთ დიდ ფორუმზე აღინიშნა, ხალხურ შემოქმედებას დღეს ისეთივე ყურადღება სჭირდება, როგორც ბუნების დაცვას. ასევე, წითელ წიგნში უნდა იქნას შეტანილი ის დარგები, რომლებიც გაქრობის გზაზე დგანან და სასწრაფო შევლას ითხოვენ. ტექნიკამ და ცივილიზაციამ მოიტანა სტანდარტები, ბევრგან შაბლონმა შთანთქა ინიციატივა და სულიერი ნიველირების საშიშროების წინაშე აღმოვჩნდით. ხალხურ შემოქმედებაში კი შენახულია ადამიანის შემოქმედებითი სულის საწყისები, იგი გვეხმარება მშვენიერებისადმი აქტიური დამ-

გ. ქუთათელაძე.

ყარყარა



აზარფეშა




ოკიდებულების გამოვლენაში. ამიტომ დიდა ადამიანების ლტოლვა ხელით ნამუშევარი ნივთებისადმი, მათ თითქოს ადამიანის ხელის სითბო და სულს სიფაქიზე აქვს გამოყოლილი.

ხალხური შემოქმედების განვითარება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანა. პირველ რიგში, იგი იდეოლოგიური პრობლემაა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ეროვნული მხატვრული კულტურის ფორმირებასთან. ეს დარგი დღეს განსაკუთრებულ ყურადღებასა და სათუთ დამოკიდებულებას მოითხოვს, რადგან, არ არის დასამალი, არსებობს თეორია ხალხური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების თანდათან კვდომის შესახებ, რომ მანქანური წარმოება სრულიად განდევნის მას ცხოვრებიდან. ეს მეტად საგანგაშო სიგნალია, ამიტომ ხალხურ ხელოვნებას არ შეიძლება ვუყურებდეთ მხოლოდ, როგორც ეგზოტიკას. იგი უდიდეს როლს თა-

მ. მამულაშვილი

სურა



ფ. ძაძაშიძე.

ვერცხლის საპულრე

მაშობს მხარის კულტურის ფორმირებაში, პიროვნების ესთეტიკური აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. მას ყოველთვის აქვს ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რამდენადაც მხატვრული ტრადიციები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ხალხების ბუნებრივ გარემოცვასთან ადაპტაციის პროცესში. ამდენად, დღეს მთელ მსოფლიოში უდიდესი ყურადღება ექცევა ხალხური შემოქმედების შენახვა-განვითარების საქმეს. ასეთივე ზრუნვის ობიექტია იგი ჩვენთანაც.

ხალხური შემოქმედების განვითარება რომ საჭიროა, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ეს გარკვეულია. გასარკვევია მეორე მხარე, თუ რა გზებითა და საშუალებებით უნდა მოხდეს ეს. ამ შემთხვევაში უნდა გამოიყოს ორი ძირითადი პრობლემა: პირველი — საჭირო იქნება ამ ტრადიციული ზერხებისა და საშუალებების აღდგენა, რომლითაც ჩვენი წინაპრები მუშაობდნენ. უნდა აღდგენ ავრთვეთ ის სახელოსნოები, ქურები, დაზვები და სხვა მოწყობილობა, რომლებიც თაობიდან თაობებში გადადიოდა.

მეორე ძირითადი პრობლემა შრომის ანაზღაურებაა. ხელით ნამუშევარი ნივთი უფრო ძვირი



ფ. ძაძაშიძე
დაპნაჩა

ჭდება, ვიდრე საფაბრიკო ნაწარ-
მი და ეს უნდა ვაითვალისწინონ
შესაბამისმა ორგანიზაციებმა.

მდგომარეობის სერიოზულობა
ვაითვალისწინა სკკპ ცენტრალურ-
მა კომიტეტმა და 1975 წლის თე-
ბერვალში მიიღო ცნობილი დად-
გენილება „ხალხური მხატვრული
სარეწების შესახებ“, სადაც ტრადიციული მხატვრული სარეწების
შემდგომი განვითარების დიდმნი-
შვნელოვან საკითხებს შორის სა-
ჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ ქ.
მოსკოვში შეიქმნას საბჭოთა კავ-
შირის ხალხთა დეკორაციულ-გა-
მოყენებითი ხელოვნების მუზეუ-
მი, როგორც ხალხური სარეწების
ხელოვნების პროპაგანდის, შეს-
წავლისა და განვითარების სრულ-
ლიად საკავშირო ცენტრი.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დი-
დი ხანია არსებობს ასეთი დაწე-
სებულება, საქართველოს ხალხუ-
რი და გამოყენებითი ხელოვნების
სახელმწიფო მუზეუმის სახით.

დღეისათვის მუზეუმში თავმოყ-
რილია 10 ათასამდე ექსპონატი,
რომელთა შორის მრავალი უნიკა-
ლურია. ამ ექსპონატთაგან ბევრს
უმაღლესი ჯილდო აქვს მიღებუ-
ლი საკავშირო და მსოფლიო ვა-
მოფენებზე.

მუზეუმის ექსპოზიციასა და
ფონდებში დაუნჯებელია ხისა-
გან ნაკვეთი მრავალი საინტერე-
სო ექსპონატი. მათ შორის აღსა-
ნიშნავია: გვიანფოდალური ხა-
ნის საკულტო ნაგებობის კარები,
შემკული გეომეტრიული ორნა-
მენტებით, სადაფით ინკრუსტირ-
ებული ხის ლარები, სხვადასხვა
სახის ავეჯი, ჯამ-კურკელი და
სხვ. აღსანიშნავია ის გარემოება,
რომ ხის მხატვრული დამუშავე-
ბის ტრადიცია დღესაც წარმატე-
ბით გრძელდება. მუზეუმის ექ-
სპოზიციას ამშვენებს თანამედ-
როვე ოსტატების — ვ. სალი-
ანის, ა. ჯაფარიძისა და მ. ჯაჭვა-
ნის ნამუშევრები: სვანური საკა-



ჩ. ქუთათელაძე.

ქამარი

რცხულები, ნაირნაირი ფორმისა
და ზომის სასმისები, მაგიდები,
სკამები, ხონჩები და სხვ. ჩუქურ-
თმებში ჭარბობს გეომეტრიული
ორნამენტი, ტრადიციული მზის
გამოსახულებით, მაგრამ გვხვდე-
ბა, აგრეთვე, მცენარეული ორნა-
მენტები და ადამიანთა პრიმიტი-
ული ფიგურები, საყოფაცხოვ-
რებო სცენები — განსაკუთრე-
ბით ვ. სალიანის ნამუშევრებში.

მხატვრული დამუშავების თვა-
ლსაზრისით, საინტერესოდაა შე-
სრულებული მუსიკალური საკ-
რავები: ჩანგი, გულდა-სტვირი, ჩა-
ნგური, ფანდური და სხვ. ამ
მხრივ ყურადღებას იქცევს კ. ბო-
ტკოველისა და ი. ქურხულის ჩა-
ნგი, კ. ცანავას ჩანგურები და
ფანდურები, — ძვლის ინკრუს-
ტაციით ხეზე.

მუზეუმში თავმოყრილია, თავ-
ისი ფორმითა და პროპორციე-

ფ. ძაძამიძე.

ორი კელა



ბით მეტად დახვეწილბ, ქართულ-კერამიკის მნიშვნელოვანი კოლექციები, ძირითადად: ჭურჭელი, სასმისები და დეკორატიული ლარნაკები. ხალხური კერამიკა საქართველოში იმდენად მყარ ნიადაგზე აღმოჩნდა, რომ ფაბრიკულმა წარმოებამ ვერ განდევნა იგი. თანამედროვე კერამიკოსები წარმატებით განაგრძობენ და ავითარებენ ამ ტრადიციულ ხელოვნებას.

ძველ საქართველოში მაღალ დონეზე იდგა მხატვრული ქარგვა, ქსოვა და ხელსაქმე. ამაზე მეტყველებს მუზეუმში დაცული შესანიშნავი ექსპონატები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ხევისურული და თუშური კოსტიუმები, წინდები, „პაკეები; ოქრომკედით ნაქარგი „ქალაქური“ ჩაცმულობის ნიმუშები, თავსამკაული და სხვ. სამწუხაროდ, დღეისათვის დავიწყებას ეძლევა ხელსაქმის ბევრი დარგი, ხოლო სრულიად გაქრა ტრადიციული სირმის წარმოება.

მუზეუმის ექსპონატთაგან დიდი მოწონებით სარგებლობს და ჩითული ლურჯი სუფრები და მიძიებით მოქარგული საყოფაც-

ქართული ჩანგი



საკარცელი. XVIII ს.

სოფრებო ნივთები. ხელოვნების შედევრად შეიძლება ჩაითვალოს მუბრანაბატონთა ნაქონი, მე-18 საუკუნის მუთაქისპირები, მოქარგული ნაირფერი მიძივებით. მნახელთა ყურადღებას იქცევს ხალიჩებისა და ფარდაგების მრავალფეროვანი კოლექციები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე წლებში, მუზეუმის ინიციატივით, თბილისში შეიქმნა ხალიჩების ქსოვის ექსპერიმენტული სახელოსნო, სადაც მოქსოვილი ხალიჩები ტოლს არ უდებდნენ აღმოსავლეთის კლასიკური ქვეყნების ხალიჩებს. დასაწინაა, რომ ამ სახელოსნომ მალე შეწყვიტა არსებობა.

ჩამოსული სტუმრების, განსაკუთრებით უცხოელი ტურისტების ერთსულოვანი აღიარებით, დამთვალეობა მსოფლიო მწიფეობა ამ მუზეუმში პოულობს ერის სულსა და კოლორიტს. ამ ექსპონატების ერთ-ერთი თავისებურება იმაში



გ. ძამამიძე. ხანჯალი

მდგომარეობს, რომ მათ პრაქტიკულ, საყოფაცხოვრებო დანიშნულებასთან ერთად აკისრიათ აღმზრდელობითი ფუნქცია, ესთეტიკური აღზრდის, მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბების ფუნქცია.

ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ ტარდება საკმარისი ღონისძიებანი ხალხური ხელოვნების ტრადიციული დარგების შესანარჩუნებლად. იკარგება აგრეთვე ის უკანასკნელი ექსპონატები, რომლებიც შთამომავლობას დღემდე შემოუნახავს. საჭიროა ამ ექსპონატების დროზე მოძიება და მუზეუმში დაუნჯება, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება.

გასულ წელს, გაზეთ „კომუნისტის“ „რედაქტორის სვეტში“ საუბარი იყო ისტორიული ნივთების განძად ქცევის ტენდენციასზე, უფრო სწორად — ისტორიული განძის უბრალო ნივთად ქცევის ფაქტებზე. დიახ! ჩვენი ყველაზე დიდი სატკივარი ეს არის. ხშირად, უმეტრებისა და გულგრილობის შედეგად ისტორიული განძი ლითონის ზოდად ქცეულა, ან მოდის კაპრიზებს შეწირვია და გადაკეთება-გადადნობის მსხვერპლი გამხდარა. ამიტომ ისტორიული განძის ადგილი ყოველთვის მუზეუმშია, სადაც მას სახელმწიფო და კანონი იცავს. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ კმარა მუზეუმი გადავაჭიოთ ძვირფასი რელიქვიების საცავად. მან უნდა იკისროს, აგრეთვე, მეთოდური ცენტრის ფუნქციაც და ეს აუცილებელია, რათა აღდგენილ იქნას ის რეცეპტები და დამუშავების ხერხები, რომლებითაც ჩვენი წინაპრები მუშაობდნენ. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია შევინახოთ ხალხური სარეწები, როგორც მხატვრული კულტურის უნიკალური კერები. ყოველივე ეს რომ შეძლოს, მუზეუმისათვის აუცილებელია



ხეცურული მანდილი

მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

ჯერ კიდევ 1913 წელს, როცა მუზეუმის პირველი ექსპოზიცია გაიხსნა ყოფილ „მუშტაიდის ბაღში“, მასთან არსებობდა ხალიჩების სახელოსნო და ლაბორატორია ნართის გამოსაკვლევად და

მ. მამულაშვილი.

ბაღია



საღებავების ხარისხის დასადგენად. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისათვის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მუზეუმის ფონდებში ადგილი არა აქვს ექსპონატების დასაუნჯებლად და ლაბორატორიების მოწყობაზე ხომ ოცნებაც ზედმეტია.

გასული წლის ოქტომბერში, თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, რუსთაველის პრ. №46 შენობაში, საკმაოდ დიდ საგამოფენო დარბაზში მოეწყო მუზეუმის ექსპოზიცია. გატანილი იქნა შერჩევით 500-ზე მეტი ექსპონატი. გამოფენამ საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია, იგი სამ თვეში დათვალიერა 100 ათასზე მეტმა კაცმა. დამთვალიერებელთა აზრით, ეს იყო ხალხის პოტენციური შესაძლებლობის დემონსტრირება: წრფელი, უშუალო ფანტაზიის ნაყოფის შედეგის დონემდე ამალღება.

ბევრმა ახალგაზრდამ გამოფენის დათვალიერების შემდეგ სურვილი გამოთქვა იმუშაოს ტრადიციული ხალხური ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ბევრმა ახალი ექსპონატები შემოგვთავაზა და, შეიძლება ითქვას — მუშაობა გამოცოცხლდა.

გამოფენის დახურვამ გული დაწყვიტა ხალხური ხელოვნებისათვის მოამაგეს და გულშემატყვიარს, დაირღვა ინტენსიური კონტაქტი მუზეუმსა და დამთვალიერებელთა შორის. ექსპონატები დაბრუნდა მწვევედ ავარიულ შენობაში, ახოსპირელის ქუჩაზე, სადაც არ ხერხდება მათი დაკვისათვის მინიმალური პირობების შექმნა და მრავალი ათეული წლის განმავლობაში დიდი სიყვარულითა და რუდუნებით მოძიებულ უნიკალურ ნივთებს დაღუპვის საფრთხე ემუქრება. ეს დანაშაულია შთამომავლობის წინაშე და ჩრდილს აყენებს რეს-

პუბლიკის კულტურულ ტრადიციებს.

მიმდინარე წლის ოქტომბერში, საფრანგეთში, საქართველოს კულტურის დღეებთან დაკავშირებით, მუზეუმს მიაქვს ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი დიდი გამოფენა, რომელზეც ექსპონირებული იქნება დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების 100-ზე მეტი ნიმუში. გამოფენა გაიხსნება პარიზის ცენტრში, მეგობრობის კლუბის შენობაში. ორი თვის განმავლობაში მას მრავალი პარიზელი და ჩამოსული სტუმარი გაეცნობა. მუზეუმის უნიკალურმა ექსპონატებმა დიდი ხანია მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. ვფიქრობთ, დადგა დრო ჩვენც ჭეოვნად დავაფასოთ იგი.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა აღორძინდეს ხალხური კერამიკა, ვერცხლის დამუშავება, გიშრის წარმოება, ქსოვა და ქარგვა, სპილენძის კურკლის წარმოება, ფარდების ქსოვა და მრავალი სხვა დარგი, რომელთა შემონახვა საგანგებო ღონისძიებებს მოითხოვს.

თანამედროვე ეტაპზე ხალხური ხელოვნების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს საბჭოთა ხალხის სულიერი კულტურის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს — ფართო გაგებით. ამდენად, მოძმე ხალხების ეროვნული კულტურა ერთმანეთს ავსებს და საბჭოთა კულტურას უფრო მრავალფეროვანს ხდის. დღეს განსაკუთრებით საჭიროა ყველა ჩვენგანის აქტიური თანადგომა იმ ადამიანებთან და დაწესებულებებთან, რომლებიც ეღვწიან ხალხური ხელოვნების აღდგენა-განვითარებისათვის, ხალხის საუნჯის მომავალი თაობებისათვის შემოსანახად.



თ ე ნ ბ ი ზ

ჩ ე ნ ტ ლ ე კ ი ს

ნ ი ლ ბ ე ბ ი

გურამ ფანჯგიძე

მე და თენგიზ ჩანტლაძე ერთად ვსწავლობდით ქალაქ თბილისის ვაჟთა მეექვსე საშუალო სკოლაში. თუ არ ვცდები, იგი სამი წლით უკან იყო ჩემზე. უფროს თაობასთან მეგობრობა ძალიან უყვარდა. იქნებ იმიტომაც, რომ თანატოლებთან შედარებით გრძნობდა რაღაც უპირატესობას.

სკოლაშივე დავმეგობრდით. შემდეგ, როცა მე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შავი ლითონების მეტალურგიის ფაკულტეტზე შევედი, მეგობრობა კვლავაც გაგრძელდა. თუმცა, თენგიზი ჭერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო.

მომავალი მსახიობი დიდ ინტერესს იჩენდა ტექნიკური დარგებისადმი. იგი ხშირად გამოდიოდა სკოლის სცენაზე, ყველას ხიზლავდა ნათელი იუმორით, კარგი ხმით, იმიტაციის მშვენიერი ნიჭით. თენგიზ ჩანტლაძეს ყველა — მასწავლებლებიც, მშობლებიც, თანასკოლელებიც — ერთხმად უწინასწარმეტყველებდა მსახიობობას. მაგრამ თვითონ, მომავალ მსახიობს, მთელი თავისი სცენური გატაცება მხოლოდ ჰობად მიაჩნდა. ყმაწვილი კაცი ინჟინრობაზე ოცნებობდა.

იგი ხშირად მოდიოდა ჩემთან, მთხოვდა, სხვადასხვა ნიკური სპეციალობა დამეხასიათებინა, მათი თავისებურებანი გამომეკვეთა. ყოყმანობდა, არ ეცოდა მეტალურგიის ფაკულტეტი აერჩია თუ ჰიდრომშენებლია. საბოლოოდ მისი არჩევანი გეოლოგიის ფაკულტეტზე შეჩერდა და, მართლაც, სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არ შეუტანია საბუთები. ეტყობოდა, შინაგანად მაინც უნივერსიტეტისაკენ მიუწევდა გული.

იმ პერიოდში ჩემგან ბევრი ტექნიკური წიგნი წაიღო, სკოლაშივე კითხულობდა და ასე სწვდებოდა ტექნიკური სამყაროს ბუნებას. არ ვამადლი, მაგრამ რამდენიმე მათგანი აღარც დაუბრუნებია.

სტუდენტობის პერიოდში თენგიზ ჩანტლაძე კვლავ გამოდიოდა სცენაზე. დიდი წარმატებაც ჰქონდა. მესამე-მეოთხე კურსისათვის მას უკვე მთელი საქართველო იცნობდა. თუმცა მაშინ არ იცო ტელევიზია, ერთ დღეში რომ წარუდგენს ადამიანს მთელს რესპუბლიკას.

ყველა ურჩევდა, გეოლოგობა მიეტოვებინა და თეატრალურ ინსტიტუტში შესულიყო. იგი მაინც ჭიუტად იმეორებდა, რომ მისი მოწოდება მეცნიერება, კერძოდ, გეოლოგია იყო. იქნებ, თენგიზზე ამ დროს ოჯახური ატმოსფეროც ახდენდა გავლენას. მისი მამა ვასილ ჩანტლაძე პროფესორი გახლდათ.

ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. თენგიზ ჩანტლაძემ დაივიწყა თავისი დიპლომი, ზურგი აქცია გეოლოგიას და საბოლოოდ მიაშურა სცენას.

მოწოდებას, ნიქს წინ ველარადერი გადაუდგა. თენგიზ ჩანტ-



ლადის „გეოლოგიურმა“ ძიებებმა აღამიანის სულსა და გონებაში გადაინაცვლა.

წარმატებას წარმატება მოსდევდა. ერთმანეთს ენაცვლებოდა შესანიშნავი, მახვილგონივრული იმიტაციები. შემდგომ, მსახიობის მიერ შექმნილი ძალზე სინტერესო, თბილი იუმორით, ხან მკაცრი სატირული საღებავებით გამოძერწილი სახეები, ამოდენა სიაპოვნება რომ მოჰქონდა მაყურებლისათვის.

თენგიზ ჩანტლაძე გვაცინებდა, გვაფიქრებდა, გვასევდიანებდამისი იუმორი, მისი სცენური სახეები არ ყოფილა მხოლოდ გასართობი, დროის მოსაკლავი შემოქმედება. თენგიზ ჩანტლაძე იბრძოდა, სიკეთეს ამკვიდრებდა, ნაკლსა და ჩრდილოვანს დაუნდობლად ამხელდა, მოვლენების მიმართ გამოკვეთილ, უკომპრომისო პოზიციას ქმნიდა.

შემდეგ თანდათანობით გაიზარდა მსახიობის სამოქმედო ასპარეზი. იგი უკვე მარტო სოლისტი როდი იყო. ყველას მოსწონდა მახვილგონივრული და ნიჟიერად დადგმული სკეტჩები, პატარ-პატარა სცენები, რომლებსაც თენგიზ ჩანტლაძე წარმოადგენდა თავის კოლეგებთან ერთად. თანდათანობით მწიფდებოდა აზრი, რომ საქართველოში შეიძლებოდა მინიატურების თეატრის დაარსება.

ამ აზრის მომწიფებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სპექტაკლმა „ზოგიერთების მზის დაბნელება საქართველოში“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი მხარდაჭერითა და ხელშეწყობით 1975 წელს დაარსდა საქართველოს მინიატურების სახელმწიფო თეატრი.

სამაყო ისიც, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის მინიატურების სახელმწიფო თეატრების შემდეგ



საქართველოს მინიატურების სა-
ხელმწიფო თეატრი ერთადერთია
საბჭოთა კავშირში.

თენგიზ ჩანტლაძემ კიდევ ერ-
თი შესაშური ნიჭი გამოავლინა
როგორც თეატრის შემქმნელმა
და მხატვრულმა ხელმძღვანელმა
— ორგანიზატორის ნიჭი!

დღეობა შრომამ თავისი ნაყოფი
გამოიღო. შეირჩა მსახიობები,
შეიქმნა დასი, უკან დარჩა თეა-
ტრის შენობის შოვნისა და მოწ-
ესრიგებისათვის გაწეული უზარ-
მაზარი შრომა, უძილო ღამეე-
ბი...


თავგანწირულმა მონღოებამ
თავისი გაიტანა. შენობაც მშვე-
ნივრად მოაწყვეს და ყველა ტე-
ქნიკური თუ არატექნიკური საქ-
მეც მოაგვარეს.

ახლა უმთავრესი იყო ერთი
რამ — თეატრს ებოვა თავისი სა-
ხე, გამოემქვანებინა თავისი
პოზიცია, გამოეხატა თავისი კო-
ნცეფცია, სამოქმედო პროგრამა.

რასაკვირველია, თეატრის სა-
ხის ჩამოყალიბებაზე ფიქრი თე-
ატრის შენობის შოვნის დღიდან
არ დაწყებულა. თავისი შეხედუ-
ლებებისა და პოზიციის ჩამოყა-
ლიბება თენგიზ ჩანტლაძის გონ-
ებაში და არსებაში, ალბათ, იმ
დღიდანვე, იმ წუთიდანვე დაიწ-
ყო, როცა პირველად მოუვიდა
მინიატურების თეატრის შექმნის
იდეა.

საქართველოს მინიატურების
თეატრმა იმთავითვე მოიპოვა მა-
ყურებლის სიმბათია და სიყვარ-
ული. დაიდგა რამდენიმე სპექტა-
კლი. ამ სპექტაკლებში თეატრმა
გამოამჟღავნა არა მარტო თავისი
სცენური შესაძლებლობანი, არ-
ამედ მებრძოლი, აქტიური პოზი-
ციები.

გავიდა დრო. მაყურებელი თი-
თქოს შეეჩვია მინიატურების
თეატრის იმ „მოდელს“, იმ „სტრუ-
ქტურას“, რომელთაც თეატ-
რი გვთავაზობდა მაშინდელი სპე-



ქტალების სახით („ზოგიერთების მზის დაბნელება საქართველოში“, „ნაკრები“ და სხვა).

უცებ... ლუარსაბი, ილიას უკვდავი „კაცია-ადამიანი“?!

არიან მსახიობები, რომლებმაც თითქოს საბოლოოდ დაკანონეს ამა თუ იმ როლის თავისებური ინტერპრეტაცია.

გავიხსენოთ აკაი ხორავას ოტელო, ეროსი მანგალაძის თავადი ფანტაშვილი, რამაზ ჩხიკვაძის აკოფ დარდიმანდიანი.

გავიხსენოთ ვასო გოძიაშვილის ლუარსაბ თათქარიძე! დიდი მსახიობის მიერ შექმნილი სცენური სახე ლუარსაბისა ისე ჩაჯდა ჩვენს შეგრძნებაში, რომ სხვანაირი ლუარსაბი ვეღარც კი წარმოგვედგინა.

საინონსო აფიშებიდან შევიტყვეთ, რომ ლუარსაბ თათქარიძის როლს თვითონ თენგიზ ჩანტლაძე შეასრულებდა.

გულწრფელად რომ გითხრათ, პრემიერაზე წასვლა ვერ გავბედე. სპექტაკლი მხოლოდ მას შენდევ ვნახე, როცა ყველამ აღიარა მისი გამარჯვება.

თენგიზ ჩანტლაძე — ლუარსაბი, ეს უკვე ახალი ეტაპია მსახიობის ცხოვრებაში!

ჭერ კიდევ არ განულებულა ჩვენს არსებაში დიდი მსახიობის ვასო გოძიაშვილის მიერ შექმნილი დიდებული სახე ლუარსაბ თათქარიძისა.

ძნელი იყო მიგველო „ახალი“ ლუარსაბი, ძნელი იყო დაგვეჭერებინა მისი ფერიცვალება.

თენგიზ ჩანტლაძემ გაიმარჯვა. მისი ლუარსაბი ღირსეულად ამოუდგა მხარში დიდი მსახიობის მიერ შექმნილ ხასიათს.

იგი გაექცა ბავშვობიდან გონებაში შთაბეჭდილ სახეს, თავი დააღწია ვასო გოძიაშვილის ტალანტის მარწუხებს. მან ახლებურად გაიანალიზა ილია ჭავჭავაძის უკვდავი გმირის ხასიათი. გაიანა-

ლიზა და მისი შესაფერისი გამომსახველობითი ხერხებით შექმნა დაუვიწყარი სახე, რომელიც უყოყმანოდ მიიღო ყველამ — პროფესიონალმაც, თავიდანვე სკეპტიკურად განწყობილმა პიროვნებებმაც კი, რომელთა შორის ალბათ მეც ვიყავი.

წელან ვთქვი, ახლებურად გაიანალიზა-მეთქი ლუარსაბ თათქარიძის სახე. რას ვგულისხმობ ამ სიტყვებში? უპირველესად იმას, რომ თენგიზ ჩანტლაძე არ დასცინის თავის გმირს, არ გვაზიზღებს მას. პირიქით. პირადად მე, სიმპათიურადაც კი განვეწყვე ლუარსაბისადმი, იმდენად უშუალო და კეთილ კაცად გვიხატავს მას მსახიობი.

მამ, რაშია საქმე? ცუდად ხომ

ლუარსაბ თათქარიძე — თ. ჩანტლაძე



რ ე ჟ ი ს ი რ ი თ ე ს ტ რ ი ღ ე ნ შ ე ჯ ი ღ ე *

ვერ გავიგეთ დიდი ილიას ჩანაფიქრი? ხომ არ დავეკარვეთ ავტორისეული შეფერივებლობა, სიმდაფრე და სარკაზმი?

ლუარსაბი — თენგიზ ჩანტლაძე კეთილი, გულუბრყვილო, უშუალო კაცია. ხოლო ლუარსაბ თათქარიძის უბადრუკობა, უუნარობა, მუქთახორობა და ფაქტიურად არარაობა მისი პიროვნული თვისება როდია. იგი პროდუქტია გარკვეული სოციალური წყობისა და სიტუაციისა. იგი პროდუქტია თავისი დროისა, საერთო ეროვნული მოშვებულობისა და უმიზნობისა, რომელმაც ადამიანში ჩაჰკლა ინდივიდი, ჩაჰკლა იდეალი და იგი თანდათან პირტუტყვად აქცია.

თენგიზ ჩანტლაძის ლუარსაბი უკვე მოწმობს, რომ როგორც თვით მსახიობს, ასევე თეატრს უნარი შესწევს გადაჭრას რთული ამოცანები.

თენგიზ ჩანტლაძის ლუარსაბმა დაგვარწმუნა, რომ მსახიობის აზროვნება და შემოქმედება ღონიერი და მასშტაბური ვახდა, რაც ასალ წარმატებებს გვპირდება.

რამდენადაც ვიცი, თეატრი ახლა გოგოლის უკვდავ „რევიზორზე“ მუშაობს. ამ რამდენიმე ხნის წინათ თენგიზ ჩანტლაძემ ოფიციალურადაც განაცხადა, რომ თეატრი უკვე შეუდგა მზადებას „ევარყვარე თუთაბერისა“ და „კვაჭი კვაჭანტირაძის“ დასადგენლად. ამ საჯრპერტუარო პოლიტიკიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ თენგიზ ჩანტლაძეს გეზი აქვს აღებული სატერიისა და იუმორის თეატრის ჩამოყალიბებისაკენ.

როგორც ვხედავთ, საქართველოს მინიატურების სახელმწიფო თეატრი მართლაც „აღარ ხუმრობს“. ვფიქრობთ, ამ პიესების მინიატურების თეატრისეული ინტერპრეტაცია სასიამოვნო სიურპრიზებს გვიმზადებს.

მომდინან აზრისა (ან გრძნობისა), რომელიც უნდა გამოხატო — ეს მხოლოდ დასაწყისია. უნდა შესძლო ამ აზრის გამოხატვა სცენურად. ხელოვნება, ალბათ, იწყება იმ მომენტიდან, როცა იწყება „იდევება“, რომელიც მოიხზვს გამოსავალს და იძენს „სხეულს“ — ფორმას. იდეებისა და გრძნობების სფეროდან ის მატერიალური ფორმების სფეროში გადადის. დაგროვილი აზრები რომ სხვა ადამიანების კუთვნილება გახდეს, საჭიროა სცენური კოდი, ხერხი, ფორმა. როგორც ამას მეცნიერნი განსაზღვრავენ, საჭიროა ცნობა გარდაისახოს სიგანელებად, ჩინებულადაა თქმული, ძალზე ზუსტად!

შესაძლოა, ყოველმა მყურებელმა არ მიიღოს კონცეფცია, რომელსაც მე მას ვთავაზობ. მაგრამ ჩემი მოვალეობა იგი იმნაირად ჩამოვაყალიბო, რომ ყველასთვის ან თითქმის ყველასთვის განსაგები გახდეს.

ამ ხერხის, წესის პოვნა რეჟისურის ქვაკუთხედი პრობლემაა. დიან, იმისთვის. რომ სპექტაკლი შეიქმნას, საჭიროა, მინიმუმ, ორი იდეა მაინც მოიძებნოს: „იდეა აზრისა“ და „იდეა ფორმისა“. ეს, ჩემის აზრით, ორი მთავარი შემოქმედებითი მომენტია: პროცესი პიესიდან მომავალი სპექტაკლის აზრის გამოკვეთისა და ამ აზრის რეალიზაცია ფორმით. გახსნა შინაარსისა და გამოვლენა ფორმისა.

ადრე მე ამ ჩემს იდეებს სიტყვებით ვიწერდი, ვე-

* გაგზტელდა. დასაწყისი იხ. № 10-12, 1981 წ., № 1-8, 1982 წ.



ძებდი ფორმულას, ახლა კი მით გრძნობით ვტარებ. მხოლოდ მცირეოდენ ჩანაწერებს, შპარგალებებს ვაკეთებ. მომავალი სექტაკლის მარცვალი საღვთო სიგნით ღივდება, შემდეგ სამწიგნო გამოხდას ითხოვს და მაშინ ისღა გრჩება, რომ როგორმე მოასწრო ხერხის პოვნა, რათა მსახიობების, მეტაფორების, დეკორაციისა და ა. შ. საშუალებით გამოხატო იგი. და სიტყვები საჭირო არაა. ახლა ისინი არაფერს არ მოგვცემს. მრავალსიტყვაობა მხოლოდ ხელს შეგვიშლის.

როგორც ნაწილია მარცვლისგან იზრდება უშუალებელი პალმა, ასევე, ჩანაფიქრისგან ამოიზრდება სექტაკლიც, რა კარგია, როცა რაღაცას პოულობ, მაგრამ ჭრჭერობით აქონურებ ამ საოცრების გამხელას. და რაც უფრო მეტხანს ინახავ მას საიდუმლოდ, მით უფრო მეტ ძადას იკრებს იგი, მით უფრო შეაფიოდ იკვეთება ის, რაც უნდა დაიხადოს, თუ მაშინვე, პირველსავე რეპეტიციისთვის გაამუდავებ, გამოამწეურებ იმას, რაც ჭრჭერობით მხოლოდ შენ გეხმის და ზუსტი სიტყვებით ვერ გამოვიხატავს, ის, შეიძლება, საერთოდ გაგისხლტეს ხელიდან.

სექტაკლი შეიძლება არც გამოვივადო, მაგრამ მასში აუცილებლად უნდა იყოს ძიების ულორტი. ესაა ულორტი თეატრალური თამაშის, რომელიდაც ახალი წესისა. დღეს და ზედა შეიძლება არა, მაგრამ როდისმე მაინც გამოიხსნას ის თავის ნაყოფს, და რომელიმე მომდევნო სექტაკლი მაინც სრულიად მოულოდნელი სახისა გამოვა. ზოგჯერ სექტაკლი იმის გამო ვარდება, რომ მის წიაღში არ იყო ეს ულორტი, მასში არ იყო ცდა — რაიმე შემოქმედებითი პრობლემის გადაწყვეტისა.

როგორდაც დილათ, ხალხის რიარიაში, ქუჩაში ნაცნობი, იურისტ-პენსიონერი შემოხვდა. არსებით ჩქარობდა.

- გამარჯობა, გამარჯობა, მიშა. აბა, როგორ მიდის საქმეები?
- გმადლობ, არა უშავს.
- აბა, თქვენი „ჰამლეტი“ როგორაა? ამბობენ, თქვენთან თეატრში ისევ შექსპირს დგამენ. თუ ეს მხოლოდ ხმებია?
- დიახ, დგამენ.
- მერე, როგორაა საქმე? ცუდად დგამენ, ალბათ, არა? თუ არა უშავს?
- არა უშავს.
- საოცარია, რამდენი წელია ამ ერთ პიესას დგამენ და სულ სხვადასხვა გააზრებით, კაცო...
- დიახ.
- დიახ, ცდადობენ, რომ ერთმანეთს არ ჰგავდ-

ნენ... კი, მაგრამ, რატომ? ისე წარმოადგინონ ხელმე, როგორც დადგენილია. რაღაც კანონებს, სხვა სხვაობებს, კაცო?! ერთმანეთს ებრუნებოდნენ, კანონებზე კი არცა ფიქრობდნენ. შენ არ მოთახნებები?


— არ ვეთანხმები, — ვასუხობ მე და რატომღაც სულელურად ვიღივებ.


ჩვენ გამოცდილებას ვაგროვებთ. ბოლოს და ბოლოს, თეატრის ისტორია მრავალთა და მრავალთა გამოცდილება და სხვა არაფერი. მაგრამ შეუძლებელია ამ გამოცდილების მთლიანად გადაცემა თაობიდან თაობისთვის, გადაცემა მხოლოდ რაღაც სქემა, დანარჩენი ძალზე პირველად ნიუანსებზეა დამოკიდებული. ჩვენს კვლევ მსულებშია, ნაშუქაროდ, თუ საბედნიეროდ, უველაფერი თავიდან უნდა დაიწყო. ჩვენი გამოცდილება მათ თითქმის არ გადაეცემა, თუმცა, ეს გამოცდილება რაღაც სქემით კი გამოიხატება და კანონებს შიქნობს. კანონები იურისტის გულს ეფორება. ის შეეჩვია კანონების ძალის პრაქტიკულს, მისთვის ესაა უველაფრის საფუძველი. მაგრამ ჩვენი საქმის კანონები არა ჰგავს იმ ზუსტ ფორმულებს, რომლებითაც მივხიერებაში სარგებლობენ. ჩვენი კანონები უფრო მნივედრები, დანასკვნებია. ასეთი კანონებით შეიძლება შემოქმედდეს. დაზუსტდეს უკვე გაკეთებული. თვით შემოქმედება კი გაციკროვნების ბედნიერი წამია, საიდუმლო ზიარება, თუცა კი ამ იღუმენტებს მკაცრი ანალიზი ახლავს. მე მთლად ბოლომდე არ ვიცი, რა და როგორ ხდება ჩემს არსებაში, მუშაობის დროს, თუმცა, მთელი ცხოვრება ვაკრებებით ვცდილობ ამის გაგებას.

კანონებს მე მაშინ ვიხსენებ, როცა ჩემი შენათხრობა რაღაცნაირ წინაგონი უნდა მოვიყვანო, როცა მას სიმწიფობზე უნდა მივანიჭო. მაგრამ რაოდენ გულსატყვიანია — რაც უფრო ხანში შევდევარ, რაც უფრო მეტად ვიცნობ კანონებს, მით უფრო იშვითად მიცისკროვდება წარმოსახვა, სიცოცხლის ბოლოსთვის, ალბათ, ეს კანონებია შემრჩება, თვითონ მე კი მოხუც იურისტს დავემგავსებო. არა, ჩანდას უველა კანონი, თუკი სიყვარულის და რაღაცის თავისუფლად, ნეტარებით შეთხზვის უნარი დაგეარგავს. კანონები ვერ გიშველის, მაგრამ თუ შენ ჭერ კიდევ არ გაჭკრობია სიცოცხლით იმნაირად გახატების უნარი, როგორც ბავშვობაში გიხაროდა, იმედს ნუ დაკარგავ...

ჩვენს საქმეში უველაფერი ყოველთვის სხვადასხვანაირად ხდება. სექტაკლი ზოგჯერ სრულიად შემთხვევით შეიძლება გამოვიდეს — მისი განცხადებებით, დაქსაქსული ნაწილები როგორღაც თავისთავით შეიძლება ერთ მთელად შეიკრას. და, პირიქით, შეიძლება რაღაც-რაღაცეები ძალზე კარგად გაიზარო და რაღაც სრულიად გაცნობიერებულად ააგო, მაგრამ ნაწილები არ დაემთხვევს, არ შეერწყნას ერთმანეთს, არ აუღერდეს საჭირო ბგერითი ტალა. არ აეწეოს ერთიანი ცხოვრება, ერთი სიტყვით, შეიძლება „შენებლის“ შრომა უნაყოფო გამოდგეს.

რამდენი სექტაკლი დამიდგამს, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს მიენიჭო და განუვითარდა თავისი საკუთარი, განუმეორებელი და განსაკუთრებული სიცოცხლე. მე მიუყარს ახსნა და ქადაგება არა მარტო იმიტომ, რომ ვმყოფილებას მანიჭებს სხვისთვის ჩემი გამოცდილების გადაცემა, არა, როცა სხვებს რამეს ვუხსნი, თვითონ მე უკეთ ვერკვევი ჩვენს საქმეში,





რადაც პრობლემას ყოველთვის ახლებურად ვწყვეტის, რაც მიახლოებით ვიცოდით, ამ გზით ზუსტდება და მათი დამატება, მწიფობი და სისტემური ხდება, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს ჭრ კიდევ ბავშვობაში მასწავლეს — თუ გინდა, რომ პასუხის ვაცემოდ კარგად მოეშალო, ამხანაგს აუხსენი გაკეთილი, ვინმეს შეფობა იყისიყო.

მაშ, ასე, სექტაკლის შესაქმნელად საჭიროა, სულ მცირე, ორი იდეა მაინც: იდეა აზრისა და იდეა ფორმისა. მახსოვს, რომ ამაზე უკვე ვინაუბრე, მაგრამ მთავარი რაცაა, სწორედ აქაა. ამ მთავარზე კი ჭრ ყველაფერი სულაც არ თქმულა.

აზრი, საბოლოოდ, ძალზე ძველ, ძველიძველ პე-შპარტებამდე დაიკვანება და ადამიანები ახალს 30-რაფერს იგონებენ. მათ ეს თითქმის არ შეუძლიათ. მაგრამ ფორმა თვით საშუაროსავით, ქვეყნიერებასავით უხსარულოა, ამოუწურავია. ის სულ მუდამ იცვლება.

აბიტომ ჩემთვის შემოქმედებაში მთავარი მაინც მეორე იდეის — ესე იგი, სექტაკლის კონკრეტული გადაწყვეტის პოვნაა, ესე იგი, მთავარია ცხოვრებისეული მასალის მიწოდების სცენარის თხრობის წესის პოვნა. ერთ სექტაკლს მე ვეძებ, როგორც პოლიტიკურ პლაკატს, მეორეს — როგორც კლიტის ტუპრტუტანოდან დანახულ ცხოვრებას, მესამეს კი, ასე ვთქვათ, როგორც საგარეო წარმოდგენას. არაერთხელ გინახავს ჩვენ სექტაკალი-თეატრობანა — ესეც უკვე გადაწყვეტაა (უკვე თითქმის ქრესტომათიული), თუმცა ყველა შემთხვევაში მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება შეიძლება. გადაწყვეტა თამაშის წესია.

ბავშვებს თამაშებიც ნაირნაირი აქვთ. მაგალითად, „ომობანა“ ერთია, „სახლობანა“ კი — მეორე. აქაც უშველებელი სხვაობაა წესებში. პირველ შემთხვევაში — შეიბრება, ბძობლია. მეორე შემთხვევაში — ცხოვრებისეული დამატებლობა. ბავშვები ძალზე უკმაყოფილონი არჩებიან, როცა თამაშის წესები ირღვევა. ჩ. ჩუკოვსკისთან ბიჭუნა წევს ხაზიანზე და შიშინებს.

— რას აკეთებ? — ჰკითხა დედამ.
— მე კატლეთი ვარ და ტაფაზე ვოწვი.
— შენ გენაცვალე, ჩემო კარგო, მოდი, გაყოცო.
ბიჭი აბრდა: — როგორ მაყოცებ, მე ხომ შემწვარი ვარ!

ეს შესანიშნავი ნიმუშია სრული დაქერებულობისა, მაგრამ, ამავე დროს, თამაშის განსაკუთრებული წესის — გადაწყვეტის მაგალითიცაა. ბიჭი, შესაძლოა, ამ თამაშს წვეუტდა, როგორც „სამარტულოს“. ის „საჯ მელს“ თამაშობდა.

აზრი სცენარის ცხოვრების სულაა, ფორმა მისი ხორცია. მე დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს ჩემი საკუთარი აზრია, მაგრამ მე მას ისე შევეთვისებ, რომ საკუთარსავით აღვიქვამ.

ადრე ჩემთვის არსებობდა იდეა — ფრაზა („სჯობს სიცოცხლება ნაზრახხა სიკვდილი სხელვანაი“), იდეა-ფორმულა, მაგრამ შემდეგ გამიჩინდა შეგრძნება, რომ ასეთი იდეა მეთისმეტად ლიტერატურულია, იგი მე და მსახიობებს თითქმის არაფერს გვაძლევს, თავის თავად არსებობს. სიტყვა „ჩანაფიქრი“ კი უკვე მეთისმეტად გონებისმიერად, გულცივად მტყუნებოდა. გულახდილად თუ ვიტყვი, მე უფრო გრძნობა, გარკვეული გრძნობაღი დამაბუა, სულიერი განწყობი-

ლება მჭირდება. მე იდეა-გრძნობა, აზრის ხმამალა გამოთქმის მძაფრი სურვილი მჭირდება. სუხოვო-კო-ლიონის „საქმეში“ მე ამას „გაავება“ დავარქვი. ზოგჯერ, პირიქით, ეს აქტიური გრძნობა სიკვდილია აღსავსე. ესაა ჩემი დამოკიდებულება და ჩემი იმედი, ფარული იმედი. მე ნამალავად ვინახავ გულის სიღრმეში იმის იმედს, რომ სცენიდან მაინც გავუსწორებ ანგარიშს ამა თუ იმ მოვლენას, რომელიც მალეღვევებს.

ანდა, ადამიანებს დავანახებ, თუ რა მშვენიერია ესა და ეს. ჩანაფიქრი, ალბათ, ისაა, რაც ძალზე მათორიაქებს მე, როგორც მოკალაქესა და ადამიანს. ისაა, რაც მოსვენებას არ მძლევს. ესაა გრძნობა, განცდილობა შენახედი. ჩანაფიქრი ძლიერი, ზუსტი უნდა იყოს.

გადაწყვეტა კი მაშინ იბადება, როცა ეს გრძნობები უკვე გამოხატვის კონკრეტულ ფორმას ნახულობს. ჭრ ეძებენ ამ ფორმას, შემდეგ კი, უკვე რეპეტიციოზზე, თანდათან პოულობენ. მოქანდაკე რადაცას ძერწავს თხისგან, კვეთს ქვისგან. მე ვძერწავ მოქმედებებით, განწყობილებებით, სულიერი მდგომარეობებით, ატმოსფეროთი, კონფლიქტებით, ცოცხალი ადამიანის — მსახიობის მეშვეობით, კონსტრუქციის, ფერწერის, მუსიკის, კოსტუმებისა და რეკვიზიტის, შუქისა და ბგერების საშუალებით.

ვისინებენ მეზღვაურების მასობრივ სცენებს ახმედელის „რევუაში“. კაპიტანს ბოგირი და ორი ვეებრთელა ქვემები — სცენის თითქმის მთელი გაფორმება ესლა იყო. სცენაზე კი იყო მეზღვაურების მასა — რადაცანიარად მრავალხასა, მრავალხმანი, მრავალხასითანი არსება. იგი ზღვასავით იყო — ხან ნადვლიანი, ხან ბობოქარი, ხან ხმაურიანი, ხან გამხეციბული. ეს სცენები ჰავდა რთული მუსიკალური პარტიტურის შემსრულებელ სიმფონიურ ორკესტრს. ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი გადაწყვეტა, შემოქმედება ხომ, ალბათ, თანდაყოლილი თვისებია. ადამიანის დაუცხრომელი სწრაფაა აზროვნების სტერეოტიპული, ჩვეულებრივი წესიდან ახალ. ჭრ კიდევ შეუცნობელ ქადოქრულ საშუაროში ვასვლისაკენ.

აზრზე იფიქრე, სიტყვები კი თავად მოვლენ, — ამბობს ლუსი კეროლი. დაბ, ჩვეულებრივი ლაპარაკის დროს ზოგჯერ ასეც ხდება. მაგრამ ხელრენებენ ესა ბედნიერი გაულებები, აღმოჩენები. პიენა წაიქოხე და მაშინვე ვაგიცხადდა, რა და როგორ უნდა გააკეთო. ებ, ეს რომ ასე ხდებოდეს! გენიოსებს რა უჭირთ, იმათ ყველაფერი რადაცანიარად თავისით — სწრაფადაც, ზუსტადაც — გამოსდით, საეჭვოც, ალბათ, ცრტა რჩებოთ და სხვების აზრსაც, ალბათ,

ნაკლებ დაგიდევინ. თუცა, მე ამაში მთლად დარწმუნებული არა ვარ. საქმარისია პუშკინის ბელნაერის რომელიმე ფურცელში ჩაიხედოთ, რომ გაიგოთ რა ნიშნავს გენიოსის შ რ ო მ ა.

რეთისორ მრავალთა შრომის შთამავრებელია. და რა საშინელიება, როცა შთამავრებელს არ უჩნდება თავისი, ახალ გადწევა და, სირცხვილის დასამალად, უბღბა ძველმანის რაღაც ახალ მოვლენად გასაღება. ესა საკუთარი არასრულფასოვნების, უნაყოფობის, უოაზისო უდაბნოს მტანჯველი შერგრძნება, ესა ქანცაცმელი ლოდინი მატარებლისა, რომელიც არ მოვა.

რა ხერხით უნდა ვამოქმედოთ ის მექანიზმი, რომელიც შეთხზავს უწყობს ხელს? გადწევა ძალზე იშვიათად მოდის თავისთავად, მას უნდა მივპარო, იგი უნდა გამოიხმო, ზოგჯერ ძალთაც კი უნდა დაითრიო, როცა სულ ერთსა და იმავეზე ფიქრობ, გაკრპებათ ეძიებ და ეძიებ, მეტი გარანტია, რომ იპოვოს იას, რასაც ეძებ, შემოქმედებას არ უყვარს უხალისო, უსიცივებლო ხალხი, ეს ჩვენ ყველამ ვიცით, მაგრამ ყოველთვის როდი ვაბერხებთ საკუთარი გრძნობების გამაფრებებასა და გონების რაც შეიძლება შეტად გამახვილებას.



სექტაკლის გადწევის მონახვა უფრო ადვილია, თუკი ერთმანეთს შევედარებთ სხვადასხვა ვარიანტს. მუშაობის დასაწყისში მე ვცდილობ რაც შეიძლება მეტი ვარიანტი დავაგროვო. შესაძლოა, ყველა ვარიანტი ზუსტად არ იყოს, ის კი არა, გულუბრყვილოც კი იყოს (ეს დიდი უბედურება არაა), მთავარია, რომ ისინი ერთმანეთს არ ჰგავდნენ. არაა საჭირო ერთბაშად რაღაცა უარყო და ამოგადო. საჭიროა უფრო დიდხანს ამოწმო და თუ ეს ფასეული, ღირებული, ოდნე ამ შემთხვევისთვის მიზანშეუწყობელი იდეაა, კარგი იქნება, იგი როგორმე დააფიქსირო, დაიმახსოვრო. სხვა დროს შეიძლება გამოგადგეს.

პირადად ჩემთვის ამ ეტაპზე ყველაზე მთავარია ბრძოლა ავკიატებულ, ბანალურ, მოზერებულ ხერხებთან და საშუალებებთან, ანუ, როგორც გამოგონებლები ეძახიან, ბრძოლა ფსიქოლოგიურ ინერციასთან. ბანალური ხერხი ათასობითაა, ისინი ყოველთვის ჩვენ გვერდით არიან აბუსულნი, დადარაქებულინი, ჩვენებსა და ევრანებზე დათარეშობენ „ლივერის“ ყაიდის მიუჭაკლები, „ლიუბიმოვისებური“, „სტრუბასებური“, კიდევ ვიღაცისებური სექტაკლები. ჩვენს შორის ცევა-ცეკვითა და ასიკიკით დადიან ჭინსებიანი, სატორქესკოლიანი კოსტუმებჩაცმულნი, ცარკით სახეშეთიხნილი, რავინდარა ნიღბებით სახედაფარული და ა. შ. მოჩვენებები. საქმარისია ხელში ახალი პიესა აიღო, რომ შენს თვალწინ მაშინვე ცოცხლდება ეს ბრბო. კარგი იქნებოდა იგი ერთხელ

და საშუალოდ გაგვედენა და ყველაფერი თავიდან დაგვეწყო. მაგრამ ეს, რასაკვირველია, უტოლია. მე ვცდილობ ჩემს თავსა და ჩემს მარწმუნველს, რა ვუნერგო სხვისი ხერხებისა და საშუალებების მაიმარად გამოყენებისადმი ზოგის გრძნობა. შარის მოდელით ვეკამოხებ საუთოს, სწრაფად გამოჩეკილ იდეებში წარმოსახვით მოქმედება სრულიად მოულოდნელადგლას გადამაქვს. ხასიათებს ვცვლი. მაგალითად, პრინც პამლეტის ამბავი შეიძლება ჩვენს ქალაქში გადმოვიტანოთ, ანდა, სულაც სხვა პლანეტაზე გავითანაშოთ. მოკლედ, საჭიროა ყველაფრის გაკეთება შეჩვეულ წარმოდგენათაგან თავის დასაღწევად.

სხვათა შორის, ახალ გადწევატათა წარმოშობის მუხრტეკი სწორად ხდება ელემენტარული შიში: რას იტყვის კრიტიკა? როცა დამკვიდრებული შეხედულებების ტყვეობაში ვეცევათ, კეშმაროც წემოქმედების ნაცვლად თვითშეზღუდვის გზას ვადგებთ. შიში, სხვადასხვაგვარი სიფრთხილე, წარმოსახვის თავისუფლებას ბორავს. მე, სამწუხაროდ, შიშიადა ასეთი შემთხვევები, შემდეგ, ხელს რომ მომიხედვ, ძალზე ცხადად ჩანს რა გიშლიდა ეტანს, მაგრამ უყვე არაფრის გამოსწორება არ შეიძლება. ჩვენ ძალზე გვირბდება გახედულება, კადნიერებაც კი, აზარტი, რისზე წასვლის წყურვილიც კი. სჯობია ვანვლო უსახისმებებლობისა და „ბოღვითი იდეების“ ეტაპი — ამისგან მეტი სარგებელია, კიდრე გეშინოდეს და იყუნებოდა.

წინასწარ ვერავინ იტყვის, რა აღმოჩნდება ამა თუ იმ მომენტში საჭირო სტიმული, შეიძლება ყველაფერს ჩაუტეოდ, რამაც კი შეიძლება ხელი შეუწყოს შემოქმედებით აქტს. საჭიროა წარმოსახვის გამაღვიანებლობის ძებნა. ნამდვილი იდეა არასოდეს დაგრჩებათ შემუშრეველი, იგი მაშინვე ჩანს, მას თიჯორად ვგრძობ. ნამდვილ იდეას უყვლოდ ვერ დაქარგავ. ჩვენ გულში მაშინვე ამოვირბებთ: „ევრია!“ და სიბარულით გავიხმვალვებთ — ეს მომენტი აზაფერშს აგერვით.

ორიგინალური იდეა ზოგჯერ უკვე ცნობილი სცენური გადწევებების ანალოგიით იხადება. კლასიკური თეატრალური გადწევები შეხანიწვე ტრამპლინს წარმოადგენს სრულიად ახალი გადწევისათვის. ამიტომ კარგი იქნებოდა რეთისორი თეატრის დიდი გამოცდილებით აღიჭურვოს და დღენადავ ფურცელის ამ „წიგნის“ ფურცლები არ ვიცო, შესაძლებელია კი თეატრში რაიმე აბსოლუტურად ახლის აღმოჩენა. ყველაფერი იყო — იყო სექტაკლი-კარნავალი, იყო „თეატრის თამაში“, ნიღბების კომედია, ცხოვრების ილუზია, სექტაკლი-ზღაპარი, საცერკო წარმოდგენა, სექტაკლი-კონცერტი, სექტაკლი-ფიქრი, დოკუმენტი, მიტინგი, დისკუსია, ლეგენდა, მუდუნური თეატრი, ბალაგანი, სასამართლოს სხდომა...

უკვე აღარას ვამბობთ იმაზე, რომ შეიძლება სხვადასხვა სახის — ანტიური, შექსპირული, იაპონური, ესპანური, ში-იანი წლების სააგიაციკო, ლიტერატურული და ა. შ. — თეატრების გამოყენება. შეიძლება ყველაფერი გამოვიყენოთ, რაც კი ახალი იდეებს კატალიზატორად გამოადგება.

და, აი, შემოქმედებაში დგება მომენტი, რომელსაც ვიღაცამ ინუბაციაური უწოდა. ძალიან კარგი განსაზღვრა. „ბოღვითი იდეების“ დაგროვების შემდეგ მე მინდა ამ თემას დავუშვა და სხვა რაიმეს მოვუბოდი ხელი.

ოლები, თუმცა, დარწმუნებული არასოდეს არა რომ ეს მოლოდინი მომეტანს უველაფერს, რაც არაა. ეს მომენტი სრულიად არა ჰგავს ჩვეულებრივ დასვენებას, მისთვის უცხოა მოდუნება, ღონედილობა, პირიქით, მე ვგრძნობ, რომ სადღაც შეიძლება რაღაც ხდება, რაღაც მუშაობა წარიმართება. მაშინაც გრძელდება, როცა ჩვენ სულ გარშემო საუბრითა ვართ დაკავებული. სამსახურში შევდივართ, გებაზე ვსხედვართ, ტელეგადაცემას ვუუარებთ. მე პირიქით გატრუნული ვზივარ და ველოდები. მონადირის მსგავსად, დავაგე კაენათები და ველოდები. ტყინი შეუმჩნევლად ამუშავებს უკველ გამართალ ფიქრს, სახეს, შთაბეჭდილებას. სადღაც, შიგნით, მიდის საკიროსა და არასაკიროს ქვეცნობიერი გარჩევა, სხვადასხვა ვარიანტის რაღაცნაირი გადახარშვა, გადაღვევა. დროდადრო, გაურკვეველია რისგან, ქვეცნობიერება უცებ ამოასულებს თავისი გამოუცნობი, იდუმალი საწყობიდან ხან ერთ, ხან მეორე იდეას. მე მას ვხედავ, ვათვალიერებ, ოღონდ ოდნავ შიშშიმდგარი, იგი ქრება და ისევ ჩნდება. მასში რაღაც შეიცვალა, სადღაც მან მოასწრო „გადაცემა“ და ისევ დაშვანა უყვე ახლებურად შემოსილი ამ მხოლოდ ზოგიერთი დეტალშეცვლილი. ვზივარ ტელევიზორის წინ, უველა ფიქრობს, რომ გადაცემას ვუუარებ. ჩემს თვალწინ კი სულ სხვა ფილმია, ის ქრება და ისევ ჩნდება. ზოგჯერ რაღაც უმნიშვნელო დეტალი დაგაინტერესებს კაცს და იმ არიდანას ძაფად იქცევა, რომლის დამხარებითაც იგრძობება სერიოზული ფსიქოლოგიური მიხედვარის თოკი, — სცენური აღმოჩენის წყარო. ზოგჯერ სწორედ ასეთი შემთხვევითი მიხედვარა ხსნის თხაში აღწერილი მოვლენების ღრმად დიდფულს, დატრულ მიზეზობრივ კავშირებს.

და, აი, ბოლოს და ბოლოს, დგება მომენტი, როცა მოხარება უცაბედად მათელი, უნაღესი ხდება. უკვე გამოჩნდა საძიებელი გადაწყვეტა. იგი უველაფერს ერთ მთლიანობად ჰკრავს, თავის ადგალს უჩენს. იწყებ განკარგულებების გაცემას — ტანსაცმლის გაკრავას, ფულის ხარჯვას, რუბრიკაციების დაწმენას, უსიკის წერას. ჩემს თამაშში ვრთავ მრავალ და მრავალ ადამიანს, მოვიზივებ მათგან ენერჯის დახარჯვას, კონტუზიზმს, სიუვარულს, ტალანტა და განმრთელობას. არარე სარისკო და საშიშია ეს! მაგრამ უველაფერს მას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ, რომ დარწმუნებული ვარ მოძებნილი გადაწყვეტის მართებულობაში. უკველთვის მეჩვენება, რომ ვიწყებ სრულიად ახალ თამაშს თეატრში, ვაკეთებ იმას, რაც ჩემამდე არავის გაუფეთბია, სამწუხაროდ, ეს ილუზიები მალე ქრება. ქვეშარტი აღმოჩენა იშვიათად, ძალზე იშვიათად ხდება. მთელ ცხოვრებაში სამ-ოთხჯერ, მაგრამ ამისთვის ღირს სიცოცხლე.

აღმოჩენა! ვახტანგოვს ერთხელ ცისკარი გაეხსნა და აღმოაჩინა თეატრალური თამაშის წესი „პრო-

ნცესა ტურანდოტში“. ვავიდა სამოცო წელწადა, მთელი ათწლეულები მანძალზე ამ აღმოჩენას ვაჩვენებდენ, მისით სარგებლობდენ, მას უმშობრითა ვაჩვენებდენ, წლების განმავლობაში უველაფერი ლეგენდად იქცა და ეს ლეგენდა აქამდე აფორიაქებს ჩვენს წარმოსახვას. აი, რა არის ნამდვილი აღმოჩენა.

კვალს მხოლოდ ასეთი სექტაკლები იოვებენ, ნაკვალევინად თანდათან ბილიკი იტკენება, მათ საითკენდაც მიუყვართ. ამ გზას ბუენი მიუყვებიან. ბილიკი თანდათან სასოფლო შარაგზეხად, ესენი კიღვე გზატკეცილხად იქცევა. გზატკეცილზე უკვე აღარაფერს აღმოაჩენენ, მასზე მგზავრობენ, ისინი მასობრივ მოძრაობას ემსახურებიან. ნადირის კვალს კი მონადირეები პოულობენ.

ამ ლეგენში მე ახალ სექტაკლზე ვიწყებ მუშაობას. მიახლოებით ვიკი კანონები შემოქმედებითი პროცესისა, რომელიც მომელის, სულში კი სიცარიელეა: არავითარი ეტაპები, არავითარი მომზადება და დაწვევა, არავითარი მოლოდინი და, სამწუხაროდ, არავითარი გაიცხროვნება. ჭერჭერობით, უკველ შემთხვევაში, ჩემს სულში მხოლოდ იმის იმედი ფორიაქობს, რომ შრომა დამეხმარება რაღაცის პოვნაში. ინდუსები ხომ ამბობენ, რომ მხოლოდ მოთმინება და შრომა აქცევს თუთის უთოთლს აბრეშუმის ძაფად.

მაშინ მე მთლიანად სცენური ორთაბრძოლის პრობლემით ვიყავი შეტყობილი. მაინტერესებდა, როგორი იყო მისი ბუნება. საინტერესო, ცოცხალი პრობლემების მთელი თავიული აღმოჩენა ჩემს ხელში, რომელთათვისაც ღირდა ერთი-ორი წლის გახარჯვა. უნდა მეცადა ისინი პრაქტიკაში, უნდა დაკვირვებოდი. ანუის „ანტიგონე“ ამის საშუალებას იძლეოდა. აქ უკველი დალოკი ცხოვრებისეული პოზიციისთვის ბრძოლაა, მორიგი რაუნდია.

არარეულებრივად საინტერესოდ მუშაობდენ ამ სექტაკლში სერგო ზაქარაიძე და ზინა კვერინჩილაძე. ისინი თავიანთ ორმოცწუთიან ორთაბრძოლას უკველთვის სხვადასხვანაირად თამაშობდენ, ერთმანეთისგან გამომდინარე განიცდიდენ და მოქმედებდენ. მრავალგზის რუბრიკებული სცენები მხოლოდ კონტურებს წარმოადგენდა, რომელთა წიაღაც ზინა და სერგო, შემოქმედებითი შეჯიბრებით გატაცებულნი, მთლიანად ეძლეოდენ ბრძოლის სტიქიას; იფერფლე-





ბოდნენ, ქმნიდნენ განუმეორებელ ერთადერთ ეგზემპლარად არსებულ ხელოვნებას. გეჩვენებოდათ, რომ ისინი მხოლოდ ერთმანეთით იყვნენ შეპყრობილი. ისინი ზემგრანობარედ, ათქმის ავადმყოფობაზე მისული სიფხიზლით ეციდებოდნენ ერთმანეთში უმცირეს ცვლილებებსაც კი. მთელი სექტაკლის იდეური აზრით განათებული ასეთი პარტნიორობა სხვა დროს მეტად არ მინახავს.

რასე კამათობდნენ ამ სექტაკლში? იმაზე, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი. მარადიული კამათია, რომელსაც არც აბსოლუტურ კემშირბებამდე მივყავართ და არც ერთადერთ დასკვნამდე.

სექტაკლის იერი სადა იყო. მრგვალი, მაყურებელთა დარბაზისკენ წამოწეული მოედანი. შუაში წითელი ხალისის წრე. როგორც ხაკილაო არენა, წითლას ირგვლივ ნაცრისფერი არე. ანტიკური სვეტების ფრამენტები, დიდი ბერძნული ამფორა.

ჩაწერილია მუსიკა და ხმაური, რომლებიც ერთად ორ მჭროლავ მანქანას გამოხატავენ. ისინი ერთმანეთს უსწრებენ, მკვეთრ მოსახვევებში მუხრუპებით ღრქიალებენ. ჩანაწერი ავტოკატატროფისა, რომლისკენ მიისწრაფვას სამყარო სიკრუსისა და ღარისველიას გზით. ეს — სექტაკლის მთლად დასაწყისში. შემდეგ კი, შემდეგ, მთლად დასასრულის წინ, მაგრამ არა ფინალში, მანქანები ერთმანეთს ასკდებიან. რკინის ღრქიალი, აფეთქება-სინიუმე და სასწრაფო დახმარების მანქანის საყვირის მოახლოება. მისი ხმა ნერვებზე მოქმედებს. თითქოს, ჩვენთან მოდიანო. „სასწრაფო დახმარებამ“ გაიარა და სულ ბოლოში ისევ სიწყნარემ დაიხადგურა. და მეტი კამათის ხალისი აღარა მავს.

სკამები თავიდან გარკვეული წესრიგითაა განლაგებული (შემდეგში წესრიგი მკვეთრად დაირღვევა), სკენაზე გამოტანილია განანათებული ხელსაწყოები, ისინი მომავალი შეტაკების მონაწილეებს ანათებენ. უველანი მომართულნი არაან. რადაცას ელოდებიან, თითქოს იმას ელოდებიანო, თუ როდის დართავენ მათ ნებას ერთმანეთს ეჭკერონ, რათა შეხლა-შემოხლა დაიწყოს.

მოედანზე გამოდის მამაკაცი — ეს „ქორთა“. მიმართავს მაყურებლებს, მოკლედ უსწრებენ: მიბლემის არსს და მოუწოდებს მონაწილეობა მიიღოს ბუბაში. ძალზე უბრალო, უტყუარი წინადადება.

თავის უმაღლეს წერტილს კამათი ანტიგონესა და კრეონის დილოგში აღწევს. კრეონი მმართველია, ძალზე გადაკვირბული საქმეებით, სხდომებით, შეხვედრებით, თათბირებით, სადღეობით, რომლებზეც თითქმის არ კამენ, მაგრამ ყოველ წარმოქმულ სიტყვას ახალი „ეკრძის“ შინაარსს ანიჭებენ. კრეონი დასვენებაზე ოცნებობს, მაგრამ დღე და ღამ მუშაობს. საქმე იმდენი აქვს, რომ სხვა არაფერი დარჩენია. ირგვლივ შფოთია, სახელმწიფო მანქანა შერყეულია, ყველგან მოტყუება, თაღლითობა, დარღვება. ჩხუბში დაიღუპნენ ოიდიპოსის შვილები რინა პატრიოთ დარქადა ერთი მათგანი. მეორე ველზე დახტოვა ქალაქის მცხოვრებთა დასაშინებლად და, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ყველას აუტრძაღ მისი დამარხვა. პოლიტიკისთვის ასე იყო საჭირო.

ანტიგონე ღამე ველზე გადის და ბავშვის ნიშნით მიწას აყრის ძმის ლობობადაწებულ ცხედარს. კრეონი ვანრისხდა, მაგრამ როცა გაიყო, რომ ეს ანტიგონეს მისი კერძი მისწვლის ოინებია, ცდლობს მიაფუნეჩოს საქმე. ამ ბრეყვს უხსნის რა გულუბრყველობაცაა მისი საქციელი. ახლა ამისი დრო არ იყო, ხაკიროა ვითარება და გარემოებები სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შეფასდეს.

კრეონი არ კარგავს იმედს, რომ შეგანებინოს ქალიშვილს. რაც ჩაიღინა და ცდლობს აღდრისინი, ლოკიური იყოს ამ საუბრისას. მაგრამ ანტიგონე ისე იწევს ძმის დასამარხად. კრეონი მთელის ვულახლოდობით უხსნის ანტიგონეს პოლიტიკური თამაშის არსს რომელშიც იგი ჩაერთო. ის ეუზუნება ანტიგონეს, რომ ეთილშობილური გრძობება დღეს აღარავის სპირე ყოველივე ეს იდეალისტიების თათიდან გამოწტულილებიაო. ანტიგონე ცხადად აკრიტიკებს კრეონს და მის მიერ მოგონილ წყობასაც უფრად ვლობისთვის. მასნ კრეონი იძულებული ხდება სიკდილის განახენი გამოუტანოს, თუმცა ძალიან უნდა ამის გაუტება. ეკდება ანტიგონე, ისოცებ კრეონის ვაჟი და ცოლი. უზარმაზარი მწუსხარ: მიუხედავად, კრეონი თავს ერევა და მიდის ჭერ დილით დაგვემლი სხდომის ჩასატარებლად.

ვილაცამ პირველმა რადაცაზე დახტუა თვალღაც ღრმად პირადულისთვის დაარღვია უბრმუნება. როცა „არას“ თქვა იყო საჭირო, იემშუკა „კი“ თქვა. ოიდიპოსის დემოკრატის უღალატეა გველი ყველაფერი თანდათან სიკრუსისა და ფარდავარა. ოიდიპოსის პატროსან საქმეთა მოგო ყოველთვის აღიზანებს კრეონს. ის დრო აღარაა, ის ვითარებაა. ოიდიპოსის დილომატიური დავიდაბა და ჭახირი არ სპირდებოდა. მან შესდლო ხელი



ძალაუფლებაზე, მისთვის მთავრის უმთავრესი სა-
ოლიანობა იყო. ის გმირი გახლდათო. კრეონი ძა-
ნუფლებაზე უარს არ იტყვის, ასეთი სულელი არაა.
ფილოლო იგი არარაობაა, ჩვეულებრივი მოხელეა.
სადაც კი გოგონას, ოიდიპოსის ამ უმაღლურ ქალი-
თვითონ გმირობა ჩაიდინოს. ადამიანებს კი ცხოვრება
უნდათ, ქამა და სმა სჭირდებათ. ამისთვის გაჩუქებაც
სიძლიერება და უფრო გამოცდილობის უფროს დაგ-
ელება. აი, რატომ, რომ კრეონი ასე გაჩუქებით
დილობა შეაგონოს ანტიგონეს მისი საქციელის სისუ-
ფელი.

ესაა ორი მსოფლმხედველობის, ორი პოლარული
მამის მტრობა. ესაა გზაზე მიშკროლავი ორი მნი-
სიანი სამხედრო მანქანა, მან უსხლად იცის, საა-
ნტიგონის, მეორე თავისი უცნაური ზეგზავებით
ლაფერს ხლართავს, არღვევს და კატასტროფულ
ტუაცის ქმნის.

ანტიგონე იღუპება, იმიტომ, რომ არაა თანხმა ისე
უპარკოსო და მოიქცეს, როგორც ვილაკას სჭირდე-
ს. მას უნდა ისე ელაპარაკოს, როგორც თვითონ ფი-
რობს. მას არ შეუძლია დაიჭროს. რომ წესრიგი
უცილებლად მოითხოვს სიძრუს. ეს მას არავფრთხი
ნტერესებს. ანტიგონე „არას“ ხატიქმულად და დასა-
ყუადაა დაბადებული. მაგრამ თავისი დაღუპვაო
გი არღვევს კრეონის მმართველობის სიმუდროვესა
და წონასწორობას. კრეონის კაბინეტსა თუ მისადე-
ბი სკამები მუკარად განსაზღვრული წესრიგით დგას
და ამის ფხიზლად ადევნებს თვალს. ბიძასთან კამათის
როს ანტაგონი საამოვნებით ანარცხებს ყველა ამ
სკამს იატაკზე. წესრიგი დარღვეულია, სკამები უწეს-
რიგოდაა მიმოფანტული სხვადასხვა ადგილას. კრეონი
ისევ ჩიქურ განლაგებს სკამებს გარკვეული წესრი-
გით. — ის ქმნის სისტემას. შეხატოლა, არც მთლად
არგს, მაგრამ მაინც სისტემას. სახელმწიფო უამისოდ
ერ იარსებებს. „არას“ ყვირილი ადვილია, წესრიგის
შეარება უფრო ძნელია. ყველაფერი ეს რთული ამ-
გაცილებით უფრო რთული, ვიდრე ეს ბავშვო-
გვეჩვენება. ანტიგონე კი ჭერ სრულად პატარაა,
ერ არა აქვს ცხოვრებაზეული გამოცდილება,
ხოლოდ მამის მოგონებებითა და მასზე წლარე-
ცხოვრობს. დაწვევლილი ოიდიპოსის ნაშვირი.

სი ორი ბანაკია: ოიდიპოსი ყოველთვის ესწრაფო-
მიწვება პატრიონად გაჩუქვას — კრეონი მიწვებებს
დავს. ოიდიპოსი იშვიათად იყო ჩვეულებრივ ად-
მონი შორის, ყველაზე საუკეთესო და ღირსეულიც მათ
და, მათი სისხლი სისხლთაგანი და იმიტომ არ უმა-
და მათ სიმატლეს. კრეონი კი დარწმუნებულია,
შარტველი ერთადერთია, ვინც სიმატლედ უნდა
ადგეს. სხვებს იგი უფლებას აძლევს იცოდეს მხო-
დ ის, რასაც თვითონ აცნობდეს. ორი საწინააღმდე-
პირობაა ცხოვრებისა, ორი მოდელი საზოგადოებო-
ბა რაზეა კამათი.

ეპეტოცია გვაქვს. ვკამათობთ, ვასწორებთ შეცდო-
ს, ვარკვევთ სურვილებს, მოცემულ გარემოებებსა

და მოვლენების რიტმს. ვთხზავთ ცხოვრებას, პიესას
ფაქტების მიხედვით ვვიფარავთ.

როცა მსახიობები ყველაფერს ჭერ ისევ ვეძებენ
ში“ მიახლოებით ხატავენ, მათი საუბარიც ვეძებენ
ადწერიით, ლიტერატურულია. და, პირაქით, როცა
ქცევის ხაზი გაცხადებულია, საუბარი მოკლე, ზუსტი,
კონკრეტულია.

როლის ხაზის მოყოლა (რეცისორისთვის — მთელი
სექტაქლინა) იოლი არაა, ამაზე დიდი ძალის დახარ-
ჯვაა საჭირო. ალბათ, საჭიროა ეს რაც შეიძლება ხში-
რად გაეყოფეს. ჩვევა უნდა გამოიშუშაოთ და რე-
პეტირების ასეთი ხერხი შევიფაროთ.

ზოგჯერ მე მერჩვენება; ბევრი რამე შევდება იმით,
რომ ქმედითი ანალიზის მეთოდი მთლად სწორად არ
გვესმის, ანალიზი ხომ მხოლოდ დასაწყისშია მუშაობა-
სა, დღეს ჩემმა მოწაფემ, ნიჭიერმა ახალგაზრდა რეცი-
სორმა მოხოვა მის რეპეტაციას დავსწრობოდი. მაჩვენ-
ებს სცენა ორი ქალის მონაწილეობით. მე ყურადღება
მივაქციე, რომ სიტყვებს ვისმენდი, მაგრამ ვერ ვხე-
დავდი მათ. ვისმენდი. იმიტომ, რომ სხვა გზა არ
მქონდა, ხოლო ყურება ხანტერესო არ იყო. აქ, ეტ-
ყობა, ლაქმუხის ქალადისნაირ რადაცასთან გვაქვს
სამე — თუ მე მხოლოდ უფსმენ. ეტყობა, რადაც
წესრიგში არაა, ეს იგი მოქმედება დუნეა, თვლებს,
ვერ მიზიდავს.

ამას წინათ წავიციებ: ამერიკელი რ. არნჰეიმი წე-
რდა, რომ მხატვრული სახეების ერთი სახეობაა მო-
ქმედებას უფიერების მქონეების მეოხებით გან-
საზღვრავს (სახვითი ხელოვნება), მეორე კი — უფი-
ერიებას განსაზღვრავს მოქმედებით (იგულისხ-
მება თეატრი და ცეკვა). ზუსტადაა თქმული. სცენა-
ნაში, რომელიც მე ვაჩიხებ, თითქოს, ყველა-
ფერი სწორად იყო, განსაზღვრული იყო მოვლენა,
მოქმედება კი არ იყო ის მოქმედება, რომელიც
უფიერებას განსაზღვრავს. მხოლოდ
სიტყვები იყო, არადა, უფილი დაქალების ამ უსია-
მოვნო შეხვედრას რადაც ქმედითი სიუჟეტი ხომ უნდა
ქმონოდა? რადაც თავისებურება, რადაც განვითარება
უნდა უფილიყო იმაში, თუ როგორ შეხვედნენ ერთ-
მანეთს უფილი დაქალები. მე რეცისორი მიყვება,
ორი უფილი მეგობარი ქალი ერთმანეთს შეხვდა, ერ-
თი დაქინდა, მეზარალია და საწინელი შესახებ, მეო-
რე კი ახალგაზრდაა და ლამაზიო. უფროსს არ სურს
ახალგაზრდა ისე, უბრალოდ გაუშვას. ის სურს იძა-
ებს, ცდილობს სხვა ადამიანზე გამომანთხიოს ცხოვ-
რებაზე მის გულში დაგროვილი ბოღმა, არ უშვებს,
გავლის საშუალებას არ აძლევს. ეს გასაგებია, ეს
ელემენტარული ფიზიკური მოქმედებაა. კიდევ რა უნ-
და მოიძებნოს? როგორ ხდება ყველაფერი ეს? ხომ
დასაჭიროა რამე სცენური სურათის შეთხზვა. ჩვენ ძა-
ლზე ხშირად უკვე მუშაობის დასაწყისშივე ვჩერდე-
ბით. ეს იმას ჰგავს, ფერმწერმა სანგინით სურათის
კომპოზიცია რომ მოხაზოს და ზეთით ხატვას არ შე-
უძლებს.

ეისოლის განსაზღვრა არა კმარა. აუცილებელია
მოიძებნოს ამ შეხვედრის მოძრაობა და ფორმა. სა-
ჭირო იყო ყოველივე ამის მოძიება ეტოლში.




ერთუღის მოთავე ყოველთვის თვითონ რეისორია. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დააღლებების ისე მიცემა, როგორც გამოცდაზე ვაძლევთ: მოვლენის სახელწოდება ესა და ესაა (ვთქვათ, „უსიამოვნო შეხვედრა“), წაღო და გააკეთეთ ერთად, ჩვენ კი შევხვდეთ, რას გააკეთებთ თქვენ. რეპეტორების ასეთი მეთოდი არაფრად ვარგა.

ერთუღამდე ჩვენ პიესაში საქმოდ ბევრ რამეს ვსაზღვრავთ მაგიდასთან, ვწვდებით მოვლენის უფრო კონკრეტულ ნიუანსებს. მე ვღვებო და იქვე, მაგიდის გვერდით (რომ შემდეგ ისევ ამ მაგიდას მივუქდე) ვცდილობ გადმოვცე, თუ როგორ უნდა განვითარდეს მოვლენის ქმედითი კონტური, მე ვსაზავ და ოდნავ ვმოქმედებ კიდევ. ჩემს ქვევას თითქმის სიტყვებით ვაკომენტარებ. თანდათან ამ თამაშში ერთავ მსახიობებს, შემდეგ კი მოქმედებას მთლიანად მათ ვაკისრებ, შორიდან, მოკარნახევავით, რაღაც-რაღაცებს ვკარნახობ. ოღონდ, იგი მხოლოდ სიტყვებს კარნახობს, მე კი — მოქმედებას, საქციელს, განცდას. დაიბ, განცდებს, განცდები საწავია წარმოსახვისთვის. ანდა, პირიქით, მაგრამ აქ, ნებისმიერ შემთხვევაში, მჭიდრო ურთიერთკავშირია.

რა მემართება რეპეტორის იმ მომენტებში, როცა მე მსახიობებს ვუყურებ, ისინი კი მე მიუყურებენ? ჩერ ერთი, მაქსიმალურად დაძაბული, გულსისურში-კრებილი ვარ. მომუაყვს რაღაც მაგალითები სინამდვილიდან, უფრო ზნირად, ჩემივე ცხოვრებიდან, ზოგჯერ, სხვისი ცხოვრებიდანაც. ემორჩილები რა სადღაც შიგნიდან მიღებულ დაფინებულ სიგნალებს, ბოლოს, მომუაყვს რაიმე უველაზე მარტივი მაგალითი იქიდან, რაც უნდა გაეთდეს სცენაზე. შესაძლოა, შორიულ ბავშვობაში ან ოდესღაც სხვა დროს, უცაბედად შევეყარე სადმე ასეთ ცხოვრებისეულ სურათს. იგი, თითქოს, დამავიწყდა, მაგრამ იქ, შიგნით, შემოუნახავს რაღაც ძალას, მიუმალავს და შეუნახავს. ეს სურათი მე ახლა გამომადგება, ჩემს წარმოსახვას ბიძგს მისცემს.

და იმისგან, რასაც ვთხავ, სარეპეტორიო ოთახში თავს იჩენს ძლივს შესამჩნევი საერთო ძაფი წარმოსა-



ხვისა. ის ვიბრირებს, მაგრადება, სხვებს უფროდება. თანდათან უველა ეს სურათი ფორმდება, რაღაც მთლიანობად — სცენად, რომელსაც შეწყვიტა უნდა სნი მსახიობებს, სინამდვილეში კი მათ თვალწინ თხავ, შეთხვული იწყებს სუნთქვასა და სიცოცხლეს. თუმცა, რასაკვირველია, ისევ ხდება, რომ დაბადებას ძლივს ასწრებს და მაშინვე, იქვე კვდება. რეპეტორია არაჩვეულებრივ ინიციატივას მოითხოვს.

ანტიგონე ადრე დილით დაბრუნდა. კრეონის აკრძალვის მიუხედავად, მან ღამით ძმა დაძარხა. წუხელ საღამოს დემა ანტიგონემ და ისმენებ მთლიანობა, რომ ღამე წავიდოდნენ ტურების საჩქარად დარჩენილი ძმის ცხედრის დასამარხად. მაგრამ ისმენე არ მოვიდა. იქნებ, უბრალოდ, ჩაეძინა. ან, იქნებ, შეეშინდა. რაც არ უნდა იყოს, კრეონმა აკრძალა ის ცხედრის დაკრძალვა, კრეონი კი შეეფა. იქნებ, ჩაძინება სჭობდეს? და, აი, ისინი ახლა ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ისმენე ცდილობს დაფაროს თავისი უხერხულობა იმის გამო, რომ სიტყვა გატეხა და ანტიგონესთან ერთად არ წავიდა ძმის დასამარხად, ცდილობს რამე მოიგონოს როგორმე თავის გასამართლებლად, ანტიგონე მას მოლაღატედ თვლის. დიდხანს, გაკრებებით სხედან პირისპირ და ორიოდე სიტყვითლა ეხმარებიან ერთმანეთს. ორივე ზომე ამჟამო ოიდიპოსის ქალიშვილია. არაჩვეულებრივი, მძიმე ხასიათის ხალხია. ისმენე ცდილობს დაარწმუნოს ანტიგონე, რომ მან განზრახვავ ხელი აიღოს. იწყება ორივესთვის უსიამოვნო საუბარი. დები კამათობენ.

— აბა, მთლად, ასეთი რამ ვცადოთ, — ვუბნება მსახიობებს, — ანტიგონემ იცის, როგორ ძვირად უღირს ისმენეს მარგალიტის უელსაბანი, რომელაც ამას წინათ კრეონმა აიჭა. მდლით, ანტიგონემ კამათის დროს უელიდან ჩამოახოხოს ეს უელსაბანი, იგი ხომ პატარა გოგონაა. გავთამაშოთ ერთუღი...

მსახიობებმა დაიწყეს იმპროვიზირება. ორივენი ხალიჩაზე ჩამოსხდნენ, ცხვირი ჩამოუშვეს, აიფხორნენ, ერთმანეთს ზურგი შეაკციეს. შემდეგ დაიწყეს დავა, დიალოგის დროს ისხენებდნენ ავტორის იმ სიტყვებს, რომლებიც ახსოვდათ. ცოტა ხანში ისმენე: გააჩქარდა, წამოტა და კარისკენ გავარდა. მაგრამ გამჭვივარებული ანტიგონე დაეწა. უელსაბამე მქანა — უნდოდა გაეჩერებინა. მსახიობის უელზე მრული მიძევების (მისი საკუთრების) ძაფი გაწედა მიძევები სარეპეტორიო ოთახის იატაკზე გაიწა, სქებისა და მაგიდის ფეხებქვე გაიფანდა. მსახიობი ულოდინელობისგან შეცბა, მე მომხედა და ერთ შეწყვეტა გადაწყვიტა.

— გააგრძელე, ნუ ჩერდები — დაუწყვირე მე მან ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ სიტყვებისადმი რეის დიარგა. დაიწყო ძვირფასი მიძევების ძებნოქვა. რაღაც მოულოდნელად საინტერესო გამომიძევების შეგროვება ისმენე მთავარ საზრიქა, დავის საგანი კი — მეორეხარისხოვანად.

— ანტიგონე, — ამოხბდა იგი. — შენ ეს არ გააკეთო... — მაგრამ ეს სიტყვები უკვე აზრისგან დაუკლილი, მთავარი გახდა იმის გამო მღელვარე.

ომ, ვითუ ძვირფასი მძივები დაკარგულიყო. ანტი-ონეს როლის შემსრულებელმა მანინე გამოიყენა ეს ითარება. შეწევითა კამათი და ზიზღით დაუწყო ყუ-ეობა დაბნეულ დას. და კი ითვლიდა მძივებს და უაზ-რად ღულღულეობდა სიტყვებს. ჩემი კარნახით უკ-ასქნელი ნაყოფილი მძივი ანტიგონემ სადღაც სკამ-კვეშ იპოვნა და დას უთხრა: „წადი, დაიძინე. ის-მენე, როტემ ხვალ ასეთი ღამაში არ იქნებიო!“ და უკვე მობოქლი მძივებს დააღო უკანასკნელი ცალიც-თითქოს წერტილი დაუსხია. ეტოუდი გამოვიდა, მიი-ნახა „უკუხვლა“, რომელიც ძალზე კარგად, ისე გაფ-მოსცემდა ისმენის ბუნების არსს, როგორც ჩვენ წა-რმოგვედგინა იგი.

ანტიგონეს მომეზრდა სიკრუის ატმოსფეროში ცხო-ვრება. მას უნდა დაარღვიოს კრეონის მიერ დადგენი-ლი წესრიგი. ეს წესრიგი მას გულს ურევს. ასე ცხო-ვრება ისმენის ხვედრია, ისმენისი, რომელიც ძალზე კარგად მოეწყო კრეონის კარზე და არაფრის შეცვლა არა სურს. ისმენის გულსისურაიანაა კონკრეტულ-ყოფით ვითარებაში — ესაა მის არსებაში მოფარუნე სინდისისგან პატარა ადამიანის თავდაცვის საშუალებ-ბა. ეტოუდი დაგვეხმარა გავრცევეთყოფით ყოველივე ამისა.

ანტიგონესა და გულშავის სცენა მეორე მოქმედეი-დან: კრეონი იძულებულია სიკვდილით დასაჯოს ან-ტიგონე, ის მალე უნდა მოკვდეს, ქალი დაიბნა, უცებ მიხვდა, რომ მის თავგანწირვას ვერაფერს გაიგებს და ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩნება. ის უკვე თითქმის ფინალია. ამას მოსდევს კიდევ ერთი აღტი-ნება ვენებებისა — და მორჩა, თითქოს, რაღაც გაჩერ-და, მოკვდა, მოძრაობა შეწყვიტაო. რაღაცაში სერიო-ულად გარკვევაა საქმრო. მთავარი ახლა შიგნით, ადამიანის არსებაში, სადღაც ფსიქოლოგიურ სფერო-ში ზდება. გარეგნულად არავითარი მოძრაობა არ იგ-რძნობა, შიგნით კი, ალბათ, განცდებისა და აზრების ყულქანი ბოხოქრობს. ან, იქნებ, იქ, შიგნით, აბსო-ლუტური გულგრილობა და სიციარილება?

მსახიობები ტექსტს წარმოსთქვამენ. ეს ეტოუდი არაა, უბრალოდ, მსახიობები იმეორებენ სცენის ექსტს, მხოლოდ ტექსტს კითხულობენ. ასე არ შეიძ-ება. სინამდვილეში რა ზდება ახლა აქ?

დაე, ეს იყო კრეონის კაბინეტის წინა ოთახი. დაახ, აქობებს. თავისი არსით, ესაა კამერა სიკვდილიმის-ისა, გარეგნულად კი — წინა ოთახია. ჩაფარი თა-ჩვეულებრივ საქმეს აკეთებს — მას პატიმარი ჩა-ეის. ანტიგონე კი რას განიცდის? პირველად. აღ-მარტობისა და შიშის განცდას, შემდეგ გაი-კიდევ. მის გვერდით ჩაფარი რომ შეიფულა — კი მარტო არ იყოს, თორემ შეიძლება შეიშა-დამიანია. რაღაც უნდა გაეცუოს — ახლა ეს არ ჩაფარს, რომ წერილი გადასცეს მეონს. იც გადაუღალავს ბეჭედს, ოღონდ კი არ ჩაფარ-ულბათ, ძალიან ძნელია ასეთი ბეჭედის ჩაუღალავა. რბაც კი გაჭირვებით ვუღალავთ-მეთქი, ვუღალა-ეუმს მსახიობებს. აბა, ყველაფერი თავიდან-ოთ ბორია, — ვეუბნები წიფორეას — ხელი და შეაგდე ეგ ოთახში დაე, ეგ იატაკზე, სა-ის ახლოს დაეარდეს. ამის გამო გამოვინვარდა, მის ლეკვივით მივარდა ჩაფარს. ოიდიპოსის ქა-ეილია არა, ასე ფიცხლად, მძფრად რეაგირება

ჩაფრის უბეზობაზე მინც არა ღირს... ეს წაუტრეტელს მივანებოთ. მაგრამ, აი, შენ რომ ბორკილისგან ნელ-ბი გტოვია, ეს, რასაკვირველია, არაა ადვილი. თმები შუბლზე ჩამოუშვი, თმებში ჩაიხალე, რომ არა-ვინ დაინახო. დაე, მან ცუგოსავით ქაჭვით გატაროს. ბორია, ნახე ერთი, სად შეიძლება ქაჭვის მიბმა. სა-და. პა? იქნება, სკამის სახეფურზე? ნუ მელაპარაკები მე. განაგრძე მოქმედება, მე მხოლოდ გიკარნახებ რა-ღაცეებს, შენ კი იმპროვიზატორე. კარგად თუა ქაჭვი მიბმული, ხომ არ მოგლეგს? ან, იქნებ, სჯობდეს ეს ქაჭვი უბრალოდ შემოვლოთ სკამის სახეფურზე? კრე-ონის ძმისწულის მიმართ ის მინც უფრო რბილია, ისე, ყოველი შემოხვევისთვის. ო, ეგრე, კარგია. ზინა, მანინე ნუარაფრს იტყვი. ბორია, ნუ მოძ-რავი. რაღაც უცნაურ კითხვებს იძლევა ანტიგონე, არა? ფიქრი გამოილეუბს: ამისთანა ბენეტრასთვის ად-გილი უნდა დაეკარგო? გაიხსენე, შემდეგ რაზე ელა-პარაკები ანტიგონეს? შენ, თურმე, ბინაც გაქვს და პენსიაც. მოკლედ, კმაყოფილი ხარ, ორდენის მიღე-ბისა და დაწინაურების იმედს გაქვს.

ზინა, შენ ზელები გტოვია. მთელი ტანი გტოვია. გე-შინია, უბრალოდ გეშინია, როგორც გოგონას... და მინც, ვინმესთან დალაპარაკება სჯობია ყველაფერს. სულერთია, რაზე დალაპარაკები, ოღონდ არ დღუდე,



ოღონდ პასუხად ადამიანის ხმა გაიგონო. შენს პირის-პირ სიკვდილი დგას, ეს გაიფიქრებს. ცდილობ ჩაფარი საუბარში შეიყოლიო. თქვენი საუბარი მრავალმნიშე-ნელოვანი არ უნდა იყოს, ის უბრალოა, ეს მყურე-ბლისთვისაა, რომ თქვენი სიტყვები ფილოსოფიურად აედრდებოდა. შენთვის კი ეს, უბრალოდ, საშინელი პირუმიხგან გადარჩენაა. შენ კი, ბორია, იჭევი შენ-ვის და იცქირე სიციარილეში. იქ, სიციარილეში, არაფერია, სამაგიეროდ, შემდეგ შეგეძლება თქვა, მე არაფერს ვხედავდი-თქო. აი, ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგია. დიდი სისულელე გაწერია სახეზე.

აბა, ახლა სხვაგვარად ვცადოთ. ბორია, შენ მთელი დღე-ღამე არაფერი გეპაშია. შიშხილი არ გახვენებს. როცა ანტიგონეს შემოიყვან და ის იატაკზე დაქდება, შენც ჩამოვდები. ამოიღე გიბიდან ქალღელში შეხვე-ული ბუტერბროლი (ცოლმა შეგიხვია, როცა სამსა-ხურში მოდიოდი) და დაიწყე ჭამა. ანდა, იქნებ, თიხ-ლი სჯობდეს? ქახაქუხით ამტკრიე და ჭამე. თან ან-ტიგონეს პასუხი გაეცი მის სულელურ კითხვებზე. მო-გწონს შენ ესა? მოდა, კარგია. შენა გგონია, რომ ან-ტიგონეც მშვიდია? არა, იმას ახლა ჭამისთვის არა სცხელა. ახლა იმას სულ სხვა ფიქრები უტრიალებს. აბა, მოდი, ვცადოთ. მაშ, ასე, ორი ადამიანი ცხოვ-რობს სულ სხვადასხვა...



მსახიობებმა ეტრუდი დაიწყეს. თავიდან არც მაინც-
დამაინც დატერებულად თამაშობდნენ, მაგრამ თანდა-
თან მეტის გატაცებით შეუყვნენ და ერთის ამოსუნთ-
ქვით ვათამაშეს მთელი სცენა თავიდან ბოლომდე,
გაურტრებლად.

ჩაფარმა კაცები ქაჩვით შემოიყვანა ანტიგონე
ოთახში, სკამზე დასვა და თვითონვე დაქდა. ჭიბიდან
თხილთ ხავზე პარკი ამოიღო, დაუწყო ქვაბ-ჭუბი
მტკრევა და ცოხნა. ანტიგონეს საკციელი წაუხდა,
იატაკზე დაქდა, თავი სკამის საჯდომზე ჩამოიღო,
გრუზა თმაში ჩამალა სახე. მხოლოდ თხილის სკო-
მის ზმა ისმოდა. ანტიგონეს ვაჟრცოლა, შეაცია, მიე-
ლი სხეულის ცახცახს ვერა და ვერ მოერია. ჩაფარი
ფრთხილად, გამალებით იხედებოდა აქეთ-იქით და
თხილის კალღების მტკრევას ვანაგრძობდა. ანტიგონე
ჩუმად აკვირდებოდა. ტიროდა და უუარებდა ეს ტახი
როგორი წკლავუნით ღრწინდა თხილს. შემდეგ გაიუ-
მდა და ჰკითხა:

— მაშ, ეს შენა ხარ?

ჩაფარი გაშეშდა. იფიქრა, გამომიკირსო, შეეშინდა.
— უნა?

— უნასკნელი ადამიანი ვისაც მე ვხედავ. მოდი,
ერთი შეგხედო.

— შემომხედე. მე რა!

შემდეგ საუბარი გაიხა. ანტიგონე ეკითხება ვინა
ხარ, შეიღები თუ ვაჟს, რა გასამრჩელოს ღებუ-
ლობო, ჩვეულებრივი საუბარი მიდის, მაგრამ კათხე-
ვი მაღალი, სასოწარკვეთილი კილოთი დახმობს, პასუ-
ხები კი სანადავდლო, ყოფითი ტონით იცემა. ჩა-
ფარმა გულიც გადაუშალა. შენი დეკრისთვის ძალე
პრემიას მივიღებ ამ ორდენს მომცემენო. შემდეგ ქალს
რამდენიმე თხილი გაუწოდა. ანტიგონემ ანახ ყურად-
ღება არ მიაქცია.

ანტიგონემ, უყბ, სწრაფად-სწრაფად დაუწყო ჩა-
ფარს ძვირფასი ბეჭდის შეძლევა. ჩაფარი გაგულისდა-
ბეჭდის ფასით შეძრწუნებული (ეს ბეჭედი მთელი სი-
მდიდრე იყო!) მოლბა, ცოტა ხანს მერყეობის შემდეგ
ბეჭედი აიღო და ანტიგონეს უთხრა ნიკარანხეო. ქალი
კარნახობს, სიტყვებს ვერ პოულობს, ეპებს, იწვის...

ამ დროს მე მივეცი ნიშანი — ოთახს ვიდაც უა-
ხლოვდება. ალბათ, ჭარისკაცები არიან, რომლებმაც
ქალიშვილი სასახლიდან უნდა გაიყვანონ.



ჩაფარის როლის მოთამაშე მსახიობი შემსიკან
წილად გადაირია — სად დამალობ ბეჭედი ჩემი?
მუნდღირის ჭიბეში? ბოლოს, პანიკით შეტყუარდნა
პირში ჩაიღო და გადაწვეტა გადაეულა. თითო იტ-
ენის ხახში, კინალამ დაიხრჩო. საფეთქლებთან ოფ-
ლის წვეთებმა დააყარა.

ავდეი და მათკენ წავიდა: ჭარისკაცი მოვიდა ან-
ტიგონეს წასაუვანად. ანტიგონე დაიბნა, ჩაფარს წე-
რილის ჩაჩრა დაუწყო, ჩაფარმა კი დაუყვირა და ზუ-
რკი შეაქცია. ანტიგონემ რამდენიმე ნახიკი გადადვა
შემოსულისკენ, შემდეგ შემოტრიალდა, გულგამგმი-
რავად შეხედა ჩაფარს, რაღაცნაირი შესწლოლი ღიმი-
ლით გაუღმა, თვალეში რაღაც ცოფისმარტი ჩაუდვა,
სწრაფად დაქდა და სახე ხელეზით დაიფარა. ეტრუ-
დი დათავრდა (რამდენჯერ დავკვირებვივარ ამ უჩ-
ვეულო წამს, გაუღვებას ჩვეს პროფესიონა, — მსა-
იხილო ამთავრებს თამაშს და ელოდებიან შეფასებას, არ
იცის, თვალეში სად წაიღოს და, საერთოდ, რა გააკე-
თოს, არ იცის, ისევ როგორ ააწყო ჩვეულებრივი
ურთიერთობა რეისობთან, როგორ შეწყვიტოს თამა-
ში. ის უზერხულ დღეშია და ამით შემცბარია. ეს
რაღაცნაირი უმწეობაა. მე ყოველთვის ვცდილობ ჩემს
მხანაგებს ეს წამები შევუმსუბუქო).

ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ეტრუდის შე-
დეგად გამოიკეთა არის მოვლენისა: გაძარცვა დაუცვე-
ლი. უმწეო ადამიანისა.

ეს მართლა ასეა? იქნებ, ერთხელაც ვცადოთ და
ახლა სულ სხვაგვარად? ეს ხომ ბრძოლით დაწვერ-
ვა, — როგორც ოშიში.

...„ანტიგონე“ შეკტიურად პირველი სპექტაკლი
იყო, რომელიც მე ჩემი ამხანაგების გარეშე დავდგი,
თუ გურამ საღარაძეს არ ჩავთვლით. დანარჩენები
სხვა სპექტაკლებსა და კინოსტუდიებში დაიფანტნენ,
ჩვენ „ანტიგონე“ ვმუშაობდით, ჩემს ამხანაგებს კი
როგორც უბრალოდ კარგ ნაცნობებს, ისე ვხედვდით
თეატრში.


მსახიობები ძალზე სხვადასხვანაირად მუშაობენ, რე-
პეტიციებიც კი ერთნი — „სპეცოკეპში“, მეორენი
— „ქალსტუში“. ზოგნი „სულთან“ არიან, ზოგნი —
„უსუფთან“; დავანებთ თავი „სოფოტეს“, ნიკი-
გრნი მათ შორისაც არიან, მაგრამ მე მიზანჩია, რომ
ჩემს გვერდით მუშაობდნენ „სპეცოკეპიანი“ მსახიო-
ბები. ისინი ფანტიკოსები არიან. ყველაზე ადრე მო-
დიან და ყველაზე გვიან მიდიან, რეპეტიციის შემდეგ
შხაას იღებენ, როგორც წარმოებაში მუშაობის შემ-
დეგ, ისინი თეატრში ძიებისა და სწავლისთვის მო-
დიან. თეატრის სიუვარული მათ რაღაც სწეულებასა-
ვით აქვთ შეერკით და უყლებლივ ყველაფერს აქ
თავიანთ საყვარელ საქმეს სწირავენ, თავისთვის, შავ
დღისთვის არაფერს იტოვებენ. ასეთი იყო სერგო ზე-
ქარაიძე.

პირველი, რაც სერგომ „ანტიგონე“ მუშაო-
დაწყების წინ მოთხრა, ეს იყო: კრეონის როლი ახს
ლუტურად „გაუნარვლად“ მინდა ვითამაშოო. ან
მას უნდოდა ეს როლი ეთამაშა გარეგნული ნახარ
და ვნებიაობის თვალსაზრისით უყიდურესად თა
ქერილად. „ნუთუ არ შეიძლება ამ როლის სრულ
აუღელვებლად თამაში?“ მე მაშინვე მხარი დავუქ:
ამ წინადადებას — ვცდილობდი, რომ სერგოს ეს გ
დაწყვეტილება ბოლომდე გაეტარებინა. „ასეთი სურ

ვილი მხოლოდ ოდნავ შეაკავებს მის ბოხოქარ ტემპერამენტს, — ფეიქრობდი მე, — ჩვენი კრენი შედარებით თავდაპირილი და მკაცრი იქნება“.

პირველი რეპეტიციები რამდენადმე გონებით, მშრალი იყო. ჩვენ შევსწავთ მომავალი დიალოგის „ჩონჩხი“, როგორც თვითონ ვეძახდით, „გაგვავდა გვირაბი“ ფსიქოლოგიური კლდეების სიღრმეში, გაგვავდა აუჩქარებლად და საფუძვლიანად. თავიდან უველაფერი ისე იყო, როგორც სერგო ვარაუდობდა, მაგრამ ერთხელ მან სცადა ზინა კერენჩიხილაძესთან ერთად გაველო უყვე გაჭრილ გვირაბში და განზრახული გულცივობიდან იოტის ოდნა კვალიც კი არ დარჩა. სცენის დამთავრების შემდეგ მან დამნაშავე კაცის თვალთ შემოხედა და, თითქოს განაწყენებულმა, იცთხა: „გადავციდი. არა?“ ჩასაკვირველია, თავისი განზრახვა მან ჩაშალა, მაგრამ ეს შესანიშნავი „გადაცდენა“ იყო. მაგრამ სწორედ ამ რეპეტიციიდან დაიწყო მისი წამება. მას უხედავად, რადაც არ უნდა დაქდნობოდა, ეს როლი დინჯად, თავშეკავებულად ეთამაშა, იგი თავის თავს ეკამათებოდა, თავსაც ირწმუნებდა და ჩვენც გვარწმუნებდა, რომ თუ არახებოდა სწორად იღვლეებოდა, ისე, რომ ამ აღელვებას მაყურებლისგან დამალავდა, მაყურებელი მაინც დანახავდა და იგრძნობდა უველაფერს, რისი დანახავა და შეგრძნებაც საჭირო იყო. კარგად უნდა გცნობოდა მსახიობი სერგო ზაქარაიძე და მისი ტემპერამენტი, რომ გაგვგო მთელი ხორთულე ამოცანისა, რომელიც მან თავის თავს დაუსახა. რამდენჯერ „მოწყუდა“ ის, რამდენჯერ დაიწყო უველაფერი თავიდან, ეს თავშეკავებულობა რამდენჯერ დაუჭრა მას განმრთელობის ფასად! საშინელი შინაგანი დამახულებობისა და მუღმევი გარტანული „დამუხრუჭების“ გამო ჩვეულებრივზე ვაცილებით მეტი ძალა იხარჯებოდა. მსახიობი თითქოს რკინის თასმებს უჭერდა საყუთარ თავს, ვნებების ჩანჩქერის გადმოღვრის ნებას არ აძლევდა. აფეთქება, ჩვეულებრივ, სპექტაკლის ბოლოს ხდებოდა. ბოხოქარი ტემპერამენტი, ვნება, აზრი — უველაფერი ერთ გრაფალში იურდა თავს, სერგო გამოვარდებოდა კულისებდამ, სული ეხუთებოდა, ძლიერ ხუნჩქავდა და ისე ამბობდა, თითქოს, თავს იდანაშაულებს: „მეტკარტი შემოძლია, მე ეს მომკლავს, არ მიღდა თამაში“. ერთი კვირის შემდეგ კი სპექტაკლი თვითონ შექცინდა უახლოეს სარეპერტუარო ცხრილში. მას უყვარდა ანტიგონე“.

თავიდან, როცა საბოლოოდ არ იყო გარკვეული საერთო ჩანაფიქრი, სერგო ჩემგან მოითხოვდა, რომ მოქმედება სამუშაო კაბინეტში წარმართულიყო. კრენი მომუშავე მეფეა, ის ხშირად ზის სამუშაო მაგიდასთან „საქაღალდეებსა“ და „საქმეებსში“, სახელმწიფო რუქებსა და გეგმებში. ზაქარაიძე თანდათან კი დათანხმდა გადაწყვეტის მეორე ვარიანტს, მაგრამ ეს პირველსაწყისი მომანახი მანიც დეტავა. მან სჯამი გამოვთხოვა და მასზე თავისი „საწერი მაგიდა“ მოაწყო. რეპეტიციაზე როლის ამდაგვარი „ესკიზები“ მოსვლა საერთოდ მისი დამახასიათებელი თვისება იყო. ჩვეულებრივ, ეს წინასწარი ვარაუდები ადვილად აიცილებოდა თავიდან, თუ იგი უფრო საგულისხმო რეჟისორულ წინადადებას მიიღებდა. მაგრამ რეჟისორის წინადადება არადამაჯერებელი თუ ეჩვენებო-



და, იწყებოდა ხანგრძლივი კამათი. დამანაცველი დავის შემდეგ იგი მოულოდნელად, უტებ ჩუმდებოდა და კატეგორიულად თანხმდებოდა: „მოდი, ვცადოთ, თუკი რეჟისორი ასე დარწმუნებულა, მოდი. ვცადოთ“. ამ დიდებულ წუთებში ვლინდებოდა მისი ნამდვილი სიუპარული ხელოვნებისადმი. ის ასრულებდა ჩანაფიქრს, რომლის წინააღმდეგაც ეს-ესა გამოდიოდა. ასრულებდა გატაცებით, ენთუზიაზმით. სხვისი ჩანაფიქრის ბოლომდე ცდის წუწურულით. სხვა მის ადგილზე უზარალოდ გააფუჭებდა რეჟისორის ჩანაფიქრს, დაამტკიცებდა მის უფაფუძვლობას. სერგო მთელი ძალით ცდილობდა განსახიერებინა იდეალური ვარიანტი ამ ჩანაფიქრისა — რომ ან საბოლოოდ უარი ეთქვათ მასზე, ან საბოლოოდ მიეღოთ. მასთან მუშაობა ძალზე ძნელიც იყო და, იმადროულად, ძალზე იოლიც გახლდათ. ძნელი იმიტომ იყო, რომ, როცა რეპეტიციაზე გამოიძახებდით, არ შეიძლებოდა „დაახლოებით“ მომზადებული უოფილიაჟით. საჭირო იყო აუცილებლად მასზე წინ გველოთ. იოლი კი იმიტომ გახლდათ, რომ მის ირგვლივ, მისი მოსვლის პირველი წამიდანვე აქტიური ატმოსფერო სადგურდებოდა. იგი უოველთვის სასტარტო გასროლის მომლოდინე სარტმენივით იყო. მშვიდი, წუნარი წუთები მას არ ტყონდა. უოველთვის ის იყო რეპეტიციით გათანაგული, თითქოს ეს მისი ცხოვრების რომელიმე მთავარი, უმთავრესი რეპეტიცია არისო. მისი ორთაბრძოლები ზ. კერენჩიხილაძესთან „ანტიგონეს“ მომზადების პერიოდში იყო, ჩემის აზრით, კუმარტი სკოლა ქმედითი ანალიზისა და მე ის მაძრწუნებდა, რომ არსებითად, საწინააღმდეგო მეთოდოლოგიური სკოლის აღზრდილი მსახიობი იოლად და ელვისებური სისწრაფით ეზიარებოდა სტანისლავსკის დიად აღმოჩენას.

კრენისა და ანტიგონეს თითქმის ორმოცწუთიანი დიალოგი ნამდვილი ბრძოლა იყო. რაც უფრო აქტიური ხდებოდა კრენი-ზაქარაიძე, მით უფრო დაუთმობელი, ჭიუტი ხდებოდა ანტიგონე-კერენჩილაძე. სპექტაკლის შემდეგ, გაწამებულ, ქანცაკლილ, თითქმის რამდენიმე კოლოდაკლებულ, ჯერ კიდევ სულმოუთქმელ სერგოს რამდენჯერ უთქვამს:



ზინა დღეს სწორად თამაშობდა. იგი ამოსუნთქვის საშუალებას არ მძღვედა, ნადირის ლეკვსავით მავრინდებოდა! რა შესანიშნავი შეგრძნებაა!”

ოტია იოსელიანის პიესაზე „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მუშაობა სერგოსთვის ამ წაწარმოების თეატრში მიღებამდე დიდი ხნით ადრე დაწყო. სერგო თვითონ მუშაობდა დრამატურგთან. ის ყოველთვის თანამშრომლობდა ავტორებთან, ხალისით მოქმედებდა ამ, მსახიობებისთვის ჩვეულებრივ შორეულ სფეროში. ის მუშაობდა ლ. გოთუასთან, ო. იოსელიანთან, რ. თაბუკაშვილთან, ხ. ულენტან. მათთან ერთად მსჯელობდა წაწარმოების აზრზე, მათ თვალწინ იმპროვიზაციულად არაერთგზის წარმოაჩენდა როლის ნაწევრებს. ისმენდა პიესის ვარიანტებს, ალტაცებული რჩებოდა მარჯვე მიგნებებით და ძალზე მწვავედ განიკლიდა წარუმატებლობებს. ამ საკითხებით იხე იყო შეუპორობილი, თითქოს უამისოდ ხელოვნებაში ყოფნა შეუძლებელი იყო.

სერგო ხალისს გულიდან გამოსული კაცი იყო, კარგად გაცნობდა და იცნობდა თავის ერს, იცოდა, რა აღელვებდა ადამიანებს, რითი სულდგმულობდნენ ისინი. და მთელ ამ სიმდიდრეს იგი უხვად უნაწილებდა მწერლებს. „ურემის“ რეპეტიციაზე როგორღაც მიიხზრა, „ყოველ ქართველში, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, ღრმადაა ჩანერგილი მიწის სიყვარული. ჩვენმა სპექტაკლმა უნდა გააღვიძოს ეს ჩათვლილი გრძნობა, მთავარი ესაა“.

როცა მას როლი გაიტაცებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ უკვე მოფიქრებული ჰქონდა ის, რისი ვადმოცემაც უნდოდა. ყოველთვის ჟნდოდა ექა და გნა სცინიდან, — ყველაზე მნიშვნელოვანზე ელაპარაკა არა ნელ-ნელა, აუღელვებლად, სხვის სიტყვებს ამოფარებულად, არამედ თავისი როლის მთავარი აზრის აქტიურად ხაზგასმით. იგი როლს თანდათან როდი ესისხლბორცებოდა, არ შეეძლო ცდა, ვიდრე რაღაც როლისმე მოვიდოდა. იგი უცებე იწყებდა ნამდვილი აზრითა და ძალით სცენური სახის ძერწვას. თავდავიწყებითა და თავისი თავის მიმართ შეუბრალებლობის ნიშნით იყო აღბეჭდილი მისი მუშაობა როლზე, თითქოს, თავის გრდემლზე რაღაცას ჰედავსო,

თითქოს, თავის გაეზარებამდე გაზურბულ სხეულსა და სულს უროს სცემსო. იგი ჰედავდა თავის უცნაურ, ჰემარტიკად როდინსებურ გმირებს. ის უროს სცემდა შეუსვენებლად, შევიწყო ოფლას ჰედენმდე. სცემდა დაჭერებით. ბოლომდე.

აგაბოს როლში ძალზე ივენეულად იცავდა თემის ზუსტ მიმართულებას. ის ჩქარობდა. ჩქარობდა, რომ რამაზე გასულიყო, მაყურებლის პირისპირ დამდგარიყო და მისთვის ეთქვა. „ჩემო შეილებო, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, დაბრუნდით შინ და თქვენს მიწაზე დაემკიდრებით“. ეს მისთვის თითქმის წმინდა, ცხოვრებაში ყველაზე მთავარ მოვალეობად იქცა. რაღაცნაირი სხვაანარი ციებ-ციხლება შეუდგა.

შევენებოდა, რომ პიესის კონსტრუქცია აშენებული იყო მაინც ანგდოტურ შემთვევაზე და ამიტომ საჭირო იყო ისეთი გრძნობათა ბუნების მოცენა, რომელიც გაამართლებდა ამ პირობით სიტუაციას. მე მიმანდა, რომ მოცემულ შემთვევაში იდეა უნდა მოგვეწოდებინა ოდნავი დამილით, თითქმის ხუმრობით, მაყურებლის თავზე რამის მოუხვევლად. მისთვის ჰქუის დარეგებლად. სერგო ყველაფერში გვეთანხმებოდა. მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ იგი მხოლოდ გრძნობთა, ჰქუით გვეთანხმებოდა. ამ დროს კი მისი სული პროტესტს აცხადებდა. პროტესტს აცხადებდა სული ადამიანისა, ვინც მიწის ფასი იცოდა და ვინაც გული სტეიოდა იმის გამო, რომ მიწა მიმხედავის გარეშე რჩებოდა. იგი მორჩილად აგებდა აგაბოს როლის ლოგიკას რუისორის ჩანაფიქრის შესატვისსა. მაგრამ უმცირესი შესაძლებლობითაც სარგებლობდა, რომ ამბოხებულიყო დარბაზში მსხლომი „შვილებს“ წინააღმდეგ. რაც უფრო აქლოვებოდა გენერალური რეპეტიცია, მისი ასეთი „დედრსიებია“ სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა. ხოლო პრემიერაზე სპექტაკლის ფინალში სერგო ზაქარიაძემ თავისი მაინც ჰქნა. იგი პირდაპირ რამაზე გამოვიდა და თქვა „შვილებო, ასე ცხოვრება მეტად აღარ შეიძლება...“ მხოლოდ უზარმაზარი რწმენა ასეთი წმინდა პუბლიცისტური, თითქმის ჰქადაგებლური აქტის აუცილებლობისა, მხოლოდ იმის უდიდესი რწმენა, რომ სწორედ მას, მსახიობ სერგო ზაქარიაძეს უნდა ეთქვა ეს სიტყვები თავისი ხალხისთვის. მხოლოდ მზურვალ რწმენა მხატვრისა, რომ თეატრი სახალხო იდეებისა და იმედების ტრიბუნაა, თუ გახდინენ ასეთ ფინალს დამაჭერებლად და ემოციურად. სერგო ზაქარიაძე მიერი მაშინ წარმოთქმულ სიტყვებში ჩაქსოვილი იქაზის მისი არსებობისა, მისი ღრმა ოცენება, მოქლაქეობრივი საქციელი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ტექსტში ჩართულია მ. თუმანიშვილის ნახატები

ნივთებისავე მიძვრება. უველას მაინც და მაინც დოქტორობა და პროფესორობა უნდა. ლაზერის დანადგარს უფრო იოლად იშოვი, ვიდრე უბრალო შორბლის გამკეთებელ კაცს. (კატალონსკის) აი, თქვენი დიდი მეცნიერები ბრძანდებიან...

პარასოლკა. (ცლილობს მდგომარეობის განმუხტვას). რას იტყვით, ამდენი შრომის შემდეგ, რომ...

კატალონსკი. რა თქმა უნდა! არც ახლა დამოწმებულია. მწვალები უკვე იწეება. ახლავ დავრეკავ... (კატალონსკი იღებს ტელეფონის ყურმილს, მაგრამ ნომრის აკრეფას ვერ ასწრებს. შემოდის სტანოვოი. მას შეთევვის ტანსაცმელი აცვია. ერთ-ერთ ანკესზე ციკნა ცომბოი კონწილობს. სტანოვოი ვერანდაზე ყრის ანკესებს, ქურთუკს, იწეებს ჩექმების გახდას. მასთან მიირბენს პარასოლკა, ეხმარება).

კატალონსკი. (ხელით მოსინჯავს ციკნა ცომბოს). როგორ ითვხავით, ბატონო ფედორ?

სტანოვოი. მარიანა! საქაროდ გამოითქან კოსტუმი და სედუქსენი! ო, ღმერთო! (სახლს მიმართულებს, მაგრამ გზაში შეჩერდება). კი მაგრამ, აქ რა გინდა, რა მოხდა?

პარასოლკა. მოვახსენებთ: ლუდოვიკო მეთოთხმეტე ჩამოვიდა. ერთი სიტყვით, ქალბატონი მარიანა ავექს ცვლის. მეც აქტივს ვიზოვებ...

სტანოვოი. გავედი, რა დროს ლუდოვიკო! მე ახლა ამხანაგი პოდპრიგორა მელოდება. მარიანა! მარიანა-ა! (შუბლმკერული სტანოვოი სახლში შედის).

პაროკონი. გული მიგრძნობს. გაავადრდება.

კატალონსკი. მე წავედი, საქმე მიდგას. საერთოდ...

სტანოვოი-სხმა. ლავრენტი! (პარასოლკა მაგილიდან საქალაღდეს აიტაცებს და ოთახში შერბის).

სამოკრუტი. ისევ მე მომხვდება... (კატალონსკი). უველაფერი კი თქვენი ბრალია. მომსახურებაზე იმდენს ილაპარაკებთ, რომ... ისე, კაცმა რომ თქვას, რა მოხდა? მე თქვენს დისგრაციაში რომ არ ვერევი? მამ, კეთილი ინებთ და ნურც თქვენ ჩაერევით... ცხვირს ნუ ჰყოფთ სხვის საქმეში!

პარასოლკა (გამოვარდება ოთახიდან). მონაცემები... მონაცემების ოთხოს!

პაროკონი. რის მონაცემებს?

პარასოლკა. უველანარს! ბატონი ფედორი სოც-შეიბრების თათბირზე გამოუძახებიათ.

კატალონსკი. ღმერთო, რა დროს თათბირია! დღეს ხომ დასვენების დღეა.

(სტანოვოის ხმა: ქრისტეფორ, ჩქარა, გელოდები!) სამოკრუტი (მიირბენს ოთახის კართან). კოლმეურნეობამ გეგმა დადაპარებით შეასრულა! ის კი თქვენც რომ იცით, ვერ შესრულდა... მაგრამ... (პარასოლკა მაგიდას მიუჯდება, რალდას იწერს)

სტანოვოი-სხმა. გრიგორია!

პაროკონი. ასი და ორი მეთაფი! სამი და სამი მეთაფი... ბურთულოვანმა საკისრებმა იმედი გავცურა. სამხვე სამპრო გავაჩერეთ. უველა მეცნიერებისავე მიძვრება. საკისრებს ვერ ვშოულობთ. მაგრამ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ და იმედი...

(ვერანდაზე გამოჩნდება სტანოვოი. რამელიც გზა-გზა იკრავს პერანგის ღილებს. მისი გუნდადევს მოსდევს მარიანა, მოაქვს ჰაერს, ხეხუბს სტანოვოი (მოდის კატალონსკის ფეხსაცმელი) ვეფრეტის გეგმის შესასრულებლად რა პერსპექტივა ჩანს? კატალონსკი. პერსპექტივა კი ჩანს, მაგრამ ნედლეული გვიჭირს. შშრომელებს უაღკომლო გასმელები დაეკალით, მაგრამ მდგომარეობის ხას-სასწორებლად ჩვენც უველ დონეს ვიხმართ.

პარასოლკა. ჩავინიშნე.

სტანოვოი. ფეხსაცმელი, პიჯაკი! (პაროკონის მოაქვს პიჯაკი, კატალონსკის — ფეხსაცმელი).

მარიანა (ქმარს პასტეის უტრავს). რა დაგეგმართა, ერთ წუთს შოვიდა გაჩერდი. ამ კვირა დღეს ნეტა რა თათბირი აუტუდაო!

სტანოვოი. ხელმძღვანელობა მიბარებს. ზემო და ქვემო მოკოსხბ შორის სოცუეიბრების შედეგები უნდა იხილონ. ერთი საათი ვერ ვითვეზავ. გაიხვად, შოფერი მობრბის. ვიბარებენო! ლავრენტი, საბუთები პორტფელში ჩააწყ. ოპ, წვერიც გასაპარსი მქონია, ჩქარა, საპარსი მომიტანეთ!

(პარასოლკა ოთახში შევარდება და საპარსს გამოიტანს).

მარიანა. ერთი დღე მაინც დაგასვენონ! რას შევბი, ისევ ჩექმებს იცვამ? (სტანოვოის ართმევს ჩექმებს). ვერ ბედავ, ფეხსაცმელი მოგიტანს! (პარასოლკა ჩართავს ელექტროსაპარსს. სტანოვოის ფანჯრისკენ ექანება).

სტანოვოი. რა გინდა, რას მექაჭურები?!
პარასოლკა. ხომ გაგიგონიათ, თვალი სვამს დ თვალი ქამო. უფროსებს გაპრიალებულ-გაუთავებულში უნდა ეახლო. (პარასოლკა სტანოვოი წვერს პარსავს, პაროკონი და კატალონსკი ფსაქმელს აცემვენ).

სტანოვოი. (პარასოლკას ხელიდან გამოგლეჯს პარსს). სად მარსავ, დაბრმავდი?!
პარასოლკა. მასეთი ხომ არ გნებავთ? გუშინ წავლევ.

სტანოვოი. მასხვს თათბირზე გამოკეთებენ (მოა-მის მანქანის საყვირის ხმა). ეშმაკა დაღახვროს დამავვიანდა!

სამოკრუტი. ბატონო ფედორ, არ იწერვილონ უფროსებს პირდაპირ თვალბუმი უქპირთ რ ხმამალა ილაპარაკეთ. ნაცადი ხერხია.

პაროკონი. ბურთულოვანი საკისრებიც ახსენ-ჩენ უველ დონეს ვხმარობთ, მაგრამ გე: მაინც ვერ ვასრულებთ, უველა მეცნიერების მიძვრება-თქო.

კატალონსკი (პაროკონის სიტყვას აწყენებს). მეცნიერულ-ტექნიკური რვეოლუციაც იშველიეთ.

სტანოვოი. მჩჩევლებო, მაგდენ ლაპარას ის გა-ჩივანთ, უკეთ გეშუშავთ. მარიანა, აქ ლუდოვიკო არ დამანახო! გასაგებია?! (გაღის).

პარასოლკა. ოპ, პორტფელი, პორტფელი დაგავ წუდავ... (პორტფელს ხელს დასტაცებს და სტანოვოის გაეილება). (პაუზა. ყრუდ ზუზუნებს სტანოვოის მიერ მავ-

ღაზე დაგდებული საპარსი. ბრუნდება პარასოკა, ამოიხრებს და სკამზე დეშევა, ფიჭიანად დისცქერს საპარსს).

კ ა ტ ლ ა ნ ს კ ი. მე ბიბლიოთეკაში მენჭარება, საქ- მის მოვწყვი.

პ ა რ ო კ ო ნ ი. მეც წავალ, საძებვე საამქროს დახე- დაყ უველა შეცნირებისკენ მიძვრება, უბრალო საკისარს კი... (ხელს ჩაიჭენებს).

ს ა მ ო კ რ ო ტ ი. ქალბატონო მარიანა, მანქანა მა- ლაზისთან დაგხვდებათ.

(კატლონსკი, პაროკონი და სამოკრუტე მიდიან).

მ ა რ ი ა ნ ა. სულ დამაიწყდა, ქრისტეფორისთვის შეთვა, ბოლოს და ბოლოს მოვრან ეს ნეკერჩ- ხალი. ხედს გვიმახინჯებს. ლავრენტი, ლავრენ- ტი, ჩაგემინა?

პ ა რ ა ს ო ლ კ ა (ამოიხრებს). არა, არ მინავს. ბა- ტონ ფედორის გამო ვნერვიულობ (წამოდგება და საპარსს გამორთავს). გაპარსვა ვერ დაამთა- ვრა. ძნელი ყოფილა პირველკაცობა.

მ ა რ ი ა ნ ა. ნეტა რა გუნებაზე ხარ? ახლავე „ავეჯ- ზი“ გავარდა და უთხარი, სასწრაფოდ გამომიგ- ზეონი ლუდოვიკო.

პ ა რ ა ს ო ლ კ ა. ამ წუთში იქ გავჩნდები! (ქუსლს ქუსლზე მიადგამს და მიდის. შემოსწრებული სვეტლანა მას აღტაცებულ შხერას გაყოლებს).

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. ოჰ, როგორ შიამიკებს! სწორედ მისი უდიდებულესობის ადიუტანტს ჰგავს! გახსოვთ, მკორე სერიაში...

მ ა რ ი ა ნ ა. ლავრენტიზე ამბობ? სვეტლანა, რა დაგე- მართა?

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. ოი, ნუ მკითხავთ, ქალბატონო მარიანა, ვიწვი.

მ ა რ ი ა ნ ა. დიდი ხანია?

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. მესადე კვირაა. გახსოვთ, ქრისტეფორმა დაბადების დღე რომ გადაიხადა? ჰოდა, იმ საღა- მის შემდეგ... თქვენ, მაგიდის თავში, პრეზიდენ- ტში ისხდით, მე და ლავრენტი კი, ფიქუსის უკან...

მ ა რ ი ა ნ ა. მერე, მერე?

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. თავიდან მშვიდად იქდა...

მ ა რ ი ა ნ ა. გამაგებინე, რა მოხდა?

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. მერე მომიჩინდა და ჩურჩული და- მიწყვი: სად, სად მქონდა თვალებიო. ეგ კიდეც არაფერი. მწვადები რომ ჩამოარიგეს, ახლა ის გაუყვარდა, აქამდე უშენოდ როგორ ვცოცხლობ- დიო. ინდურის შემდეგ კი პირდაპირ განმიც- ხადა, ჩემს პოზიციას გადახედავ და უახლოეს ხანში დაუბრუნდები იმ საკიბოსო. ექვსი კვი- ზედიზედ დალბა ჩემი სადღერძელო. მერე სახ- ლამდე მიმაცილა და ქიშკართან დაეცა.

მ ა რ ი ა ნ ა. დაეცა? ბევრი დაუღლივია. ალბათ, საქ- მელს არ ატანდა ეგ საწუალი.

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. არა, მუხლებზე დაეცა.

მ ა რ ი ა ნ ა. რაო, მიყვარხარო?

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. ჩემს პოზიციას გადახედავო.

მ ა რ ი ა ნ ა. მერე რა ჰქნა, გადახედა?

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. ჭირ არ ვიცი. სწორედ ეგ მტანჯავს.

მ ა რ ი ა ნ ა. ეგერ ხომ მთლად ჩამოდნები.

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. განა რამდენილა დამარჩა... ორმოც წლა- მდე დიდი-დიდი ერთხელ კიდეც მეწვიოს სიყვა-

რული. მერე რაღა ვქნა?

მ ა რ ი ა ნ ა. ნუ გეშინია, მაგ ადიუტანტს შე მოვიტო- რე!

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. მაშ, თქვენ იმედზე ვიქნები... (სვეტლანა ქალბატონო მარიანა, ძალიან გთხოვთ, ფრთხილად მიუღვიეთ.)

მ ა რ ი ა ნ ა. ეგ მე არ შემეშლდება.

(ლობის გადღმოდან ისმის გიტარის ხმა და სიმ- ლერა. აუფლდება ძალილი).

მ ა რ ი ა ნ ა. შენი ძმა მაგომაეცხავით მღერის.

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. ჩემი პეტია მხოლოდ შინ მღერის, ახ- სელ ხომ... (ნურჩულით). რეფერენტია!

მ ა რ ი ა ნ ა. მართლამ? მერე რას აეთვებს?

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. დერეფანში სულ საქალღდეებით ხე- ლში დაღის! ადრე ოთახში ოთხნი ისხდნენ და ოთხივეს ერთი ტელეფონი ჰქონდა. ახლა კი დიდი, ნათელ ოთახში მარტო ორნი არიან და ორივეს საკუთარი, პრაილა ტელეფონები უდ- გათ. ერთი სიტყვით, თვითონ არიან უფროსები.

მ ა რ ი ა ნ ა. მერე ქალის თხოვა აღარ აპირებს? მგო- ნი ორმოცს აღარაფერი უყალია, არა?

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. ეჰ, წლები საოცარი სისწრაფით გარ- ბის, ქალბატონო მარიანა. ფოსტაში მუშაობა რომ დაიწყე, სულ პატარა გოგო ვიყავი. რამ- დენს უყვარდი! მე კი თერც ცხენზე ამხედრე- ბული უფლისწულის გამოჩენას ველოდი. მერე კულმა გავიციანი, დედაჩემს ძალიან მოეწონა. კუ- ზმა კი ფროსკამ, მაშინ გასტრონომში მუშაობ- დან. შეიძლება ითქვას, პირდაპირ მშაინს ბიურო- დან მომტაცა და შეპეტოკვაში გახიზნა. დედაჩე- მმა ცუცხლი მოყიდა, კუზმას დაბრუნებას ით- ხოვდა. შეპეტოკვაში ფროსკა რესტორნის დირე- ქტორად მოეწყო, მანტოში გამოწყობილი დაბრ- ძანდებოდა ქალბატონი, კუზმაც თავისიანი დას- ვა საწყობში. მიყვიდა, კუზმამ რაღაც არაბუნებუ- რად ჩაიციხა და განმიცხადა, წავიდა სიყვარუ- ლიო. აი, ჩემს პეტიასაც ბედი არა სწყულობს. ქალები მოხვენებას არ აძლევენ, მაგრამ საიღმ- ლოდ გეტყვიო, მხოლოდ ერთი უყვარს და იმა- ლე ოცნებით სანთელავით დნება.

მ ა რ ი ა ნ ა. არ გამაგებო.

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. მეო, მისწერა, მიყვარხარ და შენი ხა- ტება მინათებსო.

მ ა რ ი ა ნ ა. მინც რასაო?

ს ვ ე ტ ლ ა ნ ა. ვერ გავარჩიე. ბოლოს ასე ეწერა: შე- ნი ხატება სამარეშიც თან წამუყვებაო.

მ ა რ ი ა ნ ა. ობროდი ყოფილა ეგ შენი ძამა! ურ- ჩიე, ის რაღაც ხატება მშაინს ბიუროში გაყო- ლოს. ვერც ის გოგო იქნება მთლად დალაკე- ბული. ქალს საოლქო რეფერენტს ჰკავდეს შეუ- ვარებელი და დასამარებას უპირებდეს! (შემო- დის ანკა. ქალიშვილს აცვიოა მატარებლის გამცი- ლებლის ფორმა, მხარზე სამეზავრო ჩანთა ჰკი- დია).

ა ნ კ ა. ავეცი გადაყარეთ? ჩანს, ლუდოვიკომ თავისი გაატანა. (მარიანას) მამაჩემს ვერ გადაურჩები. გამარჯობათ!

მ ა რ ი ა ნ ა. კარგი, დამშვიდდი. ამა რა ვქნა, თუკი ჩვენსას მინც უცხოური სჯობია. შენ ის გვიო- ხარი, რად დაიჯივანე?

ანკა. ლიტერატურულ გაზეთს არ კითხულობთ? ჩვენი სახელოვანი გზათა სამინისტრო ძველებურ ცხოვრებას ვერ ელვება.

სვეტლანა. ვერაფერი გავიგე.

ანკა. გაუგებარი არაფერია. გზათა სამინისტრო ისევ ძველი პრინციპით ცხოვრობს: შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მოდიო. ახლა ერთ კვირას ვინა-ვარდებ, მერე ლენინგრადასკენ გაქვუსვალ. (დღესათან მიღის) მოგენატრე?

სვეტლანა. ერთ სულერს ისე ენატრები, ადგილს ვერ პოულობს.

ანკა. რეფერენტი ჩამოვიდა?

სვეტლანა. სამი დღეა.

ანკა. ავარაგზე აპირებდა წასვლას. გადაუფიქრია.

მარიანა. შენ საიდან იცი?

ანკა. ტაიასგან არაფერი იხსნის?

მარიანა. გუშინ დეგეშა გავუგზავნე.

ანკა. კარგი გიქნია. ჩვენი „უიგაული“ რა დღეშია? ქვემო პოკოსში უნდა ჩავიდეთ.

მარიანა. გუშინ საბურავი ლურსმანმა გამიხვრიტა.

სვეტლანა. პეტიას ვებტყვი, უცებ გამოცვლის.

ანკა. მამა სად არის?

მარიანა. სად უნდა იყოს. თათბირზეა.

სვეტლანა. წავალ. პეტიას ვებტყვი საბურავი გამოცვალოს. (სვეტლანა გვერდზე გაიყვანს მარიანას. ეჩურჩულდება).

მარიანა. დამშვიდდი, ადიუტანტ, ისე მოგიჩტლებ, ვეღარ იცნო. სიტყვა სიტყვა! (სვეტლანა გაღის).

ანკა. რას გესაიღუმლებოდა?

მარიანა. ოი, ნულარ მკითხავ! აქ ისეთი ამბები დატრიალდა... გაგაუღებში!

ანკა. მაინც?

მარიანა. ოღონდ, ჩვენ შორის დარჩეს, სვეტლანა პარასოლაზე უოფილა შევევარებული. პეტიას კი, იგი ახლა რეფერენტად დაუწინაურებიათ, ვილაცის საფლავეში ჩაყოლება ჰქონია გადაწყვეტილი.

ანკა. ჰო-ო...

მარიანა. მერე რას აპირებ?

ანკა. მე? არაფერს.

მარიანა. დაფიქრდი. ყველაფერს რომ თავი დაკე-ნებოთ, რეფერენტს უარი არ ეთქმის. მთელი სი-ცოცხლე ამ პოკოსში აპირებ ჯდომას?

ანკა. დაიწყე? სკობია ის მითხრა, ჩვენმა უარ-ყატებმა ბუდე რად შიატოვეს?

მარიანა. ალბათ, სხვაგან აიშენეს.

ანკა. უარყატები მხოლოდ კეთილ ადამიანებთან ცხოვრობენ.

მარიანა. შენი აზრით, ჩვენ ბორცვები ვართ?

ანკა. (ფიქრიანად). იქნებ ცუდად ჩვესოვრობთ? მხო-ლოდ ჩვენითვის...

მარიანა. ძალიან ცდება, აი, შეხედე მამაშენს, დღეს ხომ კვირაა, დასვენების დღეა, ის კი თათ-ბირზე გაიქცა. შენი აზრით, ამას მხოლოდ ჩვე-ნივის ცხოვრება ჰქვია?

ანკა. გამოიძახეს და გაიქცა, აბა, რას იზამდა. სე-რთოდ, ძალიან გამოიყვალა მამაჩვენი.

მარიანა. გრცხვენოდეს! შენ როგორ გგონია, ამ თანამდებობაზე ამდენი წელი უოფნა არაფერს

ნიშნავს?! ხალხიც აფასებს. კეთილი კაცია, უბ-რალოდ არავის აწუენინებს, გზაზე არავის გადა-ელობობა.

ანკა. ზოგოვებს უნდა გადაეღობონ კიდევ. ჩვენ ის ცხოვრობთ, თითქოს გაყინულ მდინარეზე მივაბიჭებდეთ. უნიღლი ალაგ-ალაგ სვლება, მამა კი იმ ნაპარლებს აწებებს. ჰოდა, უცხო თვალის-თვის ყველაფერი რიგზეა, სიმშვიდეა.

მარიანა. რომ არ აწებებდეს, ღმერთმა უწყის, აქ-ურობა რას დაემსგავსებოდა. ახლა ასეთი დრო დადგა. შენ მაგ ფიქრებს თავი დაანებე და სა-კუთარ ცხოვრებას მიაქციე ყურადღება. პა-ტარა ხომ აღარ ხარ, გთხოვდი, ოჯახი შექმენი.

ანკა. აღარ შემძილა... ნეტა, სადმე გასაქცივი მქო-ნდეს!

მარიანა. ერთი უკვე გავციქა. შენც ადექი და გაიქციე. კალიმა არ მოგწონს? (პაუზა). პეტია გარაჟსკენ წაიდა. მგონი, შენზე სერიოზულად ფიქრობს. არა, ცოტა ახალგაზრდა რომ იყოს... მაგრამ რეფერენტები ასე ქურაში ხომ არ ურია. (შემოდის პარასოლა).

ანკა. (გულგრილად). ჩემთვის მაგას მნიშვნელოზა არა აქვს. არც ახალგაზრდა მინდა და არც ბებერი (შედის სახლში).

პარასოლა. ქალბატონო მარიანა, იძულებული ვარ მოგახსენოთ: ლუდოვიკო მეთოთხმეტე აღარ არის.

მარიანა. აბა, რა იქნა?

პარასოლა. პროკურორის ცოლმა წაიღო.

მარიანა. რაო?! ჩემზე დაბალი ღობე ვერაჟინ ნა-ხეს?

პარასოლა. ბატონ ფედოროვს თათბირის წინ მღაზიამ შეუვლია და დირექტორისთვის უთქ-ვამს: თქვენს ლუდოვიკოს რა თავში ვიხლიო! პროკურორის ცოლი თურმე ორი წელია რიგში დგას, დირექტორსაც იმისთვის დაურეკავს.

მარიანა. ჰოდა, ახლა შენმა ბატონმა ფედოროვმა იატკაზე დაიძინოს. სხვა რა ავეკი აქვთ?

პარასოლა. შეშლა დარჩათ. წლის ბოლომც ლიმიტი ამოწურულიაო. უკანასკნელი გარნიტურ-ორი დღის წინ წაუღია გაქირავების ბიუროს. (შემოდის რეფერენტი, აცვია ჯინსის შარვალი, უყვითა შავი სათვალე. ეტყობა, ცდილობს თავის „რეფერენტულ“ წლებთან შედარებით ახალ-გაზრდულად გამოიყურებოდეს. მიღის მარიანას-თან და თავაზიანად ხელზე ემთხვევა. მარიანა! სიამოვნებს ასეთი ყურადღება).

რეფერენტი. უსახლგროდ ბედნიერი ვარ, რ გუხვადეთ, ქალბატონო მარიანა.

პარასოლა. (რეფერენტს გაუბედავად უწვიც ხელს). გულით გილოცავ... პეტია... თქვენ... ბ ტონო პეტრე, დიდ თანამდებობას, რაიც... რა თქვენ...

რეფერენტი. გმადლობ, გმადლობ, მეგობარო. ქა-ლბატონო მარიანა, საბურავი გამოვცვალე. ანკა სად არის?

პარასოლა. ოდესღაც ერთ მერხზე ვისხედით.

მარიანა. რა კულტურული კაცია, რა თავაზიანი!



პარასოლკა. ოდესღაც ყველა პეტკას ვეძახდით. საშინაო დავალებებს სულ ჩემგან იწერდა. გუნდში კი კარგად მღეროდა.

მარიანა. რა მშვენიერი ხმა აქვს!
პარასოლკა. მაგის ადგილზე მეც კარგად ვიმღერებდი... მე რა მაქვს სამღერი.

მარიანა. ლავრენტი. მაგას ნუ იტყვი, ბატონი ფედორი ძალიან გაფასებს. უშენოდ თავი ვერც წარმოუდგენია.

პარასოლკა. ემ, ბატონი ფედორი რომ არა, ამ პროვინციაში ერთ დღესაც არ გაჯერდებოდნენ. სადმე კინოშეჩვენებდა მაინც მოვეწყობოდი. (გაისმის ტელეფონის ზარი).

მარიანა (ღიღეს ყურმილს). ალო, ფედია, შენა ხარ? კი, აქ არის. ახლავ.

პარასოლკა (ართმეცს ყურმილს). ყურადღებით გასმენთ, ბატონო ფედორი! მესმის, მესმის... ქალაქს რამდენი წელი უფროსდებოდა? ახლავ შევა-მოვწმებ. რეკორდები ვნახე. ქალბატონ სვეტლანას ვესაუბრე. დაბადების დღესვე ახლავ ვაკე-ქვეყი (ღიღეს ყურმილს). სასწრაფოდ უნდა შევტოვო აქტივი.

მარიანა. ლავრენტი, სვეტლანას რაზე ესაუბრე?
პარასოლკა. ბატონმა ფედორმა დამავალა. სვეტლანას დახმარებით. იქნებ, რეფერენტმა ასფალტ-ტი გვაშოვნინოსო.

მარიანა. სვეტლანა ასფალტს კი არა, გუდროსაც არ დავამადლის. ამხანაგო პარასოლკა, გოგოსთვის თავ-გზა ავიბნევია!

პარასოლკა. ფიქრდაც არ მქონია. მხოლოდ ასფალტი...

მარიანა. მუხლებზეც ასფალტის გამო დაუჩოქე?

პარასოლკა. ქალბატონ მარიანა, ხომ იცით ჩემი ამბავი, მხოლოდ დღესასწაულებზე ვხვამ. დღისი არც დამეღევა. წონასწორობას მაკარგვინებს. „კაბერენე“ რომ დავღვევ, დაჩოქება კი არა, უარესის გაკეთება შემიძლია. აი, ახალ წელს სწორედ „კაბერენე“ მქონდა დაღვეული. ვიღაცას მოტოციკლი ვათხოვე და აქამდე ვეძებ. იმ საღამოს კი ბატონ ფედორის დავალებას ვასრულებდი.

მარიანა. ლავრენტი, სიტყვას ბანზე ნუ მივადებ. რა შეუშია მოტოციკლი. იმდენი ხალხის თანდასწრებით ენად რომ გაიკრიფე, იმაზე რატომღა აღარ დაფიქრდი, რას იტყოდა ქალაქი?

პარასოლკა. უკვე მთელმა ქალაქმა იცის?

მარიანა. ხალხს ვერაფერს გამოჰპარებ. რახან ფიქუსს უფან იხედვით, ვერავინ შეგამჩნევდათ? მთელი ქალაქი მის ლაპარაკობს, ლავრენტი პარასოლკა ქალს ირთავსო. მართლა ადრეტიანი ყოფილიხარ!

პარასოლკა. ქალბატონო მარიანა, რაღაცა გეშლებათ, ადიუტანტად არასოდეს მიმსახურია, მიმუშავია კინოშეჩვენებისად, ადიუტანტად კი არასოდეს. ნეტა ასფალტს რა თავში ვიხლი, ან დაბადების დღეზე რა მიმარბენინებდა. საკუთარი თავისთვის რამდენჯერ მითქვამს: მხოლოდ არაუფიქროს, ნაჩვევი ხარ-მეთქი. მაინც ვერ შევიგნე. აბია ჩემზე!

(სახელიდან გამოდიან ანკა და რეფერენტი).

ანკა. ჩვენ წავიდეთ!
მარიანა. ერთად მიდიხართ?
ანკა. იმ დაწესებულებაში სხვანაირად არ მუშაობენ!
მარიანა. მაინც სად მიდიხართ?
ანკა. მამჩის ბიუროში. ბატონო პეტრე, ხომ არ გეშინიათ?

მარიანა. ასე უცებ?
ანკა. პეტრემ მითხრა, ორი წელია შენი ხატება მიწაზე...

რეფერენტი. პატივცემულო მარიანა, მშაბით, რომ აქამდე ოფიციალურად არ ჩაგაუენთ საქმის კურსში. თქვენმა ქალიშვილმა, ვისი ხატებაც აგერ ორი წელია მოხვედრას არ მამღვევს, იმ აზრამდე მიმიყვანა, რომ მეც უნდა აღვასრულო ის საქმე, რაც ასე აუკიდებელია ყოველი რანგისა და თანამდებობის კაცისათვის. სინდისი მქეჩის, რადგან უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე ვაყენებთ, და მაინც მინდა გთხოვოთ თანხმობა...

ანკა. გუყოფ, წავიდეთ! (რეფერენტი მიჰყავს).
მარიანა. ანკა, ახლავ დაბრუნდი მამას რა ვუთხრა (ისმის დაძრული მანქანის ხმაური). ზელს მოაწერენ, ლმობთმანი, ზელს მოაწერენ!

პარასოლკა. ქალბატონო მარიანა, ნუ ნერვიულობთ, ასე უცებ ვერ მოაწერენ. ერთ თვეს მაინც დააციდით. მე წავალ. აქტივი უნდა შევკრიბო. (პარასოლკას შესახვედრად მოემართება სვეტლანა).

სვეტლანა. აჰ, ლავრენტი! თქვენ, რა თქმა უნდა, ჩემთან მოდიოდით, არა?

პარასოლკა. არა... თუმცა, კი, თქვენთან. ქალბატონო სვეტლანა, ოღონდ... ერთ წუთში ქალაქს შემოვიტუნე და თქვენც გვახლებით. (პარასოლკა თავს მხრებში ჩაჩვენებს და სასწრაფოდ გადის).

სვეტლანა (პარასოლკას შეეყვარებულ თვალებს გააყურებს). ზედგამოჭრილი მისი უდიდებულესობის ადიუტანტია! (მივარდება მარიანას). ქალბატონო მარიანა, ძვირფასო, ესაუბრეთ?

მარიანა. ლავრენტი ჩვენია, მაგას წყალი არ გაუვა, მაგრამ შენს ძმას რა ვუყოთ?

სვეტლანა. რა მოხდა?

მარიანა. ანკა მამჩის ბიუროში წაიყვანა.

სვეტლანა. შეუძლებელია ასე უცებ? ჩემთვის მაინც ეთქვა.

მარიანა. მაგას არ ვდარდობ? მითხრა, ანკას ხატება მინათებსო, ჩახსდენ მანქანაში და გაიქცინენ.

(შემოდის ტაისა, ხელში ჩემოდანი უჭირავს).

ტაისა. არ მელიოდით?

მარიანა. შვილო, ჩამოხვედი?! (ტაისას გადაეხვევა). არ გელიოდით კი არა, ნერვები დავაწყნადე! დეკმა მიიღე? მაქსიმი სადღაა?

ტაისა. სადაც იყო.

სვეტლანა. შევბუღებია აიღე?

მარიანა. სადაცაა ახალ ავეჯსაც მოგვიტანენ. მაქსიმი რატომ არ ჩამოვიდა?



ტაიხა. მაქსიმს დავშორდი. ბარათი დავუტოვე და წამოვდი.

სვეტლანა. ხელს აღარ შეგიშლით, მოგვიანებით შემოვივლი (გადის).

მარიანა. ღმერთო, ეს რა დღე გაგვითენდა! ერთი მაჩისი უროში გაკანეს, მეორე — ქმარს გამოვქცა!

ტაიხა. ანკა? ვინ დაიყოლია?

მარიანა. ჩვენმა მეზობელმა პეტამ. რეფერენტად დაუწინაურებიათ.

ტაიხა. უპოვია საქმრო!

მარიანა. ჭირ არაფერია გადაწყვეტილი. ერთ თვეს მაინც დააქვლიან. შენ და მაქსიმს რა მოგივიდათ?

ტაიხა. ხომ ვითხარი, წამოვედი-მეთქი. უფრო აღრეც უნდა წამოვსულიყავი.

მარიანა. მეგონა, გიყვარდა.

ტაიხა. მეტი აღარ შემძლია გაიგე, აღარ შემძლია ერთთავად ოხმბებში ცხოვრება. თოვლი, ქაობები, ყინვები! აღარ შემძლია. სიტბო მენატრება, ოჯახური სიმყუდროვე. ერთი პატარა ოთახი!

მარიანა. შენ არ მომწერე. კარგი ბინა გვაქვსო?

ტაიხა. სამი თვე გვიქონდა. ძლივს ვეღირსეთ ადამიანურ ცხოვრებას, რომ მაქსიმმა ტიუშენში წასვლა აიხარა.

მარიანა. ტიუშენში რა უნდა?

ტაიხა. ახალ სპეციალობას ეუფლება. ციმბირის ამთვისებლად მოაკვს თავი. დაუსწრებელ ინსტიტუტში კიო წელია მესამედან მეთოთხე კურსზე ვერ გადასულა. კმარა, აღარ შემძლია ყველგან მივდედი, არც ტალახებს მოვრიდებდევარ და არც ყინვებს. ჭაბურღილში გამცვალა. მე მაქსიმი უკვე ამოვშალე ჩემი ცხოვრებიდან. (ტაიხა სახლში შედის. მარიანაც ქალიშვილს მიჰყვება, უეცრად მანქანის ხმა შემოესხება და შეჩერდება. შემოდის სტანოვოი. იგი პორტფელს ღებს და დაღლილი სკამზე ეშვება).

სტანოვოი. ლავრენტი არ გინახავს?

მარიანა. აქტივის შეხაყრებად გავარდა. (მიუახლოვდება ქმარს. თანაგრძნობით). გაგაქრტიცეს?

სტანოვოი. უარესი! მთელი რაიონის წინაშე შემარცხვინეს. დროშას ქვემო პოკოსში გადასცემენ კოვალენკოს. ეხსა სამარაოლი?! მე ჩვენი ზემო პოკოსი ქალაქად გადავაქციე, ხალხი ტროტუარის ვალირზე, პარკი გავაშენე, მსუბუქი მრეწველობაც თითქმის მუდამ გეგმას მისრულებს. კოვალენკო დგას და ლოწუნებებს ისვრის; ქვემო პოკოსი გადავაქციეთ ნაყოფიერი შრომის, სილამაზისა და წესრიგის ქალაქად! საქმეს ლოწუნებები უშველის?!
მარიანა. ლეურე მიტკას. რა ამბავში უყოფილა!

სტანოვოი. შავს რა ენაღვლება. ხამხმელი ქარხანაც აქვს, ტრიოტუარის ფაბრიკაც, სამშენებლო კომბინატაც. მე რაღა დამარჩა: უაღკოპოლო სასმელების საამქრო, სარეწაო კომბინატი და ერთი კოლმეურნეობა. ამათმა პატრონმა რა ვქნა? ბიუჯეტიც პატარა მაქვს. ასფალტი ვერ მიშოვია, ათას ჭურელში ვჭვრები. დამაყადონ, კაცი

არ ვიყო. ეგ კოვალენკო თუ არ ავუფიქროვს, კაცი არ ვიყო!

მარიანა. ღირსიც იქნება!

სტანოვოი. სედუქსენი გამოიტანე, გამოთავდა. (მარიანა სახლში შედის. სტანოვოი შეამჩნევს ჩემოდანს, შეათვალერება. მარიანას მოაკვს სედუქსენის აბი და ჰქიფთ წყალს).

მარიანა. ფედორ, ტაიხა ჩამოვიდა.

სტანოვოი. შენ კი ნერვიულობდი. მაქსიმიც ჩამოვიდა?

მარიანა. მოფრინდენ ჩვენი ბედურები. ანკა რეფერენტმა ქვემო პოკოსში წაიყვანა. თურმე, ხამი დღეა მოულოდნელად ელღობდა.

სტანოვოი. იპოვა მაგანაც ამფსონი, მოიცა, მოიცა, პეტია ელოდებოდა ანკას?

მარიანა. ეტულება, ვერ შეამჩნიე, რომ ჩვენი უმცროსი გოგონა კარგახანია დაქალდა.

სტანოვოი. კი მაგრამ, ანკა და რეფერენტი?.. არა, რაღაც ერთმანეთთან ვერ დამოკავშირებია...

მარიანა. დარდი ნუ გაქვს, დავაუშვირდებიან. ანკა რეფერენტს, თურმე, პეტკას ეძახის.

სტანოვოი. მარიანა, რეფერენტებთან ხუმრობა კარგს არაფერს მოიტანს. რა თქმა უნდა, უცლოლო უფროსს შეუძლია ქალიშვილთან ერთად გასციროს, თანაც, თუ შინ არის შევებულეობთ ჩამოსული, მაგრამ იხიც არ დაგავიწყდეს, ამას შეიძლება ათასი კული გამოაზან, პენსიამდე კი ზუთი წედე დამარჩა, არჩვენებიც კარზეა მომდგარი. ერთი აქ მოვიდეს ეგ ქალბატონი! (სახლის კართან მიხსული სტანოვოი შეჩერდება). მარიანა, ავეცი რა უუავი?

მარიანა. საქამისიო მალაზიაში ჩავაბარე. თათბირზე რომ მიდიოდი. მაშინ ვერაფერი შეამჩნიე?

სტანოვოი. მარიანა, მე შენ რა ვითხარი?! დაგავიწყდა?

მარიანა. ყველა ახალ ავეცს უიღულობს და ჩვენ სხვაზე ნაკლები რითი ვარ? რა, პროკურორის ცოლს მოუღებდა ღუღუოვიკო და ჩვენ გავაყენდა?

სტანოვოი. მაგდენი ფული მე არა მაქვს, მგონი გაგაბებად გიოხარი. არც მგონია უახლოვს ხანში მიქნება.

მარიანა. ღმერთო ჩემო, თურმე ფული არა მაქონია! ნეტა ფულზე როდის შეგაწახე?


ტაიხა (შემოდის). კარგით, რა მოგივიდათ. (აკოცებს მამას). მაგ ლაპარაკს სჯობია სუფრა გავშალოთ. ციმბირული დელეკატესები ჩამოვიტანე.

სტანოვოი. შენ და მაქსიმმა როგორ გადაწყვიტეთ, ჩვენთან დარჩებით თუ შევებულეობს სადმე ზღვის სანაპიროზე გაატარებთ?

მარიანა. ტაიხა, წამო. სუფრა გავშალო (მარიანა და ტაიხა გადიან. შემოდის პარასკოლ პარასკოლკა. ბატონო ფედორ, აქტივი ახლავე განდებდა. ცოლებისთვის არაფერი მოიტყვამს, იღაც მოკლენ).

სტანოვოი. იხილია მაკლია! რა ჰქენი, დაახტე?

პარასკოლკა. ისტორიის მანწავლებლების ანგ



რისით ჩვენი ქალაქი ორას ორმოცდაცხრა წლის უოფილოა.

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. სწორად მაგას ველოდი. ორას ორმოცდაცხრა წელიწადი თუ იცი, რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ კარს მოგვადგა ჩვენი ქალაქის ორას ორმოცდაათი წლის იუბილე. გაიგე, ლავრენტო? ეს ხომ საიუბილეო თარიღია! ახლა გიჩვენებ სივრცს, ამხანაგო კოვალენკო! (შემოდინა პაროკონი, კატალონსკი და სამოკურუტი).

კ ა ტ ა ლ ო ნ ს კ ი. მშვიდობით დაბრუნებას გილოცავთ, ბატონო ფედორ!

პ ა რ ო კ ო ნ ი. ახალს რას გვტყვით?

ს ა მ ო კ რ უ ტ ი. რა მოგილოცოთ?

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. აქეთ მოგილოცავთ! ქალაქი ვალაქების პირზე მიიყვანეთ, ქვემო პოკოსმა ყველა მარტენებლებით გაგვისწრო. ფეხბურთშიც კი გვაჭობა!

ს ა მ ო კ რ უ ტ ი. ეგ შემთხვევით მოხდა. სიყვარული გულდამწვარ ჩვენს შვიკებს სწორედ თამაშის წინა დღეს გადაუღუღრწავს...

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. აღარ გამოგელია ვასამართლებელი საბუთი. მეც ავღებთ და კარში შენ დაგაყენებ! კატალონსკი, შენი ორკესტრი რა დღეშია, კაპელ-მაისტერი იპოვე?

კ ა ტ ა ლ ო ნ ს კ ი. ბატონო ფედორ, კაპელმაისტერი რა სათქმელია. ჩემს ორკესტრს მესტრო ხელმძღვანელობს. მენახანტა სახულე ორკესტრს მოვტაძე!

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. რამეს თუ უკრავენ?

კ ა ტ ა ლ ო ნ ს კ ი. როგორ გეკადრებთ! რომ უბრძანოთ, „მესტრო, ტუში“, მერე ველარც გააჩერებთ. წუღან ერთ ადილას ვთხოვე, მწვადები შეეწეთ. იქნებ დამერცა?

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. რა დროს ეგ არის! საქმის ხალხი გქვიათ თქვენ?! მწვადების მეტი არაფერი გახსოვთ! (ხელქვეითებს მრისხანე შეერას ვალაქულს).

პ ა რ ო კ ო ნ ი. (ველარ მოითიმნს, წამოხტება). ხელმეორედ მოგახსენებთ: რელიზაციით ასი და ორი მეთაფია...

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. სამეხვე სამაქრო დგას?

პ ა რ ო კ ო ნ ი. სამეხვე დგას, მაგრამ მტკიცედ გვჭირა...

(სტანოვი ხელის მოჭრაობით პაროკონის სიტყვის შეაწყვეტინებს და მხერას სამოკურტზე გადაიტანს).

ს ა მ ო კ რ უ ტ ი. (გაუბედავად). კოლმურენობამ ყველა გემა გადაჭარბებით შეასრულა.

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. ერთი სიტყვით, სადღეისოდ ასეთი ხურათი გვაქვს...

პ ა რ ო კ ო ნ ი. ბატონო ფედორ, მალე დაგვიხატეთ ეგ სურათი, თორემ დღეს ჯერ არ მისაღილია და ამდენ ნერვიულობას ვერ გაუძლებ.

ს ტ ა ლ ო ნ ს კ ი. მწვადები გველოდება. იქნებ დატერცა?

ს ა მ ო კ რ უ ტ ი. ხომ გითხარა. დამაცადე-მეთქი! ლავრენტო, დაჭეკი და ოქმი დაწერე: ჩვენმა ქვემო პოკოსელმა კეთილმა მეზობლებმა და მეგობრებმა, რომლებსაც ვებრძვი... არა, არ ვარცა.

„ვეგიზობით-თქო“ დაწერე, ზემო პოკოსელსაც ყველა გავით აჭობეს. მე გამომიხება ხელმძღვანელობამ და შემახურა... მართლა ეგრე უნდა იქნებოდა „შემატუბონა-თქო“. შემატუბონა ის დღეობაა, ხა, სადასეც მივიყვანეთ ჩვენი ქალაქი. ითქვა, თუ ვერ გამოვასწორებთ მდგომარეობას, დაკვეთული თანამდებობებიდან კინფისკერით გაგვკრიან... ეს ბოლო ორი სიტყვა წაშალე. „ხელახლა აღგვზრდიან-თქო“.

პ ა რ ო კ ო ნ ი. ხელახლა აღგვზრდიან. მზად არის, ბატონო ფედორ!

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. მე მტკიცედ აღვუთქვი ზემდგომ ორგანოებს, რომ მდგომარეობას გამოვასწორებთ. აბა, რას იტყვით, იქნებ ვინმეს გაქვთ რამე აზრი, წინადადება?

პ ა რ ო კ ო ნ ი. ასე ჩაქწერ: არავის არა აქვს არც აზრი, არც წინადადება.

პ ა რ ო კ ო ნ ი. რა მოხდება, რომ... არა, არა...

ს ა მ ო კ რ უ ტ ი. იქნებ... არა, არც ეს გამოგვადგება.

კ ა ტ ა ლ ო ნ ს კ ი. ჩემის აზრით, დადგა დრო, რამე ისეთი მოვიგოქმედოთ, რომ მარტო რაიონი და ოლქი კი არა, მთელი რესპუბლიკა ავლაპარაკოთ.

პ ა რ ო კ ო ნ ი. მართალია ვიწერ: სახელი უნდა გავითქვათ.

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. თქვენი წყალობით კაცს სახელს უფრო ვაიტებს... როგორც ვატყობ.

პ ა რ ო კ ო ნ ი. ჩვენი უნდა. არა, არა.

კ ა ტ ა ლ ო ნ ს კ ი. ავაშენოთ ტურისტული კემპინგი — ჩვენებც დაისვენებენ და უცხოელებიც. ჩავატაროთ სიმპოზიუმები.

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. ჩვენს ტურისტებს მარტო სასადალო აინტერესებთ, მაგრამ უცხოელმა აქ რა უნდა აეთოს? არც ძველი ეკლესია გვაქვს და არც დანგრეული ციხე-სიმაგრე.

კ ა ტ ა ლ ო ნ ს კ ი. ბუნებით დატენენ. ახლა ბუნება ნანგრევებზე ძვირად ფასობს, სულთა მარცხ გვაქვს, მშვენიერი ტყეც. საღამოობით ცეკვები გავმართოთ. ჩემს მესტროს გახეხრდება კიდევ.

პ ა რ ო კ ო ნ ი. ისევ მომსახურების სფეროს გადასწვდით! ტურისტი, ამხანაგო კატალონსკი, გარმონის ხმაზეც კარგად იცეკვება.

კ ა ტ ა ლ ო ნ ს კ ი. მაშ, ადგეთ და ერთხელ კიდევ გავთხაროთ მდინარესთან სკვითური ყორღანი. იქნებ რამე ვიპოვოთ.

პ ა რ ო კ ო ნ ი. ყორღანის გათხრას სამი წელი მაინც მოუწოდებთ, სახელი კი დაუყოვნებლივ უნდა გავითქვათ. ვიწერ.

პ ა რ ო კ ო ნ ი. სამეხვე ფაბრიკა ავაშენოთ. ხალხს ძეხვი უნდა.

ს ტ ა ნ ო ვ ო ი. გუყოფათ მარჩიელობა. ლავრენტო, ეგ ახლაუღდა წაშალე. ახლა მე მომისმინეთ: თათბირის შემდეგ რესტორანში წავადით. კატალონსკი, რა გაციენებს? ხომ იცი, მე დიეტაზე ვარ. პოდა, რესტორანში ვილაცამ ჩამაწვეთა, კოვალენკო ქვემო პოკოსის ორასი წლისთავის აღნიშვნას აპირებსო. ალბათ, ხვდებით, რომ ასეთი დიდი იუბილის დროს ბევრ რამეს გაახერხებენ.



სამოკრუტი. ეგ ხომ ეგრა.
 სტანოვი. ქალკასე გაიმშენიერებენ. საიდუმლოდ გამანდებ, იუბილესთან დაკავშირებით სიას აღგენენ აქტივის დასახილდოვებლადო. ხედავო, რა ჩაუფიქრებია?!

პარასოლკა. აი, ეს მესმის! ვიწერ!
 პარასოლი. რა თავი აქვს!

პარასოლკა. ბატონ ფედორამდე მაინც ბევრი უკლია!

კატალონსკი. არც ჩვენა ვართ უციციები. უაღლო-ლოლ სასმელების ჩემი ქარხანა უქანსკენლ ბო-ლოლამდე იბრძოლებს! შე დიდი აღმოჩენის ზღურბლთან ვდგავარ და სულ მალე სახელს მთელ რე-სპუბლიკაში გავითქვამ. იქნებ, მთელი კავშირც ჩემზე აღაპარაკედეს...

სამოკრუტი. ბატონ ფედორ, მზად ვარ შეუსრულებელი შევასრულო!

სტანოვი. ბარაქალა! მაგრამ... ლავრენტი, რაც აქ ამით ილაპარაკეს, ყველაფერი წაშალე. ამხანაგებო, ფრთები გაკლიათ, ფრთები. გეკითხებით: განა შეძლება, რომ ქვემო პოკოსი შემოზე ხნო-ვანი იყოს? ამ კითხვას კი პასუხი ერთი აქვს: არა და არა!

კატალონსკი (ტაშს უქრავს). მიგზვდით, ბატონ ფედორ, მიგზვდით!

სტანოვი. ლავრენტი, ჩვენი ქალაქი რამდენი წლის უოფლია?

პარასოლკა. ორას ორმოცდაცხრისა.

სტანოვი. გაიგონეთ? ასე რომ, ვიწყებთ ორას ორმოცდაათი წლის საიუბილეო მზადებას!

კატალონსკი. შევადგენთ სიას და... ბატონო ფედორ, შეიძლება დავრეკო?

სტანოვი. ნუ ხარ სულსწრაფი. ახლა გეგმას გა-გაცნობთ. უპირველესად ქალაქის შემოსასვლე-ლთან ავაშენებთ თაღს — თხუთმეტი მეტრის სი-მალლის კარიბჭეს.

კატალონსკი. გენიალურია!.. არც ახლა დავრე-კო?

სტანოვი. ავაშენებთ ორას ორმოცდაათ ჰავლიან შადრევანს!

(ყველანი დარეტიანებულბევიით დუმან).

პარასოლკა. აკი ვთქვა: კოვალენკოს ბევრი უკ-ლია-მეთქი! ბატონ ფედორს მინისტრის თავი აქვს. ვიწერ.

კატალონსკი. ეს ამბავი აუცილებლად უნდა აღი-ნიშნოს!

სამოკრუტი. მერე ამ გეგმას ვინ განახორციე-ლებს?

სტანოვი. ვინა და შენ! ლავრენტი, ჩაიწერე.

სამოკრუტი. ვერ შევძლებ.

სტანოვი. უნდა შეძლო.

კატალონსკი. ამხანაგო ქრისტეფორ, ნთუთ არ გესმით, ამ საქმემ უნდა გამოგვაჩინოს?!

სტანოვი. მაშ ასე, მშენებლობას ვავალებ ქრის-ტეფორს სამოკრუტს.

სამოკრუტი. სად ვიშოვო საშენი მასალა, მუშა-ხელი?!

სტანოვი. ყველანი მოგვებმარებით, მხარში ამო-გადგებით. თალე და შადრევანიც ჩაქრწაფრად უნდა აშენდეს. ზემო პოკოსი არასრულდეს! ჩვემო. თუ რამ მალეები გავგანია, თალისა და შადრევნის მშენებლობაზე უნდა გადავიხროლოთ.

კატალონსკი. ახლა მწვადებსაც მივხედოთ.
 პარასოლი. სიას ვინ შევადგენს?

სამოკრუტი. ყველამ კარგად იცით, რა გულის-ყურით ვეკიდებ სარეაგადოებრივ დავალებებს...

კატალონსკი. ხელმეობრომ არ გვიარგა! შენ რომ რეზოლუციას წააწერ ხოლმე, მილიციის ექ-სპერტებსაც გაუჭირდებათ გარჩევა.

სამოკრუტი. მე ხომ არ ვიჩემებ... მაგრამ თუ მოხოვენ...

პარასოლი. მერედა, ვინ გთხოვა? მე მედალი მა-ინც მაქვს მიღებული, შენ კი, კვარტლის მაჩვენებლების მიხედვით...

სამოკრუტი. ჩილდოებს კვარტლის კი არა, მთე-ლი ცხოვრების მაჩვენებლების მიხედვით დაგვი-რიგებენ.

სტანოვი. ჩვენ თავდაბალი ხალხი ვართ და ჩილ-დოებზე ნუ ვიფიქრებთ, მაგრამ შემდგომი ორგა-ნოები თუ მოითხოვენ, სიას ლავრენტი პარასო-ლკა შევადგენს.

კატალონსკი (ტაშს უქრავს).. უყეთესი კანდიდა-ტურა არც მეგულება! (პარასოლკას გადაკოცნის). კინოშენაიკოსად რომ მუშაობდა, ჭერ კიდევ მა-შინ ვთქვი, ამისგან კაცი დადგება-მეთქი.

მარიანა. (სახლიდან გამოდის). სახლში შემოდით, მიტკა კოვალენკო ლაპარაკობს რადიოში. თურმე ორასი წლისთავის გადახდას აპირებს.

(ყველანი სახლში შედიან. ამ დროს ლობეს მოად-გებთან ცნობისმოყვარე ზემოპოკოსელი ჭორიკ-ნები. ჭერ გამოჩნდება ვაბეღული პავლინა სამო-კრუტი. მერე — ცხვირწვეტიანი ოქსანა პარო-კონა, სულ ბოლოს, მოდურად გამოპირანული შაია კატალონსკი).

პავლინა. გოგობო, მომეყვით! სიების ამბავს მა-ინც შევითვობთ.

ოქსანა. მე მრცხვენია. სვეტლანა მაინც მოვიდო-დეს.

პავლინა. გამოიპირანება და ისიც მალე მობრძა-ნდება. თავის ადვოკატს ეკობტაეება (შეიხე-დავს სახლში). ლავრენტი ინდურით გაფხო-რილი დააბიჯებს, აქაოდა, სიის შედგენა მომან-დესო.

ოქსანა. ლავრენტი ახლა არ უქეთ სვეტანს? მე, მა-გალითად, შემრცხვებოდა.

პავლინა. მე უქექ?

შაია. მეც იქ ვიყავი.

პავლინა. რა საქებარი კაცი ევა მყავს! ჩვენთან დაბადების დღეზე იყო და სვეტანს იმდენი ეკურ-კურა, სანამ სულ არ დამიმტრია ფიკუსი.

შაია. არ გეკადრებათ ეგებოთ ლაპარაკი, ქოლბატო-ნო პავლინა. მგონი, კულტურული ქალი ბრძან-დებით. ალბათ, პეილის როზანებსაც კითხუ-ლობთ...

პავლინა. სიმართლე მიყვარს. ეს არის ჩემი ერთ-დერთი ნაჟლი, აი, სვეტლანაც გამიჩაყუნდა, მე-



რე რის გამო? გულახდილად რომ ვუთხარი, ამ ერთ წელიწადში ძალიან დაბერდი-ქეთი? ტყუილ ვუთხარი?

ოქსანა. ასეთ რამეს მეგობარს არ ეტყვიან. მე, მაგალითად, შემრცხვებოდა.

პავლინა. თუ გინდა, ერთ რჩევას შენც მოგცემ. მაგ დეტას დროზე მოეშვი, თორემ შენი ზრისგარე ავხედ-დავხედავს, მოგაფურთხებს და სხვა-სთან გაიქცევა.

მაია. ეთიკაზე წარმოდგენა არა გქონიათ. თქვენი შეუღლე კი სავსებით კულტურული კაცი ჩანს.

პავლინა. რაც შენია, ჩემიც ისა... ბატონი კატალიონსკი დისერტაციას როდის დაამთავრებს?

მაია. დრო დადგება და დაამთავრებს. ყველაფერს თავისი დრო აქვს. სულ გამუდმებით ხომ არ წერს, ზოგჯერ ფიქრობს. ამასაც დრო უნდა.

პავლინა. მოაზროვნე! მაგან რა უნდა დაწეროს?! მაია. მე გთხოვდით, რომ... ჩემმა ქმარმა მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტი დაამთავრა დაუსწრებლად. მთელი სამინისტრო ათავსებს.

პავლინა. სამინისტროდ ზომ არ აშვადებ?

ოქსანა. ქალბატონო პავლინა, თქვენი მოსაწონი ვერაფერი ვნახეთ. მე, მაგალითად, შემრცხვებოდა.

პავლინა. მეც სულელი ვარ, თავს რომ გიყადრობთ. (სახლში შეიხედავს). ნეტა რაზე საუბრობენ? საწყალი მარჩანა დარდმა გააშვა. ეგეთი შეილების პატრონი კიდევ კარგად არის. ერთი მატარებლებს დასდევს, მეორე — ქმარს გამოე-ქვა.

მაია. ეგ საიდანა შეთხზეთ? ტაია შებუღლებით ჩამოვიდა, ანკა კი, მშვენიერი გოგონაა.

პავლინა. კურში სხედხართ! ტაია მაქსიმს გამოექვა. ეგაც თქვენი იმ მშვენიერმა გოგამ კი რეფერენტი მშაჩის ბიუროში წაათრია, საბრალო პეტრას ენა ჩავარდნია, ანკას „უიგულში“ ძალით ჩაუსვამს.

ოქსანა. რას არ იტყვით. მე, თქვენს ადგილას, სირცხვილით დავიწვებოდი.

პავლინა. თი, სვეტლანა მოდის. ეს რა ჩაუსვამს? ეგაც იტყვის, გემოვნება მაქვსო. (შემოდის სვეტლანა).

სვეტლანა. ისევ აქ არიან?

პავლინა. გოგოებო, ახლა ჩვენც უნდა დავიწყოთ საუბილეო მზადება, რაღაც-რაღაცეები შევიყიროთ.

მაია. რა თქმა უნდა! საბატიო სტუმრებთან ჩვენც ხომ უნდა გამოვჩნდეთ. მე პირადად ერთი ხეივანი კაბაც არა მაქვს.

პავლინა. მაგას კი მართლს ამბობ. შენს ტანზე ერთი კაბა კარგი ვერ ვნახე.

მაია. ბოდიში მოიხადეთ, მთელ ქალაქს ჩემს კაბეზე რჩება თვლი... პირველ რიგში კი თქვენ, ქალბატონო პავლინა.

პავლინა. ტყუილია ყველამ იცის, რომ საკუთარი მკერავი მყავს. ავე, სვეტას შეხედეთ, რა მშვენიერი კაბა აცვია. ახლა შენ თავხაც დააკვირდი, მკერდი შენ არა გაქვს და წელი.

მაია. რა ვიცი, ქუჩაში ყველა მე შემომყურებს და... ამას მივიჩნევთ კიდევ.

პავლინა. მაგხელა წამწამები რომ მივიწებო, შემომხედვენ კი არა, გუნდ-გუნდად დამრდვენებას კაცები. მაია, ნუ გწუხის, ხომ იცის სიმშვენიერეს ვერ ვუღალატებ. გახსოვთ, შარშან ჩვენმა ოქსანამ თმის პარიკი რომ იყიდა. ჰოდა, ერთ დღესაც საბავშვო ბაღში იმ პარიკით დამშვენებული რომ გამოცხადდა. ბავშვებს ენა ჩავარდნიათ. ერთი ამბავი ამტყდარა. განათლებიდან კომისიაც გამოუძახიათ!

ოქსანა. ტყუილია! მე, მაგალითად, შემრცხვებოდა...

პავლინა. ძვირფასო ოქსანა, ის პარიკი სჯობს სვეტლანას გადაულოცო, თორემ ისე ნერვიულობს, სადაცაა თმა დასცვივა.

სვეტლანა. ქალბატონო პავლინა, ოჯახში სარკე არა გაქვთ?

პავლინა. გოგოებო, მე ხომ თქვენი სიკეთე მინდა. (სახლში შეიხედავს) ნეტა რაზე საუბრობენ? რა დღეში ჩავარდნენ, აღარც სკამი აქვთ და აღარც მაგიდა. ლუდოვიკო პროკურორის ცოლს გაატანეს. იატაკზე მოუწევთ ძალი. (სახლიდან გამოდის ტაია).

ტაისა. გამარჯობათ! რატომ შინ არ შემოხვალთ?

პავლინა. ღმერთო, როგორ დამშვენებულხარ! მართო ჩამოხვედი?

ტაისა. წამობრძანდით, შინ წამობრძანდით.

მაია. უხერხულია, კაცებს ხელს შეუშლით.

პავლინა. წავიდეთ. უჩვენოდ მიივცე ვერაფერს გადაწყვეტენ. (პავლინა გაბედულად შედის სახლში, მას დევნიან მისდევენ დანარჩენებიც. ამ დროს გამოჩნდება მაქსიმის, ხელში ჩემოდანი უჭირავს, მხარზე ლაბად ვადაუქიდა).

მაქსიმ. ტაისა, გამარჯობა!

ტაისა. ჩემი ბარათი წაიკითხე?

მაქსიმ. ზეპირად ვისწავლე: მე ბევრი ვიფიქრე და ბოლოს მივხვდი, რაში მინდა უბრალო ადამიანური ბედნიერება, რასაც შენ მემჩანობად თვლი. მინდა სითბო და სიმშვიდე.

ტაისა. ჰო, მართლაც მენატრება ოჯახური სითბო და სიმშვიდე. ძალიან გთხოვ, მაქსიმ, ახლავ უკან გაბრუნდე!

მაქსიმ. კარგად მოიფიქრე?

ტაისა. საბოლოოდ გადავწყვიტე. გემუდარები — წადი არ მინდა, ჩვენებმა განაზონ.

მაქსიმ. პური მიივცე მაკამე, ნამგზავრი ვარ.

ტაისა. აქ მომიცადე, რამეს გამოგიტან (შედის სახლში).

ანკა (შემოდის) მაქსიმ?! ტაისაც ჩამოვიდა?

მაქსიმ. ტაია ჩემზე ადრე ჩამოვიდა

ანკა. სახლში რატომ არ შეხვალ?

მაქსიმ. არ უბრძანებიათ.

ანკა. იჩხუბეთ?

მაქსიმ. დავშორდით.

ანკა. (თითს საფეთქელთან მიიტანს). შეიშალე?

მაქსიმ. რა გიკვირს? ახლა განქორწინება მოდისა.

ანკა. წამო, უცებ შეგარაგებთ.



მაქსიმ. აზრი არა აქვს. როგორ გამოცვლილხარ! შენ წერილსა და სურათს სახსოვრად ვინახავ. მაშინ კიკინებანი პატარა გოგო იყავი.

ანკა. ბავშვური სისულელეები... შეშედექლასელი გოგონები საკუთარ გმირებს იგონებენ ხოლმე.

მაქსიმ. ასე რომ, შენი გმირი ვყოფილვარ?

ანკა. მხოლოდ ერთ-ერთი.

მაქსიმ. ისევ მატარებლებს დაუყვები? გათხოვებას არ აპირებ?

ანკა. ვცდილობ. ეს-ესა მშაჩის ბიურაში მყავდა ერთი ყმაწვილი.

მაქსიმ. ვინ არის ეგ ბედნიერი?

ანკა. ჩემი მეზობელი.

მაქსიმ. პეტკა?

ანკა. ახლა ის პეტკა კი არა, რეფერენტი გახლავს! მაქსიმ. უჩაჩა, პეტკა! მაგრამ არა მჭერა.

ანკა. რა არ გჭერა? ახლა მარტო განქორწინება კი არა, ასაკობრივი სხვაობაც მოდებოდა.

მაქსიმ. მოხალისეად გქონია საქმე.

ანკა. ნაადრევია. პეტკა, ასე ვთქვათ, გამექცა...

მაქსიმ. გაგექცა?

ანკა. ლაპარაკში გავერთე და მანქანა ნაყინის სახიდარს დავაჯახე. მილიცია მაშინვე იქ გაჩნდა. რეფერენტმა კი თავს უშველა.

მაქსიმ. აუ, რა ვეცაკი უყოფლი! ახლა რას აპირებ?

ანკა. სხვას ვიპოვი. გერ ლენინგრადს მოვივლი და თუ მომესურვა, ხუთგერაც გაუთხოვდები. გინდ ლეონობით და გინდ კუბოს კარამდე.

მაქსიმ. ძალიან გამოცვლილხარ.

ანკა. მარტო მე გამოვიცვალე? ყველაფერი შეიცვალა. აგე, უარუატებმაც მიგატოვეს, ძალიან ვწუხვარ, იმედი რომ ვერ გაგიმართლეთ, ძვირფასო ამხანაგო, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, საწერებროებს მუდმივად ვიხდი. ოღონდ, საზოგადოებრივი დავალებების შესრულებით ვერ დავიტარაბახებ. ისეთი სამუშაო მაქვს, დღეს აქა ვარ, ხვალ იქა... (მიუახლოვდება). ის დღე თუ გახსოვს, კომკავშირში რომ მიმიღე? როგორ ვღელავდი. დამე თეთრად გავათენე და კომკავშირის რაკოების მდივანს სამიჯნურო ბარათი მოგწერე. შენ და ტარსამ ალბათ ბევრი იცინეთ, არა? (შემოდის ტარსა, ანკას გადაეხეხება).

ტარსა. ძლივს არ გნახე!

ანკა. თმა შეიკრიბე? ისე უფრო გიხდებოდა.

მაქსიმ. არ დამიჭერა.

ტარსა. (მაქსიმს უწვდის ქაღალდის პარკს). დაგავიანდება.

(სახლიდან გამოიხედავს პავლინა და ისევ მიიმალება).

მაქსიმ. ტარსა, ერთი წუთით მაინც მომიხმინე.

ტარსა. მაინც არაფერი შეიცვლიდა. იჩქარე, შენი მატარებელი ერთ საათში გადის.

მაქსიმ. ამ მატარებელზე ბილეთს ალბათ ვერც ვიშვოვი.

ტარსა. ანკა სადგურამდე ჩაგაცილებს და ბილეთსაც გიშვოვს.

ანკა. გაგიუღით?!!

ტარსა. ანკა, ნუ ჩაერევი.

მაქსიმ. რა გაეწუბა, მშვიდობით, ტარსა.

(მიღის).

ტარსა. მშვიდობით.

ანკა. შენც იტყვი რა... (მაქსიმს გამოეკიდება).

(სახლიდან გამოდის პავლინა სამოკურტი).

პავლინა. ღმერთო, ისე წაიდა, სახლში არც შემოსულა! კარგად ვერ მოიქციე. თუ იცი, უმწიროდ ცხოვრება რომ...

ტარსა. ქალბატონო პავლინა. მე თქვენთვის რჩევა არ მიკითხავს! (ტარსა სახლში შედის).

პავლინა. ესეც შენი ტარსა... ნეტა, მაქსიმო როგორ უძლებდა.

(სახლიდან გამოდის სტანოვი და სტუმრები).

სტანოვი. ხომ გაიგონე?!!

პარასოლკა. სად ორასი და სად ორას ორმოცდაათი წლისთავი!

კატალონსკი. ბატონო ფედორ, რა გენიალურად მოიფიქრეთ ჩვენი იუბილე.

მაია. უკეთესს კაცი ვერც ინატრებს!

კატალონსკი. მე ქედს ვიხრი თქვენი ჭკუაგონების, თქვენი ზღმძვანელობის ტაქტიკისა და სტრატეგიის წინაშე! იქნებ დამერეცა? მწვადები შეწვან.

სტანოვი. უპირველესად საქმე და ისევ საქმე, კატალონსკი!

პარასოლკა. საუბრილო მზადება აქედანვე უნდა დაიწყეთ. ფეხზე დავაყენოთ პრესა, რადიო, აგიტატორები, მოვიწვიოთ ტელევიზია.

სტანოვი. კარგი აზრია, მაგრამ ტელევიზიის მოწვევა ნაადრევია. ახლა დღის წესრიგში ორი ობიექტი დგას: ქალაქის შემოსასვლელთან ასაშენებელი ტრიუმფალური თაღი და შადრევანი. აი, ის ორი ვეშაბი, რასაც უნდა დაეურდნოს ზემო პოკოისის მომავალი სახელი და დიდება! გასაგებია?

კატალონსკი (ტარსს ურავს). გენიალურია!

მაია. ბანკეტიც გვექნება?

პარასოლკა. ბანკეტი კი არა, მიღება... ყველანი ფეხზე ვიდგებით.

მაია. ძალიანც კარგი! ბოლოს და ბოლოს ჩვენც ხომ კულტურული ზალბი გვექვია.

პაროკონი. რა დრო დადგა... რა თქმა უნდა, ფეხზედგომლავს შეიძლება ჭამა, მაგრამ გემოს ვერ ჩაატან. ერთხელ ეგეთ მიღებაზე მეც ვიყავი, ვერც ბოთლს მივწვდი, ვერც საუშვეულს, მთელი საღამო ფეხზე ვიდგე და ხელში ცარიე თეფში მექრია.

მაია. დროა ჩვენც ვეწიოთ კულტურას.

კატალონსკი. ახლა მთელი ევროპა და აზიის ნასაღვრული ნაწილი მხოლოდ ზეზეულა და და ჭამს, ამხანაგო პაროკონი.

პაროკონი. ყველა ნასწავლი გახდა.

სტანოვი. კულტურა უდიდესი სიკეთე გა!

პაროკონი. განა მე წინააღმდეგი ვარ, ბატონო... ჩვენც შეგვიძლია ევროპელებს მივ მაგრამ გემოს ვერაფერს ჩაატან და, რად

პარასოლკა. მე ყველასთან ერთი თხოვნა ბა: მიღებაზე თვლით არ დამანახონ...კაბე

სტანოვი. ამხანაგებო, მოვარ თემას გადაე



ვიეთ. ლავრენტი, ჩაიწერე: თაღისა და შადრევნის მშენებლობა ევალება ამხანაგ ქრისტეფორ სამოკრულს.

სამოკრუტო. ორივეს ვერ გავწვდები.

სტანოვოი. სხვა გზა არ არის. საშენებლო მასალებით კატალონსკი და პაროკონი მოგამარაგებენ.

პავლინა. ყველაფერს რომ ჩემს ქმარს ავალებო. პაროკონისა და კატალონსკისაც ხომ აბიათ მხრებზე თავი.

მაია. უყავრავად, მაგრამ ჩემს ქმარს მშენებლობა არ ეხება!

ოქსანა. მე, მაგალითად, შერბცხვებოდა...

სტანოვოი. ზედმეტი ღაპარაკისაგან თავი შეიკავე! (სამოკრუტს). ტრიუმფალურ თაღს ჩემი პაროკონი მიხედვით ააშენებენ. შადრევანთან და-დავამეღელ ფერებიც კატალონსკი შეუკეთებს.

პარასოლკა. ბატონო ფედორ, რამდენი ფერია დაგვიპირდება?

სტანოვოი. ერთი დუფინი ჩაიწერე. გრაგორი, შენს კომინანტში პატარა რკინის უფთი დაამზადებინე. იმ უფთით ჩვენს შეღობაშვილებს წერილს დავუტოვებთ, რომ თაღი აშენდა...

კატალონსკი. ...ჩვენი ძვირფასი ბატონ ფედორის ნიციბატივით! (ტაშს უყრავს) და ყველანი ხელს მოვაწერო. შთამომავლობას ხომ უნდა დარჩეს...

სტანოვოი. შეიძლება ყველამ ვერც მოაწეროს. ვინც გეგმის ჩააგდება, იმას სახალხო კონტროლის აქტებზე მოუწევს ხელის მოწერა.

მაია. იმედია, ქაღალსაც ვეგვიწება პატივით...

სტანოვოი. ქალები მამჩის ბიუროში... (კატალონსკის, პაროკონის) ამხანაგ სამოკრულს ხვალვე გადაეცით საუკეთესო მშენებლები და მთელი ტექნიკა. დრო აღარ ითმენს.

პარასოლკა. ყველაფერი ჩავიწერე.

სტანოვოი. განათება არ დავაიწყებდეთ. სადაც კი შეიძლება. ყველგან ნათურები ჩამოკიდეთ.

პავლინა. მაგასაც ჩემს ქმარს ავალებთ?

მაია. ო, რა დიდებული სანახაობა იქნება! სინათლეობი. მუსიკა, ცეკვები... ღმერთო, მე კი სულ არა ვარ მზად. ერთი ხეირიანი კაბა არა მაქვს.

პავლინა. შენ სულ ცეკვები გივლანდება, მე და ჩემი ქმარი კი წილში უნდა გავწოდეთ!

პარასოლკა (სახლიდან გამოდის). ჭრი ისე აქა ხართ? ბატონ ფედორს დღეს არც დავუსვები.

ოქსანა. ეგ რა ღაპარაკია. მე, მაგალითად, შერბცხვებოდა. ცხვებოდა.

მაია. იქნებ ბიბლიოთეკაში წავიდა? პავლინა. აკი გითხარით, „უტიგულს“ მოახტა-მეთქი. ანკამ მაქსიმი წაიყვანა სადღურში.

მარიანა. რომელი მაქსიმი? პავლინა. განა რამდენი გვაყო?

მაია. რას არ მოიგონებთ! ოქსანა. მე, მაგალითად, შერბცხვებოდა...

პავლინა. ბოდიში მოხადეთ. ტუთილი ჩემს დღეში არ მითქვამს. ტანს მაქსიმს დაშორდა. სამუდამოდ მშვიდობითო, უთხრა. ერთმანეთს არც კი აკოცეს. ანკამ მაქსიმი სადღურში წაიყვანა. დანარჩენი თვითონ გააკრეო. მე ჩემს ქმარს უნდა მივხმარო სახელმწიფოებრივი საქმის განხორციელებას. საწყალს რამდენი რამ დაავალეს, მაგრამ, ბატონო ფედორ, იმედი გქონდეთ. ყველაფერს პირნათლად შევასრულებთ! (მიდის).

სტანოვოი. (მარიანას). სედუქსენი გამოშობანე. (მარიანა აწეღის აბს და ქიტი წყალს). გამაგებინე, ჩვენს თავს რა ამბავია?!

მარიანა. ლქალქა პავლინას არ იცნობ? დეჩიკრე. მაქსიმი აქ არ ყოფილა.

სტანოვოი. მართლა დაშორდნენ? მარიანა. ცოტა წაუკისკლავებით, მერე რა მოხდება?

სტანოვოი. ანკა სადღაა? მარიანა. ახლავე მოვა (მიადგება ლობეს). პეტია! პეტია!

სტანოვოი. აბა, რა შენი პეტიაა რეფერენტი... რას იფიქრებს.

მარიანა. ზოგისთვის რეფერენტია, ზოგისთვის კი უბრალოდ — პეტია. ფედორ, უკვე იყვნენ მამჩის ბიუროში.

სტანოვოი. მამჩის ბიუროში?! მარიანა. ჰო, შენი ქალიშვილი და რეფერენტი. რა კულტურული კაცია, რა თავაზიანი. ანკაც გაგიყვებთ უუვარს! ასე მიოხრა, ანკას ხატება მინათებსო. შენ თუ გითქვამს ჩემთვის ექვთი გეპარება, რომ მინათებს? მე ხომ დღის სინათლეს ვერც ვხედავ. ასე რომ, შენა ხარ ჩემი მინათობელი.

მარიანა. ოჰ, კულტურა გაკლია, ფედია, კულტურა!


(შემოდან რეფერენტი და პარასოლკა. პარასოლკას ხელში უჭირავს ერთი ბორლი „კაბერნე“. ორივენი ნასვამები ჩანან).

რეფერენტი. ბატონო ფედორ, მოხარული ვარ, რომ გხვდავთ!

სტანოვოი. მეც, მეც მოხარული ვარ, ძვირფასო. პარასოლკა. მეც. საოცრად მიხარია. პირადად მე და ამხანაგმა რეფერენტმა „კაბერნე“... ბატონო ფედორ, ყველაფერზე მოვიღაპარაკე (სახეიმოდ). ტრიუმფალურ თაღზეც, ფერებიან შადრევანზეც, ორას ორმოცდაათზეც, ისე, ორას ორმოცდაათთან დაკავშირებით „კაბერნეც“ შეიძლება. ასორმოცდაათ-ასორმოცდაათ... პეტია, ჩამოახსი!

სტანოვოი. ბატონო პეტრე, შენ შემობრძანდით. მარიანა ხელდახელ რამეს გაგვიზადებს.

რეფერენტი. გმადლობთ, ძვირფასო, ჩვენ უკვე საკმაოდ... ანკა სად არის?



მარიანა. მე თქვენთან შეგულებოდა, ერთად არ წახვდიო?

პარასოლკა. ალბათ, ისევ ქვემო სოკოსის მილიციაშია.

მარიანა. მილიციაში? მილიციაში რა უნდა!

რეფერენტი. მოძრაობის წესების დარღვევისათვის... ანკა...

პარასოლკა. ...ნაუნის სახილარს დაეცა.

მარიანა. ღმერთო!

რეფერენტი. ქალბატონო მარიანა, ვანსაყურებულნი არაფერი მომხდარა. შემთხვევის ადგილზე მილიცია გამოცხადდა და ანკა იმათ თავისი ნაქანით გაჟვავა ვანსაყურებულნი.

მარიანა. თქვენ სად იყავით?

რეფერენტი. მე, როგორც მგზავრი, გამანათავისუფლეს და შინ ფეხით დავბრუნდი.

მარიანა. ფედი, ახლავ დარეგულირებაში, სასწრაფოდ გამოუშვან ბავშვი!

